

174
1946


ქართული
ენების
სამეცნიერო
სამუშაოები

მნათობი

4

თბილისი
1946

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მშვიდობის
კავშირის უმცლესიუბი სალიბიკატორი,
სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საკოლიტიკო
შუკნალი

წალიწადი ოცდამეწამი

4134.

4

სარედაქციო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბამსახურდია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაზაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ვალაკტიონი
ქიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა

ბელმოწერილია დასაბუქდად 8/VII-46 წ. ნაბუქდ ფორმათა რაოდენობა 12 უე 02065.
შეკვეთის № 851. ტირაჟი 5000.

რედაქციის მისამართი: მაზაშვილის ქ. № 13, შწერალთა კავშირი, ტელ. 3-04-64.
საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, ვორცხის ქ. № 5.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და თბილისის კარგისუბი ორგანიზაციის ამოცანები

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ანხ.
კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება თბილისის პარტიული ორგანიზაციის
აპტივის კრებაზე 1946 წლის 16 აპრილს *

ამხანაგებო!

პიტლერულ გერმანიასთან საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძლე-
ვამოსილად დამთავრების შემდეგ ჯერ ერთი წელიც არ გასულა. ამ მოკლე
ვადის განმავლობაში ჩვენმა ხალხმა უკვე ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა ქვეყ-
ნისათვის ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. საბჭოთა კავში-
რის სამხრეთ ნაწილში აღდგენილია მთელი რიგი უდიდესი მეტალურგიული
საწარმოები, ქვანახშირის შახტები, მაღაროები. შენდება ოკუპანტების მიერ
დანგრეული ქალაქები, სოფლები. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მშვი-
დობიანი განვითარების რელსებზე გადავიდა.

ომისშემდგომი პერიოდის უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშე-
ნელობის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
მიერ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების
1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის მიღება.

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები, — ამბობს ამხანაგი
სტალინი, — ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული
რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდე-
ლი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშე-
ნელოვანი ოდენობით“.

ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა შესაბამისად უმაღლესი საბჭოს სესიის
მიერ მიღებულ ხუთწლიანი გეგმის კანონში სსრ კავშირის მთელი მრეწვე-
ლობის პროდუქციის მოცულობა 1950 წელს განსაზღვრულია 205 მილიარ-
დი მანეთის რაოდენობით (1926-27 წლების ფასებით) ნაცვლად 1940 წლის
138,5 მილიარდი მანეთისა. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში სამრეწვე-
ლო პროდუქციის გამოშვება 1950 წელს 48 პროცენტით გადააჭარბებს
1940 წლის დონეს.

სსრ კავშირის მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა ხუთ-
წლედის დამლევსათვის დაგეგმილია 27 პროცენტით 1940 წელთან შედარ-
ებით.

* იბეჭდება შემოკლებით.

ეს ციფრები მოწმობენ მშენებლობისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდრეს გაშლას მიმდინარე ხუთწლეულში. სრულყოფილი კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია თუნდაც იოცნების მეურნეობის განვითარების ასეთ ტემპებზე. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, უფრო მეტად უნდა ვიამაყოთ იმით, რომ მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში შესაძლებელია დაისახოს და გადაჭრას ასეთი გრანდიოზული ამოცანები.

ახლა კიდევ უფრო ნათელი ხდება ვერაგ მტერზე ჩვენი დიდი გამარჯვების მთელი მნიშვნელობა, ვინაიდან გერმანელ ფაშისტ და ფაშონელ აგრესორთა წინააღმდეგ ომის მხოლოდ ძლევამოსილმა დამთავრებამ მოგვცა შესაძლებლობა დაებრუნებოდით მშვიდობიან შემოქმედებითს მუშაობას კომუნისტური მშენებლობისათვის.

ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ასეულ მილიონობით მშრომელნი, რომლებიც უკვე ახორციელებენ ახალი ხუთწლიანი გეგმის წინასწარდასახულობებს, მზურვალე სიყვარულისა და მადლობის სიტყვებით მიმართავენ მოსისხლე მტრებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების ორგანიზატორს—ჩვენს დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს. (ტაში).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული. ამის საწინდარია მთელი საბჭოთა ხალხის მაღალი შეგნებულობა და პატრიოტიზმი, ბოლშევიკური პარტიისა და ხალხის ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა. (ტაში).

I

ახალი ხუთწლიანი გეგმის მიზანია, პირველ რიგში, დანგრეული მეურნეობის აღდგენა საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებსა და ოლქებში, რომლებიც ოკუპაციისაგან დაზარალდნენ. ამასთან ერთად გეგმა ითვალისწინებს დიდ სამუშაოთა შესრულებას ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ხუთწლიანი გეგმის კანონი უზრუნველყოფს საბჭოთა საქართველოს მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას. ხუთწლეულის განმავლობაში კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შეადგენენ 4.120 მილიონ მანეთს 1926-27 წლების სახარჯთაღრიცხვო ფასებით.

მიმდინარე ხუთწლეულში საქართველოს ეკონომიური განვითარების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მძლავრი ზრდა მისი მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის აყვავების საფუძველია.

ხუთწლიანი გეგმის კანონის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა საქართველოს ეხება, ყურადღებას იპყრობს ნუსხა ნატურალური პროდუქციის ძირითადი სახეებისა 1950 წლისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურაში პირველად ჩნდება შავი ლითონები—თუჯი, ფოლადი, ჩნდება კოქსი, ჩნდება ავტომობილები.

აი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზოგიერთი მაჩვენებელი 1950 წელს 1940 წლის სათანადო ციფრებთან შედარებით:

	1950 წ.	1940 წ.	ზრდა პროცენტით 1940 წელს 1950 წელთან შედარებით
თუჯი (ათას ტონობით)	330	—	ეროვნული
ფოლადი (ათას ტონობით)	185	—	ზრდა პროცენტით
ქვანახშირი (ათას ტონობით)	2.400	625	284
ელექტროენერჯია (მილიონ კილოვატსაათობით)	1.300	740,5	78
მარგანეცის მადანი (ათას ტონობით)	2.040	1.448	41
კოქსი (ათას ტონობით)	450	—	—
ავტომობილი (ათას ცალით)	15	—	—
ლითონმკრელი დაზგა (ცალით)	1.700	803	112
შალეული (ათას მეტრობით)	3.795	1.923	97
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	6.830	5.290	29
ჩაი (ტონობით)	17.900	10.961	63

ნეომოცემილი ციფრები მოწმობენ, ჯერ ერთი, იმას, რომ მიმდინარე ხუთწლეულში განუზომლად იზრდება საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის ნატურალური პროდუქციის ყველა ძირითადი სახე; მეორე, და რაც მთავარია, ეს ციფრები მოწმობენ ჩვენი მრეწველობის ხარისხობრივ ზრდას, მრეწველობისა, რომლის დამახასიათებელ თავისებურებად ზდება ის, რომ სჭარბობს შავი მეტალურგია და მანქანათმშენებლობა.

მრეწველობასთან ერთად შემდგომ ვითარდება საქართველოს მრავალფეროვანი და მთელი საბჭოთა კავშირისათვის ძვირფასი სოფლის მეურნეობა. ხუთწლეულის მანძილზე ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზარდა 7,5 ათასი ჰექტარით, ციტრუსების ფართობი—11.000 ჰექტარით, ამასთან ძირითადი ყურადღება ეთმობა ციტრუსთა ყველაზე ძვირფასი სახეების—ლიმონისა და ფორთოხლის განვითარებას. უზრუნველყოფილია მევენახეობის, მეაბრეშუმეობისა და მეთამბაქოების მნიშვნელოვანი ზრდა. დიდდება ყველა სახის პირუტყვის სულადობა სოფლის მეურნეობაში.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ქალაქებსა და მუშათა დაბებში კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხაზით. საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლეულის მანძილზე საქართველოში აგებულ უნდა იქნას 732.000 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

ასეთია ზოგადად საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლები დაწყებულ ხუთწლეულში.

II

პარტიული ორგანიზაციები და მშრომელები ფართოდ უნდა იქნან გაცნობილნი ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანებს. ამ აზრით პარტიული აქტივის კრებისათვის ინტერესს არ იქნება მოკლებული გაეცნოს იმ უდიდეს სამუშაოებს, რომლებიც საქართველოში ხუთწლიანი გეგმის თანახმად ტარდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი მეურნეობის განვითარებაში გადაწყვეტია შავი მეტალურგიის შექმნა. საქართველოში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ინიციატივა ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. 1940 წლის შემოდგომაზე, ამხანაგ სტალინის წინადადებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს კოქსეადი ქვანახშირისა და აზერბაიჯანის მადნის ბაზაზე შავი ლითონების წარმოების ორგანიზაციის შესახებ. გადაწყდა მეტალურგიული ქარხნის აგება ქალაქ თბილისის რაიონში.

როგორც იცით, ქარხნის მშენებლობა დაწყებულ იქნა, მაგრამ ჩვენს სამშობლოზე პიტლერულ ავაზაკთა თავდასხმამ და დიდი სამამულო ომის დაწყებამ გამოიწვია ამ მშენებლობის შეწყვეტა.

1944 წელს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა განახლდა. ქარხანა შენდებოდა რუსთაველი ქარხნის ტერიტორიაზე უკვე ორი წელიწადია სწარმოებს ინტენსიური მუშაობა. აგებულია და ექსპლოატაციაშია დროებითი საერთო საცხოვრებლები და მუდმივი საცხოვრებელი სახლები 28.000 კაცი სათვის. ქარხნის ტერიტორიაზე უკვე აღიშართა დამხმარე საამქროთა კორპუსები. საძირკველი ჩაეყარა მარტენის ლუმელებს, შენდებოდა რთული მიწისქვეშა მეურნეობა, ქალაქური ტიპის დიდი ხიდი მდინარე მტკვარზე.

ქარხნის სიმძლავრეა 430.000 ტონა თუჯი, 500.000 ტონა ფოლადი, 380.000 ტონაზე მეტი სხვადასხვა ნავლინი.

ქარხანაში იმუშავენ 15.000-ზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. მათ მოსათავსებლად ოჯახებიანად დაპროექტებულია მთელი ქალაქის აგება, რომლის მოსახლეობა იქნება 40-45 ათასი ყაცი.

ქარხნის მშენებელთა კოლექტივმა, მშენებლობის უფროს ამხ. გიორგაძისა და მთავარ ინჟინერ ამხ. ბარამიძის მეთაურობით, დიდი მუშაობა შეასრულა. სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბინაო ფონდის შექმნა მშენებლობისათვის საჭირო მუშათა დიდი კონტინგენტების მისაღებად. მშენებლობის სამმართველო ღონისძიებებს იღებს აგრეთვე თავისი საკარიერო მეურნეობისა და სამშენებლო მასალათა დამამზადებელ საწარმოთა შესაქმნელად.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მშენებელთა მუშაობას ნაკლოვანებები არ ჰქონდეს. მშენებლებმა ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ამოცანა. ამ საქმეში მათ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდი აქვთ. მეტი აქტიუობა უნდა გამოიჩინოს მეტალურგიული ქარხნის დირექციამ — ამხანაგებმა გომელაურმა და ქაშაიაშვილმა — როგორც მშენებლობისადმი ტექნიკური კონტროლის გაძლიერების ბაზით, ისე ქარხნის მოწყობილობის მიღებისა და კადრების მომზადების საქმეში.

ზუთფლედის მეორე დიდი ობიექტი, რომელიც საქართველოს პარტიულნი და საბჭოთა ორგანოების მხრივ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. ჩვენი საავტომობილო ქარხანა გამოუშვებს „ზის-150“ მარკის 3,5-ტონიან სატვირთო მანქანებს. ეს ყველაზე უფრო ნრულყოფილი და ჩვენს პირობებში რენტაბელური მანქანაა.

ქარხნის სამშენებლო ტერიტორიაზე უკვე მივიდა 24 ეშელონი ქარხნის ძირითადი მოწყობილობიანად. 1947 წელს ქარხნის კონვეიერიდან უნდა ჩამოვიდნენ პირველი მანქანები. მშენებლობა კი ჯერ კიდევ არსადამაკმაყოფილებლად სწარმოებს. გასულ წელს იგი არასაკმაოდ მარაგდებოდა მასალე-

ბით და გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 37 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმა შესრულებულ იქნა 61 პროცენტით.

მშენებლობის უფროსმა ა. მ. ხ. ოდიშარიამ და მთავარმა ინჟინერმა ა. მ. ხ. მესტერმა უკეთესად უნდა მოაწყო საშენებლო სამუშაოები, რაციონალურად და მთელი დატვირთვით გამოიყენონ მუშახელი და მიწის რესურსები და კვარტალური გეგმების უთუო შესრულებას. მშენებლებს სერიოზული დახმარება უნდა აღმოუჩინოს ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, რომლისთვისაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა საავტომობილო ქარხნის მშენებლობის დროულად დამთავრება.

ამერიკაეკასიის მეტალურგიული ქარხანა ტყიბულისა და ტყვარჩელის კოქსეადი ქვანახშირით იმუშავებს. სწორედ ამიტომ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყებისას დაიწყო აგრეთვე ახალი ქვანახშირის შახტების მშენებლობაც ტყიბულში, ტყვარჩელში და ახალციხის ქვანახშირის საბადოში. ომის წლებში შახტების ახალი მშენებლობა შეჩერებულ იქნა, მაგრამ 1944 წლიდან გაძლიერებით სწარმოებს მუშაობა ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობისათვის. 1945 წელს კომბინატ „საქართველოს ქვანახშირის“ ხაზით მშენებლობის გეგმა შესრულებულ იქნა 103,5 პროცენტით. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დრომდე საშახტო მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება არადაამკმაყოფილებლად იყო დაყენებული. ამავე დროს თვით მშენებლობებზე ბევრი იყო ნაკლოვანება, განსაკუთრებით მუშახელის გამოყენების საქმეში.

გასულ წელს, ამხანაგ ბერძის დავალებით, ქვანახშირის მრეწველობის ყოფილი სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა საშახტო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში. კომისიამ შეიმუშავა საკავშირო მთავრობის მიერ შემდეგში დამტკიცებული ღონისძიებანი, რომელთა თანახმადაც 1947 წლის დამლევისათვის კომბინატ „საქართველოს ქვანახშირის“ ტრესტებში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღებამ უნდა შეადგინოს 6.500 ტონა ნაცვლად 1945 წლის დეკემბრის 2.000 ტონისა. ქვანახშირის ამოღების ერთსამად და უფრო მეტად გადიდება მოითხოვს საშახტო ფონდის სათანადო გადიდებას. 1946 და 1947 წლებში უნდა დამთავრდეს ხუთი ახალი შახტის მშენებლობა, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 1.450 ათასი ტონა ქვანახშირი წელიწადში.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მთელი მუშაობა დამოკიდებულია ქვანახშირის მრეწველობის მუშათა უზრუნველყოფაზე ბინებით. უახლოესი ორი წლის მანძილზე ტყიბულში, ტყვარჩელში და ახალციხის ქვანახშირის საბადოში აგებულ უნდა იქნას 91.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჯერჯერობით საბინაო მშენებლობა ქვანახშირის საწარმოებში არადაამკმაყოფილებლად სწარმოებს.

საჭიროა ფართოდ გაიშალოს სამუშაოები ქვანახშირის ახალი საბადოების ძიების, აგრეთვე ნავთის ძიებისა და ამოღების გაფართოების დარგში.

მიმდინარე ხუთწლეულში საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებად რჩება ახალი ჰიდროელექტროსადგურები. ხუთწლედი ითვალისწინებს ელექტროსადგურების სიმძლავრის ისეთი ვარაუდით გადიდებას, რომ ელექტროენერჯის გამომუშავება მთლიანად აკმაყოფილებდეს მრეწველობის საჭიროებას, აგრეთვე მოსახლეობის მოთხოვნილებას.

მიმდინარე ხუთწლეულში უდიდეს ობიექტად კვლავ რჩება ზრამის ჰიდროელექტროსადგური. 1945 წელს საკავშირო მთავრობის დახმარებით ჩვენ

შევიძლით დიდ სამუშაოთა ჩატარება ხრამპქსის მშენებლობაზე მშენებლობას კარგი მაჩვენებლები ჰქონდა მიმდინარე წლის პირველ ცენტრალ-შიც. ახლა უკვე მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ 1947 წლის ნაპერკსათვის ამუშავდება ხრამპქსის პირველი აგრეგატი, ხოლო სადგურის მშენებლობა და მთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1948 წელს.

ამავე ვალებში უნდა დამთავრდეს სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც იგივე ხრამპქსმშენის ტრესტი აწარმოებს.

საჭიროდ მიმაჩნია აღნიშნო აქ, აქტიუზე, ხრამპქსმშენის ტრესტის ხელმძღვანელობის კარგი მუშაობა. ტრესტის უფროსმა ამხ. ქანკოტაძემ და მთავარმა ინჟინერმა ამხ. გინდინმა თავი გამოიჩინეს როგორც ნიჭიერმა ხელმძღვანელებმა და ორგანიზატორებმა. მათ საკმაოდ კარგად შესძლეს მთელი იმ დიდი დახმარების გამოყენება, რომელიც მშენებლობას ეწევა. ხრამპქსის მშენებელთა კოლექტივმა წელსაც უნდა გეიჩვენოს მუშაობის მაღალი ნიმუშები. საჭიროა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში უზრუნველყოფილ იქნას წყალსაცავის აგება და გამოცდა, წელსვე დამთავრდეს დეროვაციისა და ძალოვანი კვანძის სამუშაოები და ყველაფერი მომზადდეს საიმისოდ, რომ მომავალი წლისათვის დარჩეს მხოლოდ სამონტაჟო სამუშაოები და მეორეხარისხოვან ობიექტთა მშენებლობა.

მიმდინარე ხუთწლეულში უნდა დამთავრდეს კითახევის ჰიდროსადგურის მშენებლობა ბორჯომის რაიონში ქვანახშირის მრეწველობის ხაზით. აგრეთვე დაწყებულ და დამთავრებულ უნდა იქნას გზათა სამინისტროს ხაზით ტყიბულის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაწყებულ იქნას აგრეთვე დიღმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე იქნება 30 ათასი კილოვატი. ვფიქრობთ, რომ საკავშირო მინისტრთა საბჭო დახმარებას გაგვიწევს ამ საკითხში.

ხუთწლეული ითვალისწინებს ქალაქ გორში საფეიქრო კომბინატის მშენებლობას, რომელიც წელიწადში 30—35 მილიონ მეტრამდე ბამბეულის ქსოვილს გამოუშვებს. მშენებლობის ღირებულებაა 130 მილიონი მანეთი, დამთავრების ვადა—1950 წელი.

თვით ქალაქ თბილისში საკავშირო მნიშვნელობის მქონე უმნიშვნელოვანესი სამრეწველო მშენებლობებია: ახალი ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მშენებლობა დრმალეუში და პლასტიკური მასების ქარხნის მშენებლობა. ამასთან ერთად მიმდინარე ხუთწლეულში უნდა დამთავრდეს კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ქარხანა „ცენტროლიტისა“ და ზოგიერთი სხვა საწარმოს მშენებლობა და მოწყობა.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, მთლიანად დამოკიდებულია ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობაზე. მიმდინარე ხუთწლეულში საინჟინრო სისტემებით სარწყავი ფართობი უნდა გავადიდოთ სულ მცირე 55.000 ჰექტარით 1945 წელთან შედარებით, ე. ი. 60 პროცენტით. ამისათვის საჭიროა მთლიანად დავამთავროთ ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია, ქართლის რაიონში ავაგოთ სალთვისის, კეხვის, დოეს-გრაკლის, დოდლაურის ველის და სხვა არხები, მაგრამ ირიგაციის ხაზით ყველაზე მნიშვნელოვან მშენებლობას წარმოადგენს ზემო სამგორის სარწყავი სისტემა.

სამგორის სარწყავი სისტემის პროექტის შედგენის ხაზით სერიოზული სამუშაოები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. 1941 წელს

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა სსრ კავშირის მინსახკომს დაეცირეს. შეიქმნა მშენებლობის სამმართველო, და ოში რომ არ ყოფილიყო, სამგორი ახლა აგებული იქნებოდა.

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ახალ ხუთწლიან გეგმაში შეტანილია ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით. სამგორის საექსპლუატაციოდ გადაცემით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, ბამბის მალაღმოსავლიან პლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათას ჰექტარზე მეტი ამჟამად ცარიელი მიწა, რომელიც უშუალოდ ქალაქ თბილისს აკრავს.

15 კვადრატული კილომეტრის ზედაპირის მქონე დიდი წყალსაცავი, რომელიც მლაშე ტბების აუზში იქმნება, გარდა იმისა, რომ დაამშენებს ქალაქს, შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვე ტყით დაფაროთ მახათის მთის ფერდობები, ღრმალეღე, ავლაბრისა და ნავთლუღის რაიონი.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ მაქსიმალური დახმარება უნდა გაუწიოს სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობას. სამგორის სისტემა მოგვცემს არა მარტო სარწყავ წყალს, არამედ ელექტროენერჯიასაც. სისტემის მაგისტრალურ არხზე და ზემო წყალსაცავის კაშხალთან აგებული იქნება ოთხი ელექტროსადგური 36 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა.

გასაგებია, რომ ასეთი მასშტაბის მშენებლობისათვის საჭიროა მასალების დიდი რაოდენობა. განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნილება ცემენტზე. ჩვენს ცემენტის ერთადერთ ქარხანას, რომელიც კასპში გვაქვს, შეუძლია წელიწადში მოგვცეს 100-120 ათასი ტონა ცემენტი. ეს საკმარისი არ არის ჩვენი მშენებლობების უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავაყენეთ კასპის ცემენტის ქარხნის გაფართოების საკითხი და ვფიქრობთ, რომ იგი დადებითად იქნება გადაჭრილი.

სამრეწველო და საქალაქო მშენებლობისათვის დიდი რაოდენობით არის საჭირო აგრეთვე კედლისა და სხვა ადგილობრივი მასალები: აგური, კირი, ქვა და სხვ. საჭიროა აღინიშნოს, რომ სიმძლავრე სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმოებისა, რომლებიც ჩვენ გვაქვს, კარგი მუშაობის პირობებშიც კი ვერ უზრუნველყოფს ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საწარმოები ძლიერ ცუდად მუშაობენ.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო საკმაოდ ვერ ხელმძღვანელობს თავის საწარმოებს. სამმართველოში ყოველი ცოცხალი საქმე ქაღალდის ნიაღვარში ინთქება. სამმართველოს ხაზით საერთო პროდუქციის განოწევნის გეგმა 1945 წელს შესრულდა 67,7 პროცენტით, აგური გამოშვებულ იქნა 12.260 ათასი ცალი ანუ გეგმის 87,6 პროცენტი, კრამიტი — 768 ათასი ცალი ანუ გეგმის 38,4 პროცენტი, კირი — 16.000 ტონა ანუ გეგმის 83 პროცენტი.

საქართველოში დიდია შესაძლებლობა ბუნებრივი სამშენებლო მასალების — სხვადასხვა ტუფების და ქვის სხვა სახეთა გამოყენებისა, მაგრამ ეს საქმე ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. ეკლარის საუცხოო მოსაპირკეთებელი ქვის კარიერები ცუდად მუშაობენ და, საერთოდ, ეს ქვა არასაკმაოდ არის გამოყენებული.

ჩვენი სამმართველო არ იჩენს ჯეროვან ინიციატივას ახალი სამშენებლო

მასალების ძიებისა და უკვე ცნობილი მასალების უფრო რაციონალურად გამოყენების საქმეში.

სამშენებლო მასალათა წარმოების ასეთ მდგომარეობას შემდეგში ვეღარ დავუშვებთ. საქიროა მიღებულ იქნას გადაწყვეტი ღონისძიებები საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს მუშაობისა და საქალაქო და რაიონული აღმასკომების ქვემდებარებაში მყოფ ავურის, კირის, კრამიტის დამამზადებელ ყველა საწარმოთა მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

საქიროა აგრეთვე ფართოდ მოეწყოს ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოება საკავშირო მშენებლობათა ხაზით, როგორც არიან: ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, სავეტომობილო ქარხნის მშენებლობა, ქვანახშირის შახტების მშენებლობა.

რამდენიმე სიტყვა სოფლის მეურნეობის დარგის ამოცანათა შესახებ. მიმდინარე ხუთწლეულში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხებს. არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჩვენში დაბალია. ერთი ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ რესპუბლიკაში მივიღეთ: 1940 წელს—8,4 ცენტნერი, 1942 წ.—10,2, 1944 წ.—8,9 და 1945 წელს—8,6 ცენტნერი, მაშინ როდესაც გეგმა 11,5 ცენტნერს ითვალისწინებდა.

დაბალი მოსავლიანობა იხსნება იმით, რომ თესვის დროს არ იცავენ აგროწესებს, არასაკმაროდ უვლიან ნათესებს და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენში არ არის თესლბრუნვები. გასული წლის შემოდგომაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა აღდგენისა და შემოღების შესახებ. პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ზუსტად უნდა გაატარონ დადგენილება თესლბრუნვათა შესახებ. მხოლოდ ამ პირობით მივაღწევთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას 12,5 ცენტნერამდე 1950 წელს, რაც ხუთწლიანი გეგმით არის დასახული. ასეთი მოსავლიანობის დროს ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირებთ მარცვლეულის შემოტანას საქართველოში.

მე უკვე ვილაპარაკე ციტრუსებისა და ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების გეგმაზე. აქ მინდა მხოლოდ ხაზი გაუხსნა, რომ უკვე მიმდინარე წლიდან ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდება. კერძოდ, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ 1946 წელს დავამზადოთ ციტრუსთა სულ მცირე 600 მილიონი ცალი ნაყოფი, ნაცვლად 1945 წლის 300 მილიონი ცალისა.

ვსარგებლობ იმით, რომ აქ ესწრებიან აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებისა და სუბტროპიკული რაიონების რაიკომების მდივნები და მათს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ საქიროა ციტრუსების მოვლის ყველა სამუშაოთა თანმიმდევრობით შესრულება. ციტრუსების ყველა მსხმოიარე პლანტაციაში შეტანილ უნდა იქნას მინერალური სასუქების სრული დოზა, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და სხვა მეურნეობათა ჩათვლით და გატარდეს ყველა ღონისძიება ციტრუსოვანი ნარგავების სამკურნალოდ.

უნდა გავაფრთხილო სუბტროპიკული რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები, რომ მიმდინარე წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

სუბტროპიკული რაიონების თვითმული რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობას შეაფასებს პირველ რიგში იმის მიხედვით, თუ როგორ შეძლებს იგი კოლმეურნეთა, მუშათა და სპეციალისტთა დარაზმვას ცენტრების მაღალი მოსავლის მისაღებად, იმის მიხედვით, თუ ცენტრებს რამდენად მოსავალი იქნება აღებული რაიონში.

კიდევ ერთი საკითხის შესახებ, რომელიც სუბტროპიკულ რაიონებს ეხება, საჭიროა ძირულად გაუმჯობესდეს მუშაობა საქართველოში ეკალიბტის ნარგავთა განვითარების ხაზით. დღემდე კიდევ გავრცელებულია წარმოდგენა, რომ ეკალიბტი მხოლოდ დეკორატიული ხეა, რომელიც, ამასთანავე, ჰაევას აჯანსაღებს. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ასეთი შეხედულება მეტად ცალმხრივია. ეკალიბტს უდიდესი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის და მისი გავრცელებით ერთნაირად უნდა იყვნენ დანტერესებულნი როგორც სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, ისე ჩვენი ქალაქების, კერძოდ ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოები და მოსახლეობაც. საქმე ის არის, რომ საქართველოს თუმცა გააჩნია ტყის მნიშვნელოვანი მასივები, მაგრამ, არსებითად, ჩვენ მაინც უტყეო რეალობა ვართ. საექსპლოატაციოდ მისაწვდომ ტყეებს ჩვენში აქვთ საკურორტო და ნიადაგთდამცველი მნიშვნელობა, ხოლო ის ტყეები, რომლების ექსპლოატაციაც შეიძლება, მდებარეობენ ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანს მისვლა უჭირს. უკვე ილივა ის ტყეები, სადაც თბილისისა და სხვა ქალაქებისათვის მზადდება შეშა. ამჟამად დროს ეკალიბტის გაშენების დარგში კარგი მუშაობის დროს შეგვიძლია უახლოეს მომავალში მთლიანად უზრუნველყოთ ჩვენი თავი სამშენებლო ხე-ტყითა და შეშით. ეკალიბტი სწრაფმზარდი ვიგანტური ხეა. უკვე 20 წლის ასაკისათვის იგი საექსპლოატაციო სიმწიფეს აღწევს. საკმარისია გვექონდეს 40—50 მილიონი ძირი ეკალიბტის ხე და მოვაწყოთ მათი წესიერი ექსპლოატაცია და განახლება, რომ ყოველწლიურად დავამზადოთ 1,5-2 მილიონი კუბმეტრი სამშენებლო ხე-ტყე და შეშა ნარგავებისათვის ზიანის მიუყენებლად. ახლა კი საქართველოში ყოველწლიურად ვამზადებთ არა უმეტეს 700 ათასი კუბმეტრი საქმიანი ხე-ტყისა და შეშისა.

არ სწარმოებს მუშაობა ეკალიბტის ნარგავთა უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის განსამარტებლად. ეს გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ომისწინა წლებში ჩვენ დავრგეთ 28 მილიონამდე ძირი ეკალიბტი, გავზარდეთ კი მხოლოდ 7 მილიონი ძირი. დანარჩენი ნარგავები მოუვლელობის გამო დაიღუპა.

საჭიროა ეკალიბტის გაშენების ხუთწლიანი გეგმა გადაისინჯოს იმ ვარაუდით, რომ ეს ძვირფასი ხე 1950 წელს გვექონდეს სულ მცირე 40 მილიონი ძირი. უნდა ვთქვა, რომ ამზანაგმა ბერიათ, რომელმაც ამას წინათ იწახულა საქართველო და გაეცნო ეკალიბტის ნარგავთა მდგომარეობას, გავგახსენა, რომ საჭიროა ეკალიბტის კულტურის უფრო სწრაფი განვითარება ჩვენს სუბტროპიკებში. ჩვენ უნდა შევასრულოთ ეს დავალება.

III

ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის მი-

დებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია:

„პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააჩინონ ბრძოლა თვითეული რესპუბლიკისა და ოლქის, სახალხო მეურნეობის, თვითეული დარგის მიერ, ყველა ქარხნის, ფაბრიკის, ახალშენებულ ქარხნების, მაღაროს, რკინიგზის მიერ 1946 წლის გეგმების, კვარტალური და თვითური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის“.

ამ დირექტივის მიხედვით სასარგებლო იქნება განვიხილოთ, თუ როგორ მუშაობენ ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოები.

უნდა აღვნიშნო, რომ ქალაქ თბილისის მრეწველობამ მთლიანად ვერ შეასრულა 1945 წლის საწარმოო გეგმა. მან გამოუშვა 426.500 ათასი მანეთის პროდუქცია. რაც წლიური გეგმის 97,2 პროცენტს შეადგენს.

გასულ წელს განსაკუთრებით ცუდად მუშაობდნენ სააგრომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც გეგმა 69,9 პროცენტით შეასრულეს, თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოები, რომლებმაც გეგმა 95 პროცენტით შეასრულეს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც გეგმა 96,5 პროცენტით შეასრულეს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც გეგმა 96,5 პროცენტით შეასრულეს.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა წლიური საწარმოო გეგმა მხოლოდ 80,5 პროცენტით შეასრულეს.

ქალაქის მრეწველობის მიერ საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს ის წარმოადგენს, რომ ბევრი წამყვანი საწარმოს და სათანადო სამინისტროთა ხელმძღვანელებმა, სამხედრო შეკვეთების შეწყვეტის შემდეგ, საკმაო ზომები არ მიიღეს მშვიდობიანი დროის პროდუქციის გამოშვებაზე უმტკივნეულოდ გადასვლისათვის. ისინი საჭირო მზრუნველობას არ იჩენდნენ იმისათვის, რომ მოემარაგებინათ საწარმოები სათანადო ნედლეულით, შეეცნოთ და შეენარჩუნებინათ მუშათა კადრები.

მიზნინარე წლის პირველ კვარტალში ერთგვარი გაუმჯობესება გვაქვს საწარმოო გეგმების შესრულებაში საწარმოთა ცალკეული ჯგუფების მიერ: ადგილობრივი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, კვების მრეწველობის მიერ. მაგრამ მთლიანად ქალაქის მრეწველობამ კვარტალური გეგმა მხოლოდ 89,3 პროცენტით შეასრულა. კვარტალური გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად აიხსნება საკავშირო დაქვემდებარების დიდ საწარმოთა არაღამაკმაყოფილებელი მუშაობით.

არაღამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს, სააგრომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები.

თუ ავიღებთ ცალკე მარტს, ამ თვეში საწარმოები უკეთ მუშაობდნენ და ქალაქის მრეწველობამ საწარმოო გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულა.

როგორც ხედავთ, 1946 წლის პირველ კვარტალში გეგმის შესრულების მაჩვენებლები დაბალია. ეს ავალებს ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს, საწარმოთა და სათანადო სამინისტროთა ხელმძღვანელებს გადაწყვეტი ზომები მიიღონ მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

აუცილებელია ავამძღოთ საწარმოების საწარმოო ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის ზარისხი. უნდა უკუვაგდოთ ომიანობის დროიდან დარჩენილი ზოგიერთი ჩვეები. ეს პირველ რიგში შეეხება მუშათა შეგროვების,

მომზადებისა და შენარჩუნების საქმეს. ომიანობის წლებში მუშახელის მხრივ მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ ეს სიმძიმე მთლიანად საწარმოთა ხელმძღვანელებს როდი აწვათ. პარტიული და საბჭოთა ორგანოები ერთობ-დნენ მუშათა მობილიზაციას, რაც ნებადართული იყო კანონით. და მუშახელის მათ წარმოებაში. ახლა ასეთი წესი აღარ არის. სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოთა დირექტორებმა უნდა შეიგნონ, რომ ახლა მათ ნორმალური გზით უნდა უზრუნველყოთ თავიანთი თავი მუშახელით. საჭიროა შეუქმნათ მუშებს კარგი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და მოეწყოთ მათი დამატებითი სასურსათო მომარაგება დამხმარე მეურნეობებიდან. აუცილებელია ვიზრუნოთ მუშათა ხელფასის გადიდებისათვის მათი კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლებისა და სამუშაოთი მთლიანად დატვირთვის გზით.

უნდა ითქვას, რომ წარმოების მუშახელით უზრუნველყოფის საკითხებისადმი ასეთი შეგნებული და მზრუნველი დამოკიდებულება ყოველთვის როდი სჩანს. ამის შედეგად ბევრ საწარმოში კვლავ ადგილი აქვს მუშების მეტად დიდ დენადობას. თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დირექციამ 1945 წელს სამუშაოზე მიიღო 164 კაცი, ხოლო საწარმოდან წავიდა—374. 1946 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 43 კაცი, წავიდა—82. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში გასულ წელს სამუშაოზე მიიღეს 488 კაცი, ხოლო წავიდა 309. აღსანიშნავია, რომ ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ადმინისტრაცია განსაკუთრებით უყურადღებოდ ეკიდებოდა ახალგაზრდა მუშების შენარჩუნებას. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ქარხანას გადაეცა 857 კვალიფიციური მუშა, რომლებმაც საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და სახელოსნო სასწავლებლები დაამთავრეს. მაგრამ მათგან შენარჩუნებულია და ამჟამად მუშაობს სულ 185 კაცი.

სრულიად არაღამაყმაყოფილებლად არის დაყენებული მუშათა ახალი კადრების მომზადების საქმე. ავტოსარემონტო ქარხანას 1945 წლის გეგმით 200 კვალიფიციური მუშა უნდა მოემზადებინა, ფაქტიურად კი 14 კაცი მოამზადა. ტექნიკუმის წრეებში 52 კაცი სწავლობს, მაშინ როცა გეგმა 250 კაცს ითვალისწინებდა, ამასთან მეცადინეობაზე დასწრება 50-60 პროცენტს არ აღემატება. ამავე დროს კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობის გამო ქარხნის დაზგათა პარკი გამოყენებულია მხოლოდ 40—50 პროცენტით.

მუშათა კადრების მომზადების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, ლითონის კონსტრუქციების ქარხანასა და სხვა საწარმოებშია.

ზოგი კვალიფიციური მუშის შრომას სრულიად არასაკმარისად იყენებენ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში დაზგებინა არადროული რემონტის, ინსტრუმენტის უქონლობის და მასალებით ცუდად მომარაგების გამო კვალიფიციური მუშების ნაწილი სისტემატურად ვერ ასრულებს ნორმებს და დაბალ ხელფასს იღებს. ამწყობი საამქროს მე-7 თანრიგის ზეინკალმა ამხ. ქვეათაქმე თებერვალში 218 მანეთი გამოიმუშავა. ეს იმიტომ, რომ მას სამუშაოს არ აძლევდნენ. ამავე მიზეზით იმავე საამქროს მე-6 თანრიგის მესპილენძე ამხ. რეშეტკომ თებერვალში 101 მანეთი გამოიმუშავა. ავტოსარემონტო ქარხნის საამწყობო საამქროს მე-4 თანრიგის ზეინკალმა ამხ. იარაღოვმა იმ მიზეზით, რომ იგი სამუშაოთი და

მასალებით არ უზრუნველჰყვეს, იანვარში 40 მანეთი გამოიმუშავა, ხოლო ზეინკალმა ამხ. საჩქოსოვმა—95 მანეთი და 13 კაბიცი.

გასაგებია, რომ თუ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გადამწყვეტი ზომები არ მივიღეთ, ჩვენს საწარმოებს დიდხანს ექნებათ სერიოზული სიძნელენი მუშაბელის მხრივ.

საკუროა ახალი ძალით გავაჩაღოთ სტახანოვეური მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრება მუშათა შორის, სისტემატურად გავავრცელოთ მოწინავე სტახანოველთა და რაციონალიზატორთა გამოცდილება და გავწიოთ მისი პოპულარიზაცია. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ კარგად აშუქებდა შეჯიბრების საკითხებს, მაგრამ ამ ბოლო დროს რატომღაც აღარ ბეჭდავს ასეთ მასალებს.

კვარტალური გეგმების შეუსრულებლობის საერთო ციფრებმა არ უნდა დანრდილონ ცალკეულ საწარმოთა კარგი მუშაობა.

არის ბევრი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც პროგრამას ასრულებენ და სანიმუშოდ აწყობენ წარმოებას. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა.

სამხედრო შეკვეთების შეწყვეტის შემდეგ, კიროვის სახელობის ქარხანა ერთხანს ცუდად მუშაობდა. 1945 წლის ოქტომბრამდე იგი დაზგების გამოშვების გეგმას ვერ ასრულებდა. გასული წლის ოქტომბრიდან ქარხანა უკვე გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. ქარხნის ხელმძღვანელებმა დირექტორ ამხ. ზვედელიანის მეთაურობით სერიოზული ღონისძიებები გაატარეს მეოპერაციე მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, დაზგებს გაუკეთეს მაღალნაყოფიერი მოწყობილობანი, მოაწყეს ნაკადური ხაზები რთული დეტალების დასამზადებლად. ამასთან ქარხნის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შესძლეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებათ წამყვანი პროფესიების თითქმის ყველა მუშა. ყოველივე ამის შედეგად ქარხანამ წარმატებით შეასრულა შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და პირველ კვარტალში 79 დაზგა გამოუშვა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 74-სა.

მარტო იანვარში ქარხანამ 20 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. 1944 წელს „დიპ—300“ დაზგის თვითღირებულება 72.000 მანეთს შეადგენდა, გეგმით გათვალისწინებული 41.700 მანეთის ნაცვლად. 1945 წლის დეკემბრისათვის ქარხანამ მიაღწია დაზგის თვითღირებულების შემცირებას 40.600 მანეთამდე.

ქარხანაში გაიზარდნენ მოწინავე სტახანოველები, რომლებიც დღიურ დავალებებს მრავალჯერ გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად: ზეინკალი ამწყობი ამხ. ივანე ფირცხალავა გეგმას 500 პროცენტით ასრულებს; მკედელი ამხ. ლუგანსკი აგრეთვე 4-5 ნორმას ასრულებს; ხარატმა ამხ. პეტლიაევმა ორიგინალურ მოწყობილობათა გამოყენების გზით მიაღწია ცვლის დავალებათა ყოველდღიურად 400 პროცენტით შესრულებას; ამწყობი ზეინკალი ამხ. სვანი ნორმას 450—500 პროცენტით ასრულებს.

ქარხანაში დიდი მუშაობა სწარმოებს შრომატევადი პროცესების რაციონალიზაციისათვის ახალ გაუმჯობესებულ მოწყობილობათა დასანერგავად. ქარხნის დირექტორის ამხ. ზვედელიანისა და მთავარი ტექნოლოგის ამხ. შარათიანის წინადადებით გამოყენებულ და ათვისებულ იქნა კბილანების გაწვევის მეთოდი, რამაც შესაძლებელი გახადა ხუთ წუთში შესრულდეს

ასეთი საშუალო, რომელსაც წინათ საცებ დაზგაზე 2 საათი სჭირდებოდა. სპეციალისტების წინადადებით „ღიბ—300“ დაზგის ზემო ნალოს სრულით ხეზვა, რაზედაც 1,5 საათამდე დრო იხარჯებოდა, შეიცვალა დაზგასზე ხეზვით. ამ ოპერაციას ახლა სულ 25—30 წუთი სჭირდება.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილებული იყოს კიდევ არის ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა. საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, განვახორციელოთ წარმოების პროცენტების კიდევ უფრო მეტი რაციონალიზაცია. მეორე კვარტალიდან ქარხანას საწარმოო პროგრამა თითქმის ერთიორად უდიდდება. ქარხანამ ასეთ პროგრამას თავი რომ გაართვას, საჭიროა უახლოეს ხანში დაამთავროს მიღებული მოწყობილობის დადგმა, შეაგროვოს და მოამზადოს დანაკლისი მუშაზელი.

თბილისში არსებობს აგრეთვე მეორე პატარა დაზგათმშენებელი ქარხანა, რომელსაც ეწოდება „დაზგა“. წინათ ეს ქარხანა პროგრამას ვერ ასრულებდა. ომის წლებში ქარხნის დირექტორად დაინიშნა ამხ. ბოკერია, წარმოების ინჟინერი. მოკლე ხნის განმავლობაში ამხ. ბოკერიამ მოახერხა შეესო ქარხანა 20 თანამედროვე დაზგით, შეეკეთებინა და აღედგინა მთელი მისი ძველი მოწყობილობა.

1944 წელს გამოშვებულ იქნა 155 ქანჭიკსაქრელი დაზგა, მაშინ როცა გეგმა 150-ს ითვალისწინებდა, ხოლო 1945 წელს—161 დაზგა და ამავე დაზგების „ლენდისის“ ტიპის 66 კუთხვილსაქრელი თავი. 1946 წლის იანვარში ქარხანამ 16-ის ნაცვლად 17 დაზგა გამოუშვა.

1943 წელს ქარხანა „დაზგას“ 614.000 მანეთი ზარალი ჰქონდა, 1945 წელს კი მან 350.000 მანეთი დაგროვება მოგვცა.

ქარხანა „დაზგა“ იმის მაგალითს გვიჩვენებს, თუ რა რენტაბელურად და ნაყოფიერად შეუძლია მუშაობა პატარა საწარმოსაც კი უნარიანი ხელმძღვანელობით.

კარგად მუშაობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. 1940 წლიდან დაწყებული, იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმებს. მიუხედავად სამხედრო შეკვეთების შეწყვეტისა და ამასთან დაკავშირებული სიძნელებისა, 1945 წელს ქარხანამ გამოუშვა 12.526 ათასი მანეთის პროდუქცია ანუ გეგმის 101,8 პროცენტი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში პროდუქციის გამოშვება შეადგენს 2.776 ათას მანეთს ანუ გეგმის 102,6 პროცენტს.

შარშან ქარხანამ აითვისა მცირე სიმძლავრის ჰიდროტურბინების წარმოება და 39 ასეთი ტურბინი გამოუშვა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლების ელექტროფიკაციის საქმისათვის.

26 კომისრის სახელობის ქარხნის წარმატებანი მნიშვნელოვანწილად აიხსნება დირექტორის ამხ. მელაძის კარგი მუშაობით. მან თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა, მზარდმა სამეურნეო მუშაკმა.

ჯერ კიდევ არადაამაყყოფილებლად მუშაობს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა. ქალაქის ეს უძველესი საწარმო უკვე რამდენიმე წელია ვერ ასრულებს გეგმას თავისი ძირითადი პროდუქციის — ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტის ხაზით. ქარხნის ახალი უფროსი ამხ. ნამაცაშვილი ზეჯრს ცდილობს, რომ ქარხანა მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

რეობიდან გამოიყვანოს. ერთგვარი გაუმჯობესება შესამჩნევია, მაგრამ ქარხანა მაინც ჯერ კიდევ ჩამორჩენილია.

ქარხნის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ძირითადი მიზეზია დაბალი შრომითი და საწარმოო დისციპლინა, დამამზადებელ საამქროეფო მუშაობა, რის შედეგადაც არასოდეს არ არის ორთქლმავლებზე და მუშაობის დეტალების საჭირო ნაშაღი, დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, რაც იწვევს მათს განმეორებითს შესრულებას. ქარხნის ზელმძღვანელობას, პარტიის საქალაქო კომიტეტსა და ლენინის რაიკომს ბევრი მუშაობა მოუხდებათ იმისათვის, რომ საბოლოოდ გამოიყვანონ ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა გარღვევიდან.

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მუშაობენ ცნობილი სტახანოველები, სოციალისტური შრომის ნამდვილი ოსტატები: წარჩინებული მექვანე ამხ. გეწაძე, ზეინკალი ამხ. შინჯიკაშვილი, ხარატი ამხ. მამაგვიშვილი, შემდგლებელი ამხ. ნადირაძე, ხარატი ამხ. კონტკოვი, მკედელი ამხ. ილურიძე, რომლებიც დავალებებს ერთისამად-ერთითხად გადაჭარბებით ასრულებენ. მათი მაგალითების მიხედვით უნდა მივადწიოთ სხვა მუშების შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ბევრი უნდა იმუშაონ ქარხნის პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

მეტად ცუდად მუშაობს გზათა სამინისტროს თბილისის ელექტროტექნიკური ქარხანა. პირველი კვარტალის გეგმა მან სულ 33,4 პროცენტით შეასრულა. 1945 წელს ქარხანამ აჩვენა საწარმოო გეგმის შესრულება 46,8 პროცენტით, მაგრამ ეს გაზვიადებული აღმოჩნდა: გეგმის შესრულებაში ჩათვლილ იქნა ფართო მოხმარების საგნების ღირებულება 1.150 ათასი მანეთის რაოდენობით. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ ფართო მოხმარების საგნების მოხმარება არავის არ შეუძლია: ქარხნის მიერ გამოშვებული სანთიები არ ენთება, ხოლო დანა არაფერს სჭრის. (სიცილი). შთელი ეს წუნდებული პროდუქცია საწყობში ძვეს და მისი რეალიზაცია შეუძლებელია.

ქარხნის ყოფილი უფროსი ამხ. სოსელია თბილისის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებით მოხსნილ იქნა თანამდებობიდან მუშაობის ჩაშლისა და თვალისახვევისათვის.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშაობის საერთო ნაკლს წარმოადგენს გეგმის შეუსრულებლობა ნატურალური პროდუქციის მხრივ. თბილისის კამეოლ-მაუდის ფაბრიკამ, რომელმაც 1945 წელს გეგმა საერთო პროდუქციის მხრივ 107 პროცენტით შეასრულა, ქსოვილების გამოშვების პროგრამა მეტრეის მხრივ შეასრულა მხოლოდ 84 პროცენტით. მან სახელმწიფოს 210 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი დააკლო. კიდევ უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას. 1945 წელს ფაბრიკამ გეგმა ფულადი გამოხატულებით 101,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო ამავე დროს ქვეყანას 570 ათას მეტრზე მეტი აბრეშუმის ქსოვილი დააკლო. ამასთან ერთად მან უზეშად დაარღვია პროდუქციის დაგვემილი ასორტიმენტი.

საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ და პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვანი საწარმოო დისციპლინა უნდა დაამყარონ საფეიქრო საწარმოებში, კარგად მოაწყონ დაზგების პროფილაქტიკური რემონტი და აღმოფხვრან მათი გაცდენები, მიადწიონ სამუშაო ადგილის უკეთეს მომზადებას და საწარმოების ნედლეულითა და დამხმარე მასალებით თანაზომიერ მომარაგებას. საჭიროა ყურადღების ცენტრში დავაყენოთ აგრეთვე ბრძოლა საფე-

იჭრო მრეწველობის პროდუქციის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

ჩვეულებრივად პირველი კვარტალი მრეწველობის მუშაობისათვის ჰქონდა კვარტალად ითვლება. შემდგომ სამ კვარტალში ქალაქ თბილისში მრეწველობამ უნდა უზრუნველყოფოს საწარმოო პროგრამის არა მარტომ მისთვის, არამედ გადაჭარბებითაც შესრულება. (ტაში).

IV

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქალაქების კომუნალურ და საბინაო მშენებლობას.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდებანი ქალაქების კომუნალური მეურნეობისათვის დაგეგმილია 70 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 60 პროცენტზე მეტი უნდა მოხმარდეს თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. საბინაო მშენებლობა ადგილობრივი საბჭოების ხაზით დაგეგმილია 35.000 კვადრატული მეტრის რაოდენობით, აქედან სულ მცირე 25 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი თბილისში აშენდება.

გარდა ამ თანხებისა ქალაქ თბილისის საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის ყოველწლიურად დაიხარჯება დაახლოებით 70-80 მილიონი მანეთი საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტისათვის ანარიცხების ანგარიშით და ევგრეთწოდებული ლიმიტგარეშე დანახარჯებისა და საოპერაციო ხარჯების ანგარიშით.

საბოლოოდ დამუშავებული ხუთწლიანი გეგმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ჯერ კიდევ არა აქვს. მიუხედავად ამისა, უკვე დასახულია ძირითადი სამუშაოები, რომლებიც ხუთწლეულში უნდა შესრულდეს.

ძირითადი ამოცანები, რომლებიც მიმდინარე ხუთწლეულში ქალაქში უნდა გადაეჭრათ, შემდეგია:

1. ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის სრული უზრუნველყოფა სასმელი და სამეურნეო წყლით, აგრეთვე ყველა პარკისა და სატყეო-კულტურული ნარგავების უზრუნველყოფა სარწყავი წყლით.

2. მოსახლეობისა და მრეწველობის სრული უზრუნველყოფა ელექტროენერჯით.

3. გაუმჯობესებული საფარველის მოწყობა ძირითად ქუჩებზე, ზოგიერთი ქუჩის რეკონსტრუქცია, სანაპიროთა მშენებლობის განგრძობა.

4. საბინაო და საავარაყო მშენებლობის ჩატარება რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით.

5. საკანალიზაციო და ლეარსაშვები მეურნეობის გაფართოება და გაუმჯობესება.

6. გამწვანების სამუშაოთა განგრძობა იმ ანგარიშით, რომ ქალაქს ფარგლებში შეიქმნას მწვანე ნარგავთა ახალი მნიშვნელოვანი ფართობი.

კონკრეტულად ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ვფიქრობთ გადაეჭრათ ეს ამოცანები.

1933 წლამდე ქალაქს მხოლოდ ავქალის წყალსადენი ჰქონდა და წაშში 250 ლიტრ წყალს იღებდა. ნატახტარის წყალსადენის აგებით წყლის მიღება 6-ჯერ გადიდდა. ამჟამად ქალაქი წაშში 1.550 ლიტრ წყალს იღებს. მაგ-

რამ ყველამ იცით, რომ წყლის ეს რაოდენობაც თბილისისათვის საკმარისი არ არის. ზაფხულის თვეებში ჩვენ იძულებული ვართ შევზღუდოთ წყლის მოხმარება და საათობით გამოვრთოთ ზოგიერთი რაიონი. იმისათვის, რომ ძირფესვიანად გაუმჯობესდეს ქალაქის წყალმომარაგება, 1945 წლიდან უკვე შენდება ახალი წყალსადენი. მისი საექსპლოატაციოდ გადგეობის შემდეგ თბილისისათვის წყლის მიწოდება თითქმის ერთიორად გადიდება. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ათეულ წლით ჩვენ შევძლებთ სავსებით უზრუნველყოთ წყლით ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება.

თბილისის საქალაქო აღმასკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭოებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ იმისათვის, რომ მოამზადონ პირობები ახალი წყალსადენიდან წყლის მისაღებად. საჭიროა ხუთწლედის განმავლობაში სავსებით შეეცვალოს წყალსადენის ქსელის მოძველებული ნაწილი და, გარდა ამისა, ქალაქის იმ რაიონებში, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან წყლით, გაეყვანოს სულ მცირე 20 კილომეტრის სიგრძის ახალი მაგისტრალი და 40 კილომეტრამდე განმანაწილებელი ქსელი, ავგაოთ რამდენიმე დიდი რეზერვუარი და სატუმბავი სადგური.

ქალაქი უზრუნველყოფილ უნდა იქნას აგრეთვე სარწყავი წყლით. მიუხედავად სასმელი წყლის მიწოდების გადიდებისა, ჩვენ არ შეგვიძლია დიდი რაოდენობით ვხარჯოთ იგი სარწყავად. ამჟამად ქალაქის სარწყავ-ხანძარ-საწინააღმდეგო წყალსადენის სიმძლავრე წამში 170 ლიტრს უდრის. ეს სრულებითაც არ არის საკმარისი რწყვის მიზნებისათვის. ქალაქისა და მისი გარეუბნების გამწვანება წარმოუდგენელია ურწყავად. ამიტომ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სარწყავი წყლის ახალი წყაროების გამონახვას.

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი ობიექტი იქნება წყალსაცავი პატარა მდინარე ლელეთახევზე. ანუ როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, დაბახანის წყალზე კოჯრის გზატკეცილის ხიდის ახლოს. კაშხალის აგებით, რომელიც გზატკეცილის ხიდს შეუერთდება, მდინარის ხეობაში დაკავებული იქნება წვიმის წყლები. წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა წინასწარი გამოანგარიშებით 2 მილიონამდე კუბურ მეტრს შეადგენს. მისი მნიშვნელოვან სიმაღლეზე მდებარეობა უზრუნველყოფს იმას, რომ სარწყავი წყალი თვითდინებით მივაწოდოთ ოქროყანას, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს, ბოტანიკურ ბაღს, მთაწმინდის ფერდობებს, ვაკეს და ყველა პარკს, რომლებიც ქალაქის მარჯვენა ნაწილში მდებარეობენ. ამ წყალსაცავში დაგროვებული წყალი საკმარისი იქნება 600-700 ჰექტარი მწვანე ნარგავების მოსარწყავად.

ქალაქის და სათანადო სამინისტროების მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა მოეთხოვოთ, რომ შესწვეიტონ სასმელი წყლის გამოყენება სამრეწველო საჭიროებისათვის. ისეთმა საწარმოებმა, როგორიც არის მაუდის ფაბრიკა, კიროვის სახელობის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, წყალსატუმბავები უნდა აავონ და სამრეწველო წყალი მტკერიდან აიღონ.

დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს ქალაქში კანალიზაციის გასაფართოებლად. თქვენ იცით, რომ ზოგიერთ რაიონს, როგორიც არის საბურთალო, ვაკე, ნავთლული, ჯერ კიდევ არა აქვს განვითარებული კანალიზაცია. ამ ხარვეზის შესავსებად დასახულია კანალიზაციის ქსელის გადიდება სულ მცირე 20-25 კილომეტრით. 25-30 კილომეტრზე უნდა შეიქცალოს კანალიზაციის ძველი ამორტიზებული ქსელი.

განსაკუთრებით სერიოზული ღონისძიებები დასჭირდება ღვარსაშევბთა

მშენებლობას. ჩვენი ქალაქი დასერილ ადგილზე მდებარეობს და მოქცეულია მთებში. ეს იწვევს დიდი სამშენებლო მუშაობის ჩატარების საჭიროებას ნიაღვრის წყლის გადასაშვებად.

პირველი სამი ხუთწლეულის მანძილზე რეკონსტრუირებულ და აგებული იქნა რამდენიმე დიდი ღვარსაშვები. აგებულ იქნა 40-ზე მეტი საჭიროება და უფრო ნაკლები სიდიდის მილები.

საჭიროა შემდგომშიც ვაწარმოოთ სერიოზული მუშაობა ღვარსაშვები მეურნეობის ხაზით. უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა აშენდეს ღვარსაშვები საბჭოს ქუჩაზე, 1.700 მეტრი სიგრძისა და წაშში 25 კუბური მეტრის გამტარუნარიანობისა. ნაგებობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონ მანეთს შეადგენს.

უნდა აშენდეს აგრეთვე ღვარსაშვები ვარაზისხევში—400 მეტრი სიგრძისა, მოტორის ქუჩაზე სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამდე—650 მეტრი სიგრძისა და სხვ.

მიმდინარე ხუთწლეულში ჩვენ უნდა გადაეწყვიტოს ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის ელექტროენერგიით სრული უზრუნველყოფის საკითხი. პიროსადგურები, რომლებიც რესპუბლიკაში შენდება, საშუალებას მოგვცემენ საკმაო რაოდენობით მივაწოდოთ ქალაქს ენერჯია. მაგრამ მის მისაღებად საჭიროა ელექტრომეურნეობის რეკონსტრუირება და გაფართოება.

თქვენ იცით რა უბადრუკ მდგომარეობაში იყო ქალაქის მომარაგება ელექტროენერგიით ზაქესის აგებამდე. თვით 1927 წლამდე თბილისი ყოველწლიურად იღებდა მხოლოდ 2.500 ათასამდე კილოვატ-საათ ენერჯიას, ხოლო 1945 წელს ქალაქს მიეცა 168.000 ათასი კილოვატ-საათი ენერჯია.

ქალაქისათვის ელექტროენერჯიის მიწოდება და მისი კომუნალური საჭიროებისა და მოსახლეობისათვის გამოყენება წლითიწლოებით იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც განვიცდით ელექტროენერჯიის დიდ ნაკლებობას და განსაკუთრებით ცუდად უზრუნველყოფით მით მოსახლეობას. ასეთი მდგომარეობის მიზეზია არა მარტო ელექტროენერჯიის საერთო დეფიციტი რესპუბლიკაში, არამედ ისიც, რომ ქალაქის ელექტრომეურნეობას მთელი რიგი ვიწრო ადგილები აქვს, რის შედეგადაც მაშინაც კი, როცა ენერჯია გვაქვს, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას მივიღოთ იგი იმ რაოდენობით, რომ ამან უზრუნველყოფს ქალაქის საჭიროებას. უმთავრესად გვზღუდავს ძალოვან ტრანსფორმატორთა სიმძლავრე და საკაბელო ქსელის გამტარუნარიანობა.

უახლოეს ორ წელიწადში დაიდგმება ახალი სატრანსფორმატორო კიოსკები და გაყვანილ იქნება ახალი ხაზები იმ ვარაუდით, რომ ქალაქს შეეძლოს შეუზღუდავად მიიღოს ელექტროენერჯია.

ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის დარგში უდიდესი სამუშაოებია: ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა ვაკეში ახალ სასაფლაომდე და ამასთან ქვესადგურის აგება, ტროლეიბუსის ხაზის გაყვანა საბურთალოში გმირთა მოედნიდან სამედიცინო ქალაქამდე და ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა მთულის ფაბრიკიდან დიღმის ველისაკენ. შეძენილ უნდა იქნას სულ ცოტა 200 ტრამვაის ვაგონი და 50 ტროლეიბუსი.

გვემით გათვალისწინებული იქნება: 5 დეკემბრის ქუჩის რეკონსტრუქცია 26 კომისრის რაიონში, ამასთან ტრამვაის ლიანდაგის გადაწყობა და მოასფალტება; ახალი ქუჩის გაყვანა ვარაზის ხევზე, რომლითაც ერთმანეთს შე-

უერთდება გმირთა მოედანი და მარის ქუჩა უნივერსიტეტის შენობასთან. ამ მაგისტრალს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქალაქთან ვაჟს გარდაღლი რაიონის დასაკავშირებლად; ღრმალელე-ავჭალის გზატკეცილს რეკონსტრუქცია.

1946 წლიდან ჩვენ განვაახლებთ მუშაობას სანაპირო ქუჩის ასაგებებლად. პირველ რიგში აგებულ უნდა იქნას სანაპირო ქუჩა კარლ მარქსის სახელობისა და ელბაქიძის სახელობის ხიდებს შუი, მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ქალაქის სწრაფმა ზრდამ ის გამოიწვია, რომ ჩვენს განკარგულებაში თითქმის აღარ მოიპოვება მნიშვნელოვანი სარეზერვო ფართობები ახალი მშენებლობისათვის. ერთადერთი მოხერხებული დიდი მასივი, რომლის ხარჯზეც შეიძლება ქალაქი გაიზარდოს, არის დიდმის ველი. საჭიროა ეს ველი ქალაქს შეუერთდეს მტკვარზე ხიდის აგებით. ხიდი აგებულ იქნება დიდუბეში, იმ ადგილას, სადაც ახლა ბორანია.

საბინაო მშენებლობის დარგში სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს ინდივიდუალური მშენებლობისათვის დახმარების მოწყობა. მართალია, ამ ხუთწლედში ქალაქში აგებულ უნდა იქნას ბევრი საცხოვრებელი სახლი არა მარტო ქალაქის საბჭოს ხაზით, არამედ ისეთი საწარმოების მიერაც, როგორც არის დიმიტროვის სახელობის ქარხანა, კიროვის სახელობის ქარხანა, მეტალურგიული ქარხანა, პლასტმასების ქარხანა და სხვები, მაგრამ მარტო ამით შეუძლებელია მივაღწიოთ მშრომელთა საბინაო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

აუცილებლად საჭიროა ქალაქის აღმასკომის და სატყეო მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში მოეწყოს სტანდარტული დეტალების წარმოება 2-3 ოთახიანი სახლებისათვის იმ ვარაუდით, რომ ეს დეტალები მიჰყიდონ მუშებს, მოსამსახურეებს, სპეციალისტებს, რომელთაც სურთ ბინა აიშენონ. მათ უნდა მიეცეთ აგური, ბეტონიტის ბლოკები, სახურავი, სანტექნიკური მასალები. უნდა მოგვარდეს აგრეთვე ასაწყობი სტანდარტული სახლების სრული კომპლექტების წარმოება.

ხუთწლიანი გეგმის კანონით გათვალისწინებულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფართო დაკრედიტება. ეს კრედიტები მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული.

ხუთწლედის მანძილზე ქალაქში აშენდება რამდენიმე სკოლა, კინოთეატრი, საავადმყოფო, საბავშვო სახლები. თბილისს შეემატება ისეთი დიდი შენობები, როგორც არის საქართველოს მთავრობის სახლის ფსადის კორპუსი რუსთაველის პროსპექტზე და საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატის შენობა, ლენინის ქუჩაზე რუსთაველის ძეგლის წინ.

ჩვენი ქალაქის საუკეთესო სამკაული იქნება მწვანე ნარგავები. ძველი თბილისის ღარიბი იყო მწვანე ნარგავებით. 1933 წლამდე ქალაქის ქუჩებში 2.000-მდე ხე იყო, ზოლო პარკებსა და სკვერებს 40 ჰექტარი ეკავა. ქალაქში სულ 15.000-მდე ძირი ნარგავი ითვლებოდა. ამჟამად ჩვენ ქუჩებში და მოედნებზე 27.000 ხე გვაქვს, პარკებისა და სკვერების ფართობი კი 360 ჰექტარს აღემატება. 1933-დან 1945 წლამდე ქალაქში გახარებულია 2.000.000 ძირი ხე და ბუჩქი.

ლელეთაბეგეში წყალსაცავის აგება იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ნარგავთა მთლიანი მასივი გავაშენოთ კოჯრის გზატკეცილის გაყოლებით მთელ იმ ფართობზე, რომელიც სტალინის სახელობის პარკისა და სოფელ ოჭროყანის მომიჯნავეა.

უკვე სწარმოებს მუშაობა ვაკეში ახალი პარკის გასაშენებლად. ამ გა-
ზაფხულზე პარკი 16 ჰექტარზე გაშენდება. შემდეგში მთლიანად უნდა დაი-
ფაროს ტყით პარკის ზემოთ მდებარე მთის კალთები. გაფართოვდება აგრე-
თვე ზოოლოგიური პარკი მდინარე ვერის ორივე ნაპირზე. *ერეკლესული*

ასეთია არასრული ნუსხა თბილისის საქალაქო მეურნეობების *ქვემოთა* მე-
მუშაოებისა, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედში უნდა შესრულდეს. ამ სა-
მუშაოთა განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის კომუ-
ნალური მეურნეობის მდგომარეობას. თბილისი კიდევ უფრო კეთილმოწყო-
ბილი და ლამაზი ქალაქი გახდება.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც ამხანაგ ბერიას ხელმძღ-
ვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია ქალაქის რეკონსტრუქციის დარგში,
ყველაფერს გააკეთებს, რათა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი საქალაქო
მეურნეობის დარგში არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეს-
რულდეს. (ტაში).

V

საქალაქო მეურნეობის დარგში სამშენებლო სამუშაოთა პროგრამის შე-
სასრულებლად საჭიროა შექანიზმებითა და მუშახელით უზრუნველყოთ
თბილისის საქალაქო აღმასკომის სამშენებლო ორგანიზაციები: ტრესტები
„თბილისმშენი“ და „ინჟმშენი“ და საგზაო-სამშენებლო კანტორა.

სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე წარმოთქმულ
სიტყვაში ამხანაგმა ბერიამ აღნიშნა, რომ საჭიროა ქალაქის აღმასკომის სამ-
შენებლო ორგანიზაციების აღჭურვა და განმტკიცება. ამხანაგმა ბერიამ
სთქვა, რომ ამ საქმეში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ქალაქში არ-
სებული საწარმოთა დახმარება.

ისეთი საწარმოების დირექტორებს, როგორც არის დიმიტროვის სახელო-
ბის ქარხანა, კიროვის სახელობის ქარხანა, „ცენტროლიტი“, 26 კომისრის
სახელობის ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, შეუძლიათ
და კიდევაც უნდა გაუწიონ სისტემატური დახმარება ქალაქის სამშენებლო
ტრესტებს შექანიზმებისა და მოწყობილობის რემონტისათვის საჭირო სათა-
დარიგო ნაწილების დამზადებაში. ამასთან, რასაკვირველია, საჭიროა, რომ
თბილისის საქალაქო აღმასკომმა ამ მიზნით უკეთ გამოიყენოს თავისი საკუ-
თარ საწარმოთა შესაძლებლობანი. ალბათ საჭირო გახდება ზოგიერთი სა-
წარმო გადაეცეს სამშენებლო ტრესტებს, როგორც სარემონტო ბაზა.

სერიოზული ამოცანები დგას თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობ-
რივი მრეწველობის განყოფილების წინაშე. უნდა მივალწიოთ იმას, რომ
თბილისის საქალაქო აღმასკომმა მთლიანად უზრუნველყოს თავისი თავი
ადგილობრივი სამშენებლო მასალებით.

მაგრამ საქალაქო აღმასკომი ჯერ კიდევ ცუდად ხელმძღვანელობს სამშე-
ნებლო მასალების დამამზადებელ თავის საწარმოებს, აგურის ქარხნები ში-
მე მდგომარეობაში არიან. მათი სიმძლავრე არასაკმარისად არის გამოყენე-
ბული. ძველის კირის ქარხანა, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ 1940 წელს
დაიწყო, მთლიანად არ დამთავრებულა და არ მუშაობს. დღემდე ჩვენი სამ-
შენებლო ორგანიზაციები და რაიონული საბჭოები ხშირად ვანიციდიან გაჯის
ნაკლებობას.

ომამდე თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის
განყოფილების საწარმოები ყოველწლიურად უშვებდნენ 20-25 მილიონ ცალ

აგურს, 1945 წელს კი გამოშვებულ იქნა მხოლოდ 4.100 ათასი ცარი, მიმდინარე წლისთვის აგრეთვე დაწესებულია მცირე გეგმა — 10 მილიონი ცარი. თუ აგურის წარმოება ამ დონეზე დაეტოვებოდა, საკედლე მასალით ვერ უზრუნველვყოფთ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მარცხენა მუშაობებს.

საქალაქო აღმასკომის ყურადღება უნდა მივაპყროთ სამშენებლო მასალების წარმოებას. უახლოეს 2 წელიწადში აგებულ უნდა იქნას ახალი დიდი აგურის ქარხანა, რომლის წლიური ნაყოფიერებაც სულ ცოტა 10-15 მილიონი აგური იქნება, და უზრუნველვყოფთ არსებული აგურის, კირისა და გაჯის ქარხნების მთელი სიმძლავრით მუშაობა.

მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტებისა და ხარჯთ-ღირიხეების დროულად შედგენას. თბილისის საქალაქო აღმასკომის სისტემას მრავალი ნაკლი აქვს საპროექტო საქმის მოწყობაში. პროექტების შედგენა კიანურდება. ძალიან ხშირად ნაგებობათა დაპროექტება ხდება სიმეტრიის უზომო მარაგით, რაც ზედნადებ ხარჯებად აწევბა სახელმწიფოს. ზოგჯერ ხარჯთაღირებულებას მას შემდეგ აღგენენ, როცა ობიექტის მშენებლობა უკვე დამთავრებულია. სწორედ ეს იწვევს გადახარჯვის მიჩქმალვას.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ჩვენი საცხოვრებელი და სხვა შენობების არქიტექტურას. ქალაქში საუცხოო არქიტექტურის ბევრი ახალი შენობა ვგაქვს. მაგრამ მათთან ერთად აგებულია შენობები, რომელთა არქიტექტურა ყოველად გაუმართლებელია. ზოგიერთი ჩვენი არქიტექტორი, ჩვენი მომწიფებული ხელოვნების შესაფერი დინჯი ფორმების ნაცვლად გვაწვდის ახუნულაგებულ მოცულობებს და უცნაურად ტეხილ. ზოგჯერ კი თითქმის ყრუ მიმე ფასადებს. ყოველივე ეს, გარდა იმისა, რომ შენობების გარეგნობას ამახინჯებს, იწვევს აგრეთვე სადგომთა არარაციონალურ განლაგებას, მათს ზელოვნურ დაბნელებას და სხვა უხერხულობას.

თბილისში ბევრი ნიჭიერი არქიტექტორი მუშაობს. მთავარი საარქიტექტურო სამმართველო სათავეში უნდა ჩაუდგვს მათს მუშაობას და მიაღწიოს იმას, რომ ახალი ობიექტების დაპროექტება ხდებოდეს საქმის ცოდნით, ლამაზად და მაქსიმალური მოხერხებულობით.

მუშაობა თბილისის საქალაქო მეურნეობის დარგში მიმდინარე წლიდანვე მნიშვნელოვნად ძლიერდება.

საჭიროა წელს დავამთავროთ დიდი საცხოვრებელი სახლის აგება პლეხანოვის პროსპექტისა და ფორესის ქუჩის კუთხეში, რაც 4 მილიონ მანეთამდე დაჯდება, უნდა შეეცვალოთ წყალსადენის სულ ცოტა 15 კილომეტრი ამორტიზებული განმანაწილებელი ქსელი და ფართოდ გავაჩაღოთ ქუჩებისა და ვუბანების მშენებლობა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საბინაო ფონდის რემონტს. მთლიანად უნდა ავითვისოთ სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების როგორც მიმდინარე, ისე კამიტალური რემონტისათვის.

მთვებულ უნდა იქნას სერიოზული ღონისძიებანი საქალაქო მეურნეობის მუშაბელით უზრუნველყოფისათვის.

თბილისის საბჭოს აღმასკომს შესაძლებლობა აქვს უკეთ მოაწყოს მშენებელი მუშების სასურსათო მომარაგება და აანაზღაუროს მათი შრომა გადიდებული განაკვეთების მიხედვით. ამით იქმნება ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ქალაქის მშენებელ ორგანიზაციებსა და რაისაბჭოების სარემონტო კანტორებში მოვიზიდოთ და შევიწარჩუნოთ მუშები. ჩვენ განზ-

რახელი გვაქვს მუშების ნაწილი რაიონებიდან ჩამოვიყვანათ, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი კოლმეურნობები დატვირთული არიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით, სოფლიდან მუშახელის დიდ რაოდენობით წამოყვანა მიზანშეუწონელი და შეუძლებელია. ამიტომ საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციებმა უნდა იმსახურონ იმ არის, რომ სამშენებლო ორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ მუშახელის მოსახლეობიდან მუშახელის შეგროვებაში.

VI

1946 წლის 9 თებერვლის თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ქვეყნის მეცნიერებს დიდი ამოცანები დაუსახა მეცნიერების განვითარების საქმეში.

„ექვნი არ მეპარება, — სიტყვა ამხანაგმა სტალინმა, — რომ თუ ჯეროვან დახმარებას ვავეუწვეთ ჩვენს მეცნიერებს, ისინი შესძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ“.

შალე ამას მოჰყვა საკავშირო მთავრობის დადგენილება მეცნიერ მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ დადგენილების თვითველი პუნქტი წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის, საბჭოთა მეცნიერთათვის ამხანაგ სტალინის უდიდესი ზრუნვის გამოხატულებას. დადგენილების თანახმად მეცნიერ მუშაკთა ხელფასი ბევრად დიდდება. მეცნიერთათვის დადგენილია სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების დიდი ნორმები. დიდ ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც, მიმდინარე წელს მეცნიერთათვის აგებულ იქნება თითო საცხოვრებელი სახლი, რომლებშიც იქნება 30-40 ხუთთაბიანი ბინა.

პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებულ ზრუნვას საქართველოს მეცნიერებმა უნდა უპასუხონ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებით. აუცილებელია მეცნიერთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობა დაეჭვემდებაროს ახალი, ომისშემდგომი მშენებლობის ამოცანებს, ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული აყვავების ამოცანებს.

საქართველოს მეცნიერებამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ჩვენ გვაქვს მეცნიერული აზრის დიდი ცენტრი რესპუბლიკაში — მეცნიერებთა აკადემია თავის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებით. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ინტენსიურად სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენს ნიჭიერ და მაღალგანათლებულ მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები გვყავს.

მაგრამ სამეცნიერო მუშაობის დარგში საქართველოში ჯერ კიდევ არის სერიოზული ზარკეზები. მეცნიერებამ ჩვენში, თუ შეიძლება ასე ითქვას, რამდენადმე ცალმხრივი განვითარება მიიღო. მაშინ, როცა ისტორიამ, ლინგვისტიკამ, ფიზიოლოგიამ, მათემატიკამ, დიდი ნაბიჯი წასდგეს წინ. ისეთი მეცნიერებანი როგორც არის ფიზიკა, ქიმიკა, ძლიერ ჩამორჩნენ. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე რომ ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერებთა აკადემიაში ტექნიკურ მეცნიერებთა განყოფილება ჯერ კიდევ სუსტია და შესაფერი ყურადღებითა და დახმარებით ვერ სარგებლობს.

ჩვენ დიდი სიყვარულით ვეპყრობით მეცნიერების ყველა დარგს და ყოველმხრივ შევეუწყობთ ხელს მათს შემდგომ განვითარებას. მაგრამ ამავე

დროს ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებს უნდა მოეთხოვოთ სერიოზულად იბრუნონ პირი ტექნიკური მეცნიერებისაკენ. მატერიალური სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო უხვად გამოჰყოფს მეცნიერებისათვის, მნიშვნელოვანწილად უნდა მოხმარდეს ტექნიკურ მეცნიერებათა გაძლიერებასა და განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეს მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდას ქიმიის, ფიზიკის, ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში, საჭიროა ფართოდ შემოვიღოთ კვალიფიკაციის ასამართლებლად ახალგაზრდა მეცნიერთა გაგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, დონბასში, ურალის სამრეწველო ცენტრებში. უახლოეს წლებში უნდა აღეზარდოს მეცნიერთა — მეტალურგთა, ქიმიკოსთა, ფიზიკოსთა, კონსტრუქტორთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებმაც წინ უნდა წასწიონ ჩვენი მზარდი მრეწველობა.

ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ჯერ კიდევ არის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემების არჩევისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის შემთხვევები. ჯერ კიდევ სათანადო კონტროლი არ ეწევა მეცნიერთა მუშაობას. გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი თემები ხშირად არ სრულდება და ერთი წლიდან მეორეში გადადის. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი 1943 წლიდან 1945 წლის დამლევამდე ამუშავებდა როგორც გარდამავალს, ასეთ, თითქოს მარტივ თემას: „კაკლის ნაქუქის საღებავის ქიმიური გამოკვლევა“. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში 1944-დან 1945 წელში გადმოვიდა ხუთი თემა, სულ კი რვა თემა მუშავდებოდა.

შესრულებულ თემებს ყოველთვის რაღი უდგენენ ხოლმე ინსტიტუტებს წერილობითი ნაშრომების სახით. უცნაურია, მაგრამ აღმინისტრაცია ასეთ შემთხვევებში კმაყოფილდება იმ მეცნიერი თანამშრომლის განცხადებით, რომელიც თემას ამუშავებდა, ანდა განყოფილების გამგის განცხადებით, თემა ნამდვილად შესრულებულია.

სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობა უნდა გარდაიქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად. საჭიროა უფრო მკაცრად მივუდგეთ ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა თემატიკის შედგენას. ყოველივე ის, რაც ნაძალადევად მოგონილი და ზედმეტია, გეგმებიდან უნდა ამოვიღოთ.

ამასთან ბოლო უნდა მოეღოს უზომო შეთავსებებს მეცნიერთა მუშაობაში. საჭიროა აგრეთვე მკაცრად მივუდგეთ სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების საკითხებს.

უქვევლია, რომ საქართველოს მეცნიერები თავიანთ მუშაობას აიყვანენ დიდი საბჭოთა საშობლოს ომისშემდგომი განვითარების ამოცანების დონეზე და გამარავლებენ თავიანთ მიღწევებს მეცნიერების ყველა დარგში, განსაკუთრებით ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში.

VII

ომისშემდგომი ხუთწლეულის გრანდიოზული გეგმების შესრულება პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვს კვალიფიკურ ხელმძღვანელობას, უაღრეს სიზუსტესა და ოპერატიულობას მუშაობაში.

საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ზოგიერთ პროდუქტზე საბარათო სისტემის მომავალ გაუქმებასთან დაკავშირებით, ეპრობის საკითხებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა უკეთ დავაყენოთ ფართო მოზ-

მარების საგნების წარმოების სასურსათო და სამრეწველო საქონლის დამატებითი რესურსების გამოჩახვისა და შექმნის საქმე. საბჭოთა ადამიანი რომელმაც ომის მძიმე ვაკირება გადაიტანა, უფლება აქვს მოითხოვოს თავისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების მაქსიმალური დაკმაყოფილება. პარტიულმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეს კერძო შემთხვევითა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მუდმივი ზრუნვა მათი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მიმდინარე ხუთწლეულში.

პარტიული ორგანიზაციები სისტემატურ მუშაობას უნდა ეწეოდნენ, რათა განუმარტონ მშრომელთ ხუთწლიანი გეგმის საფუძვლები და დარაზმონ ისინი მორიგი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების შესასრულებლად. თავიანთი მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობით ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მიმდინარე გეგმების აუცილებლად მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

საქართველოში ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ ღირსეულად, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ახალი ხუთწლეულის დავალებანი. ჩვენმა ხალხმა გაიარა ბრძოლისა და მშენებლობის შესანიშნავი სკოლა სახელოვანი სტალინელის, ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით. (ტაში).

ჩვენი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დიდი სტალინის ყოველდღიური ყურადღებითა და დახმარებით სარგებლობს. ყოველივე ეს იმის მტკიცე რწმენას გვინერგავს, რომ ომისშემდგომი ხუთწლეულის განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველო მუდამ იქნება საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა შორის.

ახალი ხუთწლეულის ყოველი თვე, ყოველი წელი გაზრდის საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას. ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო მტკიცე რწმენით ივლის წინ კომუნიზმისაკენ. ამის საწინდარია დიადი ბოლშევიკური პარტიის—ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის—ბრძნული ხელმძღვანელობა. ამის საწინდარია ჩვენი ხალხის ურყევი ერთიანობა და დარაზმულობა თავისი გენიალური მხედართმთავრისა და შორსმჭვრეტი ბელადის დიდი სტალინის გარშემო. (მჭუხარე ტაში).

გიორგი კახანიძე

წყაროს დაბრუნება

დიდხანს ეონავდა კლდიდან ნელნელა,
როგორც ბუნების უმანკო ცრემლი.
ნამს მოსტაცებდა ზოგჯერ ენძელა
და ვერ ამჩნევდა ქვეყანა ვრცელი.

გული სწყდებოდა, რომ ჩაუვლიდა
ყელმაღალ ნუკრით მწყურვალ შველი.
სურდა გამოსვლა მთების გულიდან,
რომ ძირს მოერწყო გაშლილი ველი.

ბევრჯერ ცას თვალით დარდი აჩვენა
კლდეზე გადმომდგარ მაყელის ჩეროდან.
ქვეყნად ჩუხჩუხს და წყაროდ გაჩენას
დიდხანს უცადა, დიდხანს ელოდა.

ადარ უნდოდა ცრემლად დარჩენა,
ვით უსახელოს — ქვეყნის დანახვა. —
როგორ ამღეროდა უცებ ჩანჩქერად,
კლდემ ვერ გაიგო და ვერც ბალახმა.

ლადი გარემო იგრძნო თავისად,
ეამა ქვებზე ხტუნვა-თამაში.
ქვევით დაეშვა, და შორს გაისმა
მისი პატარა ტალღის ვანგაში.

ქვეყნის საცქერად ჯერ არ ეცალა,
სიო მისდევდა როგორც ნუგეში. —
ციდან დახედა ცქვიტმა მერცხალმა
და დაისველა ფრთა მის გუბეში.

მწყემსმა აივსო ფრთხილად წყლით სურა,
დალოცა წყარო ცივი, ანჯარა, —
და მზის ჩასვლისას სოფლად მისულმა
წყაროს გაჩენა სოფელს ახარა.

მენჯი-რობე *

რომანი ბანისაღენით

— ზ —

როცა ვამეხი თავის ბინაზე მივიდა, მეზობლებს უკვე თავი მოეყარნათ და მარტის ცივ ღამეში იოსეს ოთახის კარებთან იხურალებოდნენ. შეგინდან კი მოისმოდა იოსეს მეუღლის, რუსუნდიას შეგრული ვულსჩამწვდომი მოთქმადან მის გარშემო მყოფ ღუდაკაცების ვიშვიში.

ვამეხმა იწყინა, მიცვალებული რატომ ჩემს დიდს ოთახში არ მოათავსებო, რადგან რუსუნდიას სანთობოში დიდი ვიწროობა იყო და განკარგულება გასცა, რომ ცხედარი მასთან გადმოესვენებინათ. იმავ დროს თავის ღუმელში ძლიერი ცეცხლი დაანთებინა. როდესაც ეს ყველაფერი გაკეთდა, ყველა იქ თავ-მოყრილი დილაღე კარგად დაეტია ვამეხის ფართო სამყოფელში, რადგან ამ პირველ „შეცხადებაზე“ უფრო ახლო მეზობლის დედამკაცები იყვნენ შეკრებილნი და მამაკაცებიც თითო-ოროლა, რადგანაც მათი უმრავლესობა სათევზაოდ იყო წასული.

მაინცდამაინც იქ მყოფმა მამაკაცებმა ვამეხის ოთახის შუაგულ უბრალო ხის ტახტი დადგეს ფარდაგ-გადაფარებული, ზედ მიცვალებული დაასვენეს, მასაც თეთრი, სუფთა ზეწარი გადააფარეს, ირველივ კედლებთან დედაკაცები ჩამორიგდნენ, მათ შუაგულ მთავარი კირისუფალი, რუსუნდია ჩაჯდა და კვლავ მოთქმა მორთო, მხოლოდ ახლა უფრო ხმა-დაბლა ვამეხის მორიდების გამო. მამაკაცები კი ფეხ-დგომელა მიცვალებულს შორი-ახლოს თავს დაადგნენ. ამ დროს ვამეხმა ფეხი წინ წადგა და ოთახშიაც საშარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ლამპრის ნელი სინათლე ცივლიგებდა ოთახში და იქაურობას მიზნედილ შუქში ახვევდა. ასეთი სინათლე და თითქოს გაქვავებულ აღამიანთა მღუმარება მიცვალებულის გვამთან ერთად იქ მყოფთ შორის, ეტყობოდა, ქმნიდა ერთგვარად ამამალლებელ სულიერ განწყობილებას. თვით რუსუნდიაც დაიპყრო ასეთმა საერთო ვითარებამ და, თუმცა გულამოსკენილი იყო, თითქოს რაღაც სასწაულს ელისო, სრულიად გაყუჩდა და თვალბე-გაფართოებული რწმენით მიაჩერდა ვამეხს.

ვამეხი ხომ ღვთაებრივი კაცია!

თავიდანვე ასე იწყამეს მან და მისმა უბედურმა იოსემ ვამეხის პიროვნება. შეიძლება მან გააცოცხლოს კიდევ მიცვალებული. მოხდეს ის, რაც თავის ღღეში არ მომხდარა.

ვამეხი მივიდა მიცვალებულთან. დაიჩოქა და თავი დაბლა დახარა. ცოტახნის შემდეგ იქ მყოფთ ვამეხს მხრების ძოგძოგზე შეატყვეს, რომ ის ყრუდ ევითინებდა და... საკვირველი!

ყველაზე უფრო კერპ კაცსა და ხე-აღამიანს ამ სოფელში, თვით გუდუია ზუნუნაიასაც კი ცხელი ცრემლი წარსტაცა ვამეხის ჩუმმა ტირილმა.

* გაგრძელება. „მნათობი“ № 1.

არავის ასეთ დროს მიღებული და ჩვეულებად განმტკიცებული გამაყაყუ-
რი ბლავილი არ წასცდენია. არც ქალებს დაუწყიათ ხმამაღალი მოძრაობა. ყვე-
ლანი ჩუმად, თავ-თავისად იცრემლებოდნენ.

თვით რუსუნდიაც, მისდა საყვირელად, უხმოდ ცრემლად ტრიალებოდა და
უნებლიედ გრძნობდა, რომ ვამეხის ამ ჩუმ კვითინში ყველაფერი მიწვევს იქ
იყვნენ, გაერთიანდნენ ერთის სამგლოვიარო განწყობილებით მის იოსეს გარ-
შემო. ასეთი ვითარება კი რუსუნდიასთვის დიდი ნუგეშისმცემელი იყო.

ამ დროს ვამეხმა თავი აიღო და, უკვე ფეხზე წამომდგარმა, ნელის ხმით
თითქო მიცვალბულს გამოესაუბრა:

— იოსე! ჩემო კარგო! მართლა კარგი იყავ, საცოდავო! ადამიანის საუკე-
თესო თვისებებით იყავ შემკული: შრომელი და გაპარჯელი, გულწრფე-
ლი და პატიოსანი; მეზობლებისთვის საუკეთესო სამეზობლო, საჭიროების
დროს მათთვის თავდადებულიც კი; უწყინარი, თავმდაბალი, მაგრამ სულიე-
რად ამაყი და თავის ადამიანური ღირსების დამცველი... მახსოვს ერთხელ
ჩემმა ძმამ ბეგიმ რაღაზეც უსამართლოდ რომ შეგახელფეხა, შენ არ შეუ-
შინდი, მაგრად შეხვდი და თავი არ დაუდე. მაშინ ეს გამოიკვირდა და მომე-
წონა. შემდეგ როდესაც უფრო ახლო გაგეყანი, დაერწმუნდი, რომ კარგად
გესმოდა დღეინდელი დღეჭირი ცხოვრების ვითარება და ზოგჯერ მხოლოდ
ოხებით წამოგცდებოდა: — „არა, ბატონო ვამეხ, გლეხის განენაში ღმერთის
მონაწილეობა არ მიუღიაო“. გესმოდა ეს ყველაფერი, მაგრამ დაბმული იყავ
ათასნაირი საზოგადოებრივ წესწყობილების თასმებით და შენს კეთილშობილ
აზროვნებას გაქანება არა ჰქონდა. მერე, მხოლოდ შენ იყავ ასეთი, იოსე?
ყველა შენი მოძმეები, მეზობლები ასეთ მდგომარეობაში არ არიან? ისინიც
ასეთივე თასმებით არ არიან შებოტილნი? მათ ავიწროებთ პოლიცია, მეზა-
ტონეები. ბანძისთანა შევახშეები და თვითონ მღვდელიც კი, დრამის ფუ-
ლისათვის სწორედ მოსავლის შემოტანის დროს თავზე რომ წამოადგვბათ
ხოლმე, და განა ასე დაჩაგრული უნდა იყოს მშრომელი ადამიანი? განა პი-
რიდან მის მონაგარ ლუქმას უნდა ართმეოდნენ?.. განა ამ თასმებს გაწყვეტა
არ უნდა? ეეჰ!.. შენ ზოგჯერ შემეკითხებოდი ზოლმე: „განა სულ ასე იქ-
ნება, სულ ასე დაჩაგრულები უნდა ვიყვნეთ გლეხებით?“ არა, საყვარელო
იოსე, ასე არ იქნება... ერთ დროს თქვენც იგემებთ დამოუკიდებლობას,
ერთ დროს თქვენც გადაიგდებთ მძიმე უღელს... და ეს დრო არც ისე შორ-
საა... ერთი პირი გინდათ მხოლოდ, ერთი პირი! — აქ ცოტა დააყოვნა ვა-
მეხმა, შემდეგ წარმოსთქვა: — შენ ვერ შეესწარი ამ დროს, საცოდავო, მაგ-
რამ შენი ვაჟი მაინც შეესწრება... სად არის სქვაშია? — და იქით-აქით მიი-
ხედა ვამეხმა.

დედის კალთაში იჯდა 4-5 წლის შავტრუხა, მგზნებარე თვალებიანი სქვა-
შია და ვამეხის მოკითხვაზე დაუყოვნებლივ მასთან მივიდა. ვამეხმა თავზე
ხელი გადაუსვა, მუხლებთან დაიყენა და ასე მიმართა:

— შენ ახლა ბევრი რომ არ გესმის, ბიჭუნა! კარგად უთუოდ ვერც მრკვე-
ვი, რომ მამაშენი სამუდამოდ განგშორდა... მაგრამ დაიხსომე მისი კარგი
კაცობა, მისი ადამიანობა და რომ გაიზრდები, შეებრძოლე სიღუბსკირესს..

ბავშვი დიდის გაფაცოცებით ახლა უფრო დაუკვირდა მამამისის გამოტილ
სხეულს და ახლა, თითქოს რაღაც საშინელი, გამოუსწორებელი გაიგოვო,
ხმამაღლა შეჰყვირა:

— ბაბაია!

ბავშვის ღრიალზე დედაცაცებიც ავიშვიშდნენ და რუსუნდიამაც იწყო მო-
ურიდებელი, ხმა-მაღალი მოთქმა-ტირილი.

ვამები წამოდგა, ბავშვიც თან გაიყოლია, უკანა ოთახში გავყენა, იქ სოფერა და ბავშვმა ტირილი მიატოვა.

შემდეგ რომელიღაც იქ მყოფ დედაკაცს ჩააბარა ბავშვი, თან გადასცა, რომ ამდამ შინ არ მოვისვენებ, ფარნასთან გავათევ ღამესონდამ! გმწმწამ! ხალხი უკვე იშლებოდა, როდესაც თედორე მღვდელიც მოქცა! მსგავს ბევრს მისთვის აღარ დაუცდია. თედორემ კი რუსუნდიას სამძიძრის შემდეგ დაგვიანება იმიოი მოუბოდიშა, რომ მეღაერთნეს გამოუარე, უნდა წამომეყვანა და იმან შემაფერხაო.

ვინც პანაშვიდზე არ დარჩა, იმათ, ცოტა რომ წაიარეს, აეთი საუბარი შეუდგათ. ერთი ამბობდა:

- დიდი კაცია ჩვენი ვამები!
- სულ სხვანაირი ადამიანია! — უდასტურებდა მეორეც.
- როგორ დაიტირა საცოდავი იოსე, მარჯლა არ ჰყვარებია? — ჩაურთო კიდევ ერთმა.

— იოსე კი არ დაიტირა, — ჩაერია სხვებზე უფრო ხანდაზმული. — იმან ჩვენ გვიქადაგა, ჩვენი გულისათვის ილაპარაკა.

— ოოჰ, რეები სთქვა, როგორ გული მომგხანა. — აიმაღლაურა ხმა გუდღუამაც. — თასმებით ხართ შებოქილებიო! ოოჰ, უნდა დავგლიჯოთ ეს თასმები, სურთიან დავფლითოთ!

— ჰო, ჰო! — ჩამოართვა მეორემ. — მძიმე უღელი უნდა გადაიგდოთო...

— რა არის ეს მძიმე უღელი? რომელ უღელზე ღაპარაკობდა?

ეს წარმოსთქვა ერთმა შეახნისამ, აქამდე რომ სულ ჩემად მოდიოდა და მეზობლებში ნელი სიცილი გამოიწვია. ხანდაზმული კი მაშინვე ყვედრებით მიუბრუნდა:

— შე ჩერჩეტო, ეს თუ აღარ გესმის, აბა სხვა რა გესმის, შე უბედურისშვილო! მაგრამ კარგ მოქმელს კარგი გამგონი უნდაო.

„ჩერჩეტი“ გაიწმდა. თვითონაც იცოდა, რომ სოფელში თავის ქუე-მაზვილობით განთქმული არ იყო და ხან-ღაზმულს აღარ გამოეღაგა.

გუდღუამ კი განაგრძო:

— ერთი პირი უნდა გქონდეთო, ყაზახებო, ერთი პირი, გესმით! მე რომ მემატონეებს მთაში ტყეზე შევედავე, ტყე ჩვენია, აქ რა გინდათ-მეთქი და კინალამ კაცი შემომაკედა... არაეინ მხარი არ დამიჭირეთ, მაშინ რამ ერთი პირი გვექონოდა, ხომ ჩვენ დავგრჩებოდა ის ტყეც და ის მთაც...

— ჰმ... ერთი პირი. — დაიწყო ისევ ხანდაზმულმა. — იცოცხლე, ერთი პირი კარგი იყოს, მაგრამ გატანა უნდა ბოლომდის, გატანა. მაგის ძალი უნდა მოგდევდეს, ღონე უნდა შეგწევდეს, თორემ განა არ გახსოვთ, ან არ გაგიგონიათ — უტუ მიქაას დროს ისეთი ერთი პირი გვექონდა, რომ მთლად შეეძარით მთელი ოღიში... მერმე რა? მოვიდა რუსის ჯარი და სულ თხებივით გაგვფანტა...

— მართალია, მართალი! — დაუმოწმეს იქიდან, აქედან.

— უუჰ, თქვენი რჯული! — შესძახა გუდღუამ. — კურდღლები ხართ, კურდღლები... — და გადაუხვია სახლისაკენ.

— აბა, როგორ გგონიათ! შენ დაუდგები რუს-ხენწიფეს? — მაინც მიაყოლა ხანდაზმულმა. მაგრამ გუდღუა აღარ მობრუნებულა. აქ კი ერთმა მაინც შენიშნა:

— რუს ხენწიფეს? ჰო. მერმე და შენ რომელი გერჩია დაღია რომ გჯდომოდა ისევ თავზე, თუ რუს-ხენწიფე?

— ეეჰ, ერთი შეწვი და მეორე შეცხე! — ამოიხრა ხანდაზმულმა, თან წაღვლიანად დააყოლა: — მაგრამ რას იზამ! დათვი რომ მოგერიოს, მუბაია დაუძახეო!.. ეს დალოცვილი ვამეხი კი გაიძახის ერთი პირი ვიშველითო... რისი იმედით, ვისი იმედით?

ერთ წუთას ყველა დალონდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უკანონო მათგანმა სიტყვა მაინც ვამეხზე შეაბრუნა:

— ვამეხი მაინც კაი კაცია, მერწმუნე და მე ეს მიკვირს: ამისთანა კაცი კინაღამ დაღუბეს კატორღაში.

— არ იცი? — აუხსნა მეორემ — ერთ დროს ვილაცა დიდი კაცის ქალი მოუკლავს. სიყვარულის დროს შემოკვდომია...

— აჰ! — გამოენაცვლა მესამე. — ქალი კი არა რუს-ხენწიფეს დაუწყო თურმე კიდილი და იმიტომ გააციმბირეს.

— ჰოდა, თვითონ რომ ვერ მოერია — სიცილ-დაყოლებით ჩაურთო ხანდაზმულმა. — ახლა უნდა რომ ჩვენც შეგვაკიდოს. მაგას სიტყვების მეტი რა ეხარჯება, ჯიმაგვე, ჩვენ კი სისხლი უნდა დავღვაროთ.

— შენ, როგორ, წინააღმდეგი ხარ ევამეხის? — წამოიძახეს ორივე მხრით.

— ჰკვიანი კაცია!

— სასარგებლო კაცია!

— ნასწავლი კაცია!

— ჰო და ნასწავლი რომ არის, იმისი გზა სულ სხვაა და ჩვენი — კიდევ სულ სხვა...

ხან-დაზმულის ამ სიტყვებმა თითქოს ყველა ჩააფიქრეს, თითქოს ხანდაზმულმა რომელიღაც უფსკრულში ჩაახტა ხალხი. იმ უფსკრულში, რომელიც თითქოს მათ და ვამეხს ერთი მეორეს აშორებდა. ვერ გაეგოთ, რატომ იყო ეს უფსკრული მათ შორის, მაგრამ თითქოს ნაწილობრივი სიმართლე ამ სიტყვებისა მაინც იგრძნესო. და უჩუმრად წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ სახლებში.

— 3 —

მარტის ცივი ღამე საკმაოდ საგრძნობელი იყო, მაგრამ თოლისქვაში მაინც ნექტარინას სახლის ფართო აივნის კუთხეში იყო მიმჯდარი და ღრუბლებს შესცქეროდა. მთვარე საოცნებო სინათლით ამკობდა არემარეს, მხოლოდ ღრუბლებს მაინც სრულად ვერ გაქცეოდა, თუმცა იმათაც უქარგავდა ოქრომკვდით ბაგე-პირს, თითქოს უნდა მოამშვიდოს და მიიყვავილოსო.

ღრუბლები კი ათასნაირ სახეს ღებულობდნენ მის გარშემო.

შესცქერის თოლისქვაში და უხარია. ბავშვივით ჰკლოპინებს გუნებაში. აგერ ნელა გამოცურდა დიდი ხომალდი. ანძაცა აქვს და აფრაც, მხოლოდ მთვარისაგან ცოტა მოოქვრილია. თოლისქვაში ხომალდი თავის დღეში არ უნახავს. ჯერ თითქმის ბერთემიდან ფეხი არც გაუდგამს, მაგრამ აუწყურიათ მისთვის მნახველებს, წიგნშიაც უნახავს მისი გამოსახულება. ხომალდია სწორედ! კარგა სრული მოყვანილობის, თანდათან მისრიალებს მთვარისაკენ. არ გადაეფაროს, არ ჩანთქას მთვარის მშვენიერება.

მერმე განა მთვარე მშვენიერია?

რითი არის მშვენიერი?

მრგვალია, ყვითელია, ზედ რაღაც ლაქებიცა აქვს.

მაშ რად მოსწონს ყველას?
ბიძია ბეგი რომ მღერის ზოგჯერ: „ახ, მთვარეე, მთვარეე, დამწვართ
იმედო!“

ვინ არიან ეს დამწვრები?

ჰოო!..

თოლისქვამს თავის თავის შერცხვა. იგრძნო, რომ უნებლიედ გაწითლდა
კიდევ.

ერთხელ აუხსნეს, რომ ეს შეყვარებულებზე იყო ნათქვამი.

მერმე, თოლისქვამს რად უტოკაეს გული „დამწვრების“ ხსენებაზე?
თვითონ ხომ არ არის შეყვარებული?..

უეცრად! ო, რა ცუდი ამბავი მოხდა!

ხომალდი გასკდა. ორ ნაფლეთად იქცა. ერთმა გაუხვია შორს მთვარისა-
გან და თითქოს ვეშაბივით გაიკლაკნა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დასრუ-
ლებული მისი მთლიანი სახე. ზოგჯერ თითქოს ფრთები გამოუმშება, ერთ-
გან კიდევ ბატივით ფეხი გამოუჩნდა... მხოლოდ მეორეა, მეორეა საქმე...

ჰა. ჰა! ეს ხომ აქლემია, უშნო, აყლაყუდა, ორ-კუზიანი.

ნამდვილად!

თოლისქვამს არც აქლემი უნახავს თავის სიცოცხლეში, მაგრამ ესეც ნამ-
ზობით იცის და წიგნებშიაც აქვს ნახული.

ჰმ! წიგნები, ტაიას წიგნები!

ეს ტაიას მოწაფეობის წიგნებია. ყოველ ზაფხულს ჩამოიტანს ბოლმე ბე-
რნაირ წიგნებს და უმეტესობას სტოვეებს სოფელში. ამბობს შემდეგ კლას-
ში აღარ მჭირდებაო.

თოლისქვამს კი უყვარს ეს წიგნები: ტაიას ნაქონია. მაგრამ ეგ კიდევ
არაფერი. ამ წიგნებზე ტაიას და თოლისქვამს ერთად უმეცადინებიათ, ერ-
თად უსრომნიათ, ერთად გაუხარნიათ.

...მაშინ!

მაშინ რა? ოო, რად არის ეს თოლისქვამის გრძნობა ასე მორიდებული,
თვით მარტოობის დროსაც. ეს ამბავი ხომ თითქმის გამხელილია. თვითონ
ბიცოლა ნექტარინაც ზოგჯერ არ მალავს შინაობაში. რომ მის სი-
ზარულს საზღვარი არ ექნება თუ ტაია და თოლისქვამი შეუღლდებიან. ოო,
როგორ აუძგერდება მაშინ გული თოლისქვამს, როგორ აუჭვივდება ლოყე-
ბი და თვალბ-დახრილი გარბის ნექტარინასაგან. გარბის ხან ეზოში, ხან
განრიდებულ ოთახში და, თუ სადმე განმარტოებულ ძილხანს მოასწრებს
საღმე, როგორ მაშინვე ახლო ჩაუტუცქდება და კალთაში თავს ჩაუდებს.
ძილხანიც თითქოს მიუხვდებაო გულის ნადებს, თავზე ალერსით ხელს უს-
ვამს და თან ჩურჩულით ასე ელოლიავენბა:

— მოესწრები, მოესწრები მავას, შეილო! მაღალი ღმერთი მეც შემასწ-
რებს შენსა და ტაიას წითელ გვირგვინს!.. რა გატირებს, გოგო?

თოლისქვამს კი ჰგონია, რომ ძილხანს არ ესმის, — ეს ტირილი კი არ არის.
სიზარულის ცრემლები სცვივა მხოლოდ.

თვითონ თოლისქვამს არ ესმის, რომ ძილხანმა ბევრი რამ იცის შეყვა-
რებულებისა, იმიტომაც არის, რომ ამყამად იცინის და ეალერსება შურთ-
ბივით დამფრთხალ გოგონას.

ისევ ზევით აიხედა თოლისქვამმა. ცა თანდათან ისარკებოდა და უკვე
ვარსკვლავებიც გამოკიაფობდნენ. თოლისქვამს ვარსკვლავებიც უყვარდა,

ერთი უფრო ბრწყინვალე და „გაბღლილებული“ ტაიასთვის ჰქონდა მიჩენილი, იქვე ახლოს კი, ცოტა მომცრო, მაგრამ ნაირფერი, ბრწყინვალეა რომ თამაშობს მთვარის მიბნედილ შექმზე. ეს — თავისთვის, მოძებნა თვალთ ორივე მიჩენილი და შეფრთხინეთ უწყო ცქერა.

ეროვნული
განმანათლებელი

მერმე გულში დააღაგა:

„ვარსკვლავო, ჩემო ვარსკვლავო! მეძნელება შენთან განშორება, შენთან ვარ ოცნებას მიჩვეული, რადგან მე ხომ ოცნებით ვცხოვრობ, სხვაფრთხილ ხომ ჯერ არც კი მიცხოვრია და იბრწყინე ასე, იკაშკაშე, არ მოშორდე იმ დიდ მანათობელს. მეც ასე მაქ განზრახული: არასოდეს არ მოვშორდე ტაიას, მას მივეყვებოდე მუდამ კვალში და... ტაიას ცხოვრება იყოს ისე ბრწყინვალე, როგორც თქვენა ხართ, ვარსკვლავებო!..“

„ჰმ! რატომ არა ვარ პოეტი? ამას ხომ საოცრად გამოთქვამდა რომელიმე პოეტი... მიყვარს განა ლექსები!.. როგორც ხელთ მოვიგდებ ხალხე უსათუოდ ვკითხულობ და ზოგს ვიზეპირებ კიდევ, მაგრამ ჩუ! ეს რა მოხდა?!“

ღრუბლები კვლავ აიბნენ: აქლემი სულ დაფლეთილიყო და მთვარისაგან მინათებით მისი პატარა-პატარა ნაწილაკები ახლადგამოჩეკილ წიწილებივით შეჰყვებოდნენ ზეცის გულ-მკერდს. ვეშაივით მოყვანილი ღრუბლის ზოდი კი დიდხანს ირჩენდა თავის სახეს, მაგრამ ახლა რა მოხდის? ზედაწელს გამოეყო ერთი ნაწილი, რომელმაც მიიღო უფრო მრგვალი სახე და აგერ-აგერ ადამიანის თავს დაემსგავსოს... სწორედ, სწორედ! აგერ ნიკაპი, ცხვირი, შუბლი, გაშლილი, მაღალი და ზედ დაყრილი თმის კულულები.

თოლისქვაში კინაღამ შეხტა:

— ეს ხომ ტაიაა, ზედგამოჭრილი ტაია. ჰა, ჰა, ჰა! ვეშაიდან გამოვიდა. ვეშაპის ჯიშის არ არის? გვირგვინიანები ერთ დროს ვეშაივით ხალხი არ ყოფილა? აგერ, მოდის, მოდის, ნელა მოსცურავს, თითქოს ნაეში ზისო. პირდაპირ მთვარისაკენ მიეშურება... ოჰ, უთუოდ ტაია, ნამდვილი ტაიაც ახლა შოეშურება ბერთემისაკენ. ახლა იმათ ხომ არდადეგები ეწყებათ. ჭვალ ბზობაა... მოვა, უთუოდ მოვა! აი ღრუბელმაც კი მანიშნა.

სიხარულით ფრთქიალებდა თოლისქვამის შეგრძნობა. უეცრად კი თითქოს ალაღმა ჩამოუფრინაო, გუნება შეეცვალა და უნებლიე სევდამ შეიპყრო. თვითონაც ჰქონდა შემჩნეული, რომ ზოგჯერ ესეთი უნებლიე წაღველი გულს მოაწევბოდა. თითქოს ამის მიზეზი არ არსებობდა: ჯანმრთელი იყო, უდარდელი, ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ. საფიქრალი რა ჰქონდა? კარგად აცმევდნენ, აბმევდნენ, შევიწროვებას არავისგან არა გრძნობდა. ნექტარინა თითქო ტაიას საცოლდაც კი ამზადებდა. რა უნდოდა მეტი, სხვა ბედნიერება რაღა იყო მისთვის? მიუხედავად ამისა, მას მაინც ზოგჯერ გული ერთბაშად დაეხურებოდა, თავს იგრძნობდა მეტის მეტ უბედურათ და თითქო გამოსავალს ვერსად ვერ ხედავდა.

ასე მოხდა ახლაც.

ვინ არის თოლისქვაში? რა ცხოვრებაა მისი ცხოვრება? — უდედ-მამო, ობოლი, უმამულო და უყოლიფრო. შორეულმა ნათესაებმა, დიდმა და შეძლებულმა კნეინა ნექტარინამ შეიერდომა და იშვილა კიდევ. აქ თითქო არაფერი არ აკლია, მხოლოდ დედის აღერსი არ უგრძენია არასოდეს. მას არ ახსოვს, რომ ნექტარინას ერთხელ მაინც ეკოცნოს მისთვის, ან მოხვეოდეს. ყველაფერს უკეთებს, თითქო ყოველივე მისთვის უნდა, დიდ ბედნიერებასაც უმზადებს, მაგრამ მაინც სიცივე მოჰქრის მისგან. დედობრივად მაინც ვერ ექცევა და ამას მწვავედ გრძნობს თოლისქვაში. ისიც... შეილობი-

ლია ხომ... ვერ არის მასთან შეილივით დაახლოვებული. ის კი არა ერიდება, ძალზე ერიდება ნექტარინას. მასთან ისეა როგორც მოსამსახურე ^{და არც} თუ მაინც და მაინც უყვარს მასთან მარტოდ ყოფნა. გუნება აწრიალებულია. რიღასიც ეშინიან. არ გამიწყურეს, არ გამირისხდეს და რაღაც საქმეზელი არ დამმართოსო. ამიტომ არის, რომ ხმა უწყდება ხოლმე. როდესაც რამე უნდა უპასუხოს კნენიას და ამ „ხმა-ჩაწყვეტილობას“ ისე დაეჩვიო, რომ სხვებთანაც მუდამ თითქო შემკრთალიაო. ამის გამო ხშირად უწყდება თავის თავს. უწყდება იმიტომ რომ გულში ბევრად უფრო თამამია, ვიდრე გარეგნულად. ოო, ზოგჯერ ისეთი თამამი აზრი გაუელეებს და ისეთი გაბედული სიტყვები მოაწყდება ბაგე-პირს, რომ ყველას გაუკვირდება, მაგრამ სიტყვები უთქმელნი რჩებიან და თვით თოლისქვაში კიდევ გულჩახურული. არც ტოლ-ამხანაგი ჰყავს ვინმე. მისი წრისანი ამ სოფელში თითქმის არც არიან და გლეხების გოგონებში კი არც ნექტარინა აძლევს ნებას, რომ დაუახლოვდეს და არც თვითონ ცდილა, რომ ვისმე დაახლოვებოდა. ეკლესიაში, ან საღმე „ჯარიანობაში“ შეიძლება ზოგჯერ გაერიოს მათში, ერთი ორი ტკბილი სიტყვა უთხრას კიდევ რომელსამე მათგანს, მაგრამ ისინი ისე ექცევიან, როგორც მოსარიდალ ბატონიშვილს და გულთან ახლოს არ იყარებენ. ამიტომ გრძნობს დიდს მარტობას. ამიტომ უყვარს ვარსკვლავებთან ოცნება და ღრუბლებთან თამაში. ეს მისი სიცოცხლის წყაროა, მისი სიმშვიდეა, მისი ქალწულებრივი განცხრობა.

ჰო, არის ერთი ვინმე კიდევ. უფრო ახლობელი, უფრო გულ-თბილი. ეს ძილხანია, მაგრამ ისიც დედა არ არის, არც ტოლ-ამხანაგი. ეს უფრო გამდელია, რომელიც მაინც ქვევიდან შეკყურებს ზემდგომ არსებას.

და არაეინ არის, არაეინ, რომ იგრძნოს მეგობრული გულის სიმხურვალე. სულთაზიარობა.

ტაია?

ოო, ტაია სულ სხვაა! ეს კერპია თაყვანსაცემი, მასზე მხოლოდ ლოცულობს და თუ იმას გრძნობს, რომ ტაია მეტის მეტად უბრალოდ, ამხანაგურად ექცევა, ეხუმრება, ზოგჯერ ჭირდავს კიდევ და თვითონაც თუ ზოგჯერ აპყვება ხუმრობაში, ზოგჯერ თუ თვითონაც გაუქილიკებს, ეს მაინც თანატოლობა არ არის. აქაც ქვევიდან შეკყურებს გოგონას გული ღირსეულს და სულიერად მალა მდგომ ჭაბუკს.

სტუმრებში? განსაკუთრებით დაგმარა და მარინა. მშვენიერად ეპყრობიან, თვით ბარონესა ზოგჯერ მოეხვევა კიდევ; ქალიშვილებიც ჰკოცნიან, მაგრამ აქაც თოლისქვაში გრძნობს რომ ეს მოპყრობა ისეთია, როგორც ბაეშვისადმი დიდების დამოკიდებულება...

ძილხანი გამოვიდა აივანზე და უთხრა, ქალბატონი თვეისთან გიხმობსო.

ბანიცადნი

— 5 —

ერთ ქალს ერთხელ ასე ვუთხარ, ციბედულ!

— მე თუ ახლა შევირთავ ქალს იმ გვარს, რომელსაც არ ჰქონდეს განათლება მიღებული. ბუნებით იყოს „შემკული სახით, აზროვნებით და... „მზე ჩემზე ამოდიოდეს“.

ეწყინა:

— როგორ? შენ გინდა ქალი მონად იყოლიოვო?

ეწყინებოდა — მას სწამდა ქალის ნამდვილი ადამიანობა, მამაკაცის შეპი-

ლები მეუღლეობა. გესმით, თქვენ? მეუღლეობა აქ მარტო ცოლქმრობას
კი არ ნიშნავს, არამედ ნამდვილი უღლის გაწევას, თანატოლობას, თანას-
წორობას.

და მეც ვიწამე ერთ დროს... ბოდიში!.. ახლაცა მწამს ქალის, ნამდვილი,
ადამიანური პოტენცია, მაგრამ...

ამდენი ვიცხოვრე და...

ყოველდღიურობამ მაინც ის გამომივლინა — ჩემისთანას ეგეთი ქვევიდან
ზევით შემყურე ქალი უნდა...

მომიტყვე, ციბედულ! თქვენც მომიტყვეთ, ქალგო, თუ მაინც ეს აზრი
შევიდგინე.

თუმცა, არა!

შენ რომ ნამდვილ მენახე, ციბედულ! შენ ნაზო და თან მყარ-მაგარო
ქმნილებავ, საუცხოო, ყველა მაღალ თვისებებით შემკული!

შენ რომ ნამდვილ მენახე, მაშინ... მაშინ სრულყოფილად ვიქნებოდი ბედ-
ნიერი...

მაგრამ მე აქ გავერთე, ისევე შენთან, ციბედულ, და იქ შელოდებიან ჩემი
გმირები.

— ბარემ დაათავე ჩვენზე სათქმელი. რას გვაწვალებ და გვაჯახებებ ამ-
დენს... მოუყევ მკითხველს როგორც იყო საქმე...

კარგი, ბატონებო!

აი როგორ იყო:

— 0 —

სადაც გურძემია ტეხლს ერთვის, ამის ცოტა ზემოთ, ნექტარინას უკანა
უზოსთან იყო, ამ მთვარიან ღამეს, თევზაობა გაჩაღებული.

სოფლის დიდ უმრავლესობას მამაკაცებში აქ მოეყარათ თავი, მათ თან
ახლდნენ ცოტა მორბედი ბიჭები კალათებით, ქვაბებით და ტომსიკებით და-
კერილი თევზების ჩასალაგებლად.

ზოგიერთს იქვე, წყლის პირად რიყის ქვებისაგან პაწია, სახელდახელო,
კერა გაეკეთებინა, ქვეშ შუა ცეცხლი შეენთო, ზედ „კარდალა“ დაედგა და
პირის ჩასაგემრიელებლად „ცოცხალს“ ხარშავდა. ამისთანებს თანვე პქონ-
დათ მისაყოლებელი მჭადიც და ზელ-დოქით ღვინოც წამოღებული. ერთგან
ღიღინიც იყო „აშვებული“. საერთოდ, ამ ეამად, ხმაურსა და სიცილ-
ყიყინს არ ჭრიდებოდნენ. იცოდნენ, რომ ამით გურძემიაში სამშობიაროდ
შემოსულ თევზებს ვერ დააფრთხობდნენ. და იყო ხალისი და ხუმრობა
ერთი-მეორეზე მიყოლებული.

მეთევზეებს თანდათან ემატებოდნენ. შემომატებულებში ნექტარინადან წა-
მოსული ასაბიაც გაჩნდა.

ესენი ერთ მოხერხებულ კოდმეზე ჩამოსხდნენ და იქიდან უწყეს ყურება
თევზების კერას.

მთვარემ თანდათან დაანათა გურძემიას და მისი ზედაპირი აავერცხლის-
ფერა. ამას კიდევ უფრო ხელი შეუწყო მდინარის ჰავლთანელმა ჩქროლვამ.
ამას კი იწვევდა თევზების ხლტომა წყლის ზედაპირზე. ისინი თითქოს ეძებ-
დნენ წყალში რომელიმე ბრტყელ ქვას, რომ ერთი წუთით ამოეყურებუ-
ლავნათ, ცოტახნით ზედ დაკვდომოდნენ ქვირითის დასაყრდელად და შემდეგ
ისევე გასრიალებულიყვნენ საყვარელ სტიქიონში.

— მაგრამ სწორედ ამ დროს იყო, რომ შებადურები სასროლო ბადივ აღარ უშვებდნენ მათ სასიცოცხლოდ.

თევზები გამოჰქონდათ უხვად, ფუთობით და იქვე ყრიდნენ მინდვრად განაწილებამდე. თევზები კი ერთხანს ფართხალებდნენ მშრალზე, მთქმულდნენ მდინარისკენ, მაგრამ შემდეგში თანდათან დღენდებოდნენ, იქნებოდნენ და ეტყობოდათ, რომ „სული ეხუთებოდათ“.

ეს ყველაფერი კარგად შეამჩნია ბარანოვსკაიამ და სიბრალული აღეძრა. გაუზიარა კიდევ თავისი გრძნობა მასთან ჩამომჯდარ ბეგის:

— რა შეუბრალებელია ადამიანი! თავის სტომაქისათვის არ ზოგავს სიცოცხლეს!

— ბეგმ გადაიხარხარა, არაფერი უპასუხა და ერთი მოფართხალე თევზი ხელთ ჩაუღვა.

— ბარანოვსკაია ცოტა შეკრთა, რადგან სველი და ცივი თევზის ქერტლი უსიამოდ მოეჩვენა, მაგრამ მინც მომღიმარემ თევზი წყალში გადაუშვა.

— რას ჩაიხარო, რას? — მთაძახა ბეგიმ. — მეტის მეტი გულ-ჩვილი ყოფილხარო... მოხარშულს და დამზადებულს რომ მოგართმევენ, ხომ კარგად მიირთმევთ?

ბარანოვსკაიამ ამაზე არაფერი უთხრა, მხოლოდ სახეში ჩახედა ღმობიერად, თითქოს დაუდასტურა, რომ მართალს ამბობო და გულში კი გაიფიქრა:

„ეტყობა ასე ხდება ცხოვრებაში. თვით არ გვინდა სხვის ტანჯვას ეუყუროთ, მხოლოდ თუ ამ ტანჯვისაგან ჩვენ რაიმე სასარგებლო შედეგს მივიღებთ, ამაზე კი არ ვიტყვი უარსო“.

ვოლკოვი და დაგმარაც თევზებით იყვნენ გართულნი, ვოლკოვმაც დაგმარას ცოცხალი თევზი მიაწოდა გასასინჯად. დაგმარაც შეეცადა თევზის დათვლიერებას, მაგრამ თევზი გაუსხლტა ხელიდან და კარგა მანძილზე მდინარისაკენ გასროლდა.

ვოლკოვმა დასცინა:

— ეგ როგორ შეიძლება! ხელთ ჩაეარდნილი ბედნიერება ხელიდან არ უნდა გაუშვათ, არ უნდა გაგისხლტეთ.

— შერე და ეგ რა ბედნიერება არის? — სუსტად უპასუხა დაგმარამ.

— ეგ მანიშნებელია თქვენი სუსტი ხასიათისა, დაგმარა აღბერტონა! ეტყობა კარზე მომდგარ ბედნიერებას მაგრაღ ხელს ვერ ჩასჭიდებთ.

— ვითომ ასეა? — თითქოს გულუბრყვილოდ შეეკითხა დაგმარა.

ვოლკოვი ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ წარმოსთქვა:

— ჰო, მივხვდი, რაც გინდოდათ გეთქვათ... მართალია, გაუთხოვარი ქალი გამოუცნობი რამ ამოცანაა, სფინქსია. სწორად ვერ გაიგებ მის მთავარ ხასიათს, სანამ ქალწულია ნაზია და უღბილესი თავის საქციელით, რომ გათხოვდება, შემდეგ შეიძლება ბრწყალნიც გამოიჩინოს...

ამასობაში ლევარსის გარშემო მთელი ჯგუფი შექმნილიყო, ეტყობოდათ, რომ პატივისცემით ეპყრობოდნენ. თითქოს თავი ესახელებოდათ, — მათი სოფლიდან, მათი მგზობელი ასე დაწინაურდა, ასეთი შეძლებული და გავლენიანი გახდა. იმავ დროს ცოტა შურსა და სიხარბეს იგრძნობდით მათ დამოკიდებულებაში, რომ ლევარსი იყო ამოსთანა და არა ისინი. თავის თავი თითქო მეტად დაბლა საფეხურზე მდგომად მიაჩნდათ და ლევარსი-კი — ამაღლებულად.

ეს ეტყობოდა მათ მორიდებულ სიტყვებს, მათ შეგებებას და სიხარულს,

რომ მოინებდა და თავისი მშობელი სოფელი ინახულა. თან მისკენ უზიდებოდნენ თევზებს: ზოგს ათიოდე მოკჭონდა, ზოგს კიდევ მეტი და მკვარად კარგა ხვავი უდგებოდა მონაგარისა.

ლევარსიცი მადლობას ეუბნებოდნენ, ხალისით ესაუბრებოდა, ზოგე... წაეის ბავშვობის ნამხანაგარიც შეიცნო და შეიძლება უნებლედ დაეცა... უნებლად ყველასათვის საყვარელი და სანატრელი ყოფილიყო.

ერთმა ნამხანაგარმა ისიც კი სთხოვა, რომ ეკადრებინა და ნააღდგომევეს მის სახლში მირონი შემოეტანა, ე. ი. მოენათლა მისი პაწია ბავშვი.

ლევარსი დაეთანხმა. და ამან გამოიწვია ჩემი, შურით აღვსილი ჩურჩული იქ მყოფებში, რადგან ყველამ იცოდა, რომ ლევარსის „დამოყვრება“, სულიერი დანათესავება, მომავალი ნათლიმამის ოჯახისათვის მეტად სასარგებლო საქმე იყო.

ბარამი ამ დროს შესცქეროდა თევზების ჭერას, მაგრამ დაეტყო, რომ უკმაყოფილო იყო, ერთი ორჯერ ამის ნიშნად თავიც გაიჭნია და ბოლოს წყალში მღვარ მეთევზეებს შესძახა:

— შეჩერდით, ცოტა ხანს შეჩერდით!

მებაღურები მართლაც შეჩერდნენ და კიდევ მღვარმა ხალხმაც მისკენ თავი მოიბრუნა.

ბარამმა ხმა-მალა განაგრძო:

— ასე არ შეიძლება თევზის ჭერა! ყველაფერს თავისი წესი აქვს. თქვენ ყველანი ერთიმეორეში არეულები ხართ და, ვინ რამდენს იჭერს, გაუგებარია. აგერ ნიტუიას* და ოსიმეს კინალამ ერთი მეორეში ჩხუბი მოუყვდათ— არა ჩემი დაჭერილია ეს თევზები, არა ჩემიო. ასე არ შეიძლება! განა დაგავიწყდათ— ერთხელ რომ მიგიითითეთ, თევზის ჭერა უნდა იყოს მორიგისით, გვაროვნობით, ოჯახობით. ამისთვის დრო უნდა განვსაზღვროთ. ვთქვათ, ერთი გვარისანი ერთ ოც წუთს რომ იჭერენ, მეორე გვაროვნობამ მეორე ოცი წუთი უნდა იჭიროს. მაშინ უჩხუბრად და უფრო სამართლიანად გერგებათ ყველას თქვენ თქვენი.

ახრიალდნენ. ბევრი დაეთანხმა— ასე აჯობებსო. ბევრი კი ამბობდა— „რაც დაგვიჭერია, იმაზე როგორ მოვიქცეთო“, მაგრამ დაჭერილის ხელახლა გადანაწილება არაყის არ მოუსურვებია და ამაში ბარამიც დაეთანხმა— „რაც იყო, იყო, მომავალში მოვიქცეთ რიგინადო“.

მხოლოდ ვიღამაც ხმა აიმაღლაურა:

— ეგ კარგი, ბატონო ბარამ, მაგრამ ვთქვათ როდესაც ჩემი გვაროვნობა დაიწყებს თევზის ჭერას, შეიძლება მაშინ თევზი იმდენი არ შემოვიდეს „საყრელად“ და აგერ ჭითანავეები რომ დაიწყებენ ჭერას, მაშინ შეიძლება მოზღვავედეს თევზი?..

— ჰო, ჰო! — გაისმა კარგა ბლომად. სიცილით კი ყველამ გაიცინა.

ამაზე ბარამმა ღიმილით ასე უბასუხა:

— თქვენ რუსთაველი ხომ ვაგიგონიათ, ძმებო!

ამ „ძმობაზე“ რომელიღაც ახალგაზრდამ თავისიანებში ჩუმად ჩაილაპარაკა:

— რომ არაფერი ძმებო ვართ ჩვენ და გვირგვინიანები!

„ფხოო“, წამოცდა მის გარშემო მყოფთ, მაგრამ ეს შენიშვნა თავის წრეშივე ჩაყვდა, არავინ არ გამოხმაურებია და არც ბარამს გაუგონია ახალგაზრდას „ამონაკენესი“.

— რუსთაველი ამბობს: „ვისაც ბედნან ვის რა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს!“

— მართალია, მართალი! — ცოტა გულის ტკენით, მაგრამ მაინც დაეშინა მისი ბარამს და შეუღღნენ მისი წინაყდადების „განხორციელებას“.

ერთი მაინც შეეკითხა ბარამს:

— თავიდან დავიწყით, ბატონიშვილო?

— პო, თავიდან რასაკვირველია! რა ამდენი გვაროვნობა ჩვენშია. სულ ხუთმეტოდე თუ იქნება!

— აბა კარგი დავიწყით ჭითანაეებიდან.

დაიწყეს.

ჭითანაეებს მოჰყვა ხუბუნაიები, გვაძამიები, დავითაიები, ბარძემიშვილები, ბეალაეები, პირტახიები და სხვ.

არც ერთი არ დარჩა უკმაყოფილო, რადგან ამ ჯერზე თევზი უხვად შემოდიოდა გურქემიაში და მონაგარიც დიდი იყო.

როდესაც თევზის ზვაეები ჩამორიგდა ცალ-ცალკე ზვინებად გვაროვნობაზე, ბარამი ცალკე მიმჯდარი გაჩუმებული უყურებდა სანახაეს. ამ დროს მიმართა ერთმა ხან-დაზმულმა აზნაურმა:

— თქვენ, ბატონო ბარამ! თქვენ წილს რატომ არ იღებთ? თქვენი არაა ეს გურქემიაც და მისი თევზებიც?

— მართალია, მაგრამ როდის იყო სოფელს რომ ვაწუხებდი?

— აჰ, ეგ არა, ბატონიშვილო! თქვენსთანა ანგელოზი კაცი ამ სოფელს ჯერ სულ არ მოვლენია. აქაურებს, ბატონო, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ბელს არაეინ მოისევამს...

— კარგი, კარგი, როსთოხანი! რაში გპირდება ახლა შენ ასეთი რამ ჩემთან? — ცოტა წყენით წარმოსთქვა ბარამმა. შემდეგ დააყოლა: — სათხოვარი გაქვს რამე?

— არა, თქვენი რისხვა არ მომეცემა. რა მექნება თქვენი შესაწუხებელი. მე იმაზე მოგახსენებთ, რომ არაფერ ხმას არ იღებთ არც თქვენი და არც ცნიაზ ბეგი, მაშინ როდესაც ხალხი აივსო თევზებით და ვულტატიმაც თქვენს მობრძანებამდე, კენინა ნექტარინასათვის წააღებინა, თუ არ ვცდები, ერთი სამ ფუთამდე მაინც თავის ნაყმევეებისაგან.

— ყველამ თავის საქმე იცის, ჩემო როსთოხანი მე კი... თვითონ მოიფიქრებენ უთუოდ და არც მე და არც ბეგის არ დაგვტოვებენ უნაწილოდ. ერთი კია: ნათქვამია: „კეისრისა გეისარს და ლეთისა ღმერთსო“. ეს უნდა ახსოვდეთ.

ცოტა ხნის შემდეგ როსთოხანი ჩამოშორდა ბარამს და მყისვე მეთევზეებში გაიქცა ბარამის „ნაბრძანებმა“. ამას მოჰყვა ის, რომ ძალიან მალე ბარამისა და ბეგის გარშემო კარგა მოზრდილი ზვინები დადგა თევზებისა. თვითუღმა გვაროვნობამ მოვალეობად ჩათვალა თავიანთ ზვაეიდან ერთი შეათელი მაინც გუზიარებინათ „თავაზიან“ მებატონეებისათვის.

როდესაც ბარანოვსკაიამ გაიგო, რომ ერთ-ერთი ზვინი ბეგის მოართევს, გაკვირვებით შეეკითხა ბეგის:

— მერე და ამდენი თევზი ერთ ორ დღეში როგორ უნდა მიირთვათ. ხომ წაბდა სულერთიანად.

— არა... რამდენიც გვინდა იმდენს ხვალ გიახლებით, დანარჩენს კი ვამარილებთ, ვშაშხავთ, დიდხანს ინახება და მშვენიერი საჭმელიც არის. ბეგრად უფრო გემრიელი, ვიდრე განთქმული „კაპჩონი სელიოდა“.

მავრამ მარინა თითქოს ყურს არ უგდებდა. აგერ სწორედ მის წყალობას
წინ, ძალიან ახლოს მის ფეხებთან, წყლიდან ამოხტა კარგა მოზრდილი ტო-
ბი და იქვე მდებარე ბრტყელ ქვას „ხელ დააკვდა.“

ახლომყოფმა მებაღურმა ცოტა ხანს აცალა და შემდეგ უკვე დაიქრომდა,
რომ ხელით დაიჭირა და მინდორზე გადმოაყვლო.

— საკვირველია! — წამოცდა მარინას. — ეს მებაღური მარჯვე ყოფილა,
მავრამ თვითონ აფეხი რამ შებოჭა ასე, მტერს ხელიდან ვერ გაუსხლტდა.
ზადე რომ ყოფილიყო, კიდევ პო! თორემ ხელით?.. ან მიახლოვება ვერ
იგრძნო, საფრთხემ ვერ შეაშინა? თევზებიც ხომ ძალიან ფრთხილები
არიან, „ხელ-დაუჭერი“?

— როდესაც თევზი „ყრის“, ჩვენ ასე ვეძახით მის მშობიარებს, —
აუხსნა ბეგიმ, — მაშინ ისეთ მდგომარეობაშია თითქოს მთვრალიაო და სიფ-
რთხილეს უკვე ჰკარგავს. იმიტომ არის ასეთი დიდი მოსაყალი. ეს ზღებ-
ყოველ განათხულის პირას, განსაკუთრებით სააღღმომოდ, დიდ-მარხვაში.

— საკვირველია ბუნების ამბავი! — ჩაილაპარაკა ისევ ბარანოვსკაიამ. —
უდრდესი აქტი სიცოცხლისა თევზებისათვის თავდაუწყებელ მომგვრელი
ყოფილა... — შემდეგ დაამატა: — მაშ ხიზილალა ამ ქვირითებისაგან
კეთდება?

— აგერ უშდა იყოს. — დაუძოწა ბეგიმაც. — მხოლოდ ჩვენში ხიზილა-
ლას პალიასტომის ტბაში დაკერილ ზუთხის ქვირითისაგან აკეთებენ. ამ
პატარა თევზებიდან კი არ გამოიგონია... მავრამ ჯერ გაჩვენებთ. ბიჭო! —
გადასმახა ბეგიმ იმ მებაღურს, რომელმაც ხელით დაიჭირა თევზი. — მოიტა-
ნე ის ქვა... აი თევზმა რომ ქვირითი დაჰყარა... ჰო, ქვა, ქვა! რა? დიდია?
ოპ, შე უხვირე, რა უნდა მიგას! — და წამოიწია თითქოს მის ამოსატანად,
მავრამ მანამ მებაღურმა მოურბენინა.

ქვა კარგა მოზრდილი და მრგვალი იყო, მხოლოდ ერთ მხარეზე თითქოს
განგებ გაბრტყელებული. ამაზე მიუთითა ბეგიმ ბარანოვსკაიას. ისიც დააც-
ქერდა, მავრამ სისხი ფერის ქვისაგან მთვარის ნელ სინათლეზე ძნელი გა-
სარჩევი იყო თითქმის იმავე ფერის თევზის ქვირითები. დიდი დაკვირვების
შემდეგ ბარანოვსკაიამ დაინახა, რომ პატ-პატარა მარცვლებით მომსხ-
ლარი თევზის „კვერცხები“.

ბეგი უხსნიდა — აქედან გამოდიან პაწია ლიფსიტები და შემდეგ თევზ-
ლებიანო. ბარანოვსკაია მაინც განცვიფრებული იყო და ხშირად იმეორებდა:
— რა საკვირველია და მრავალფერი ბუნება და მისი კანონებიო.

უკვე აცივდა. პირველი დაგმარა წამოიჭრა სიცივისაგან, ამას სხვებიც
აჰყენენ და გაუდგნენ გზას ნექტარინას სასაზღოსაკენ. მხოლოდ ეგტინი და
ლევარსი ჩამორჩნენ სოფლელებთან საუბარში ვართულები.

ბარამმა კი უბრძანა თავის მეზობელ გლეხების მოზრდილებს მისი და
ბეგის წილი წაეღოთ მათთვის. ეოლყოვი და დაგმარა დაწინაურდნენ და
თითქმის სირბილით აივაცეს ნექტარინას უკანა ეზო.

ბარანოვსკაია და ბეგი კი ერთხანს მივიდნენ სეირნობით, მავრამ რო-
დესაც ბეგიმ შეატყო, რომ მარინა სიცივემ აიტანა, ნაბღის ერთი კალთა
მას შემოახვია და ასე წაიყვანა. მარინას წინააღმდეგობა არ გაუწყვია
და თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, სიამოვნებით მიიყუჯა ბეგის საქილე-
ბიან გულ-მკერდზე და ამ მდგომარეობით განაგრძო გზა.

(გაპოვებული იქნება)

ბრძოლა და მისი თოვი

მტერი ყოფილა, მუდამ შენი თოფის მიზანი,
მისი ქუჩილი საქართველოს საზღვრებს იცავდა. •
ქართველი ხალხი შენს მარჯვენას და თოფს ფიცავდა,
ქროდნენ ტყეები მაგ თოფიდან ელვის ფრთისანი.

თუმც გეხვეოდნენ ურდოები უცხო გზისანი,
გწამდა შენს მამულს მწუხარება ვერ მოიცავდა.
და ცისარტყელას გადახიდულს ციდან მიწამდე
მშვიდად ელოდი სიკვდილის წინ ბრძენი მისანი.

სუნთქვასთან ერთად შეწყდა შენი დროშის შრიალი, —
ტირის სოლომონ! გულზე ცეცხლი წაჰკიდებია.
როგორც სულდგმული, შენი თოფიც გრძნობდა ობლობას.

ახლა ეგ თოფი, მოვერცხლილი, ზარნიშინი,
ვით შენი მკლავი, მეზეუმში უქმად ჰკიდია
და მის ლულაში გაუხლართავს ქსელი ობობას.

სერგო კლდიაშვილი

სერაჟიზა

რაიონის საავადმყოფოს დერეფანში ტარასი გელაშვილი ექიმს ელოდებოდა.

საოპერაციო კაბინეტიდან დროდადრო გამოდიოდნენ თეთრხალათიანი ახალგაზრდა ექიმი ქალები. საკაცეთი გამოატარებს რამდენიმე ავადმყოფი, ოპერაციები დამთავრდა, ექიმი პლატონ მინდელი კი არ სჩანდა.

კუთხეში ატუხული ტარასი სევდიანი გაცქეროდა კაბინეტის კარებს. დარღით შეპყრობილს ყოველი წამი დაუსრულებელ დროდ ეჩვენებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ოთახიდან გამოვიდა შუატანის, მკვრივი, ჭლარაკაცი. გელაშვილი მორიდებით მიესალმა, უამბო ცოლის გასაჭირი და სთხოვა ახლავე წაპყლოდა სოფელში.

— უკანასკნელ დღეშია, ბატონო. წუხანდელს აქეთ ცნობაზედაც ადარაა! — დუღუნებდა ნაღვლიანი, ჩაწყვეტილი ხმით.

გლეხი შეშფოთებული სჩანდა. მალაღი, რამდენიმედ კუშტი შესახედაობის ვაეკაცი, ერთი წლის წინათ ფრონტიდან დაბრუნებული, სიკვდილის წინაშე არაერთხელ პირისპირ მდგარი, თითონაც მრავალჯერ განწირული და თითქოს შეჩვეული სიკვდილის საშინელებას, ახლა ბავშვივით გულაჩუყებული იყო.

ექიმი ყოყმანობდა. დილიდან შეუსვენებელი მუშაობის შემდეგ დაღლილი იყო და, გარდა ამისა, შინ სტუმარი ჰყავდა, რაიონში გავლით მასთან გაჩერებული, დიდხნის უნახავი მეგობარი. შეხვედრა მით უფრო სასიამოვნო გამოდგა, რომ მეგობარი არქეოლოგი იყო და წინა წლების პრაქტიკიდან მრავალი რამ უამბო ისეთი, რამაც ცნობისმოყვარე და რადენიმედ რომანტიული ბუნების პლატონი განცვიფრებაში მოიყვანა. ყველაფერი ისე საინტერესო იყო, რომ ნაეახშმეგს, როცა დასაძინებლად მილაგდნენ და სინათლე ჩააქრეს, ექიმი კიდევ დიდხანს ფიქრობდა წარსულის დიად ძეგლებზე და სამარხებში აღმოჩენილ ძვირფასად ნახელავ უძველეს დროის ნივთებზე. განსაკუთრებით გაიტაცა ვინმე სერაფიტას ამბავმა. მისი სილამაზე და ახალგაზრდობა უთვალავ საუკუნეთა მანძილზე შეენახა სამარხში ნაპოვნ წარწერას. ოცნების თვალთ ექიმი ხედავდა იმ უცხო ქალწულს და ხბლავდა მისი გამკრალი, მაგრამ მაინც უჭკნობი, მშვენიერება.

მეგობარს წუხელ ვერ დაემთავრებინა საუბარი და პლატონი წინასწარ ტკებოდა იმ ამბების მოლოდინში, რომელსაც დღეს მოისმენდა.

ტარასიმ იგრძნო ექიმის უკმაყოფილება და შემკრთალმა თითქმის შესძახა:

— ვილუბები და მიშველე, შენი სახელის ჰირიმე!

მინდელმა უხალისოდ წაიღუდუნა, რომ ზედმეტია მისი წასვლა, რადგან სოფელში მყოფი ექიმიც მიიღებს ზომებსო. კიდევ რაღაც მოიმიზეზა მაგრამ საბოლოოდ უარის თქმა მაინც ვერ გაბედა. ერთობ მწუხარე სიანდა გლეხი და მისი თვალები მუდარას გამოხატავდნენ.

— ვიცი თქვენი ამბავი! — ჩაილაპარაკა საყვედურის კიბეებზე დასანს როცა სული ამოძრომაზე აქვს, მხოლოდ მაშინ მოგაგონდებათ ექიმი. რა გიშველო? მე მკურნალი ვარ და არა სასწაულომოქმედი.

ტარასის უკანასკნელი იმედი გაუქრა. სასოწარკვეთილს ხმის ამოღებაც ვეღარ მოეხერხებინა.

— ჰო, კარგი წამოვალ! — ხელი ჩააქნია მინდელმა. — ცხენი ხომ გყავს? ამის გაგონებაზე გლეხი გამოცოცხლდა, დატრიალდა, ჩქარი ნაბიჯით გავიდა ღერეფნიდან და საავადმყოფოს ეზოს გადაღმა ხარბხაზე მიბმულ ცხენებს მიაშურა.

ტარასის ორი ცხენი ჩამოეყვანა. — ერთი ექიმისათვის, მეორე თავისთვის. მაგრამ იძულებული ხდებოდა სოფლისაკენ ქვეითად გაბრუნებულიყო. მეორე ცხენით პლატონმა სტუმრის წაყვანა გადასწყვიტა.

დიდხინიდან ამ კუთხეში დაბუდებულს, თავისი რაიონის პატრიოტს, ავადმყოფების სამკურნალოდ გარემო სოფლებში ხშირად ნახვითალებს, მრავალჯერ დაუნახავს გორაკებზე ამართული ძველი ციხე-კოშკებისა და ტაძრის ნანგრევები. განსაკუთრებით ხიბლავდა მას ტაძარი. მინდელი დარწმუნებული იყო, რომ მეგობარი არქეოლოგიც განცვიფრდებოდა ტაძრის ნახვით და, შესაძლოა, ისე დაინტერესებულიყო, რომ მომავალში აქაც დაეწყოთ გათხრები. ეს გარემოება კი ერთგვარად გაახშიანებდა და აამაღლებდა რაიონის სახელს. იქნებ აქაც აღმოჩენილიყო უძველესი სამარხები, ძვირფასად ნახელავი სამკაულები და, ვინ იცის, მეორე ვინმე სერაფიტაც. საქართველოში რამდენი იყო სერაფიტას მსგავსი და, ვინ დასთვლის, რამდენა ღღემდე გამოჰყვა მისი მშვენიების შადლი!

ექიმის მობოდიშებაზე, რომ ცხენების პატრონს ქვეითად სიარული უხდებოდა, ტარასიმ ხალისიანად უბასუხა:

— რას ბრძანებ, ბატონო, მე რა მიშავს. კავკასიიდან ბერლინამდე ფეხით მივედი და ჩემ სოფლამდე რა უნდა გამიჭირდეს? ოღონდ ის საცოდავი გადამირჩინე და ჩემი ცხენი დამ ჩემი თავიც შენი ჭირის სანაცვლოდ იყოს!

ტარასი გამხსნედა. როგორღაც იმედი მიეცა, რომ ცოლს აღარაფერი გაუჭირდებოდა. უნაგირზე მოკალათებული, ჭალარაწვერიანი მსუქანი კაცი, მხსნელად ეგულვებოდა. ასე წარმოედგინა, რომ მისი ხელის შეხებაც მომაკვდავს ფეხზე წამოაყენებდა. ოღონდ ცოცხალს მიუსწრებდეს და მერე ყველაფერი კარგად იქნება.

ჭალაქს გაცილებული მგზავრები ერთხანს ფართო, საფოსტო გზით მიიმართებოდნენ. შემდეგ ხიდი გადაიარეს, საურმე გზაზე გადაუხვიეს და ვოწრო, ბროწეულისა და მავყლის ბუჩქებით შემოსაღრტულ ორღობით, მთას შეუდგნენ.

მორჩილი მთიულური ცხენები მარჯვედ მიაბიჯებდნენ აღმართში. მხედრებს კვალდაკვალ მისდევდა ტარასი. გზის შესამოკლებლად ზანდაზან ბილიკს გაჰყვებოდა, რამდენიმე ხნით დაიკარგებოდა და მერე უეცრად გამოჩნდებოდა წინწასული. ტარასი ყოველთვის ელოდებოდა ცხენოსნებს ისეთ ადგილას, სადაც მთის გზა მარაოდ იშლებოდა და მრავალ პატარა ხეივლად სხვადასხვა მხრით მიიმართებოდა.

ნაშუადღევის მხურვალე მზე იყო. ყოველი მხრიდან დაუცხრომელი კრიკინების ხმა ისმოდა.

ვადაიარეს ტყით დაბურული აღმართი და შემდეგ ერთბაშად გაიწალა სიერცე. გამოჩნდა ფერდობზე გაშენებული სოფლები, ლურჯად მუქი ქათუე ყანები და ვენახები.

— გახედე ამ ქვეყნის მაღლს! — აღტაცებული იყო ექიმი.

არაერთხელ უნახავს აქაურობა, მაგრამ თუ ახლა ასე ხმაშალდა გამოსთქვამდა თავის აღტაცებას, ეს უფრო იმიტომ, რომ ცდილობდა თანამგზავრის ყურადღება მიექცია. პლატონს ეჩვენებოდა, რომ გაჩუმებული სტუმარი ვერ გრძნობდა ამ კუთხის იშვიათობას. უმეტეს შემთხვევაში მგზნებარე არქეოლოგი, რომელსაც ბევრგან უხეტიალნია საქართველოში, მართლაც ვერაფერს ხედავდა აქ განსაკუთრებულს.

— შერე და რამდენი სიმდიდრეა ამ მიწაშიც! — არ ცხრებოდა ექიმი. — რა დალევს ჩვენი მიწის ბარაქას, რამდენ საიდუმლოს ინახავს თავის სიღრმეში, რაოდენ სიკეთეს გვიქაღის უხსოვარ დროიდან ეს ხელუხლები განძი! ასე არაა გიორგი?

პასუხის მაგიერ თანამგზავრმა ალერსიანი ღიმილით გადახედა ძველ მეგობარს. ახალგაზრდობაშიც ასეთი ახსოვდა ის.

— მართალს ვამბობ! — თავის თავს თითონვე დაუდასტურა ექიმმა. — იცი რა ქვეყანაა საქართველო? არ ვიცი როგორ ვთქვა, არ ვიცი რას შევადარო შეუღარები! — გულიანად გაიციხა და შერე უეცრად, თითქოს ნაღვლიანად, დაუმატა: — როცა წარმოვიდგენ, რომ ამ ღვთისნიერ მიწაზე მხოლოდ ორი მილიონი, თუ რაღაც მეტი, ქართველი ცხოვრობს, ჯავრისაგან ვიყვირო მინდა. ათი და მეტი მილიონი, აი რა გვინდა ჩვენი ყველას გეგასაზრდოებს, ყველას გაგვახარებს ჩვენი მიწა! ჩვენს ბალებში და ქარხნებში ყველგან ქართველი კაცის ხელი უნდა ტრიალებდეს. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ და ვზრუნავდეთ ყოველ დღე, ყოველ წუთს. ერთი ორად, ერთი სამად მეტნი უნდა გავხდეთ. ათი მილიონი ქართველი! წარმოვიდგენია ეს ბედნიერება? „რა დაუღალავია, რამდენს ლაპარაკობს!“ — გაიფიქრა არქეოლოგმა.

სოფელი თანდათან ახლოვდებოდა. უკვე არჩევდა თვალი სახლებსა და შემორაგულ მწვანე ეზოებს.

— აი ისიც! — ექიმმა უეცრად ხელი გაიშვირა მაღლობისკენ და ცხენი შეაჩერა.

გორაკის კონუსს მოხდენილად ამთავრებდა ძველი, გუმბათიანი ტაძარი, უტყეო, თითქმის ტიტველ მაღლობიდან, მედიდური სილამაზით გაღმობყურებდა გარემოს.

— შენ, ჩემო მზეთუნახავო! — აღფრთოვანებული იყო პლატონი.

არქეოლოგმა შეაჩერა ცხენი და ტაძარს ყურადღებით დაუწყეო ცქერა.

— იმ გორაკის ძირში გაივლის, ბატონო, ჩვენი გზა. იქიდან უფრო კარგად დაინახავთ — წასვლა მოაგონა და ააჩქარა ტარასიმ ექიმი. ჰირისუფალს თავისი საზრუნავი ჰქონდა.

ტარასიმ ფეხი აუჩქარა. ცხენოსნებიც მიჰყვნენ.

— გრანდიოზული ქმნილებაა! — ამბობდა ექიმი. — სიამაყეს ვგრძნობ, როცა წარმოვიდგენ, რომ ის ტაძარი და სხვა მრავალი მისი მსგავსნი, ჩვენი წინაპრების ფიქრისა და შრომის ნაყოფია. მოდი და ნუ ირწმუნებ ჩვენი ხალხის ნიჭიერებას და დიდ ბუნებას. საკვირველია, როგორ ქმნიდა, როგორ ასწრებდა ასეთი ტაძრების ასენებას? თითქმის მთელი დრო იძულებული იყო

იარაღი სჭეროდა ხელში. ებრაძონ. შემოსულ ბარბაროსებთან, მაგრამ ამოიხუნთქავდა თუ არა თუნდაც მცირე ხნით, უმაღლე იფეთქებდა მასში შემოქმედი ძალა. მოდი და ნუ დამიდასტურებ, რომ უდიდესი გულგრილი სიმალლით შემქული ერთი ვართ! მადლობა დმერთს, გათავდა ჩვენს მიწაზე ბარბაროსთა თარეში, ბოლო მოელო ამ კოშმარს, დაღდა დამცველი ებრაძე-სიგანით გაშალოთ ფრთები... მაგრამ, მოთქვამს და ვიტყვი, შეიძლოა უნდა მიეფინოთ ამ მიწაზე, ის უხვია, მადლიანია და ყველას გაგვიწევს დედაშვილურ სამსახურს!

გორაკის ძირში მისვლისას გადასწყვიტეს, რომ არქეოლოგი აქ დარჩება, დაათვალიერებს ტაძარს და აქვე შეხვდება ავადმყოფისგან დაბრუნებულ ექიმს.

ხევის ვადაღმა სოფელი დაიწყო და მალე კიდევაც შევიდნენ კონიარით დაფარულ ეზოში, სადაც კრამიტით დახურული დაბალაფენიანი სახლი იდგა. ოთახში, სადაც ექიმი შეიყვანეს, ბნელოდა. სინათლედან შემოსულმა ძლივს გაარჩია კუთხეში დადგმული ტახტი, რომელზედაც ავადმყოფი იწვა.

— ჩამოხსენით, გააღეთ ფანჯარა!—თითქმის წყრომით სთქვა მინდელმა. მაგრამ სხვას აღარ დაუცადა, ჩამოვლიოჯა აფარებული საბანი და ხელი ჰკრა ფანჯარას.

მზის ძლიერი შუქი შემოიჭრა გარედან. ოთახში აღმოჩნდა ადგილობრივი ექიმიც, ახალგაზრდა ქალიშვილი. ჩუმი, ოდნავ ნაღვლიანი ხმით უამბო მან უფროს კოლეგას ავადმყოფობის მიზეზი და მიმდინარეობა.

— იქნებ შეელებოდა, მაგრამ გვიან მაცნობეს. —თითქმის თავის გასამართლებლად სთქვა ბოლოს.

მისი ნაამბობიდან მინდელმა გაიგო, რომ ხუთი დღის წინათ ქალს მშობიარობა გადაეტანა. ბებიობა გაეწია ერთ სოფელს დედაბერს, რომელსაც ხშირად მიმართავენ ასეთ შემთხვევაში. ორი დღის განმავლობაში კარგად იყო ქალი, მესამე დღიდან კი უეცრად აბორგდა, აფვარდა სიცხე და ბოდვაც დაიწყო. ამის შემდეგაც კიდევ უცადეს შინაურებმა, იქნებ მოჯობინდესო, და მხოლოდ მაშინ აცნობეს ექიმს, როცა გრძობაც დაჰკარგა.

— ვინ იფიქრებდა, ჩემო ბატონო, ამ უბედურებას! — ჩიფჩიფებდა ტარასის დედა, ჩია, გამხდარი, თითქო წლებისგან გამოშროალი დედაკაცი. — აქამდე ფრჩხილიც არ ასტყენია. მაგ რომ გაიცინებდა, სოფლის ვადაღმა ისმოდა მისი ხმა. გადამირჩინე, შენი სახელის ჰირიმე და...

ექიმი ჟურადლებას არ აქცევდა დედაბერს, მივიდა ავადმყოფთან და შუბლზე დაფენილი სოფელი პირსახოცი ააცილა.

ავადმყოფი გახშირებულად სუნთქავდა, ბორგავდა, გაშლიდა ხოლმე მკერძ, ღონიერ მკლავებს და დროდადრო გამოიხედავდა. თითქო ცდილობდა ვიღაც და რაღაც დაენახა. ბრწყინავდნენ მისი დიდრონი თვალები, ნამდვილად კი შიგ სწივი უკვე ჩამქრალი იყო.

ძალიან ახალგაზრდა სჩანდა ქალი, თანაც ლამაზი იყო. დიდხანს მდუმარედ იჯდა ექიმი და სინანულით დასცქეროდა მშვენიერ სახეს. პირველი წუთიდანვე მისთვის ნათელი გახდა, რაც დამართოდა.

— სერაფიტა! — რატომღაც მოაგონდა ეს სახელი. მეზობელ ოთახიდან ბავშვის ტირილი მოისმა. მოისმა ისიც, თუ როგორ ცდილობდნენ მის დამშვილებას. ახრივინდა დარწმუნული აკვანი. მაგრამ ბავშვი ვერ გააბრუნეს და ვერ ჩაახუმეს. ეჩინებოდა და გაჰყვიროდა ძლიერი

ხმით. ახლადდაწყებული სიცოცხლე რაღაცას ჯიუტად და მოუთმენლად მოითხოვდა.

მინდელი უიმედოდ სთვლიდა ავადმყოფს, მაგრამ მაინც მოელოდა მისი ახალგაზრდა ექიმ-ქალს და გადასწყვიტა ელონა რაიმე.

— გამაყოლე ვინმე და წამალს გამოვატანი! — მიუბრუნდა ექიმს. — რასის, რომელიც ჩემად ზღვა ოთახში, და ხან ერთსა და ხან მეორე ექიმს შევყურებდა თვალუბრებში იმ იმედით, რომ იქნებ მათი სახის გამომეტყველებაში გამოეცნო ცოლის ბედი.

— ნურათრით დაგვზოგავ, გვიმველე ოღონდ. ყველაფერი შემძლია, ჩემო ბატონო! — ისევე აჩიფრიფდა დედაბერი და პატარა, შავი კრავივით გაჰყვა ექიმს, როცა ის ოთახიდან გავიდა.

— ცოლვია შენს ხელში ასეთი ქალი! — ნუგეშისა და იმედიანი პასუხის მაგიერ წაიბურტყუნა მინდელმა და გაბრაზებით ჩააქნია ხელი.

ექიმს ჩვეულებად ჰქონდა გაწყრომა და დაურიდებლად თქმა, მაგრამ ეს გარემოება არავის არასოდეს არ სწყენია, რადგან სიტყვების მიღმა ყველა გრძნობდა მის გულკეთილობას და აღამიანისადმი დიდ სიყვარულს.

ბავშვი აცნობდა ამოყვანათ. ვიღაც დედაცაცი ძძუძუს აწოვებდა. ბავშვი მთელი სახით მიკეროდა მკერდს და ხარბად სწოვდა.

მინდელმა დახედა ჩვილს და შემდეგ ხელშიაც აიყვანა. როგორც კი მოაშორა ძძუძუს, ბავშვმა მაშინვე მოკმუნხა სახე, ისედაც წითელი ლოყები უცბადვე სისხლით აევსო, გაშმაგდა და დამაყრუებელი ტირილი მოართო.

— ჰო რა ყაჩაღია, ჰო რა აბრაგია! — მოსწონდა პლატონს უნაკლო, ჯანმრთელი ბიჭი და თოთო სხეულზე აღურსით უცაცუნებდა ხელს.

წასვლისას მინდელმა უხალისოდ ჩაულაპარაკა ექიმ-ქალს:

— გააკეთეთ ყველაფერი ისე, როგორც გითხარით და ვნახოთ, იქნებ... — აღარ დაამთავრა, ცხენი კიშკარში გაიყვანა, მიიმეღ აცოცდა უნაგირზე და გზას გაუდგა.

ტარაკი უკან აედევნა.

დიდხანს მიჰყვებოდა მდუმარედ. ვერ შეებედა ეკითხნა. მოხერხებულ დროს და შემთხვევას უცდიდა სიტყვა ჩამოეგდო და სიმართლე გაეგო. ავია, თუ კარგია, ხომ უნდა იცოდეს მაინც... თუ რაიმე იმედია, რატომ არაფერს ეუბნება ექიმი, და თუ არა, ბარემ გაიგოს თავისი უბედურება...

კიდევ დიდხანს მიდიოდა გაჩუმებული. ხან წინ გაუსწრებდა ზარმაცად მიმავალ ცხენს, ხან გვერდით მიჰყვებოდა ლანდივით.

გულამღვრეულმა ბოლოს ველარ მოითმინა:

— ახლა ვაპირობდი, ბატონო, სიცოცხლეს. მეგონა ახლა მეწყებოდა ტყბილი ცხოვრება. ხუთი წელიწადი სახლს მოშორებული იცოცხლებოდა წელიწადი ომის ცეცხლში ვტრიალებდი. მაგრამ მარტო ტყვიას კი არ ვისროდი იქ... ათასი ქვეყანა ვნახე და ათასი კაცის სიტყვა და გარემოება გავიგე. ახლა უკეთესად ვიცი, თუ როგორ უნდა ცხოვრება. ვაპირებდი ჩემთვის სასიამოვნოდ მომეწყო ყველაფერი, მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა... ასე უბედურად დატრიალდა თავიდანვე ჩემი დღეი და წუთისოფელი...

— აქამდე უნდა გეხმარა ჭკუა, ყმაწვილო! — მკვახედ მოუჭრა ექიმმა. უგუნებოდ მყოფი ლაპარაკის ხასიათზე აღარ იყო.

გარემო სიჩუმე შეცრად რაღაც უჩვეულო ხმამ გაჰყვითა. თითქოს კივილს გავდა. სოფლის მხრიდან იყო.

ტარასი უმაღლესე შეჩერდა. სმენად იცა. შეჩერდა ექიმიც.

მალე ისევ გაისმა ხმა. გულშემზარავი, სასოწარკვეთილი კივილი.

— დედის ხმა ნამდვილად. ვაი შენ ჩემო თავო! — წამოიძახა ტარასიმ, მოწყდა ადვილს და გაქანდა. მაგრამ უცბადვე შეჩერდა და ექიმთან დაბრუნდა. — მე ველარ გეახლები, წაბრძანდი, ბატონო შენ, ცხენს მოსწავლე მგამოაბრუნებს...

მიტრიალდა სოფლისაკენ და მძიმედ, აუჩქარებლად წავიდა.

კვილი კიდევ დიდხანს ისმოდა.

ბინდი ეფინებოდა მიდამოს, როცა ექიმმა მიაღწია იმ ადგილს, სადაც სტუმარი დასტოვა. მივიდა თუ არა გორაკის ძირში, დაინახა, რომ მეგობარს ფერღობით ფრთხილად ჩამოჰყავდა ცხენი.

— შენ მართალი ხარ! — ალტაცებით შეეგება არქეოლოგი და ვაჰყვა გვერდით. — მართლაც და იშვიათი ძეგლი ყოფილა! რა გრანდიოზული ქმნილება, რა მაღალი ფიქრი, რა ფაქიზი ოსტატობა! და ეს ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში!

მინდელმა მხოლოდ წუთით იბრუნა სახე და ახედა გორაკზე წამოდგმულ ძველ ტაძარს. თვალმა აღბეჭდა მხოლოდ მაღალი კედლები, ტაძრის გუმბათზე კი შარავანდელს ველარ ამჩნევდა.

— სინარულით უნდა აღენიშნო, რომ ეს დიდებული ძეგლი კარგადაც შენახულა. ალბათ მიგიქცევია ყურადღება, რა იშვიათი ჩუქურთმებით არის შემკული. ცხადია, ვიღაც შესანიშნავი ოსტატის ნახელავია. რამდენი ასეთი ოსტატისა და შემოქმედის სახელი დაუკარგავს დროს! ქართულ ჩუქურთმაში მე მუდამ მზიბლავს ზომიერება. თითქოს ძუნწადაა ქვაზე ხვეულები, მაგრამ რა სინატიფე, რა დახვეწილი გემოვნება!

— რამდენს ლაყბობს! — გაიფიქრა უკმაყოფილოდ ექიმმა, რომელიც ახლა გულგრილად უსმენდა თანამგზავრს.

— მოჯადოებული გავცქეროდი იმ გრანდიოზულ კედლებს და გუმბათს, რომელიც მართლაც დიად სანახაობას წარმოადგენს. ერთი თვალის გადავლებითაც ადვილად წარმოიდგენ კაცი, თუ რა დიდებული იქნებოდა ტაძარი თავის დროზე. ათასჯერ უნდა ვითხრა მადლობა, რომ მაჩვენე ეს იშვიათი ძეგლი. ჰო, შენ მართალი ხარ, რომ უკვდავი ხალხი ვართ. ამ ძეგლით მართლაც შეუძლია იამაყოს თქვენს კუთხეს. აუცილებლად უნდა გაიწმინდოს ტაძრის ტერიტორია. მე მგონია, რომ იქ მრავალი რამ საინტერესო აღმოჩნდება... რა დაგეშართა? — გვიან შეამჩნია არქეოლოგმა, რომ მეგობარი ხმაგაქმენდილი მიჰყვებოდა, რომ ერთხელაც ხმა არ ამოუღია. — რატომღაც დარდიანი მეჩვენები...

ექიმმა არაფერი სთქვა. მხოლოდ ცხენს გადაჰკრა შოლტი და ფეხი ააჩქარებინა.

ბინდი მოძლიერდა. სუფთა ცა გამუქდა. პირველი ვარსკვლავი, ბრჭყვიალა და მზიარული, შორეულ ქედის თავზე დამჯდარიყო. ფერი ეცვალათ მთებს და მინდვრებს. გაღვიძებული ჭოტი გაჰკიოდა სადღაც ტყეში.

— ჰო, მართლს ამბობ, — აგერ როდესღაც, თითქოს თანამგზავრის სიტყვებმა მხოლოდ ახლა მიაღწიაო სმენამდე, დაილაპარაკა მინდელმა. — შენთვის აქ საინტერესო სამუშაო იქნება. რასაკვირველია, იშვიათი ძეგლია...

გაჩუმდა, ერთხანს მდუმარედ განაგრძო გზა და ბოლოს ყრუდ, თითქოს თავის თავს მიმართავდა, ჩაილაპარაკა:

— მაგრამ, ჩემო კარგო, ცოცხალი ცხოვრება კიდევ უფრო მეტი და დიდი საქმეა. იმ იშვიათ და განუყოფელ ნიქს, რომელსაც სიცოცხლე უწოდებდა, ვერაფერი ვერ შეედრება, ერთი ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ეთიკა და დედა ჩემთვის უფრო საიმედოა და გულთანაც ახლოა; ვედრეკეთესი, ღვინდარული სერაფიტა. ის მუზეუმი გახლავთ. რა თქმა უნდა, ჩემთვის მდიდარი უნდა იქნეს, მაგრამ მინდა, რომ ჩვენი ცოცხალი ცხოვრება მომდინარეობდეს დაუშრობელ წყაროსაგვით და უფრო მდიდარი, უფრო სავსე გახდეს. მინდა, რომ აქ მკვიდროდ ცხოვრობდეს ხალხი, მე მინდა, რომ... არ დაამთავრა და ჩაჩუმდა უეცრად. ამ წუთში მან თვალი მოჰკრა როგორ მოსწყდა ცას ერთი ვარსკვლავი, როგორ გასრიალდა შუქი უსახლერო ეთერში და შემდეგ ჩაქრა სამუდამოდ.

ღამე იყო, როცა რაიონის ცენტრს მიუახლოვდნენ. უკანასკნელი მადლობიდან ვაკეზე გაშლილი ქალაქიც გამოჩნდა. ქუჩებში ელნათურები კიაფებდნენ.

დალილ ექიმს მოსვენება ენატრებოდა. აღარ ეზოგებოდა ცხენი. წამდა-უწუმ შოლტავდა. მორჩილი პირუტყვიც უკანასკნელ ძალას იკრებდა, მიბაკუნობდა კოლბოხებზე, აღარ ერიდებოდა ღრანტეებს და მიაქნძულელებდა გულამღვრეულ მხედარს, რომელიც თავის უგუნებობას მასზე აცტრობდა.

დალილ ექიმს მოსვენება ენატრებოდა. აღარ ეზოგებოდა ცხენი. წამდა-უწუმ შოლტავდა. მორჩილი პირუტყვიც უკანასკნელ ძალას იკრებდა, მიბაკუნობდა კოლბოხებზე, აღარ ერიდებოდა ღრანტეებს და მიაქნძულელებდა გულამღვრეულ მხედარს, რომელიც თავის უგუნებობას მასზე აცტრობდა.

შალვა აფხაიძე

რე მიხარია

რე მიხარია, როს განშორების
შემდეგ კვლავ თბილისს ეუახლოვდება
და შეენაბადა დღის ცხელ ბურუსში
ამეყუდება წინ როგორც დევი.

როცა თბილისის პირველი შუქის
მომხედება ტალღა და გამაზრუებს,
ან სოღანლულთან უეცრად ქარი
წინ შემაფეთებს ლაქვარღთა რუებს.

ჩემზე კეთილი და ბედნიერი
არ მეგულება ქვეყნად სხვა კაცი,
როცა დაეადგამ ფეხს ნაცნობ ქუჩას
და ჩამოქროლებს მტკვარი წარმტაცი.

როცა შორიდან დაბრუნებული
დაედგები ისევ მთაწმინდის ქედთან;
მგონია თითქოს მაშინ ესაუბრობ
მისი მშვენების დიდ შემოქმედთან.

და მშობლიური პაერთ დამთერაღს
მინდა სიმღერა და გულს გახსნა...
რე მიხარია, როცა თბილისის
ცა მტრედისფერი ნაშს უხვად მასხამს.

ღირიკუდი პეიზაჟი



ფართო ეზოა... მაღალ ქედრის ქვეშ
ზაფხით დაზრული დგანან ლოდები.
იმევე ტირიფი ღელეში ვარსკვლავთ
ვაღერსება გრძელი ტოტებით.

თბილი ბინდია... საღდაც კრიჟინა
არავინ იცის ვის ეღავება,
და შეუმჩნეველად ფერმძინარ იას
თაეზე აღგება მთვარე ვეება.

სძინავს სოფელს და სძინავს ნიაესაც
ცვრიან ფოთლებზე ნარინჯის ტყეში
და მხოლოდ ფხიზლობს ორი მიჯნური
ბროწეულების ბნელ ორლობეში.

ესერიან ისარს ერთმანეთს გულში
თითქოს იმ იის მომართულ მშვიდლით.
მთვარე კი უელის მათ ჩრდილს გარშემო
ცბიერ ღიმილით წმინდა და მშვიდი.

სიცოცხლისათვის *

თამი მცაამბე

მოსკოვი. გაზაფხულის სურნელი მოჰყვება ნიავს.

ქუჩები, მოედნები, ბაღები, კრემლის კურანტები—ყველაფერი სიამაყის ბეშელს ატარებს.

აეტობის ძახილშიც სიამაყე მოისმის.

ცა შშვილად მოსჩანს, თუმცა ქალაქში გუგუნის ისმის.

მდინარე მოსკოვი თავის მუდმივი სიღინჯით მიატურებს ვეებერთელა ყინულებს. ჩუმად მიაქვს ეს, თითქოს მტრისა და სუსხიანი ზამთრის გამტყდარი ძვლები.

ნისლი ქალის თმებივით იშლება, მიიწევს ზევით და სადღაც შორს, უერთდება ცის ოკეანეს.

ბაღების ჩონჩხებს პირში სულს უბერავს გამტყდარი ნიავი, რომ გააცოცხლოს, ხორცი შეასხას.

დიდი თეატრის ყალბზე შემდგარი, შემართული ცხენების ქანდაკებანიც თითქოს გაცოცხლდნენ და ჭიხვინით მიიწევენ ზეცაში.

ჭრილობებს იშუშებდა მოსკოვი, — მტრის ფართოდ დაღებულ ხახა გაეგლოჯა, შორს დასაგლეითი გადაეყარა, მხოლოდ ზოგჯერ საძაგრო ყაჩაღების შორეული ზუზუნი მოაგონებდა მოსკოველებს უკანმოტოვებული განსაცდელის მრისხანე დღეებს.

მოსკოვი ახლაც მრისხანედ მოსჩანდა, თუმცა ეს მრისხანება, დიდი ბოღმა და უძლეველობის შეგნება, სადღაც გულში ღრმად ჩაემაჩხა. ხანგრძლივი, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა.

მოსკოვში, როგორც ოკეანეში რაღაც შინაგანი ძალა სუნთქავდა. (შესაძლოა ამ სუნთქვაში მზადდებოდა გრიგალი, რომლის შეჩერება არავითარ სისწაულს არ შეეძლო).

ბაღში ჩაღუმული პოსაიტალი მდინარე მოსკოვს გასცქეროდა.

ეზოში დაჭრილები ფრთამოტეხილი არწივებივით დაფარფატებდნენ. პოსაიტალის შენობაც, თითქოს თვითონაც დაჭრილყო, ფიქრს მისცემოდა; ალბათ ცდილობდა არაეინ გამიგოს, რომ ამოდენა ჭრილობებს ვფარავო გულში.

ცალკე ოთახში ფერმიხილი იწვა ლოგინზე. სარკმელში ნაძვის ხეს მისჩერებოდა, რომელიც ცას კენწეროთი ხაზავდა. ბუნების მხატვარი ეს ნაძვის ხე მისი მეგობარი იყო მარტოობისას!

რამდენი ოცნება იწყებოდა ამ ნაძვის ხიდან, შორს მიდიოდა, რა სურათებს არ ნახულობდა.

* გაგრძელება. „მნათობი“ № 2—3.

დიდი ხანი არ იყო გასული, რაც ეს ნაძვის ხე „აღმოჩინა“, ოპერაციების შემდეგ საკუთარი თავიც აღმოჩინა.

ახლა შეუძლია დამშვიდებით უცქიროს ქვეყანას. სისუსტეს გამოქობს, ტყვიულების გრიგალებმა გადაიარეს, სხეულში მინახებულა, მკრეველ დჭრია. ახლაც იმ ნაძვის ხეზე მისჩერებოდა, თუმცა იმავე მოსპობის შემდეგ ფიქრობდა.

შოგ, მოსპობაშიც ომი იყო გაჩაღებული სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. აქ უფრო დანით ებრძოდნენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი ზოგჯერ ამარცხებდა ქირურგის დანას, დაუცხრომელის სიჯიუტით იჭრებოდა ყველა კარში, ყველა კლიტულში, თავის მსხვერპლს მაინც პოულობდა, — გაიტაცებდა. არავითარი ხმაური არ მოსდევდა ამ მოტაცებას. ეს ყოველივე ჩუმად ხდებოდა, რადგან სიკვდილიც ჩუმია თვითონ.

მხოლოდ ის იყო შესამჩნევი, რომ ვინც ამ სიჩუმეში მიდიოდა არ ბრუნდებოდა.

აი, გვერდით სუნთქავდა ადამიანი, შემდეგ თითქოს შეწყდაო ნიავი, ცივი საჩუმე დაეშვებოდა. ზოგჯერ ბურანში წასული რაღაც ზღაპრებს უამბობდა ვიღაც უჩინარს. შემდეგ, თითქოს იმ უჩინარს თვითონაც გაჰყვო, ზღაპარსა და სუნთქვას ერთად შესწყვეტდა.

ანუ ატყუებდა ადამიანებს ჩუმი სიკვდილი, რომელიც ვინ იცის, რა სახით არ ცხადდებოდა მსხვერპლის წინაშე.

ერთხელ იმ პალატაში, სადაც ის იწვა, ორი ექიმი შემოვიდა. უფროსმა ექიმმა მაჯა გაუსინჯა, შემდეგ ცერით ქუთუთოები გადაუწია:

— როგორ ხარო, ხომ უყვითესად?

გულთ უნდოდა გაეცა პასუხი, — ვერ მოახერხა. იმის სანიშნებლად, რომ თავისი მდგომარეობით ემაყოფილი იყო, მხოლოდ თვალები დააბახხამა.

შემდეგ კუთხეში მიდგმულ საწოლთან შეჩერდა ექიმი. იმ საწოლზე თავში დაჭრილი მაიორი კოტოვი იწვა. ის წინა ღამით ლოგინზე წამოხდარიყო და ღლინებდა. როგორ ბედნიერად გრძნობდა თავს სიცოცხლეში დამარუნებით გახარებული! სიმღერები გვიან შესწყვიტა.

ახლა ექიმი ამ მაიორს უსინჯავს მაჯას. უცხად შეკრთება, გაფითრდება, თანაშემწეს საეჭვო თვალთ შეხედავს.

შემდეგ ისევ მაიორს საჩვენებელ თითს მოუტანს თვალთან. თვალის ღარებს დააჭერს თითს, მაგრამ ეს „სარკე“ იზნიკება, ისევ სწორდება. ალბათ ეჭიშვინისათვის უკვე ყველაფერი გასაგები იყო რაც მოხდა აქ.

მაიორის სიცივე თითქოს ამათაც გადაედოეო, იქვე გაშეშდნენ. შემდეგ ცივად დასტოვეს ოთახი. რამდენიმე წუთი გავიდა.

ო, რა მძიმე იყო ეს გაყინული წუთები! თითქოს თავზე აწებოდნენ, სულს უხუთავდნენ. მაგრამ აი, სანიტრები შემოვიდნენ, სიმღერებში სამუდამოდ წასული მაიორის ცხეღარი ფრთხილად დასწიეს და წაახვეწეს. მაიორს კი ეგონა ალბათ, სიმღერები ძილში მიმავსესო და რა იყოღა, თუ ეს მისი უკანასკნელი სიმღერა იყო.

ერთხელ მეზობელ პალატიდან მონოტონური სტენა მოესმა. მომვლელმა უამბო: ეს ყელში დაჭრილი სუნთქავსო აგრე. დიდხანს გრძელდებოდა ეს მონოტონური სტენა, რაც ყველაფერზე მძიმე აღმოჩნდა. ეგონა, დაჭრილი სიკვდილს უსტენოსო, მაგრამ სიკვდილი ჯიუტობდა, არ მოდიოდა, შემდეგ თვითონაც აღარ ოხსოეს, თუ რით დამარულდა სიკვდილის გამოსახება.

ახლა კი სიწყნარეა პალატაში და მის სხეულშიც.

მაგრამ აქ, ამ პოსაიტალშივე არიან მერცხლები, რომლებიც გააუღმებით სიცოცხლისაკენ ეძახიან ადამიანებს. დილაობით კარის კრიალთან უნდად ამ მერცხლების სანუკეარი კიკტიკიც გაისმის და ეს ტკბილი ხმები რაღაცს აქსებენ. ზოგჯერ შიგ ჩართული ბოხი ხმებიც თითქოს იმავე კიკტიკს ადარებენ, — ამით სიცოცხლეს აკანონებენ. ამ კანონმა მოიტანა საბუნებისმეტყველოდ ახლა სხეულში და სულშიც გრძნობს.

აჰა, ახლაც გაიშა ფეხის ხმა! ალბათ დრო არი, სიცოცხლის პირველი კანონმდებელი მოღის აქეთყენს იგი, კიკტიკიც გაისმა, კარი გაიღო, შიგ შეშოსული სწრაფად მოახლოვდა, უეცრად შესდგა.

— ვახტანგ, როგორა ხარ, ხომ უკეთ? — თეთრხალათგადაცმულმა ქალმა, ახლა სახელით მიმართა ავადმყოფს, დაიხარა და მარჯვენა ხელი მკერდის ზემოთ საბანზე ფრთხილად დაუშვა.

ვახტანგმა სიამის გრძნობით აპხედა მოსულს, — ქერა, ცისფერთვალემა, ახალგაზრდა ქალს. შემდეგ იმავე ხელს მიანიჭრდა, საიდანაც წამოსული სითბოს უხილავი სხივი ძალას მატებდა. ცოტახანს იყუნა, თითქოს მისი გული დნებოდა იმ ხელს ქვემოთ, მაგრამ უეცრად ისევ ძალუმად აძგერდებოდა. შეწყვეტილი სუნთქვაც შრიალს იწყებდა.

ექიმი ქალის ბრინჯაოსფერ სახესა და ტუჩებს ღიმილი არ შორდებოდა. დღეს განსაკუთრებული ვულმოდგინებობით დავარცხნილ-დახუტუტებული თმები ქარგასავით ბრწყინავდა მის ლამაზ თავზე. ასევე უბრწყინავდა თვალები, ალბათ გულიც, რადგან მისი თავგანწირული ბრძოლის ნაყოფი ასე საიმედოდ იფურჩქნებოდა.

— ტანია, შენი ხმა ჩანჩქერივით მელვრება გულში! — როგორც იყო წარმოთქვა ვახტანგმა. ტანიძსადმი ის განსაკუთრებულ, რაღაც მშობლიურ სიახლოვეს გრძნობდა თავიდანვე. თუმცა ვერ გაეგო, როდის წარმოიშვა ეს სიახლოვე. იქნებ იმავე მიზეზით ტანიაც თავიდანვე განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობდა მისადმი, მაგრამ სიახლოვის ეს საერთო მიზეზი დღემდე შეუცნობი რჩებოდა მათთვის. (მათი სიახლოვე თითქოს ბავშვის თვალით იხედებოდა, თუმცა ბავშვი უჩინარი რჩებოდა).

იქნებ ამ კვირა დღეს ტანია ასე მორთული, გამშვენიერებული ამიტომაც მოვიდა აქ.

თვითონ ვახტანგმაც მაშინვე იგრძნო ეს დიდი ცვლილება და შეუგნებლად ამ ცვლილებაში ახალი შინაარსის აღმოჩენას ელოდა.

ტანია სკამზე ჩამოჯდა. საბანზე დაშვებული ხელი აიღო. მუხლებზე გადანასკეულ შკლავეებს დაეყრდნო და ჩვეულებრივზე უფრო რბილად წარმოთქვა:

— თქვენ უკეთა ხართ, მშვენიერი დღეა. გაზაფხული მოვიდა. მე დღეს ვისვენებ. შეშეძლო არ მოვსულიყავ, მაგრამ მოვედი.

— თვითონაც გაზაფხულივით შემოხვედით, ტანია!

— რად ამბობთ, ძლიერ აკარბებთ. მაინც მინდა როგორმე მოგბნიჭოთ სიამოვნება. აი, თქვენ წარსულზე მითხარით რამე, ხომ შეგიძლიათ? სიხარულით მოგმსმენთ. და მეც ვიამბობთ.

— თქვენ თვითონ ვთხოვთ! განა მკერძალობა უკეთესი იქნება?

ტანია წამოდგა, თმა გასწორა, ფანჯარაში გადაიხედა.

მობრუნდა. წარბები ასწია, თავი დახარა. ხელის თითებს დახედა, მიუახლოვდა. იქვე დაჯდა. ვრძელი, გამჭვირვალე თითები ისევ საბანზე დაალოვა შემოდან, თითქოს საკუთარ ფიქრებს გაუღიშაო, და ასე დაიწყო:

— ადამიანს ალბათ სიკვდილამდე თავის ბავშვობისაკენ უკირავს თვალი. რაც უფრო შორდება, მით უფრო მიმზიდველად მოსჩანს იქ ყოფილი ბავშვი შხამიან ქვეწარმავალსაც კი ისეთივე ალერსით მიეგებება, მიენდობა, ვით ჩიტის ბარტყს, ან მინდვრის ყვავილს, რადგან არ იცის აქვეყნის კარგის საზღვარი. ყველაფერი ახარებს. ცეცხლსაც მიენდობა სანამ, ^{ქვეყნის} ^{კარგის} ^{საზღვარს} დაიწვავს. ასე ვართ ჩვენ. შემდეგ კი ვიზრდებით, შევიღვივართ ხანში. ბევრი რამ ნაცნობი ხდება, ხოლო ის, რაც ერთხელ მიწახაფს და ნაცნობია პირველ შთაბეჭდილებას ველარ სტოვებენ. ბევრი რამ ფასს ჰკარგავს ჩვენს თვალში, ბევრი რამ აუტანელი, მოსაბეზრებელი და ზედმეტი ხდება. ეს არის მიზეზი, რომ გატაცებით ვიფიქრებთ ჩვენს ბავშვობას. წარმოვიდგინოთ ბავშვის თვალთ დანახულ ქვეყანას, მოვიფიქრობოთ იმ პირველ უზენაეს განცდებს და ამით ვსტკებებით. ცხადია, ეს უფრო შეეხება ხანშესულ ადამიანებს, მაგრამ უკვე ჩვენთვისაც აშკარა ხდება ამ ქვეყნის გარდუვალობა. ამიტომ მინდა მოვიფიქრო ბავშვობა; ის ვით სანეტარო ზღაპარი, უსასრულო მეგონა, რომელიც არასოდეს აღარ შეწყდება: პეპელასავით დაეფრინავდი ყვავილიდან ყვავილზე. ვცდილობდი ხარბად შემსრუტა მისი შარბათი. ყოველი ამოსუნთქვა სიხარულით მიესებდა გულს. ყველაფერი დიდად მეჩვენებოდა: რაიმე უბრალო მიზეზის გამო დაღვრილთ ცრემლები კატასტროფა მეგონა, სიცილში ქვეყანა იფურჩქნებოდა... (ახლა კი, ყოველივე ამას შევედაროთ დღევანდელი დღე, რომ მათ შორის უფსკრული აღმოვაჩინოთ). არასოდეს არ დამავიწყდება ჩემი პატარა მეგობრები და ის თამაშობა, რომელითაც ჩვენ დილიდან საღამომდე ვიყავით გართულნი. საღამოს კი თითქოს მძიმე შრომით მოღლილნი დედის კალთაში ჩავიძინებდით. მე და ჩემი პატარა ძმები დილიდანვე კვიცილ-წივილით მთელს ეზოს შემოვივრებდით. ყველაზე მეტად ჩვენს მეგობრებში ერთი მეზობლის ბავშვი გვიყვარდა. ის დაგვაშორეს და წაიყვანეს. დედის ერთა იყო. შემდეგ გვიამბეს, მამა სამოქალაქო ომში მოუკლესო, ქართველი იყოო.

— ტანია!—უჩვეულო გამოცოცხლებით წამოიძახა ვახტანგმა, წამოიწია, ორივე ხელი ჩასკიდა მკლავებში, რაღაც თავისთავად მიიზიდა, თვალბში ჩახედა,—ნუ თუ ეს შენა ხარ, ტანია!

ტანიას ვერაფერი გაეგო, რა მოხდა. ერთის მხრივ, შიშმა შეიპყრო, მეორეს მხრივ, რაღაც სიამის ნიავმა გაჰკრა მის გულს. შიში ვახტანგის ჯანმრთელობას შეეხებოდა, სიამის მიზეზი ისევე აუხსნელი რჩებოდა.

— ვახტანგ, რა მოგდით?—გაორებულის გრძნობით შეეკითხა ტანია, მისი ხმაც ასევე გაორებით გაისმა, წამოიწია, მაგრამ არ აღგა.

— აი, ვინ ვყოფილვართ ჩვენ! მიტიასთან ჩემი ჩხუბიც მოიგონე, ტანია, და მაშინ მიხვდები!

— ვახტანგ, ვახტანგ!!—თითქოს სიზმარში იყო და ვაიღვიძაო, ისე დაიძახა, წამოდგა, ვახტანგს მკლავებში ახლა თვითონ ჩასკიდა ხელები,—ნუ თუ ის ბავშვი ხარ, ვახტანგ!

— შენ კი ის გოგონა, რომელთან ერთად ფეხი პირველად დავადგი მიწას და გავიარე!

— არა, ზღაპარია მხოლოდ, ზღაპარი! ვახტანგ, მინდა ისევე ის ბავშვი დავინახო ახლაც მე შენში! მე მას ვხედავდი აქაც, ვგრძნობდი, თითქოს ვკითხულობდი წიგნივით და ვერ ამეხსნა!

— ნუ თუ შენც ისე, როგორც თვით მე?!—მოუგო ვახტანგმა. სისუსტე იგრძნო და ისევე დაეშვა.

ტანია ვახტანგის უფერულმა სახემ შეაკრთო. მაგა გაუსინჯა.

— როგორ ხართ, ალბათ დაიღალეთ. გაივლის სისუსტე, ცოტა დასვენე-
მეც შენთან ვიქნები. — „შენობით“ მიმართავდა, რადგან ის დაკარგული მე-
გობარი ბავშვი იპოვნა, რომელსაც გულში არასოდეს არ იფიქრებდა.

ვახტანგი მშვიდდებოდა, ხმას აღარ იღებდა, თუმცა თვალღებულად უკრთოდა. ეს იგრძნო ტანიამ, აღარ უნდოდა ხელი შეეშალა, გამოიღო, ფანჯარასთან ფრთხილად მივიდა, რაფას დაეყრდნო და ცას გაჰხედა.

გული უთრთოდა. ეს ჰოსპიტალი მისთვის უფრო ახლობელი გახდა დღეი-
დან. განა აქ მხოლოდ ცრემლები ახსოვს? აქ დიდი სიხარულიც უგრძნია
მას. ომის პირველ დღეებში ახალგაზრდა ექიმის გულს ყოველი წვრილმა-
ნიც კი მწვავედ ხვდებოდა. განსაკუთრებით მომაკვდავის გოდებას ვეღარ
უძლებდა. ყოველთვის იმაზე დიდ უბედურებას კითხულობდა იმავ გოდება-
ში, ვიდრე, შესაძლოა, თვით მომაკვდავი მასში აქსოვდა, მაგრამ მაინც არ
შორდებოდა. სავალდებულოდ მიაჩნდა მხოლოდვე გაჩეცადა ყველაფერი, რა-
საც მომაკვდავის ხმაში გრძნობდა ან მის თვალებში ხედავდა. მრავალგვარი
იყო საცოცხლესთან განშორების უკანასკნელი წუთები, — ასევე მრავალგვა-
რი იყო ტანიას მწუხარება მათს გამო. ცდილობდა რაიმე დახმარება იქა-
კი აღმოეჩინა, სადაც საიმედოს არაფერს არ ხედავდა.

მას ამშვიდებდნენ. არაფერი არ გამოდიოდა. შემდეგ კი თითქოს შეეჩვია,
იგრძნო: ისე დიდი იყო უბედურება, რომ მას ცრემლით ვერ ამოსწვავდა.
ამიტომ ცდილობდა გრძნობებს აღარ ასდევნებოდა, რადგან მას მხოლოდ
ზიანის მოტანა შეეძლო იმავე ადამიანებისათვის, რომელთა სიცოცხლისა-
თვის იგი იბრძოდა. სამაგიეროდ რა დიდი იყო ბედნიერება, როდესაც სი-
ცოცხლე ძალას იკრებდა, — ადამიანი ფეხზე დგებოდა!

ახლა კი დაჭრილ ვაჟაკში მეგობარი ბავშვიც აღმოაჩინა!

ვახტანგი უკვე თავს ისე გრძნობდა, თითქოს საკუთარ ოჯახში იყო. რა-
ღაც დიად სიმშვიდეს გრძნობდა. საკუთარ სუნთქვაშიც დაუსრულებლად
მიშვიდველ ჰარმონიებს უსმენდა. მოგონებანი ნეტარების მაუწყებელ ფრინ-
ველებივით მიჰქროდნენ თვალწინ. ცოტა გზა გაიარა? არც ისე დიდი, მთე-
ლი მისი თაობა ცხოვრებაში გადადებულ ყოველ ნაბიჯს მალე აჰყავდა...
ბოლოს დღევანდელი დღის სინამდვილე წარმოიდგინა. რუსეთის ველებს
მიმართა: — „სისხლნაკურთ ველებო, სისხლით გაეღენთილი თქვენი ნაყო-
ფიც წითლად გაამუქებს ქვეყანას“.

თავი მეთოთხმეტი

ბაღში დილით მარტოა ოქვია. ყველაფერს მშვიდად უთვალთვალუბდა.
მზე ახურებდა ჰოსპიტლის ბაღს. ყველაფერი ცოცხლდებოდა სხივებში.

ეზოში მიმოფანტული დაჭრილები თითქოს ცდილობდნენ ბუნების მყუ-
დროება არ დაერღვიათ: ისხდნენ თუ დადიოდნენ, უღრმეს ღეჟილს მაინც
არ არღვევდნენ, ახლადამოსული ბალახების სუნთქვას უსმენდნენ.

ვახტანგი ხან ბაღს გასცქეროდა, ხან ადიდებულ მდინარე მოსკოვს, ხან ჰოს-
პიტლის შენობას. ახლა ეს ჰოსპიტალი ვეებერთელა ფურნელ წარმოედგინა,
სადაც, ერთის მხრივ, ცხვებოდა სიკვდილი, მეორეს მხრივ — სიცოცხლე.

თვითონაც ამ ფურნეში ცხვებოდა. მისდა საბედნიეროდ ბოლოს წინა კი-
რიდან ცხოვრებაში გადმოისრიალეს.

ღღეს მიდის აქედან, დაუბრუნდება თუ არა ჰოსპიტალს ოდესმე? დღეი-
ზიაში ალბათ ელოდებიან; ვინ დაჩნა ცოცხალი, ვინ სამუდამოდ წავიდა?

მხოლოდ თენგიზისაგან მოუვიდა ბარათი და ისიც მაშინ, როდესაც ყოფნა-არყოფნის აგონია საბედისწერო ტალღებზე აცურავებდა.

ყველა აგონია დასტოვა უკან, მაგრამ მეგობრებიც შემოეთანჯრა. ალბათ, დიდ ხანს იგრილებს ამ ომის ცეცხლი. შეძლევ სოფელ სიმონისკენ მიქნებ ბედნიერი სიწყნარე, მაგრამ მაშინ ამ სიწყნარეს ჩვენში ვინ მოსტყმის? ალბათ ისინი დახოცილთა კეთქმელ სიტყვასაც მოუსმენენ ასეთ ღუბილში.

ფეხის ხმა მოესმა და მიიხედა. ტანია და ვილაც მეთაური ერთად შემოვიდნენ ეზოში.

ნეტავი, ის მეთაური ვინ უნდა იყოს? ეს ყაცი საღდაც უნახავს. დიად, ის არის: მდინარეში ცურვით გადიოდა, ტანსაცმელი წყლით გაეჟღერნა, მიიჩნებოდა. აი, ამ მეთაურმა თოკი ესროლა და ცაიყვანა. ვინაობის კითხვაც კი ვერ მოასწრეს და ურთიერთს იქვე დაშორდნენ.

წამოდგა. მიეგება და მიაძახა:

— მეგობარო, საიდან?

მოახლოებული მეთაურიც განცვიფრებული შესდგა უეცრად, რადგან ვერ იცნო დამარცხებით ჰკითხა:

— ძაბატიეთ, გოხს ვერ მოესულვარ. ვინა ხართ?

— მდინარეში ვიძირებოდი, თქვენ თოკი მესროლეთ, გადამარჩინეთ!

— ეს თქვენა ხართ? სალაში, სალაში! აი, აღმოჩენაც ასეთი უნდა!— შესძახა მოსულმა.

ტანია იდგა, რაღაც ეშმაკურად თავისთვის ქვეშ-ქვეშ იღიმებოდა:

— მაშ, თქვენ იცნობთ ერთმანეთს? ეს არ ვიცოდა. ეს ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ გეფიცებით, რომ თქვენ კიდევ არ იცნობთ ერთმანეთს.

— რას ლაპარაკობ, ტანია, რაღაც ეშმაკობა დაგჩემებია, — უთხრა მეთაურმა.

— შე იმას ეამბობ, რომ, — წარმოსთქვა ტანიამ და ვახტანგთან შეჩერდა. — მაშ თქვენ, მეგობარო, აი ამ კაცს, რომელმაც დახრობამს გადაგარჩინათ, უფრო კარგად ჩახედეთ თვალეებში. იქნებ ის არის, რომელზედაც მეკითხებოდი, და რომელსაც ბავშვობაში მიტიას ეძახდი?

ვახტანგმა უეცრად წამოიძახა: „მიტია!“ მიტიამ კი — „ვახტანგ!“ მიეკრნენ ურთიერთს, არა როგორც ვაჟაკები, არამედ თითქოს როგორც ბავშვები...



სადილის შემდეგ, როდესაც ჰოსპიტლიდან გამოწერილი ვახტანგი ეზოში გამოვიდა, წინ ისევ ტანია შეხვდა.

ტანია იღიმებოდა, სიტყვა უწყდებოდა, თავს იკავებდა.

გავიდნენ ბაღში. ვახტანგი ნაძვის ხეს მიეყრდნო. მის წინ თავდახრით შეჩერებულ ტანიას უთხრა:

— თენგიზმა სიტყვა არ შემისრულა. გნახეთ, მწერდა, მაგრამ ღღემდის არა სჩანს.

— მან იცის. ის მოვა. შენი გამოსვლის საათიც შეეატყობინე. თქვენ ჩქარობთ, ვახტანგ?

— ტანია, რას ამბობთ. ეს ყველაფერი თქვენ გააკეთეთ?

ტანიამ მხოლოდ ცალი თვალით ახედა. ის აღარ იყო ვახტანგი, რაც მას ლოგინად ჩაწოლილი ენახა, სუსტი, ფერმიხდილი, მოჩილი. თითქოს ტანსაცმელის გამოცვლამ თვითონაც გამოსცვალაო, ახლა მის წინაშე იდგა ჯანსაღი, თმაწამოზრდილი, მტკიცე გამომეტყველების მქონე ვაჟაკი. ამ ვაჟაკს აქაურობის თითქოს არაფერიც არ აგონდებოდა, ის მთელის არსე-

ბით, სხვაგან იყო. იმ „სხვაზე“ ფიქრობდა, მასვე ხედავდა, ამიტომაც დე-
ლადა. ამ კაცს მისი ყოველი სიტყვა კანონად ჰქონდა გადაქცეული, მაგრამ
თითქოს ბარტყი იყო და გაიზარდა, გაღმოფრინდა ბუდიდა. მითხრობს
შორს და იმ ბუდეს, სადაც ბარტყმა სიცოცხლე ჰპოვა, აღარც კი უცერს.
არც ის აგონდება, რომ თვითონ ტანია რჩება იმ ბუდეში! არცნაშაღი

— რატომ პასუხს არ მეუბნებით, ტანია?— ისევ შეეკითხა მისთვის.

— ახლა ჩემი უფროსი ხარ და მეშინია, — წარმოსთქვა ტანიამ, თანაც
შეეცადა ყველაფერი უბრალო ოხუნჯობაზე გადაეტანა, თუმცა მისი თვა-
ლები, საუბრის კილო და სახისფერი სულ სხვას ამბობდნენ.

— არასოდეს არ დამაფიქრებთ— ამ ჰოსპიტალში ბევრი მაღლიანი ხელი
მალამოსავით დნებოდა ჩემს ქრილობაზე, ყველაზე მეტად ეს შენ გეხება.
ახლა მივდივარ, არაფრის დაიწყება არ შეიძლება, მაგრამ უმთავრესი მა-
ინც წინ არის. ყველაზე ამ უმთავრესმა უნდა გასცეს პასუხი: წარსულზე,
აწმყოზე და მომავალზე. ჩვენც იქ გამოვიჩნდებით, რანი ვიქნებით.

მაშ, არაფერიც არ ავიწყდება ვახტანგს, ის ხელიც ახსოვს, მალამოსავით
რომ ეღებოდა მის ღრმა ქრილობებს?

ამით რაღაც დიდი შეება იგრძნო ტანიამ, რაც მის თვალბში, ვით სარ-
კეში, გამოისახა. ცოცხალ ქანდაკებასავით იდგა, ცოტა ხანს, შემდეგ საათს
დახვდა.

— ის ჩქარა მოვა. დავსხდეთ აქ, ვახტანგ! — წარმოსთქვა მან. სიტყვა ვერ
მოენახათ, მაგრამ თითქოს სიჩუმე ლაპარაკობდა.

ეს სიჩუმე დაარღვდა თენგიზის მოსვლამ.

ისინი დიდი აღტაცებით, სიყვარულით მიეგებნენ ერთმანეთს.

თენგიზი შიგადაშიგ თითქოს რაღაც სამწუხარო საიდუმლოს ფარავდა:
სიტყვა თუ ღიმილი მოულოდნელად ტუჩებზევე ეყინებოდა, მაშინ აზრიც
უფანტებოდა, შემდეგ სხვა საგანზე იწყებდა საუბარს.

როდესაც ვახტანგი მათი საერთო მეგობრების ბუდეზე ჰკითხავდა „ქარგად
არაიანო“, მოკლედ მოუჭრიდა, და ეტყობოდა ჩქარობდა, შეეცვალა საუბ-
რის თემა.

ვახტანგი მიხვდა, რაღაც სამწუხაროს უფარავდა თენგიზი. მაინც არ დაა-
ძალა, რომ გაეზიდა. (შესაძლოა იმიტომ, რომ ჰოსპიტლიდან მისი გასვლის
პირველი წუთები სამწუხარო ამბით არ მოეწამლნა, შემდეგ კი ეცდებოდა
მზად ყოფილიყო ყველაფრისათვის, ყოველგვარი მწუხარების ატანისათვის:
და შესაძლოა თენგიზიც ამიტომ არ უმხელდა გულში დაფარულს).

აი, მიტიაც მოვიდა, თენგიზს გააცნეს, ჰოსპიტლის ეზოში გზაზე შეჩერ-
დნენ.

ვახტანგმა მის გასაცილებლად ეზოში გამოსული, ჰოსპიტლის თანამშრო-
მელთა ჯგუფი შენიშნა, მათ მიეგება.

ჰოსპიტლის ჭიშკართან ტანიამაც დაემშვიდობნენ. ავტოში ჩასხდნენ. ავ-
ტო დაიძრა და გაემართა.

ტანია იდგა. მის გაფითრებულ სახეზე ცრემლები კრთოდნენ.

გამობრუნდა, ჰოსპიტლის ეზოში შევიდა. ფეხს მიადგამდა, გზას ველარ
ხედავდა...

... მოსკოვში საყვავილე მალაზიასთან შეჩერდა ავტო. თენგიზი ჩამოვიდა
ავტოდან და მეგობრებს უთხრა:

— სისუსტედ ნუ ჩამითვლით, ამხანაგებო, მაგრამ აქ უნდა შევიდე.
მოსკოვისათვის დაღუპულ გმირთა საფლავზე თაიგული მიწა წავიღო.

ვახტანგი ვაფითორდა. ცივად წამოდგა, თვითონაც ძირს ჩამოვიდა, ცოტა-
ოდენი დუმბილის შემდეგ ბაგე ძლივს გახსნა:

— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ხომ ხედავ არ გეკითხები. წაჭრდეთ,
თენგიზ, ვიცი ყვაილები მეც დამჭირდება.

იმათ მიტიაც წამოიწია და საყვავილეში ერთად შევიდნენ. მისი წინააღმდეგობით
თი სიტყვა წარმოსთქვენს მათ:

„ყვაილები“.

ცოტა ხნის შემდეგ შოფერმა სამი თავიული შეიტანა ავტოში.
მიჰქროდა ავტო.

მოსკოვის გარეუბნებს გამოირდნენ. ნაღვლიან დუმბილს უგდებდნენ ყურს.
შნელი იყო ამ დუმბილის დარღვევა, ამას ყოველი მათგანი, ერიდებოდა.
სიტყვას ახლა აზრიც არ ჰქონდა: ის, რაც უნდა თქმულიყო, უფრო მძიმე
იქნებოდა დუმბილზე, ამიტომ დუმბილს ამჯობინებდნენ.

ავტო მდინარის პირად, ნაძვების ტყეში შეიჭრა და უეცრად შესდგა. თით-
ქოს ასევე შეჩერდა ვახტანგის ფულიც.

აი, ჩამოვიდნენ.

თენგიზი წინ გაუძღვა მათ.

ვახტანგი თავდახრილი მიდიოდა. როცა თავი ასწია, მათა სასაფლაო გა-
მოხნდა.

მიადწიეს. თითქოს უნდა შეჩერდნენ, დრო არის, მაგრამ თენგიზი ჯერ კი-
დედ განაგრძობდა გზას საფლაოებს შორის.

აი, ერთი საფლაოს სანიშნო ბოძს მიუახლოვდნენ. ვახტანგმა ამ ბოძზე
მინაწერი წაიკითხა და ცივად იყვირა:

„სარდიონ!“—საფლაოებზე ძლივს მიადწია და მუხლებზე დაეშვა. გულში
კიდევ ერთი უნაზესი სიმი ჩაუწყდა. ამ გაწყვეტილი სიმის წივილი ესმოდა.

— ვახტანგ!—თითქოს შორიდან მოესმა თენგიზის ხმა.

ვახტანგი მარჯვენით დაეყრდნო საფლაოს, მარცხენა მიიფარა სახეზე და
ცრემლები წასკდა.

— ვახტანგ!—ახლა უფრო ახლოს მოესმა და მხარზე ხელის შეხებაც
იგრძნო.

მაინც დრო არა ჰქონდა ყურადღება მიექცია ამ ძახილისათვის, თუმცა ის
იმედივით ისმოდა.

ამ მძიმე წუთებში სურდა გულის უფლებას დანებებოდა, გაჰყოლოდა იმ
ტალღას, რომელიც გულიდან გამოდიოდა,—დაღუბულ მეგობართან აახლო-
ვებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოესმა:

— ვახტანგ, გეყოფა!

აქეთ-იქიდან ჩააღვს ხელი და წამოიყვანეს.

თითქოს ზღვაში იყო ჩამორული და ეს არის თავი ამოჰყოფო ტალღიდან,
შეაფრეილა, და გამოერკვა:

მეგობრები მხრებში შემოსდგომოდნენ.

— ვახტანგ, მე უფრო ადრე განვიცადე ეს ყოველივე!—უთხრა თენგიზმა.

— ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მეც კარგად შესმის, მაგრამ...—წარ-
მოსთქვა მიტია და იმევე შესწყვიტა.

ვახტანგი ისე ჩააცქერდა მეგობრებს, თითქოს პირველად ნახაო ისინი.
იქვე, ნორჩი ბალახით შემოსილ მიწაზე დასხდნენ.

იქნებ აქ არასოდეს არ მოსულიყვნენ, ეს საახლოე უკანასკნელი ყოფილი-

ყო იმათთვის, ამიტომ უნდოდათ მეტ ხანს დაჩინებით გაექარებინათ სი-
ცარიელე, რაც მათ გულუბში მეგობრის დაკარგვით გაჩენილიყო.

ეს ვახტანგა და თენგიზს შეეხებოდა, ხოლო მიტია უფრო მეგობრების
მწუხარებას განიცდიდა, რადგან ვმირი, რომელიც მის წინაშე საფლავში
იწვა, მას არასოდეს ენახა და მის დაკარგვას მეგობრებით ვერ შეეძლო.
ვახტანგი და თენგიზი განა მხოლოდ სარდიონის საფლავს უთხოვებოდნენ?
ძინი მოგონებათა ყველა ამ სიხარულს ეთხოვებოდნენ, რაც მათ სარდიონ-
თან აკავშირებდათ. ყველა ამ მოგონებებს სარდიონის ჩრდილი გადაჰყენო-
და.

ისმდნენ. გერ განშორებას არ აპირებდნენ. ამით უკანასკნელ ვალს იხდი-
დნენ დაღუპული მეგობრის წინაშე. სიახლოვე თვითონაც აუცილებელ მოთ-
ხოვნილებად გადაქცეოდათ. სეველიანი სოცვარულის გრძნობები გულში თან-
დათან აძევებდნენ სიცილიერეს.

ბოლოს ამ გრძნობებით დამშვიდებულნი ერთად წამოდგნენ.

ვახტანგმა სარდიონის საფლავს ფრთხილის ნაბიჯებით შემოუარა, და მის
თვალეში რაღაც აზრმა გაიელვა.

— შევეფიცოთ! ამიეროდან უფრო სესტიკნი ვიქნებით ბრძოლაში! სისხლის
უკანასკნელ წვეთამდე!

— ფიცაეთ!

ყვავილებით დაჰფარეს მეგობრის საფლავი და ჩუმის მოკრძალებით გამო-
რდნენ.

მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ერთმანეთს იმავე დღეს გამოუთხოვნენ.

... ვახტანგი მარტო იჯდა აეტოში. ფრონტისაკენ მიჰქოდა. ახლა დარე-
ჯანის უკანასკნელ ბარათზე ფიქრობდა: „ახალგაზრდა ექიმთაგან ქეთევანი,
ბენო ბერიძე და მე ნოვოროსიისკისაკენ ერთად გაგვგზავნეს“-ო, სწორად
დარეჯანი და ვახტანგი, რატომღაც სწორედ ამ სიტყვებს იმეორებდა. უფ-
რო კი სიტყვებს: „ბენო ბერიძე და მე“-ს უსვამდა ხაზს. ამ დროს მის ბაგე-
ზე ერთის წამით უსიამოვნო ირონიის ღიმილიც გაიჭროლებდა.

ეს ფიქრები თავიდან მოიშორა, მხოლოდ სიტყვა „ნოვოროსიისკისაკენ“
ჩარჩა მის გულში. ეს სიტყვა მისთვის ძლიერ ბეერს ამბობდა.

ეტყობოდა, მტერი კავკასიისაკენ გაქრას ფიქრობდა. თენგიზი კავკასიაში
გადაგზავნეს და ეს ახარებდა, — თითქოს თენგიზს შეეძლო კავკასია მტრის
შემოსევისაგან გადაერჩინა.

„ლენინგრადი ალყაში ჩაპყეტეს, მაინც ვერ გასტეხეს. მოსკოვის ვარიბ-
კეებს შემოესივნენ, ცხვირში მოხვდათ და უკან გაქუსლეს. ახლა სამხრე-
თისაკენ, — კავკასიისაკენ და ვოლგისაკენ“ გაიფიქრა. — ამწვანებულ ველებს
გაპხედა. — „რამდენ სიცოცხლეს აღმოატყენებს დიდი რუსეთის უნაპირო სიმ-
წვანის ზღვა“.

თავი მეთვთმეტე

გერმანელთა ჯარების ნიაღვარი, ერთის მხრივ, სტალინგრადისაკენ გაე-
მართა, მეორეს მხრივ — ყუბანისა და კავკასიისაკენ.

ამ ორ მთავარ ნაკადს შორის განსხვავება ის იყო, რომ ყუბანისა და კავ-
კასიისაკენ მტერი უფრო სწრაფად იწედა, ხოლო სტალინგრადისაკენ გზა
გაუძნელდა.

ამ ფაქტმა მტერს ფერაფერი შეაფნებინა, აქ მისთვის საბჭოთა სტრატე-
გიის საიდუმლოება უცნობი დარჩა.

ზაფხული იდგა. დილით შავი ზღვის სანაპიროზე, მახლობელი ტყეებისა და ზღვის წელი შრიალი აგრძელებდნენ საუბარს. (ვინ იცის, რამდენი ათასი საუკუნე განაგრძობდნენ ისინი ამგვარ საუბარს, თუმცა არაერთი თქვია: „აუ რა იყო ამ საუბარის ნამდვილი აზრი“).

სულ ახლოს, კავკასიონის მაღალი შუბლი დროისა და ^{მეცნიერების} მართლმეტრიუთ გარინდულიყო. ლაყვარდი ცა დაეხურა ზემოდა, ტახზედაც ცა წამოეხურა. თითქოს ყველაფერს, რაც ქვეყანაზე ზღებოდა, სპეტაკ შუბლზე უდოდესი სიღინჯით იწერდა კავკასიონი და საუკუნეებს უნახავდა სამარადისოდ.

ამ შუბლზე გერმანელთა შემოსევისა და კავკასიის ხალხთა გამირობაც იწერებოდა.

ზღვასთან, ასწლოვანი ხეების ტყეში, მხოლოდ ერთი შენობის სახურავი მოსჩანდა. ამ შენობის საყვამური ძლივს აბოლებდა, თითქოს ამით შენობის შიგნით სიცოცხლის ასევე შენელებულ მაჯისცემას გვამცნობსო.

უზოში ორმა თეთრხალათიანმა ქალმა ავადმყოფები მოინახულა. შემდეგ ნაბიჯებს მოუჩქარეს და ზღვისაკენ მიმავალ გზაზე დაეშენენ.

რამდენადაც შორდებოდნენ პოსპიტლის შენობას, იმდენად უფრო სწრაფად მიჰქროდნენ. საუბარსაც უფრო აცხოველებდნენ.

ტყე გაიარეს. ზღვაზე გავიდნენ. უმიზეზო სიცილი მორთეს. ჩქარობდნენ. ტანთ გაიხადეს, შემდეგ თითქოს ასაფრენად ასწიეს ფრთები და ზღვაში ძსუბეს.

მიჰქროდნენ ზღვაში და გაჰკიოდნენ:

- საღ ხარ, დარეჯან, ჩემკენ, მომყევი!
 - ვერა, ქეთევან, ვერ დამეწევი!— შორს მისცურავდნენ.
- მოღლილობა დაეტყოთ, სულს ძლივს იბრუნებდნენ. ტალღებს მაინც თამამად ებრძოდნენ.

— დარეჯან, გვეყოფა! შორს ნულარ წავალთ!— მოუწოდა ქეთევანმა. დარეჯანი ტალღაზე პირაღმა გაწევა და ხელი გაშალა. ხარბად სუნთქავდა. ამბილებული მეგრდი აღიოდა და ტალღასთან ერთად ეშვებოდა.

ქეთევანმაც წაპბაძა; ერთი შეჰკივლა, პირაღმა გაწევა და დარეჯანთან ახლოს მისცურდა. სულ ზედ, მხარი-მხარ ირჩეოდნენ ტალღებზე და ერთმანეთის სუნთქვაც ესმოდათ.

- დარეჯან, აქ ხომ სიმარტოვეს არა გრძნობ, ზღვაში?
- რატომაც არა.
- აი, ენახოთ და ის აქ მოსცურდა, პა, რას იზამდი?
- ის, შორს არის, ქეთევან.
- ენახოთ და, უეცრად მოგიახლოვდა.
- ფონებას დავკარგაუდი, ჩავინთქებოდი!
- ის ჩავიკრავდა, გაგიტაცებდა!
- სულელი ხარ, ქეთევან, როგორ იქნება!
- არ ისურვებდი?— მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ქეთევანმა და სიცილი მორთო.

თითქოს ორი მეგობარი ქალის საუბარს ყურს უყვებნენ, ტალღებმაც კი ხმა ჩაიკმიდეს, ოდნავ სუნთქავდნენ.

უეცრად თვითმფრინავის ზუზუნი გაიძმა ცაში.

ქალები შეკრთნენ. იმ თვითმფრინავის ქვემოთ, ზღვაში, ერთი საბჭოთა გემი შენიშნეს.

— დარეჯან, თვითმფრინავი მტრისაა, ბრძოლა იქნება! ჩქარა, სასწრაფოდ!— დაიძახა ქეთევანმა და ნაპირისკენ მოუსვა.

დარეჯანიც თან გაჰყვა, მაგრამ, ეტყობოდა, არა ჩქარობდა, რადგან ცალი თვალთ ახედებდა ცაში გაღიზიანებულ ბუზივით მოზუზუნე თვითმფრინავს:

— სულერთია, ქეთევან, დღეს თუ ხვალ წამოგვეწევა. არა აქვს!— გასძახა ქეთევანს, მის სახეზე შიშის ნატამალიც კი არა სჩანდა. როდესაც ნაპირს მიუახლოვდნენ, ზღვაში ზარბაზნების სროლა გაისმა და ერთის მაგიერ ოცამდე თვითმფრინავი აზუზუნდა პაერში.

ის იყო გასცურეს კიდევ და ზღვაში უფრო სასტიკი გუგუნე დადგა. გემთან ზემოლით ეცემოდნენ ყუმბარები და ზღვაში წყლის მაღალი სვეტები დგებოდნენ.

გემიც თითქოს გაბრაზებული ყოველის მხრიდან აფრქვევდა ცეცხლს. ქალებმა ტანსაცმელს მოხვიეს ხელი, დაიფიქრათ, რომ ჩაცმა იყო საჭირო, ვაშეშდნენ, ტანსაცმელი მკერდზე მიიფარეს. — უდაბნოში მიტოვებულ ანგელოზებზე თუ ცას მიაჩერდნენ.

პოსპიტლიდან მამაკაცის ძახილი მოისმა. ამ ძახილმა ქალიშვილები გამოაფხიზლა. ტანსაცმელი ისევ ძირს დაჰყარეს და ჩაცმა დაიწყეს.

შბოლოდ კაბების ჩაცმა მოასწრეს და იმავე მამაკაცის სიტყვებით მოისმა:

— დაწეკით, დაწეკით!

ქალიშვილებმა ახლა იცნეს ვინც იყო. მას არავითარი ყურადღება არ მიჰქცევს. ჩაცმა შშვიდად განაგრძეს, თანაც ზღვასა და ცას უთვალთვალებდნენ, სადაც ომის პირველი სურათები ეშლებოდათ თვალწინ.

— ყველგან და ყოველთვის დაწოლა ელანდება ამ ბენოს!— სთქვა ქეთევანმა.

— რა უნდა აქ, ხომ ნუღავს ეიცვამთ!— საყვედურით სთქვა დარეჯანმა. შემდეგ ბენოს გასძახა: — ცოტა მოგვითმინეთ! ქალები ვართ!

შავვერემანი, სახითა და ტანით ერთნაირად ჩამრგვალებული, დიდთავა ბენო შესდგა, ქალების ჯიუტობით თითქოს აღშფოთებულმა, ხელების ქნევით კვლავ დაიძახა:

— დაწეკით, დაწეკით!

როდესაც დარწმუნდა, რომ ქალიშვილებმა მის ძახილს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, ხელები ზურგზე დაიწყო და გაიოცა:

— ნეტავი მართლა გავიგდნენ თუ რა ამბავია!

— ბენო, თუ გული გიწევს, თვითონ დაწეკი!— ეშმაკურად მიიძახა ქეთევანმა და წკრიალა ხმით გადაიკისკისა.

ახლა ალბათ ბენოც დარწმუნდა, ჩემს ეშმაკობას მიმიხედნო ქალიშვილები. მართლაც მოჭრილივით დაეშვა სილაში და ისეთივე არაბუნებრივობით, როგორც იყო მისი აღშფოთება, ხითხითი მორთო.

ქალიშვილებმა ჩაცმა მოათავეს, მაგრამ ზღვაში გაჩაღებულ ბრძოლის სურათს თვალი ვერ მოსწყვიტეს. მტრის ერთი თვითმფრინავი აფეთქდა პაერში და დაეშვა ქვემოთ. ცეცხლისა და კვამლის გრძელი ნაკადი მოსდევდა თან. ზღვას თავით დაეხალა და ჩაიძირა.

ახლა მეორე მხრიდანაც მოისმა თვითმფრინავის ზუზუნე.

— ეს ჩვენებია!— აღფრთოვანებით დაიძახა ქეთევანმა, დარეჯანს მოეხვია და გადაჰკოცნა.

როდესაც საბჭოთა თვითმფრინავები ბრძოლის ასპარეზს მიუახლოვდნენ,

მტრის თვითმფრინავებმა პირი იბრუნეს. ჩქარა ყველანი შორს მიიძლინენ სივრცეში და გუგუნიც მიწედა.

ქალიშვილებმა კმაყოფილებით ამოიხუნთქეს. შემდეგ კოსპიტლისაგან იბრუნეს პირი და გაემართნენ. მათ სულ დაავიწყდათ, რომ იმგვარად უნდა სილაში.

სამაგიეროდ თვითონ ბენომ მოაგონა, რომ ცოცხალია; როდესაც მას ახლოს ჩამოუარეს, უეცრად ბუჩქიდან თავი გამოჰყო და ქალებს ნაგაზივით შეჰყეფა.

დარეჯანი წამოწითლდა. ქეთევანმა კი შეჰკივლა და განზე ისკუბა. ბენომ ყეფა ხარხარით შესცვალა.

ქალიშვილები გაკვირებული იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. ამ დღემიღმა ბენო აიძულა ხარხარი შეეწყვიტნა. წამოდგა, მტვერი გაიფერთხა და ქალიშვილებს მოუახლოვდა:

— ძაღლი ხარ, ბენო?—ჰკითხა ქეთევანმა.
— ძაღლი კი არა, ფინია ვარ და ალერსი მინდა,—უპასუხა და წინ წამოსული კბილები გამოაჩინა.

კოსპიტლისაგან ერთად წავიდნენ. მათ შორის ცივი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

— არა გრცხვენიათ; ასეთი რა დავაშავე, ხმას რომ არ იღებთ?—ხელებს გაშლით წარმოსთქვა ბენომ და თითქოს მეტად გაკვირებული გზაზე შეჩერდა.

— უცნაური ხართ, სხვა აჩაფერი!—მოუჭრა დარეჯანმა.
— აბა რა ვქნათ, ქალებო, ომში ვართ, ცეცხლში ვართ, უცნაურიც არ ვიყოთ, მამ რაღა ვიყოთ?

— ექიმს მეტი სიღინჯე მოეთხოვება!—ჩაურთო ქეთევანმა.
— აჰ, ნულარ მეტყვეობ!—შესძახა ბენომ.—სიღინჯემ და ფილოსოფიამ გამათავა და მეტი აღარ ვარ! ახლა ცოტა უნდა ვიცინოთ, ვიცოდელით, ამით მოვატყუოთ ჩვენი გამჩენი, თორემ აქ სული ამოგვხდება მოწყენილობით!

— აგრე სანამ უნდა იოხუნჯო, ბენო. კაცს ეგონება, ოხუნჯობაში ხართ დაბადებული და დადინჯების უნარი არც გაგაჩნიათ,—უთხრა დარეჯანმა და ფეხს აუჩქარა.

— ოხუნჯობაში დაბადებული არა ვარ, მაგრამ გაჩენილი კი უნდა ვიყო! რაკი დარეჯანი გამორადა, ქეთევანს ჰკითხა:

— შენ რაღას იტყვი, აგრე არ არი?
— ნუ გაგვიწყობი, ბენო, ამხანაფისათვის პირში თქმა სჯობს, ძლიერ აჭარბებ,—მოუგო ქეთევანმა.

— გამაწითლეთ, ქალებო. რადგან აგრეა, აი, კათედრაზე შევდგები, მუცლით წინ წამოვიწევი, ხელსაც გავიშვერ და დაძაბული ფრაზებით გეტყვით: კანტისა და ლაპლასის თეორიები სამყაროს წარმოშობის შესახებ...—აღარ ვანაგრძობ და ეს ფრაზა ჩითხითით დააბოლოვა.

— დარეჯან, სულერთია, მაგას ჩვენ ვერ გამოვასწორებთ, იხარხარონ რამდენიც სურდეს!—ხელის ჩაქნევით სთქვა ქეთევანმა.

კოსპიტლის ეზოდან გამოსული ვიღაც თეთრხალათიანი ქალის ძახილი მოისმა:

— ქეთევან, ქეთევან! ჩქარა, ჩქარა!
— ალბათ ისევე ოპერაცია!—წარმოსთქვა ქეთევანმა და გაიქცა.

დარეჯანთან მარტოდ დარჩენილმა ბენომ სიტყვა ვერ მონახა.

დარეჯანსაც აღარ სურდა საუბრის გაგრძელება ბენოსთან.

ბენო მაინც ცდილობდა ეთქვა რაიმე. მან ახლა დარეჯანთან მარტოდ დარჩენით დაჰკარგა სითამამე, რომელიც არასოდეს არ დაღუპებოდა. თითქოს ენა ყელში გაეჩხირაო, ხელება დაიწყო. ახველა მანამდე, ვიდრე ეთქვამს სათქმელი არ მოისაზრა. შემდეგ ისეთი სერიოზული გამომეტყველება მიიღო, რომლის უქონლობას, მას ყოველთვის უსაყვედურებდნენ ქალიშვილები.

— დარეჯან, — ძლივს, ნერწყვის ჩაყლაპით დაიწყო მან, — მართლაც ოხუნჯობა და უთავბოლო ხარხარი ვიცი, მაგრამ ახლა, აი, ამ წუთში, როდესაც შენთან მარტო ვარ, პირველად ჩემს სიცოცხლეში მინდა სხვა გავხდე, — ერთი სიტყვაც კი არ დამცდეს იმაზე მეტი, რასაც არა ვგრძნობ და არ განვიცდი. ვთხოვ, მაპატიო, თუ რაიმე ზედმეტი ეთქვა, მაგრამ სიმართლეს აღამიანს აპატიებენ. ალბათ შენც ვგრძნობდი, რომ გულგრილად შენთან ყოფნა არასოდეს შემეძლო. ოხუნჯობაშიც გული მტკივდა. ვერასოდეს ვერ მოვახერხებ მეთქვა, რაც სურდა. პირველად ჩემს ოხუნჯობას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ეს თქვენ გახარებდათ, გაცივებდათ და მას აზრი მიეცა. ბოლოს ვიგრძენი, რომ ეს უკვე თქვენ გაბრაზებთ გახარების მაგიერ. დღეს კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამ საშუალებით მიზანს ვერ მივაღწევ.

— რაღაც მეტად გრძელი ამბავი გამოდის, ბენო, — ჩაუერთო დარეჯანმა, რომ ამით დისონანსი შეეტანა ბენოს მიერ დაწყებულ ისტორიაში.

მიუხედავად ამისა, ეტყობოდა ბენოს დღეს არა სურდა უკან დახევა.

— შესაძლოა გამიგრძელდა, — განაგრძო მან. — მაგრამ სჯობს ითქვას, რაც სათქმელია, დიად, მე ვამბობდი (ამ უკანასკნელმა სამმა სიტყვამ შეაშინა: „მგონი პროკურორის სტილზე გადავედიო“ და სიტყვა შეარბილა), მხოლოდ გულწრფელობის გზას მინდა მივედო. მე ვიცი შენ ვახტანგი გიყვარს (ვახტანგის ხსენებაზე დარეჯანი უეცრად წამოწითლდა, თვალბშიც თითქოს სიბრაზემ გაუღვლა და ხელში დაჭერილი ცხვირსახოცი დასრისა). მაგრამ მე რა ვქნა, განა ძლიერ დავაშავე, რომ შემეყვარდი?

ახლა კი ველარ მოითმინა დარეჯანმა და ცივად მიამხა:

— გვიან დავრწმუნდი, რომ სტლელი ხარ!

— რა მოხდა, დარეჯან, ასეთი რა ეთქვი? — მხოლოდ ეს სიტყვა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხელებს მაინც გაკვირვებით შლიდა უზაროდ.

— მეტი დრო აღარ მაქვს! — დაიძახა დარეჯანმა და გაიქცა.

ბენო შეჩერდა. აუცილებელი იყო ახლა მაინც ეთქვა რაიმე: მეტი ვერაფერი მოისაზრა, ხელი მალლა ასწია, კარგა მანძილით განშორებულ დარეჯანს ძლივს მიაწვდინა:

— დიად, მაპატიეთ, მეც მომავონდა: ზღვაზე მაქვს საქმე! უნდა დავბრუნდე!

მართლაც, მყისვე პირი იბრუნა და ზღვისაკენ დაეშვა.

„სისულელეში პირველი ვარ, მაგრამ სიყვარულში ბედი. არ მქონია“ — უთბრა თავისთავს. ფეხს აუჩქარა, თითქოს უკან აღევნებულ უსიამოვნო ამბებს იგერიებდნო, მივლი ძალით ხელებს იქნედა და წინ მიჰქროდა.

ზღვის პირას რომ მივიდა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. მართლაც, ფილოსოფოსის პოზით გაპხედა ზღვას, იქით-აქეთ სიარულში, რაღაც ოფიციალურის ტონით ხმამაღლა ეკამათებოდა თავისთავს: „ვნახოთ და, საკითხი მე

ასე დაესვილ არა, სხვანაირად!.. წარმოვიდგინოთ, რომ დარეჯანი... არა, არ ვარგა! დარეჯანი აქ რა შუაშია დიად, თავიდან უნდა დაიწყო! ვთქვათ, რომ ინსტიტუტიდანვე მეტი ჰქონა გამოყენება. თხუნუაობის მიგებრ დიალექტიკაზე დამეწყოთ კამათი. შემდეგ აქაც, პოსპიტალშიც, თავი უნდა დაეხმოს დამეპირა და საღამოობით დასვენებისას ირგვლივ ტაბილტაქოების მიმომეფრქვია. ამოდენა თავიდან სიცარიელე გამომეშვა და ჰქონა შემეშვა, — რა იქნებოდა? დიად, მოვიგებდი, უსათუოდ ვაფიქრებდი! — და მან შემბლზე საჩვენებელი თითი მიიკაჯენა. — ახლა კი რა ვარ, რომელი კაჟკაჟი ვარ ამ ქვეყანაზე? არც ჰქონა, არც უქცეომა აღარ მიშველდა! ეს განვლილი ეტაპებია. მამასადამე, ახლა სადა ვარ! — ზღვაზე ვარ და ცურაობა მჭირდება! — უპასუხა თავისივე კითხვაზე და ქუდი ძირს დააგდო, გაიხანდა, შავი ბალნით გაბურძვნილი, ტარტარობის ტანი გამოაჩინა, ხელები მაღლა აიშვირა და ზღვაში შესტომა. შემდეგ პირაღმა გაწვა ტალღებზე და ჩაიხიბო: „ჩინებულა, დიად, მას ვუჩვენებ, დიად, ვუჩვენებ“ — იმ აზრმა, რომ შეუძლია რაიმეთი გადაუხადოს, წამსვე უკანვე გამოაცურა, თითქოს ვინმეს ებრძვისო. პაერში მუშტები დაატრიალა. ჩაიკცა. ქუდიც დაიხურა და არხეინად ვაეძაროთა პოსპიტლისკენ, ახლა ხელებს წინ ისე შლიდა, თითქოს კვლავ ზღვაშია და მისცურავსო: გზადაგზა რაღაც თავისებურად მიიღიბებდა. ზოგჯერ „ჯაზის“ დამკვრელებსაც კი აჯავრებდა და გადმობრუნებულ ტუჩებით რაღაც უცნაურად პუტუნებდა.

როდესაც პოსპიტლის ეზოში შევიდა, შეანელა ხელებით „მარშირება“, შეაჩერა პუტუნი, ქუდიც მოიხანდა; ეს „ცილინდრად“ წოდებული, სანაგვე ყუთი ილიაში ამოიჩარა. ფეხაკრებით შეძერა პოსპიტლის უკანა კარში და თავის ოთახისაკენ იგვერდზე მოუხედავად განაგრძო გზა. არაფრისა და აღარაყის დანახვა, აღარ უნდოდა. თუ ვინმე წინ შემოხედებოდა, ისეთი სახით გადახედავდა, თითქოს ამბობდა: „ხომ ხედავთ როგორ დიდმნიშვნელოვან ფიქრში ვარ წასული და არ გაბედოთ, ხელი არ შემეშალოთ“.

მართლაც გაუმართლა ამ ხერხმა. მშვიდობიანად შეაღწია თავის ოთახში. შესვლისთანავე მივიდა, გამოალო მაგიდის უჯრა, ამოჰყარა ძველი წიგნები. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისას, მთელი კურსის მიერ ერთად გადაღებული სურათი იპოვა, გაულმმა და დაიძახა: „ჩინებულა! მე ვდგევარ უკანა რიგში, პირველში კი დარეჯანი ჩემს წინ ზის. საჭიროა დანარჩენები ჩამოვიშოროთ. ჩვენთან რა აქვთ საერაფო? როგორ მოვიფიქრე და დარეჯანის უკან ვაეჩერდი! დიალექტიკური ფორმულა დაემთხვა დედანს. განაჩენი სისრულეში უნდა მოვიდეს!“

მაგიდაზე პირდაპირ დასდო სურათი, ღიმილით მიაჩერდა, შემდეგ ისევ შევებით შემოჰყარა ტაში და ადგილზევე შემოტრიალდა: „მოიცაო, მოიცაო!“ — დაიძახა და საჩვენებელი თითი იტაკა შემბლში: — „ჯერ მაკრატელი მჭირდება. შემდეგ კი მისამართი იქნება საჭირო. ჩინებულა!“

ბენოს მიერ გაჯავრებული დარეჯანი პოსპიტალში მარტო დაბრუნდა. სუნთქვაშეკრული შეიჭრა თავის ოთახში. ფეხის კერით მიმოჰყარა სკამები, საწოლზე პირქვე დაემხო და ტირილი მორთო:

„ჩემი ბრალია, რათ არ დავითხოვე აქამდე!“

კარგა ხანს ღვარა ცრემლები, თუმცა აქ ცრემლების მიზეზი უფრო სხვა იყო: მსგავს შემთხვევაში, თუნდაც უბრალო გაღიზიანებებს დროს, ვახტანგი მოაგონებოდა. გული შეეკუმშებოდა, რომ ცრემლის წვეთები გამოეწურა. ასე ეგონა: ქვეყნად ყველა სატრფიალო სიტყვები მხოლოდ ვახტანგისათვის

იყო გამოგონილი, მარტო მას შეეძლო ეთქვა (ისიც მხოლოდ დარეჯანისათვის) და თვითონ ეახტანესაც (მხოლოდ დარეჯანისაგან) შეეძლო მიეღო ასეთივე პასუხი. ამიტომ მსგავსი საქციელი ყველა სხვა მამაწაყისათვის გამედევნებული უღრმეს შეურაცხყოფას აყენებდა.

გაიღო კარი და ქეთევანის ძახილი მოისმა:

— სადა ხარ, დარეჯან! რაო, სტირი?— შეეკითხა და გულზე ცემა დაუწყო. ვინ იცის ამ ერთი წამის განმავლობაში რამდენი რამ წარმოიღვინა. ათრთოლებული ხელი ძლივს მიაწვდინა, დარეჯანს და მისთვის სახიფათო კოხვა დაუსვა:

— ფრონტიდან, დარეჯან?

დარეჯანი მიხვდა; ახლა დაჩუმება დანაშაულს უღრისო, თავი ასწია:

— არაფერია, ბენომ გამაჯავრა. გული ვიჯერე!

ქეთევანმა ძლივს შევებით ამოისუნთქა, სკამზე დაეშვა. დარეჯანს ხელი დაუსვა სახეზე, ცრემლები მოსწმინდა, ტუჩები აამოძრავა. ბოლოს დაყვავებით უთხრა მეგობარს:

— არა გრცხვენია? გული კინაღამ ამომივარდა, იმ „ხარის თავისათვის“ ავტორლებოდი?

— არა. შენ არ იცი, ქეთევან, მაგისათვის კი არა, მე არ შემიძლო... ახლა უფრო მშვიდად ვარ. შენ შეგეშინდა? ო, არა, არა, წარმოდგენაც კი არ შემიძლია! რასაც შენ ფიქრობ, ის რომ მოგვივიდეს, მაშინ ცრემლი კი არა, ტყვია უფრო ტკბილი იქნებოდა, ქეთევან!

— კარგი. ახლა გვეყოფა. დავისვენოთ. მორიგეობა გვიწევს ამ ღამით. აი, ერთი მაიორო, — ტანკისტი მოოყვანეს და ნახევარი ლოყა არა აქვს. სიტყვის თქმასაც ვეღარ ახერხებს, მაგრამ სულ მე მიცქეროდა. იღიმებოდა. რა უნდა ვქნა? ვანა ტირილი უნდა დავიწყო?

— არა. ეს სხვაა ქეთევან. ვინ იცის, იქნებ მწუხარებით იღიმება ტანკისტი.

— მაინც რითი მოგაყენა შეურაცხყოფა?

— ახსნა-განმარტება დამიწყო!

— ოჰო, ეს გვაკლდა! — მიუგო ქეთევანმა, შემდეგ ისევ რბილად მიმართა: — აბატიე, დარეჯან! ზოგჯერ გვაცინებს და ესეც კარგია!

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ქეთევანმა გაუღო და უმალ ბენოს კბილებმა გაიღვეს კარებში.

„აბატიებოთა შენითა მოიპოვე სიმშვიდე შენი!“ — ჩაილიღინა და შემოვიდა. დარეჯანი წამოდგა. ლოგინზე დაჯდა, სისხლივით გაუწითლდა ლოყები და მრისხანედ სთქვა:

— არა! ზედმეტია, არ შეიძლება!

— დარეჯან! — არა ღირს, დარეჯან! — მიამბა ქეთევანმა. შემდეგ ბენოს წყრომით შესძახა:

— თქვენ კი — სირცხვილი! მოთმინებას ბოროტად რატომ იყენებთ! ნუ იფიქრებთ რომ ეს ჩვენი სისუსტის მიზეზი იყო!

— რაშოა საქმე? — გაცვირვებით იკითხა ბენომ და, თითქოს ლექციის კითხვას იწყებსო, ოთახში დიხჯად გაისვირნა.

— ბოლოს და ბოლოს კაცი ვარ და ეჭიმი მქვია, თვალს არ მაკლია და თავიც მაბია. მერე რა მოხდა! ერთხელ მადონასაც კი გაუბედვროს სიყვარულის გამოცხადება, მაგრამ ამისათვის თავი არ მოუყლავეს! ერთხელ გედიმ მღერის მის სიციოცხლეში და იმ წამსვე ტყვიას არ ესვრიან. გედი თვითონ

კვლევით სიმღერის შემდეგ. მომეცით ნება, მე თვითონ მოვკვდე. როცა დრო მოვა. მანამდის კი მადროვეთ ცოტა, გავიცინო და ვიციხვირო. ვინაა კიბობდა ბენო და თანაც ცალი თვალთ მავიდაზე დაყრილ ძველსა რუ. გავიხეინად გამზადებულ კონვერტებს უთვალთვალებდა. ბოლოს კიბობდა კიბობდა ბლოკნოტი და ფანქარი, წერა დაიწყო (ის კონვერტზე ^{გაწერილი} მისამართს იწერდა).

— აი, რაც თქვენ მასწავლეთ, ყველაფერს აქ ჩავიწერ, წელთაღრიცხვასაც არ დავივიწყებ, და შემდეგ აღარ გავიმეორებ.

— არ არის საჭირო! თქვენი გაზრდა ჩვენი საქმე არ არის! მხოლოდ მე არა მსურს თქვენი მოსმენა!—მიაძახა ღარეჯანმა, ზეზე წამოდგა და კარზე უჩვენა.

— ბოლიში, პარღონ!—დიდი მოწიწებით მიუგო ბენომ. თავი დაბლა დახარა, შემდეგ კიბოსავით უკანსვლით მიეყრდნო კარს, — თქვენ ხასიათზე არა ხართ ღლეს! იქნებ ცამ პირი გაალოს და გაილიმთ ოდესმე!—ეს დაუმართა, კარი ზოგავით გააღო და გარეთ გავიდა.

ოთახში მხოლოდ აღშფოთებული ღარეჯანის კშენა ისმოდა.

...იმ ღამეს ღარეჯანი მეორე სართულში მორიგეობდა, ხოლო ქეთევანი შესამე სართულში.

იქ, სადაც ქეთევანი მორიგეობდა—ყველაზე მძიმე მდგომარეობაში, იგივე ლოყამოგლეჯილი ტანკისტი იყო. ამიტომ ქეთევანიც უფრო ხშირად შედიოდა იმ პალატაში, მაჯას უსინჯავდა, ნემსს უკეთებდა. წამლებს აძლევდა, დიდი ხნით შარტო არა სტოვებდა.

ავადმყოფი ზოგჯერ მომღიმარე თვალებს მიაშტერებდა, ისევ ხუჭავდა. ღამის ხუთ საათი იქნებოდა, ერთხელ კიდევ გაუკეთა ნემსი ავადმყოფს. სკამი ახლოს მიიღგა და ზედ მძიმედ დაეშვა.

კინალამ ჩაეძინა, მაგრამ თითქოს სიზმარში მოესმა ჩურჩული: „ქეთევან“.

გამოფხიზლდა ქეთევანი. თვალები დააცეცა. მაიორის მომღიმარე თვალებს წააწყდა. ახლა დარწმუნდა, თუ მისი სახელი ვინ ჩასტერჩულა.

— ეს თქვენ იყავით? ვინა ხართ თქვენ, საიდან მიცნობთ!

მაიორმა ისევ თვალებით გაუღიმა, შეეცადა ეთქვა რაიმე, მაგრამ ეერ მოახერხა. რაღაც უჩინარი ძალისხადმი საყვედურით თავი გვერდზე გადააქნინა.

— ქართველი ხართ? — ჰკითხა ქეთევანმა.

მაიორმა თანხმობის ნიშნად მხოლოდ თვალები დააჩამხამა და უფრო მშვიდად ამოისუნთქა.

ამის შემდეგ ქეთევანი ბევრს ეცადა, მაგრამ ავადმყოფს ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინა.

მაიორი თითქოს არც ცდილობდა რაიმე ეთქვა.

შიგ. პალატაში, შუქმა იმატა. ახლა მიხვდა, რომ თენდებოდა.

დასტოვა ის ოთახი. მიდიოდა. მუხლები ეკეცებოდა, კედელზე ხელების ფათურით, არეული ნაბიჯებით, გაიარა ღერეფანი. სამორიგეოში თვალდახუჭული შევიდა. ხელით აბოვა სკამი, დაჯდა სარკმელთან და გარეთ, შორს, თეთრად მოელვარე მწვერვალს გაახედა.

წარმოიდგინა, რომ ის მწვერვალი კი არა, ამირანის ხმალია მტერზე მონაქნევად მომარჯვებული.

ქეთევანს თვალები ეცრემლებოდა. მაიორის საბედისწერო მდგომარეობამ თენგიზი მოაგონა. იქნებ თენგიზიც მაიორივით წევს საღმე ენაჩაეარდნილი

და სიკვდილს ებრძვის. ალბათ სარდიონიც ასე იბრძოდა, მაგრამ მისი გადაუტყდა ბრძოლაში, სიკვდილის აჩრდილმა დაიმორჩილა. ისლა თველებში ჩამდგარ ცრემლებიდან დანახული ქვეყანა თითქოს სხვა იყო: მთები, ტრუბლები, თუ ხეები ერთად ცურაობდნენ სივრცეში და ცრემლებით დასველებულნი იყვნენ. აი, იქიდან გამოცურდა თენგიზის სახე. აქეთკენ მიხვეს, უანლოვდება! შეერთა ქეთევანი. მოიწმინდა ცრემლი და...

მართლაც, ეზოში შემოსული ვიღაც სამხედრო კაცი ხეებთან შეჩერდა, ყუთი ძირს დასდო, სული ჩაითქვა.

— თენგიზ, თენგიზ! — დაიძახა ქეთევანმა. გაიჭრა ღერეთანში და „თენგიზის“ ძახილით დაეშვა ქვემოთ. მტორე სართულს რომ ჩააღწია, ამ ძახილით შეშინებული დარეჯანის მხოლოდ გაფართოებულ თვალები შენიშნა. არც კი შეჩერდა. ისევ კიბეებს ჩასდია ქვემოთ.

— ქეთევან, რა მოგდის, ქეთევან?! — მიაძახა დარეჯანმა.

ქეთევანს არაფერი აღარ ესმოდა.

დარეჯანიც მას გამოუდგა. უეცრად ურთერთზე გადახვეული, თენგიზის და ქეთევანის ქანდაკება შენიშნა ეზოში.

— თენგიზ, თენგიზ! — დაიძახა დარეჯანმაც. გაიქცა, მაგრამ ახლოს ვერ მივიდა. მუხლები იცეცებოდა. ვახტანგი არ მოსჩანდა აფნგიზის გვერდით.

ნახევარი საათის შემდეგ, იმავე სამორიგეოში ისხდნენ ისინი. ქალები აუარებელ კითხვებს აყრიდნენ, მაგრამ თენგიზი დიდი სიმშვიდით, აუჩქარებლად, მხოლოდ რამდენიმე კითხვაზე უპასუხებდა.

ერთი კითხვა, რომელიც ქალიშვილების თვალებში სჩანდა, მაგრამ რომელზედაც არაფერს არ ამბობდნენ, ეს იყო მათი გაოცება: როდის და როგორ შეეძინა თენგიზს ამოდენა სიმშვიდე, ნუთუ ოპში მოიპოებოდა ასეთი რამ? თენგიზსაც უამბეს, რაც მათ გადაზნადათ.

ქეთევანმა მძიმედ დაჭრილ ქართველ მაიორზედაც უამბო ბოლოს და მალე სამივენი მოჩვენებასავით წარსდგნენ დაჭრილის წინაშე.

მაიორმა წამწამები დაახამხამა, ალბათ ვერ გაეგო, სიზმარში იყო თუ ეს ყოველივე ცხადად ხდებოდა. — უეცრად გაკვირვება გაჰქრა მაიორის თვალებში. თითქოს წამოწევა სცადათ, თავი ოდნავ შეარხია ბალიშზე.

რაღაც ახლობელმა შუქმა გაჰქრა თენგიზის გულს. შუბლზე ხელი მიიღო და გაიფიქრა: „ნეტავი ვინ არის? ასეთი სიბალოე... თვალები, თვალები!“

— ნუთუ გვარი ვეღარ გაიგეთ? — იკითხა თენგიზმა.

— არავითარი საბუთი არ მოჰყოლია. მხოლოდ ტანსაცმელით მივხვდით, რომ სატანკო ნაწილის მაიორია, — განუმარტა ქეთევანმა.

ახლოს მიუსხდნენ.

მაიორმა ტუჩების ამოძრავებით ანიშნა ქეთევანს, რომ წყალი უნდოდა. ქეთევანმა კოვზით დაალევინა. მოულოდნელად მოისმა მაიორის ჩურჩული: „მირზა“.

თენგიზი წამოიქრა:

— ძვირფასო მირზა!



... დღის ამ საათზე უფროსმა ექიმმა დაჭრილი ინახულა. დიდი სიხარულის გამოსათქმელად წრე გააკეთა ოთახში, ისევ მაიორის წინ შესდგა და ხმადაბლა სთქვა:

— მეგობარო, ამ გამარჯვებას თქვენც მოგილოცაეთ! — ამით ექიმს უნ-

დოდა უთქვა, რომ მთავარი ამ გამარჯვების მოპოებაში იყო არა მკლამყოფი, არამედ ექიმი.

თენგიზი იმავე დღეს გაბრუნდა თავის ნაწილში. გამოშვებულობებისას ზღვის პირად შეჩერებული ქეთევანის ძახილი ახლაც ესმოდა მშვიდობით, მშვიდობით!

თავი მეთექვსმეტე

ზაფხული მიიწურა.

გამშავებული ზღვის ტალღებით ცეცხლო გიზგიზებდა სტალინგრადის მისადგომებთან. ამ ცეცხლმა გადააშავა სტალინგრადის ვრცელი ველები. გარუჯულ მიწას თოფის წამლისა და სიკვდილის სუნი სდიოდა.

„სიკვდილის გზა“ — ასე უწოდა თითონ მტერმა სტალინგრადისაკენ მიმავალ გზას, სადაც მათი დივიზიები ზედიზედ წვებოდნენ, — სამუდამოდ იმარხებოდნენ.

წითელი არმიის წინააღმდეგობა თითქოს უნდა შესუსტებულიყო, მაგრამ პირიქით, ძლიერდებოდა, — როგორც ქართულ თქმულებაშია:

რამდენადაც მეტს ურტყამდნენ დევს, ამდენადვე ძალა ემატებოდა, კიდევ უფრო საშიში ხდებოდა.

ამიტომ სივრცეში მისული მტერი ცდილობდა თუნდაც ერთი ნაბიჯით წინ წამოწევას. ის უკვე გრძნობდა, რომ აქ, სტალინგრადის ველებში ყველაფერი ერთად იმარხებოდა:

ათასების სიცოცხლე, „უძლეველი“ არმიის პრესტიჟი, გამარჯვების ყველამ იმედი.

მაინც არ სურდა გავმელაგებინა თავისი სისუსტე. ქანცამოლევამდე ისევ სტალინგრადისაკენ მიჰქონდა თავი. წითელი არმია კი ამ თავს ურტყამდა და სისხლს ადენდა.

ხუთი სახელმწიფოს ხუთ ხმაღს წითელი არმიის ერთი ხმალი უმკლავდებოდა. ხოლო რამდენადაც ბრძოლა მწვევდებოდა, ხანგრძლივი ხდებოდა, ეს ხმალი უფრო იწრთობოდა, მტკიცდებოდა და ელვარებდა.

ეს ელვარება ანათებდა მსოფლიოს, აოცებდა კაცობრიობას.

სტალინგრადის მატლობლად ერთ ღრმა ბლინდაში ჩავიდნენ ისინი:

ვასკამ თავი დახარა, ოფლი მოიწმინდა სახეზე, ზურაბს მხარზე დაეყრდნო, მიწაზე დაჯდნენ.

ბრძოლა უკვე შეწყვეტილიყო, მაგრამ ამ ბრძოლების ციებცხელებიდან ჯერ მიწაც არ იყო დამშვიდებული.

— მოგშივდა თუ მოგწყურდა, ზურაბ?

— ერთად დამემართა ორივე!

— იქნებ ძილიც არ გენატრება?

— რა სათქმელია.

— განა მუსია ონისიმეს ასულიც არ გენატრება?

— მუსია? მოგონებისთვისაც დრო ყოფილა საჭირო.

— სიმართლე სთქვი, რომლის სიყვარული უფრო დიდია: შენი მუსიასადმი თუ მუსიასი შენდამი?

— ორთავეს სიყვარული დიდია. ჩვენ უმცირესიც ველარ ვიგემეთ.

ვასკამ გამშრალი ენა აამოძრავა და შემდეგ განაგრძო:

— მაინც შიმშილი უფრო მძიმეა თუ წყურვილი ზურაბ?

— ჩემის აზრით, მძიმე არც ერთია და არც მეორე. ერთი გამოსავალი მანც არის აქ დარჩენილი.

— რა არის ეს გამოსავალი?

— სიკვდილი. მოგშივდება — მოკვდება, მოგწყურდება — მოკვდება — ურთონარი გამოსავალი აქცს.

— არა, ასეთ ადვილ გამოსავალზე არ გეკითხები. — მიუგო ვასკამ და დამოტყნარა.

— ახლა გეყოფა, ვასკა! ყველაფერზე რომ მე შეკითხები, ერთხელ შენც მომეცი პასუხი. მაგალითად, „მეორე ფრონტი“ როდის იქნება?

— როდესაც მოკავშირეები ჯიბებიდან ხელს ამოიღებენ.

— თუ არასოდეს არ ამოიღეს?

— ამოიღებენ. თვითონ უფრო გაუჭირდებათ და ამოიღებენ!

— ეს ერთი მშვენიერი აზრი წამოგვცდა, ვასკა, მაგრამ, — და აქ ზურაბმა შესწყვიტა უეცრად.

— აი, პოლკოვნიკის დავალება, ბიჭებო! — დაიძახა ჩქარი ნაბიჯით შემოსულმა სმირონოვმა და ქაღალდები მაგიდაზე დაჰყარა. — ღამეა. ვერაფერი გავიგეთ ვისთან ივაქვს საქმე: გერმანელები არიან, რუმინელები, იტალიელები თუ ჰუნგრელები! არაფერი ვიცით, მაგალითად, აი, ამ დამასხლებულ პუნქტში ვინ სდგას! — და მან თითოთ რუკაზე უჩვენა. — საჭიროა გაევიგოთ. რას იტყვიან ბიჭებო?

— რაც დღემდე გვითქვამს! — მიუგო ვასკამ.

— მაშ საქმე ჩინებულად ყოფილა!

— მხოლოდ ერთი შეკითხვა: — დაიძახა ზურაბმა, — გერმანელის ცოცხალენას მკვდარი თავიც რომ დავუმატოთ, ნებას არ მომცემთ?

სმირონოვმა გაიციინა:

— ბიჭებო, თქვენ თითქოს ციდან ხართ გამოგზავნილნი!

ზურაბმა ვასკას თვალი ჩაუკრა და წასწორჩულა:

— რადგან მივდივართ, წამო, წავიდეთ.

მარტოდ დარჩენილ სმირონოვს თავი მაგიდაზე უეარდებოდა. თვალს ვააყლდა, თითქოს უძილობას ამით ებრძვისო, ხელს ჩაიქნევედა.

წამოღგა. თავისთავს უთხრა: „სიყვარულის წერილები რომ დამეწერა, იქნებ მაშინ დამეფრთხო ძილი. განა მე არ მყავს შეყვარებული? ერთი მარუსია მეც მყავს ამ ქვეყნად. მომხედვე, მარუსია, გამიღიმე. მთერალი ვარ, მარუსია. რატომ არ გიკვირს, რომ ცოცხალი ვარ? „ველური დივიზია“ შეგვარქვა მტერმა. ეს ჩვენი ვაჟაკობის ბრალია და ნუ მოტყუვდები! მტერმა თუ შეგვაქოს, მაშინ გვიტირე“.

ქაღალდები ჩაილაგა ჩანთაში. წასვლა უნდოდა, მაგრამ დივიზიის მეთაური წინ შემოხვდა.

— ეუტა მომითმინეთ! — უთხრა ვახტანგმა და თვითონაც შესდგა, — აცნობეთ შტაბის უფროსს, რომ მე აქა ვარ. დამიკავშირდეს!

სმარნოვი გავიდა.

ვახტანგი დაჯდა. დობანდით შეხვეული მარცხენა ხელი მხარზე ჰქონდა ჩამოკიდებული. სახეზე მტკივნეულად იჭმუნებოდა. მარჯვენა ხელი მოშვებულ წვერზე დაისვა და გულში გაივლო: „დივიზია წყურვილით დამხვრობა ამ უდაბნოში, აქ შესვენებაც არ შეიძლება“.

რუკაზე, ფრონტის წინ, ერთ წერტილში დაასო ფანქარი და ხმამალა სთქვა:

— აქ უნდა დავიძინოთ ამალამ!

ახალ ფოსტას კითხულობდა, გვერდზე აწყობდა.

აი, ერთი კონვერტიც გახსნა. შიგ მხოლოდ სურათი იყო. ამ სურათს/დაა-
წერდა, წამოწითლდა, შემდეგ ყურებამდე გაფითრდა. სურათზე დაწერილი
მოწყენით იჯდა. მის უკან ბენო ბერიძე გაჯგიმულიყო და მხოლოდ სურათს
კმაყოფილი იღიმებოდა. ეს სურათი გადმოაბრუნა: ზედ საგანგებოდ დახა-
ტული ასოებით მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „შეყვარებულნი“.

დასდო ეს სურათი, თითქოს დაცინვით თავისთავს უთხრა: „ასეღაც უნდა
მომხდარიყო. სანამდის უნდა გელოდოს ქალი. დრო მიდის. ცხოვრებაც მი-
დის. სწორია. აქ სიყვარულზე ოცნება სისულელეა! ეს ზღაპარია“. გაუხს-
ნელი კონვერტები მხოლოდ გარედან შეათვალიერა, დაჰყარა. უეცრად ერთ
კონვერტზე დარეჯანის ზელი შეიცნო. გახსნა და ბარათი, რაღაც დიდი უნ-
დობლობის გრძნობით გადაიკითხა. ირონიული ღიმილი შერჩა ტუ-
ჩებზე: „მოდით შეადარეთ სურათი და ბარათი! ერთი ფაქტია, მეორე კი
სიტყვები: რატომ დასკირდა? ალბათ იმიტომ, რომ სანამ ცოცხალი ვარ
სიყვარულის ილუზიებით ვიყო დამტკბარი? — უეჭველია. მშვენიერი აზრია.
ასე სჯობია! რატომ დარეჯანს არა ჰგავს ეს ყოველივე? დროს შეუძლია
ყველაფერი გაანდგუროს! ვინ გამოგზავნა სურათი? ალბათ კიდევ დარჩე-
ნილა მეგობარი, ვისაც ვახსოვარ“.

ასეთი კითხვა-პასუხები სცვლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ ერთი სანუგეშო
პასუხი ვეღარ ეპოვნა.

ტელეფონის განუწყვეტელი ზარი გაისმა.

— თვითონ გაცნობებთ! — მხოლოდ ეს ჩასძახა და მილი დააგდო.

მაგიდაზე პირდაპირ დადებულ სურათს თვალი მოარიდა, იქით გასწია.
შეუცნობელმა ძალამ წამოაყენა. მრისხანე თვალთ მიაჩერდა სიბნელეს
ბლინდაყის სიღრმეში, თითქოს იქ არიანო „შეყვარებულნი“ და ხმამაღლა
სთქვა: „თუ ამოვედით ჯოჯოხეთიდან, თუ ამოვედით?!“ — და უპასუხა:
„ყველაზე სათუთი ვარდი მოწყვეტილია. ხელმეორედ მოწყვეტა აღარ იქნე-
ბა. იყო და მოკვდა“. თვალი დახუჭა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! — მოისმა ქალის ხმა.

გაახილა თვალები: მის წინ ეჭიმო ქალი ლილია ალექსანდრეს ასული იდგა.
შეათვალიერა ეჭიმო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთხრა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ფერი არა გაქვთ. ძლიერ აგტკივდათ? ნება მო-
მეცით შეგიხვიოთ კრილობა. ასე არ ვარგა. — სთქვა საყვედურით, თანაც
ხმის შერბილებით და საქმეს შეუდგა: ძველი დოღბანდი მოაშორა, კრილო-
ბა მოუწმინდა, რაღაც წამალი დააცხო და შეხვევა დაიწყო.

თავდახრილი ვახტანგი ეჭიმს ყურს უგდებდა, თუმცა არც ერთი სიტყვა
აღარ ესმოდა.

ყველაფერზე თანახმა იყო, მხოლოდ რაც შეიძლება ჩქარა მოთავებულიყო
ეს ყოველივე. იქნებ რამდენიმე წუთით მაინც თავისთავთან დარჩენილიყო.
მისთვის ახლა ყველაფერზე კარგი წამალი იყო მარტოობა სხვა არაფერი...
მაგრამ მარტოობის უფლებაც არა ჰქონდა.

— რამდენი გეძებთ. ამხანაგო პოლკოვნიკო, სად არ ვიარე და აქ ძლივს
გიპოვნეთ. კრილობის აგრე მიტოვება როგორ იქნება. ყოველ დღე შეხვევა
საქირო.

— ეჭიმო, — წარმოსთქვა და მხოლოდ ახლა შეხვდა პირდაპირ, — გულის
შეხვევა თუ შეიძლება?

ექიმი გააკვირვა ამგვარმა შეკითხვამ შემდეგ იფიქრა, ალბათ ხუმრობსო, და გაუღიმა. ის უმალ დარწმუნდა (ვახტანგის გამომეტყველება ამბობდა ამას), რომ პოლკოვნიკი ხუმრობის ხასიათზე არ იყო.

— გული ხომ არ გტკივთ! ამხანაგო პოლკოვნიკო, რათ მეტბნებოთ?

— ტკივილებიც მაქვს და კრილობაც მაგრამ არა სწამს.

— არა, თქვენ მეხუმრებით, თუმცა რა თქმა უნდა... ეს შესაძლოა, რა გაეწყობა. ადამიანს ბევრი რამ სტკივა.

— მომწონს თქვენი ფილოსოფიური აზრები, ლიდია ალექსანდრეს ასულ. ადამიანს ბევრი რამ შეიძლება სტკიოდეს, მაგრამ ხშირად ამ ტკივილს ვერაფრითარ შედიცნა ვერ უშველის.

ლიდიას პირველად ესმოდა ასეთი სანტიმენტალური სიტყვები პოლკოვნიკისაგან. ამიტომ ეკვი შეეპარა, იქნებ ეს მხოლოდ შესავალია რაიმე ინტიმური გრძნობის გასამხელადო. ამ აზრმა ააღელვა. კრთოდა. მოათავა შეხვევა, მოაგროვა ხელსაწყო, ისევ შეჩერდა. მისი თვალები გაკვირვებას გამოხატავდნენ. შიგ გაკვირვებასა და ახლოს მოსულ სიხარულს შორის, რაღაც ბეწვის ოდენა საზღვარი მოსჩანდა.

— ნახვამდის, ლიდია! — მოულოდნელად უთხრა ვახტანგმა, ხელი გაუწოდა და ჩამოართვა.

„ო, არა, არა! ეს რაღაც სხვაა!“ — გადასწყვიტა ლიდიამ. ხელსაწყოების ყუთი აიღო და სწრაფად გავიდა.

პოლკოვნიკმა დღიურის რეგულში ჩასწერა:

„ომის ბურანში არც გული, არც ხელი არ ამთრთოლებია, ეს ცოტა ყოფილა. მაშინ გავიმარჯვებ, გრძნობებში ღალატს თუ დავძლიე.“

— ამხანაგო პოლკოვნიკო ნება მომეცით, — დაიძახა შემოსულმა სმირნოვმა, მაგრამ ვახტანგის მალლა აწეულმა ხელმა შეაჩერა:

— ოფიციალობა არ არის საჭირო. მოდი აქ, უბრალოდ მიამბე, რა ხდება ქვეყნად.

სმირნოვი გააკვირვა დივიზიის მეთაურის ამგვარმა მომართვამ. მაინც მორჩილებით მივიდა და ფრთხილად წარმოსთქვა:

— ჩვენი ბიჭები უკვე დაბრუნდნენ. ორი „ენა“ მოიყვანეს ერთის მაგიერ. შტაბის უფროსმა, მაიორმა ფედკომ აწარმოს დაკითხვა. ყველაფერიდან ირკვევა: ჩვენს პირდაპირ გერმანელების ერთი დივიზია სდგას, ერთიც რუმინელთა ბრივადი. დაწერილებით თვით მოგახსენებთ შტაბის უფროსი, — დაასკვნა სმირნოვმა.

გაკვირდა, ვახტანგის სახეზე სანუგეშო ცვლილება, რომ ვერ შენიშნა. სხვა დროს პოლკოვნიკი დიდი აღფრთოვანებით ხედებოდა მისი ადამიანების ასეთ წარმატებებს, — გადაკარბებით აქებდა მათ. ახლა კი პირიქით, — თითქოს ის დასევდიანებულიც კი ეჩვენა სმირნოვს, რაც მთავარია, — დივიზიის მეთაურმა პასუხის მაგიერ რუკა შორს გადააგდო, რაღაც ქაღალდები დასრისა ხელში და ძირს დაჰყარა.

— წადით, ამხანაგო სმირნოვო, და მეც შტაბში მოვალ! — უეცრად ზარბაზნების სროლა გაისმა, და სმირნოვს მკლავში ხელი მოჰკიდა. — მოითმინეთ. თორმეტი საათია. მტერი გვაფრთხილებს არ გაბედოთო. მით უფრო, მით უფრო... პო, ერთად წავიდეთ! — მხოლოდ ჩანთა აიღო და სწრაფად გავიდნენ...

ღამის პირველ სწათზე დაიწყო შეტევა, ხოლო ოთხ საათზე იმ დასახლე-

ბულ პუნქტში შევიდნენ, რომელიც ვახტანგმა ფანქრით აღნიშნა და რომელზედაც გენერალი ბარსოვი მიუთითებდა.

აქაც, ისევ ბლინდაჟში ჩასვლა აღარ ისურვა. ერთს სახლში შევიდნენ. დიდი ხანი იყო გასული, რაც ჰერკეშ არ დაუძინია. დღისით და რამით მხოლოდ მიწა ეხურა თავზე და მიწის ნოტიო ჰაერით სუნთქვდა. ერთ მოზრდილ დასუფთავებულ ოთახში შევიდნენ.

კედელზე რაღაც სურათები ეკიდა. დობანდის თხელი ფარდებიც წესრიგზე იყო. ასეთივე წესრიგი და სიმშვიდე სუფევდა მთელს ოთახში.

ვახტანგმაც სიმშვიდე იგრძნო. ამ მყუდრო სოფელურ ყაიდაზე მოწყობილმა სახლმა მშვიდობიანობის დრო მოაგონა, — სხვა ქვეყანაში გადაიყვანა. სავარძელში ჩაეშვა და თავისთავად დაეხუტა თვალები.

სმირნოვი ფეხაკრეფით მივიდა, კარი დაჰკეტა და ტახტზე დაეშვა.

ორი საათიც არ გასულიყო, ვახტანგმა თვალები გაახილა:

თენდებოდა. განთიადის მოწითალო შუქს აევსო ოთახი. პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებულ, ულამაზესი ქალის სურათს შეავლო თვალი. ამ სურათმა მოაგონა ყველაფერი, რაც იმ დამით განიცადა. გული გაეკაწრა და ამ სურათს თვალი მოსწყვიტა. ცოტა ხნით იყუჩა. ძალა მოიკრიფა, თავისთავს უთბრა: „მე გადაწყვიტე რომ დავძლიო! მაშ, ისევ სიმშვიდე! ყოველგვარ ბრძოლაში სუსტები მარცხდებიან. ეს კანონია, სანამ თვით ბრძოლა ძალაში რჩება“.

ამ გადაწყვეტილების ძალამ, თავისი (ბუნებრივი) გზით წასული ყველა სხვა ფიქრი გადასძლია და შეაჩერა. კედელზე დაკიდებულ ისევ იმ ახალგაზრდა ქალის სურათს შეხედა, თითქოს გაუღიმა და გულში გაივლო: „რამდენი ანგელოზი იბადება ამ ქვეყანად. აი, სრულყოფა!“. იმავე წუთს, უნებლიეთ, მეორე კითხვა დაუსვა თავისთავს: „შეიყვარებდი?“ და, მისდა სამწუხაროდ, ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი ჰპოვა: „არა“!

სმირნოვმა გაიღვიძა, ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ წელში მოხრილი დედაბერი შემოვიდა ოთახში.

ვახტანგი წამოდგა და მიესალმა.

დედაბერმა გაძვალტყავებული ხელი გაუწოდა, გაუღიმა და ერთად-ერთი კბილი გამოაჩინა. სკამზე ჯერ ხელების დაყრდნობით დაჯდა, თავდამარჯვლებული ჯოხი დაიდო წინ და ზედ დაეყრდნო.

— შეილებო, გაგიმარჯოთ. დალოცვილმა იარაღმა გაგიმართლოთ, შეილებო! — ესა თქვა, თავი გვერდზე გადააქნია, კენესა აღმოხდა, — ჩემი თავი სიზმარში მგონია. ჩემიანები წავიდნენ. ჩაკვიქრეს ცხოვრება, ყველაფერი ცეცხლმა გადასწვა ირგვლივ.

— არაფერია. კიდე მოვა, ბები, ცხოვრების დრო.

— ეჰ, ეჰ! — დაიძახა დედაბერმა, და თავი დახარა.

ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგმა ისევ იმ ახალგაზრდა ქალის სურათს შეავლო თვალი, რომელიც ზემოდან ანგელოზის სათნოებით გადმოჰყურებდა. დედაბერს ჰკითხა:

— ბები, ეს ახალგაზრდა ქალი ალბათ თქვენი შვილიშვილი იქნება. სად არის ახლა?

დედაბერმა ცალი თვალთ ახხედა სურათს და თითქოს გაკვირვებით მიუგო:

— რაო? ეს მე ვარ, შვილო!

ვახტანგი შეაკრთო ასეთმა პასუხმა. ჯერ დედაბერს მიაჩერდა, შემდეგ კი

სურათს შეადარა ეს ორი კონტრასტი: მადლად ვარსკვლავი, ქვევით კი — ღამე, და ერთის წუთით არარაობის გრძნობამ შეიპყრო. სამაგიეროდ ამ გრძნობამ შეანელა ტკივილი, რომელსაც გულში ჰფარავდა, რადგან არარაობაში ყოველივეს ერთი ფასი აქვს, — ყოველგვარი საზღვარი კეთილსა და ბოროტის, ნათელსა და ბნელს შორის იქ წამლილია.

ერქვეულნი

ისევ დედაბერმა დაარღვია სიჩუმე; თავი ასწია, ახლა მზებრწყვნილ კედელზე ჩამოკიდებულ ახალგაზრდა, მშვენიერი ვაჟაკის სურათზე მიუთითა: — ჩემი ქმარი იყო. ეცხოვრობდით, აღარ არის, ვის ველოდები აღარც მე ვიცი. მხოლოდ თქვენ, ახალგაზრდები. — არ დაათავა, წამოდგა და გარეთ გავიდა.

დედაბრის მხოლოდ ერთმა სიტყვამ: „ეცხოვრობდითო“ ვახტანგისთვის ყველაფერი შესცვალა. ამ სიტყვამ არარაობის გრძნობა ერთის დავკრით გაუნადგურა. სამაგიეროდ ისევ დაუბრუნა ტკივილები და შესაფერი აზრებიც გაჩანდნენ: „ეცხოვრობდნენ, სანამ ეს ცხოვრება იყო და ალბათ მიკროსკოპული წვრილმანებიც კი აღელვებდათ“.

კიბებებზე ფეხის ხმა მოისმა.

კარი გაიღო და შტაბის უფროსი მაიორი ფედკო შემოვიდა. სახე უღიმოდა, თვალები უციმციმებდა. ეტყობოდა, რაღაც სასიხარულო ჰქონდა სათქმელი.

— ნება მომეცით, ამხანაგო პოლკოვნიკო, გადმოგცეთ, თქვენს სახელზე მიღებული ამხანაგ სტალინის მადლობა და მილოცვა ჩვენი დივიზიისათვის გვარდიის სახელწოდების მინიჭების გამო.

ვახტანგმა გამოართვა დებეშა და წაიკითხა:

— სტალინი! — ხელმოწერა გაიმეორა: — ყველგან არის ამხანაგი სტალინი! ჩვენს სულშიც ზის. ყველაფერს ხედავს!

ფედკოს ხელი ჩამოართვა და მიულოცა.

ცრთად წავიდნენ.

ფრონტის წინ, ბრძოლების ცეცხლში, კვამლსა და ოქროსფერ მტვერში მიწა არ სჩანდა.

თავი მჩაჰვიღმებე

ომის ცეცხლს სტალინგრადის ქუჩებში დღე და ღამეც კი შეედუღებია — მათ შორის თითქოს წაშალა ყოველგვარი საზღვარი.

ცეცხლის ფრონტიც შედუღებულია, რადგან მოწინავე ხაზზე ყოველ სახლში ბრძოლა იყო გაჩაღებული.

ყოველი წუთი უღრმეს ჭრილობებს აყენებდა ლეგენდარული ბრძოლების ქალაქს.

იყო დივიზია და აღარ არის! იყო სახლი და აღარ არის! იყო ქუჩა და აღარ არის!

ქალაქს სუნთქვა ეხუთებოდა, — მაინც არ კვდებოდა, — უკვდავების სული ჩადგა.

მტრის მიერ სტალინგრადზე მოტანილი ზაფხულის იერიში შეუმჩნევლად გადავიდა შემოდგომაში, ბოლოს ზამთარში და ცეცხლში იწვებოდა ზამთარიც.

განუწყვეტელი ბრძოლებით გაბრუებულმა მტერმა ახლა იგრძნო, რომ ამ ქალაქის აღების ყოველგვარი ვადა გავიდა, ზამთარიც მოვიდა, — შემოადამდათ.

მინც, ამ „ლაშქრიც“ ცდილობდნენ ეპოვნათ გამოსავალი, ვინაიდან სხვა გზა არ იყო. ისევ ვოლგის ვალმა ნაპირისაკენ ეპირათ თვალი. იქ, საღდაც, შორს, იყო მათ მიზანი, თუმცა იქიდან რაღაც, ზამთრის სუსხზე უფრო სასტიკი მოჰქონდა ქარს,—ეს იყო შიში, რაც გერმანელების სულში იჭრებოდა დღით-დღე. ისინი თითქოს ყნოსვითაც გრძნობდნენ, რომ იქვე უნდა იქნებოდა, საშინელი ძალა იკუმშებოდა. ამ უხილავი ძალის წინაშე მათი მსახრავდებოდნენ, ჩიავდებოდნენ.

ასე მიდიოდნენ და მოდიოდნენ დღე-ღამეები.

ქალაქის ცენტრში ბრძოლა ერთის წუთითაც არ ნელდებოდა.

ვახტანგი საკომანდო პოსტს არ შორდებოდა. მისი დივიზიის პირველი პოლკი მტრის ფლანგში შეიჭრა და ახლად დაჭერილი პოზიციების შენარჩუნებისათვის სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა.

ძლივს ბინდი დაეშვა. სული ჩაითქვა. ციოდა, მაგრამ სახეზე ოფლი მოიწმინდა, ჩამოვდა. ახლა მის თავში შეორდებოდა ბრძოლების გუგუნი.

ამანათი გადაიკითხა:

გენერალი ბარსოვი დავალებას აძლევდა. ორი დღის განმავლობაში გეთვისუფლებინა ქალაქის ცენტრში გერმანელების მიერ ციხე-სიმაგრედ გადაქცეული ოთხი შენობა. ცას მიანერდა. უცქირა, თითქოს გეგმას ცაზე ხატავსო. შემდეგ წამოდგა, სწრაფად მობრუნდა.

— მომყევით!— შესძახა სმირონოს.

ახლოს დაცემული ყუმბარების კვამლში შედიოდნენ, პაერში აქა-იქ უგზო-უკვლოდ მისწიოდნენ ტყეები, კედლებზე წერტილებივით ეცემოდნენ, იღრინებოდნენ.

სარდაფში ჩაივინდნენ.

აქ, დივიზიის შტაბში, მეთაურთა მცირე ჯგუფი შექვრიბა. მათ სარდლობის დავალება გააცნო.

— პირველი შენობის დასაჭერად სამოცდახუთი რჩეული მებრძოლი იქნება საჭირო. მეორე შენობისათვის ორმოცდაათი, მესამესათვის ორმოცი, ხოლო მეოთხისათვის ორმოცდახუთმეტი. მტერი გრძნობს ამ შენობების დიდ მნიშვნელობას მათი თავდაცვის მთელს სისტემაში. ამიტომ ეს შენობები განსაკუთრებული გულმოდგინებითაა გამაგრებული. მათი საცეცხლე წერტილების სისტემა და ცეცხლის ძალა ჩვენთვის ცნობილია, ამიტომ ამოცანის შესრულება არც თუ ისე ძნელი იქნება თუ ჩვენი ნაწილები გეგმის მიხედვით განსაკუთრებული სიზუსტით იმოქმედებენ. თუნდაც უმნიშვნელო შეცდომას, შეუძლია ყველაფერი დაღუბოს. მთავრია დავალება უმცირესი მსხვერპლით შესრულდეს. ცალკეული შენობების მიხედვით ყველა ჯგუფების საბოლოო შერჩევას მე თვითონ მოვახდენ და ყველა ეს ჯგუფები ურთიერთისაგან განსხვავებული წესით იმოქმედებენ. ეს დამოკიდებული იქნება ადგილმდებარეობაზე, გამაგრების სისტემასა და მოცულობაზე. ყოველი ჯგუფი თავის შემადგენლობიდან გამოჰყოფს ზუთ ქვეჯგუფს, სადაც იქნებიან მოიერიშეები, მესანგრეები, შეკავშირეები, მზვერავები და მსროლელები. ჯგუფები გაიყოფებიან ორ ეშელონად, პირველ და მეორე ეშელონად. მოქმედებისა და შეიარაღების გეგმას ცალკეულ ჯგუფებს თვით ჩავაბარებ. შენობებთან მიახლოება უმთავრესად მოხდება ღამის საფარ ქვეშ, ხოლო ბრძოლები, შიგ შენობებში, დღის სინათლეზე უნდა გაჩაღდეს. აგრეთვე ტრანშეები ზოგიერთ შენობებთან მისაახლოებლად ღამით უნდა იქნეს გათხრილი.

იქვე გამოკყო ჯგუფების ხელმძღვანელები და მათ შეჰპირდა:

— ორ საათში ყოველი ჯგუფის ხელმძღვანელს მოქმედების დიხუსტე-
ბულ გეგმას წერილობით გადაეცემ. ვიმეორებ, საჭიროა უდიდესი სწრაფობა
და მოქნილობა. იმისთვის, რომ შეცდომები თავიდან იქნეს აცილებული,
ხელმძღვანელები ხვალ დილიდანვე თავიანთ ჯგუფებს შედგენილ უწყისარ
ადგილას გაიყვანენ და გეგმით გათვალისწინებული მოქმედების წესებს მი-
ხედვით ვარჯიშობას ჩაატარებენ. მამ, ახლა წადით და შეუდგით ჯგუფე-
ბის შედგენას, მეც მალე მოვალ, გეგმებს ჩაგაბარებთ და ჯგუფებს გა-
ვინჯავ.

დაჯდა. ქაღალდი და ფანქარი მოიშრდა, წერა დაიწყო.

დანარჩენებმა უხმოოდ დასტოვეს სარდაფი. მხოლოდ სმირნოვი სარდაფის
კუთხეში სკამზე დაეშვა.

ლამის ათი საათი იქნებოდა, უკვე მოეთავებინათ ჯგუფების შედგენა და
ახლა ვახტანგი ადგილზევე, ხელმძღვანელებს მორიგეობით აცნობდა მის
მიერვე შედგენილ გეგმებს.

მოათავეს წინასწარი მზადება და გვიან ღამით უკან დაბრუნდნენ.

ერთ დანგრეულ სახლს სარდაფში ჩავიდა. მოიხსნა ჩანთა, გაიხადა მაზა-
რა, ქუდიც დააგდო. ახლა შენიშნა, რომ სმირნოვი სარდაფში არ ჩაპყლია.
მაზარას ისევ დააგლო ხელი, უნდოდა ჩაეცვა, მაგრამ ამ დროს ქვის კიბეებ-
ზე ფეხის ხმა მოისმა. აქეთვე მომავალი სმირნოვი შენიშნა.

— სად დამეკარგე?

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ტირილი შემომესმა და მივირბინე. ვილაც ქალი
ამ შენობის ნანგრევებზე დამეადარა, თავი ჩაუდვია კალთაში და გულამოს-
კვით ქვითინებს. მე ვეკითხები: ვინა ხართ, აქ როგორ მოსულხართ, რატომ
სტირით მეთქი. მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ ვათქმევინე. შემდეგ ვიფიქრე:
ამხანაგი პოლკოვნიკი ალბათ დამეტებს მეთქი და წამოვედი.

— წადით და გადაეცით, პოლკოვნიკი გიბრძანებსთქო, და გამოგყვება.
რად შეჩერდით? იქნებ ერთი მებრძოლიც თან წაიყვანოთ!

სმირნოვი ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ გავიდა. ვახტანგი დაჯდა: „ვინ
უნდა იყოს ამ სიციფეში? ალბათ გიქია. რომელი ცხოველი გიძღვება ქვეყ-
ნად თუ არა მხოლოდ ადამიანი“ — გაიგლო გულში.

სმირნოვი დაბრუნდა. ქალი მაინც ვერ მოიყვანა. ისევ გრძელი, რაღაც
თავისებურად მარილიანი ახსნა-განმარტება დაიწყო:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მიველ და მოუახსენე ბრძანება. ქალმა ერთხელ
შემომხედა. არაფერი სთქვა, ისევ თავი კალთაში ჩასდო და ტირილი გა-
ნაგრძო. მაინც ვეუბნები: პოლკოვნიკის ბრძანებას თუ თქვენ არ ემორჩილე-
ბით სამაგეროდ მე ვემორჩილები-თქვა. მოგვიდებ ხელს და ძალით წაგიყ-
ვანმეთქი ჩემს პოლკოვნიკთან. ქალმა აჯური აიღო და კინალამ თავში ჩამარ-
ტყა, მაშინ მე ვთქვი: ქალთან ძალი არ მეყოფამეთქი და თავი მივაქნე.

— კარგი, წავიდეთ!

ქურკში გახვეული ქალი ნანგრევზე იჯდა. აღარ სტიროდა. თავი დაეხარ-
ნა, ხმა გაეკმინდა.

— ვინა ხართ? — შეეკითხა ვახტანგი.

— რა გინდათ, შეილებო, ბტერი არა ვარ. მე ამ სახლში ეცხოვრობდი
და იმას ვტირი.

— აა, მესმის, დედი, მაგრამ აქ როგორ იქნება! გაიყინებით. იქნებ ჩვენ-
თან წამობრძანდეთ ცოტა ხნით. გათბებით და ამბავსაც გვეტყვი.

— შეილო, ხელი მიმეციოთ! — მესთხოვა ქალმა.

ხელი გაუწოდეს და წამოაყენეს.

სარდაფში ჩაიყვანეს თუ არა, მოცელილივით დაეცა სკამზე. ცრემლადენ სახეზე ხელი გადასვა.

— ვარია მკვია:— წარმოსთქვა და თვალები დახუჭა. ცუტყო ხნის... მესვე-
ნების შემდეგ განაგრძო: — ჩემი ქმარი სატრაქტორო ქარხნის მუშაკი იყო. ახლაც იქ არის. ხან თოფი უჭირავს, ხან ტანკებს უშვებს. ახლა მე აქ ვარ. იქნებ ჩემი ქმარი აღარ არის. ცოცხალთა შორის. ეს არ მატირებს. ვცხოვ-
რობდით აქ, აი ამ სახლში. ეზოში ბაღი, სინათლე და ბედნიერების ორი უმთავრესი მიზეზი: გოგო და ბიჭი! — ჩვენი შეილები! ომი დაიწყო. მტერი სტალინგრადს მოუხლოვდა. ყუმბარები დაგვავარეს და ყველაფერი აფო-
რიაქდა. ღამეა: ჩემი ქმარი შინ არ მოსულა. ქარხნიდან აღარ გამოდიოდა. ექვსი წლის ვაჟი და ხუთი წლის გოგონა ჩავაწვინე ლოვინში. ჩაეძინათ. დიდხანს ვიდრე იმით საწოლთან. ჩემი პატარების შეწყობილ სუნთქვა მეს-
მოდა. როგორ მივსებდა გულს სიხარული! ჩემი შეილების სუნთქვაში სი-
ცოცხლეს ვგრძნობდი, ვივსებოდი ბედნიერებით. თანაც შინი გამკრავდა ზოგჯერ: მტერი ახლოს არის და ვინ იცისთქო, ვამბობდი გულში. ცუდზე მაინც არ მინდოდა მეფიქრა. ისევ ყურს ვუგდები შეილების სუნთქვას. ის ღამე განსაკუთრებული იყო ყველა სხვა ღამეებზე. შეილებს ჩავსცქეროდი. მათი ცქერით ველარ ვძვებოდი. ბოლოს გოგონამ ამოიყენესა, გული მომიკ-
და. მივედი, ხელი გადავუსვი ხუჭუტა თმაზე. შემდეგ ორივე შეილს შუბლში ვაკოცე და მეორე ოთახში ფრთხილად გავედი. ჩავწეკი. თვალები დაეხუჭე, მაგრამ მაინც ვხედავდი მათ. ჩამძინებოდა. გრიალი მომესმა. წამოვიჭერ. ვხედავ — რას ვხედავ! — ჩემი ბავშვები ცეცხლში არიან! დანგრეულ კედელ თან შეჩერებულან, ხელები ჩემსკენ გამოუწვდიან და მეძახიან: „დედა, დე-
და!“ მივირბინე. პირველად ვაეს დავსტაცე ხელი, გადმოვიყვანე, მაგრამ გო-
გონას თითქოს საყვედური მომესმა: „დედი, რას შერები?“ — თითქოს იგრძ-
ნო გოგონამ, ვაჟი ავირჩიე, ის კი გაეწირე! თითქოს იცოდა, რომ ეს ერთი წამი გადამწყვეტი იყო ამყამად! როცა მივიხედე, ქერი ჩამოინგრა! ჩემი გოგონა იქ აღარ სჩანდა!.. მას შემდეგ მესმის გოგონას ძახილი: „დედი, რას შერები!“ ამას ვერ ვუძლებ. იმ სახლის ნანგრევებში მისი ფერფლია, იმას დავსტერი, — მეტი ველარ სთქვა და ქვითინი მორათო.

ვახტანგიც ააცრემლა ქალის ამბავმა და, რომ მოიხედა, სმირნოვის თვა-
ლებშიც ცრემლები კრთოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგმა ჰკითხა:

— ვაჟი სად არის?

— წაიყვანეს ჩვენებმა. აღარც ვიცი, სად არის! — ეს სთქვა და ზეზე წამოდგა.

— გააცილეთ! — უთხრა სმირნოვს და ახლა ქალს მიუბრუნდა: — ჩვენი დახმარება თუ დაგვირდებათ, მუდამ მზად ვართ.

— არა, შეილებო. აქ მისთვის დავრჩი, რომ თვით დაგეხმაროთ.

თენდებოდა. აქ დარჩენის დრო აღარ იყო და სადღაც წავიდა...

... მეორე დღეს, ღამის ოთხ საათზე ვახტანგი ისევ საკომანდო პოსტზე ფეხიზლობდა. სწორედ ამ დროს დაიწყო შეტევა.

გულის ფანცქალით უსმენდა ყოველ ცნობას პოზიციებიდან და ტელეფონ-
ით გადმოცემულ სიტყვებს იმეორებდა:

— პირველი ჯგუფის პირველი ეშელონი წარმატებით შეიჭრა შესასვლელში მხოლოდ ორი კაცი დავკარგეთ: ბრძოლა შიგ შენობაში გაჩაღდა. პირველი სართულის ნახევარი გაწმენდილია. მტრის მძიმე ტყვიამტრქევე გვაწუხებს! აცნობეთ საარტილერიო დივიზიონს მიზანი!.. უკვე ჩაჩუშდა? პირველი სართული გაწმენდილია! მეორე ეშელონიც დაიძრას! ჩვენი მტრის სართულის კიბეებზე იბრძვიან! პირველი დაბრკოლება შეწყვიტეთ! გაეანადგურეთ! მეორე სართულში გაჩაღდა ბრძოლა! მეორე ეშელონიც მოვიდა! გერმანელები მეზობელ სახლიდან ცდილობენ გამოიჭრან დახმარებისათვის. უბრძანეთ ნაღმტყორცნელებს გზა მოუჭრან... უკან დაბრუნდნენ?.. მეორე ჯგუფი!.. უკვე დრო არის!.. პირველი სამი დაბრკოლება დაძლეულია! შესასვლელში ჩვენი მეავტომატეების ცეცხლი გაჩაღდა! უკვე შიგ არიან ბრძოლა კიბეებზეა გაჩაღებული!—იმეორებდა, კარნახობდა. ყოველი, თუნდაც ოდნავი წარმატება განუსაზღვრელ სიხარულს ჰგვრიდა.

დღის თორმეტ საათზე გენერალ ბარსოვს აცნობა:

„ოთხივე შენობა გაწმენდილია. მტრის ყველა ცდა უკუგაქციონ, უშედეგოა. მცირე ზარალით მტრის დიდი ძალა გავუნადგურეთ. გმადლობთ, ამხანაგო გენერალო!“

სალამოს გვიან ჩავიდნენ სარდაფში.

— მორივე გააფრთხილეთ და შენც მოისვენე!— უთბრა სმირნოვს. ჩაჯდა კედელს ზურგით მიფეხდნო და თვალი დახუჭა.

(დასასრული იქნება)

ღექსები

დიდი სტალინი მოდის

საკვირველშაისი

ნაბიჯი ნაბიჯს მიჰყვება,
 ეაშა ვაშამვე დაფარა.
 სტალინი უძღვის მხედრობას
 სახე გაშლილი, მზე ვით.
 მზე დროშებს მიესაფარა.
 მზე დროშებს მიესაფარა,
 დროშა ასწიეთ ზევით.
 კვამლია, განა ნისლია?
 ქვემეხებიდან ისერიან.
 ქვემეხებიდან ისერიან,
 ხედავ? მახათას მხრიდან.
 დროშა რაინდის სისხლია,
 მკლავზე რომ გადაიმსხვრია,
 ხმალზე რომ გადაიმსხვრია
 შავსისხლიანთა ძვლები.
 დღეს უცხო რამ მაისია,
 ყოველი ნამაისია.
 ჩენია, აბა ვისია
 ეს ბუმბერაზი მთები?
 ვიბრძოდით, დღეი ხვალისა
 არ დაგვმწუხროდა ყვავისფრად,
 დროშა გაეშალეთ ალისფრად,
 მკერდი ვუჩვენეთ ტყვიას.
 გვახრჩობდნენ, არ ვიხრჩობოდით,
 მშობლის ერთგულნი ვრჩებოდით.
 გვწვავდნენ და ჩვენ არ ვიწვოდით,
 ჩვენ მტრის დახვედრა ვიცოდით,
 ბოლშევიკები გვქვია!
 რკინის არწივთა ზღვებითა
 კავკასიონის მხრებიდან
 გმირმა ჯაჭვები დაწყვიტა
 და მტერს დისწყვიელა უძღებს.
 მიწა ნაცრად ვერ აქციეს,
 ცა ვერ დაფერფლეს ხანძრითა,

ცამ გაუსხივია არწივებს,
 იცისარტყელა უცებ.
 ქარმა ცით მიწას მოჰფინოს
 ამბავი ჩვენი მკლავისა,
 რომ მტერს ვუზღავდით თავისას,
 დაგვიხევია როდის?
 მოდის დამხსნელი მსოფლიოს,
 „იმედი დღისა ზეალისა“,
 „გამთენებელი ღამისა“,
 დიდი სტალინი მოდის!..
 დღეს უცხო რამ მაისია,
 ყოველი ნამაისია.
 ჩვენია, აბა ვისია
 კავკასიონის მთები?
 კვამლია, განა ნისლია?
 ქვემეხებიდან ისერიან,
 გამარჯვებული მოდიან
 ომგადახდილი ძმები.

თუ გლოვობდა უნების წვეთი?

მტერს უტევდა კავკასიის მაღალ მთებთან,
 განა მტარვალს მიწის გოჯი მისცა?
 დაიჭრა და მიწას სისხლი დაეწვეთა,
 ბუბუნებდა კავკასიის მიწა.
 სამშობლოს ცას სცოდნია გაშლა ლურჯად,
 ცხრათელა და სხივმრავალი მზე და...
 კვდება გმირი? სამშობლო ზომ გადაურჩა?
 გავზარდე-ო, იტყვის ქართელის დედა.
 ცეცხლმა დასწვა ცა მყინვარზე დანაფერდი,
 მზე რომ გადიწვერა.
 მერე რა, თუ სუნთქვას შესწყვეტს ფართო მკერდი?
 „ვერ წაიღეს, ვერა.“
 ეს კი არა, მას აცვიფრებს მხოლოდ ერთი,
 რა ხმა მოაქვს მსუბუქ ფერაფერას?
 მყინვარისკენ გზა რომ მიდის ცერად,
 ჩამოცურდა იალბუზით ყინვის წვეთი
 და ყვავილებს დაედინა ცრემლად.
 მერე ჩუმად გზად სამყურებს მიეფარა,
 ფეხაკრეფით მიეპარა,
 ჰკურნებოდა სისხლში მშფოთარს,
 თუ სწყუროდა, ბაგეებზე შეშრობოდა.
 მაგრამ, ძალა არც კი ეყო:

ცივი იყო იგი მარად.
(მას უნდოდა ამბორო ეყო,
მიწისათვის მიეზარა,
რომ ეოცნა მუღამ რათა).



და, როდესაც დაიზარა
ლამაზ მკერდზე დასადრეღად,
წვეთისათვის საკვირველად,
დაიფრგვინა ქარმა ველად
და ყინულის სუსტი წვეთი
ყვავილეებზე მიმოფანტა.

მტერს უტევდა კაცკასიის მაღალ მთებთან,
განა მტარვალს მიწის გოჯი მისცა?
უსათუოდ, სამკვდლობელს დაღადებდა
კაცკასიის მაღლიანი მიწა.

ზორია თამარ...

მზის ღიმილი აღაჩინა ცამან,
ვარდს აღმოხდა ხმაი საოცარი.
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ.
დედოფალო, საით მიიჭარი?
ძოწისფერად ირიერაჟა ცამან
და პეპელას აღვიძებდა ქარი.
მღუმარ იყო, ნაღვლიანიც იყო.
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში.
და ძვირფასი თან მიჰქონდა მიმყოლს
მარჯალიტით მოჭედელი ქოში.
მღუმარ იყო, ნაღვლიანიც იყო,
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში.
რტოს არბევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე.
შიდიოდნენ, შიდიოდნენ ასე...
ბოლო მაინც არ უჩანდა მანძილს.
რტოს არბევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე.
ციდა ნამი ირეკლავდა არილს.
დედოფალსაც როგორ გაეცინა,
როს პეპელა აუფრინდა წინა
ჭრელი, პაწაწინა.
არწივი ხმობს, ნიშანია დარის.
ციდა ნამი ირეკლავდა არილს,
დედოფალი დაღადმყოფი ნახეს,
დრო მიეცათ მისსა ჩუხჩარახებს,
სწამდათ, მაგრამ, მაინც ანუგეშეს:

ნუქარდინი შენთა ფეხთა ქვეშე
დააფენსო თავიან ბაირალებს.
ერთგან შედგა, თვალი უსწრო ფრთამალს,
გამარჯვებას უყიოდა თამარს,
ბებურ კლდეზე არწივი რომ იჯდა,
ფრთას გაშლის-ო საქმე შენთა ნიქთა.
ფეხები ხომ არ ტყენია თამარს?
არა, კლდეზე თვალი უსწრო ფრთამალს.
მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,
დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად:
— გადმოგვხედე, ლეთისმშობელო დედაო,
გაგვიმარჯვე ქართველთ მტერთა ზედაო,
საქართველო შენი წილმიმხედარიია.
გაგვიმარჯვე, ლეთისმშობელო მარიამ! —
მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,
თამარ-მეფე ლოცვად იდგა ტაძრად.

მალალ მთებსა ისევ ნისლი ფარავდათ.
არ ფხიზლობდნენ ნუქარდინის კარავთან;
რის სიფხიზლე? ისეც ბევრნი არიან!
რისი შიში? უთვალავნი არიან!
რა ხმა ისმის ნეტაე? საოცარიია.
ქრისტიანთა ეკლესიის ზარია?
გაიღვიძეთ, ეს ხუმრობა როდია?
როგორ? ვითომ, ქართველები მოდიან?
გონს მოვიდნენ, ზე შემოსხდნენ სპილოთა,
აქლემების საათა უნაპიროთა
ჩვენსკენ სძრავდნენ, ჩვენ გვიცეცდნენ რისხვითა
გვერდშეგჯარულთ სამის წყრთისა ისრითა.
როცა ძალა ძალას ვერა მორეესა,
ნათქვამია, ხერხი სჯობს-ო ღონესა:
ქართველებმაც „ზე კი არ ჰკრეს სპილოსა“,
უცაბედად „ქვე შემოჰკრეს რბილოსა“
სარდლის რჩევით მაშხალები ანთეს,
აქლემ-სპილო ცეცხლის ალით დააფრთხეს,
ერთუერთს ხოცდნენ, თავი ველარ გაართვეს.
დაფრთხალ მხედართ ცხენთაც თავი წაართვეს.

მოვიდა მცხოვრებთა მოსრვად და თრევად;
მოვიდა მისივე სისხლისა თბევად.
გაბრუნდა უკანვე ცუდდანაშვერი.
ეჰა, ნუქარდინ, საქმენი შენნი.
გეზლო ესოდენ ბოროტს და თამამს,
გაქრა, ნუქარდინ, ოცნება ამო,
შორია თამარ...
გზა ფეხშიშველი გამოვლო თამარ
თავის ხალხის და სამშობლოს გამო.

შენ მოდიოდი ხატების ლეწვად,
ჩვენს აღსაგველად პირისგან მიწის.
ქართულს ჯაეშანი აკვანში ეცვა,
მან, ხმლის ხმარება აკვანში იცის.
გეზლო, ნუქარდინ, ბოროტს და თამამს,
ქართველი ხალხი უნდოა მტერთან.
სუსტია თამარ... მძლავრია თამარ...
და არცა ღირს ხარ მის ფეხთა მტვერთა
მოწმენდად ძვირფას ხამლისგან მისა.
შენ მისთვის ბრძანე დაცხრობა მზისა,
მზე დაცხრა შენდა.
მზე აღმოხდება მის ლამაზ პირსა,
როს უამბობენ საქმეთა შენთა.
აუ, ნუქარდინ, ახლახან მხოლოდ
იკვამს მზექალი მზეასხმულ ქოშებს
და ანანაევებს ვარძიის ქარი
საქართველოს უძლეველ დროშებს.
ეჰა, ნუქარდინ, ბედია მწყურალი,
გესმის, სულთანო, მღერა ბარბითთა,
ხმა მოლხენისა გაკრილი ველად?
ეს, თამარ წყნარი და შესაწყნარი
შენს ღაზოს გზავნის დიდის ამბითა,
შეწირვად გელათს.

მოდიოდა ნინო მთებით

„ხოლო მე დავითი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყულოდა მას ჟამსა“.
ნ ი ნ ო

ქარი მწვერვალთ სტვენით რძისფერ ნისლში ჰხვევდა,
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იღო ჯაეახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ.
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი.
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა,
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი.
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი,
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა, რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა: საქართველო არი ესე.
მიეძინა. ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს-ო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
— „ნუ გეშინინ“, — მიუგებდა იესო.

გაეღვიძა, წუთით იგრძნო შშობლის სევდა,
მაგრამ, რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იღო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ.



ქეთევან დედოფალი

რეალის ქვაბი მოეთრია ქუნდაქარსა,
ცეცხლს აგზნებდა კაცთა გრძნობის ქუნდაქარი.
ზე მიქონდა, ღრუბლისაქენ, ცეცხლი ქარსა,
ჰქროდა ქარი...

თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,
მარიამის ხატად იდგა დედოფალი...
თმა დაშლოდა, თავი ნაზად დაეხარა,
სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა.
ლოცულობდა...

როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:

— „არასოდეს“, —

დაფდაფებს ჰკრეს განარისხთა,
ცხელი შანთი მიუტანეს ბროლის მკერდთან,
ცხელი რკინა საქართველოს ცხელ გულს ჰკვეთდა.
რეალის ქვაბი გადმოეგდო ქუნდაქარსა,
ღიღინებდა კაცთა გრძნობის ქუნდაქარი.
ღურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
ჰქროდა ქარი...

ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა,
უღრვე იყო დედოფალი!

მკვდართა მზე ვარ


ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?

სხივ-მიმკრთალი, სხივ-მიმკვდარი, მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები.

კორჩიოტას, კორჩიოტას თესლი გალხვა,
ორთქლად მიდის ნესტიანი სუნთქვა მიწის,
ნაკადულის სიმღერებში სძინავს დალღას,
ლხენით ვისმენ ბელურების წივ-წივ-წივ-წივს.

ამოდიან, ბალახების სუნთქვა მესმის,
მაგრამ, მაინც გული რისად მეხურება?
ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი
აქენკეს და გაიტაცეს ბელურებმა.

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვღებვარ,
გულო რისად მეხურები?
სხივ-მიმკრთალი, სხივ-მიმკვლარი მკვლართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში ეივთივებენ ბელურები.



ხატბთან უხენი დახრილი წამით

ხატთან ანთია სანთელი ორი,
ორივე პაწია და თანასწორი,
სულის მეოხად უენი ერთასი.
ან ვარ ბეთანში, ან თუ მცხეთაში,
წმინდა სამთავროს...
აღვის სადარო,
დახრილი წამით,
მოყრილი მუბლით ხატის წინ შეენი.
შენ ამბობ:
„ — იყავნ ნებაი შენი! —
მე ვამბობ:
— „ამინ!“ —
და... შემოხეთქა ქარმა კარები,
მიმოგირხია ვერცხლის კავები.
ჩაქრა სანთელი, შემოუბერა
და თან წარილო „მოვედ სუფევა“.
...
ან ვარ ბეთანში, ან თუ მცხეთაში,
ტაძრად სამთავროს...
მაგრამ შენ სად ხარ, აღვის სადარო?

აქ ჩამსვენა ერთი ვარსკვლავი

არც ქვა უბრალო, ძეგლისენური,
ამკობს ამ კაცის მყუდრო სავენეს,
ასკილით, ნარით, ღვით შებურვილს
ერისთავიანთ ერთერთ სამარეს.
ცის დასაეალზე გოდებს მარიხი,
თავშესაფარი ლტოლვილ სულისა.
არსად ხის ჯვარი, არც თუ თარიღი
ქვეყნად შობის და აღსასრულისა.
მზის დაცხრობისას ღრუბლის ჩარსავი
შეიღებება ისევ აღისდრად
და მშობლიური ნანიწასავით
ჯვრებთან გოდება ისმის ქარისა.
აქ ჩამსვენა ერთი ვარსკვლავი
აქ, შარავანდის დიად გვარისა.

ეპა, მაგბელო!



ვარდო შემოუნახავთ წვეთები წვიმის,
გზაც ნაწვიმარია.

მე ვთბები მზეზე, ვით უდაბნოს მწირო
და ჰიამარიას

უფმზერ ჩემს მუხლებზე დანოქილს მუხლებით —
ყვავილის სადარს.

რატომ არ დასველდი, თუ წვიმაა წუხელი?
გეძინა სადა?

თქვი, ჰიამარიავ, სით მიგეხარია?

თქვი, ჰიამარიავ!

ვარდო შემორჩენათ წვეთები წვიმის,
გზაც ნაწვიმარია...

დაედევარ ბაღში, ვით უდაბნოს მწირო
და ჰიამარია

ვინ იცის, სად არი?

აშ სურით სვამენ

„ომარ ხაიამს ბუბარაში ყოფნის დროს ეთქვა: ჩემი
სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხეები ყოველ წელიწადს
ყვავილებსა და ფოთლებს გულზე დამაყრიანო. მე ვი-
ნახულე ხაიამის სამარე ნიშნებში. იგი მართლაც ფოთ-
ლებითა და ბალახით იყო დაფარული; მაშინ მომაგონდა
ხაიამის სიტყვები და ტირილი დავიწყე“.

ნ ი ზ ა მ ი

თუ დავიხრჩობი, ლეინომ დამახრჩოს,
ვგავდე ყაყაჩოს სათის ხალიანს.

ფლიეს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,
ომარ ხაიამ!

გული თელილი ბედის ფლოქვებით

მოკვდა, დადუმდა დიდი ხანია,

სულს მანინც შერჩა ლეინო დოქვებით,

ომარ ხაიამ!

სურები შექმნეს შენი ტალახით,

ლეინო მოთლებენს ყელმოხატულებს,

შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი,

ფეხს რომ უყოცნის ლამაზ ხათუნებს.

გულზე გაღურიან ლეინოს ლოთები,

ზეებს შეარხვეს ქარი აყვია;

ზეებიც სვამენ ლეინოს ფოთლებით

და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან.

ლოყაწითელი ვარდის ყვავილი,

ფხიზლობს? ჩურჩულებს, როგორც მისანი.

ვართ რომ დათოვეს მიწა ყამირი,
ბაღებზე ტიროდა თურმე ნაზამი.
ეს სურა შექმნეს შენი ტალახით,
ქართულ მარანში დანახანია,
ყელმოქარგული ლერწმის ტოტებით.
და რა ხანია,
ამ სურით სვამენ ღვინოს ლოთები,
ოპარ ხაიამ...



დაირები

როცა ფიქრით და ოცნებით დავიღლები,
სწორედ მაშინ,
მღერით, ტაშით,
სარდაფიდან ამოდინ დაირები.
ვერცხლის ფერად, ოქროს ფერად იალებენ
და, ვითარცა გაზაფხულის ყვავილები,
მოედანზე ჩამომსხდარი დაირები
ზიშნიმებენ, ბრჭყვიალებენ.

პარში

ჯერ მდუმარეა, მდუმარე და როს
ამოვარდება ქარი ტიალი,
ჩინარი მზისკენ გაფრენას ლამობს
ფოთლის შრიალით...
მიწას წყლებიან ვერხვებიც მაშინ
და, გოლიათურ მხრების შერხევიით,
მზისკენ მიდიან ზღაპრული რაშით,
ჩემი ვერხვები.



მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალეუყუნა, წაბლისფერი თმებით.
ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები,
დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა.
ღმერთო ჩემო, სად ვეძებო, სადა?
მე ლამაზი მეგობარი მყავდა.
დარდიანი ღვინოს ვსევამ და ვთერები.

დავილოცეთ, ძმებო!

აკაციის ტვერი...
წნელის სუსტი ლობე...
ჭედმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კობე...
აქ მზით დამწვარ ხელში
ღვინიანი ჭიქა.
იქ — ცარიელ ქვევრში

დამწყვედელი ჰინკა.
პაპის მონაცემი,
მარად საოცნებო,
კარმიდამო ჩემი,
დამილოცეთ, ძმებო!
აკაციის ტვერი...
წნელის სუსტი ლობე...
ღვინიანი ქვეერი...
ღვინიანი კობე...



აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა

ბერა საზანდარს როცა მომართავს,
შენ სევდა გიპყრობს გაუგონარი.
ღად იმშლება გუნდი ყორანთა,
ლეშის საქებრად წაუა ყორანი...
მგლისფერ ღრუბლებში გმინვა მოისმის
და ქარიშხალმაც მოითქვა სული.
მარტო რად დგებარ, როგორც ონისე,
შეგინებული და შერისხული?
ბერა საზანდარს როცა მომართავს,
სევდა რად გიპყრობს გაუგონარი?
აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა,
ვაი, ვის გულმკერდს დაფლეთს ყორანი?

პაწაწინა რტო ვარ

შეფერება მზე ალურსის მთხოვარს,
ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა.
მე მიგალობს (როდი მიმატოვა?)
თოხიტარა, პაწაწინა რტო ვარ.

ქარი მარხევს და ყვავილებს ნაცლის,
ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად.
დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი,
პატარა ვარ, მოფერება მინდა.

მითხარი-ო, როგორ, როგორ ვანდო
საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?
მეზაღეო, ნუ დამტოვებ მარტო,
მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!



პაწაწკინტელავ, შენ ორღობის ძირას იშობი,
 ქარი მზრუნველად დაგაფარებს თავზე ბალახებზე,
 შენ ბაღების თვალს არ დაგანახებს.
 თავს ყოველ დილით გეპყრება ცრემლი ღვთისმშობლის.
 სანდო ღიმილით შემომცინებ შეგების მთხოვარსა,
 რამეთუ უწყვი, არასოდეს მოგიტან ზიანს.
 ღმერთო, დღეგრძელ ჰყავ პატარა ია,
 მზეო, დახედუ ველსა მცირეს, ყვავილ მთოვარსა.

თათრის გოგონავ

თათრის გოგონავ, დაუკარი შენი დაირა,
 წელი ლამაზი შეარხიე ლერწმისნაირა,
 წითელ კაბაში შეხვდი ბაირამს.
 ო, უთვალავი, რაღაც უღუვი
 მკერდზე ბრწყინავენ ვერცხლის ფულები,
 სამკაულები
 ნაირ-ნაირი.
 თათრის გოგონავ, დაუკარი შენი დაირა,
 თათრის გოგონავ, მომიღბინე შენი დაირით.

მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს

ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი,
 ვალმერთებ მზესა,
 ვანთებ ცეცხლსა
 და მზისკენ მიღის რძისფერი კვამლი.
 დღისით ვნადირობ, წერილ ნადირთა ბუნაგებს ვარბევ
 კეტით და მშვილდით.
 და თუ გამოჩნდა ნადირი დიდი,
 მყის მივაშურებ ურარტუს ქვაბებს.
 ჩამეძინება ათასნაირ მხეცთან ნატოქარს,
 მე არ მაწუხებს ხეალისათვის ფიქრი და ჯავრი.
 უდაბურს ტყეში დაძრწის მარტორქა;
 ქარი გუგუნებს ქვაბის კართან თავგანწირული,
 ხმა აქვს საზარი.
 რათა უმწეოს დამცეს თავზარი,
 ქვაბის სიღრმეში წვეთავს ყინული.
 ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი,
 ვალმერთებ მზესა,
 ვანთებ ცეცხლსა
 და ესწირავ მსხვერპლსა.
 გრძნეულ ურარტუს ეფინება რძისფერი კვამლი.

მშობლიურ ცის ქვეშ *

რომანი

მოქალაქე

ოზურგეთში, მოედნის გასწვრივ, სადაც ახლა ქადრებია, ორი საყდარი იყო ამართული. ერთი რუსული, სამხედრო, ხოლო მეორე — ქართული, რომლის გუმბათი გურიელების ისტორიულ ციხეს გასცქეროდა. იქ ხელმწიფის ჯარი იყო დაბანაკებული.

ამ საყდრების შესახებ ახალგაზრდებს აღარაფერი ახსოვთ და არც იმ ორიოდე წარჩინებული თავადის საფლავი აგონდებათ, ვალავანში შემომსვლელთ რომ სჭროდა თვალს შარშარილოს ძვირფასი ჩუქურთმებით. ხანდახან გამოივლის შორეული, ან მახლობელი ქალარა ქალი, ან კაცი, ჩამოჯდება ქადრებში გამწკრივებულ სკამზე და შვილიშვილებს მოუყვება ძველ ამბებს...

ის იყო შუა წირვის ზარებს ჩამოჰკრეს, როცა თებრონე და დია მიადგნენ საყდრის კარებს.

— ღმერთო, კეთილად წარმართე ჩვენი გზა! — წაინურჩულა თებრონემ და სასოებით გამოისახა პირჯვარი. — დია, — მიუბრუნდა გოგონას, — მიდი, აუნთე ხატს სანთელი, ილოცე! კარგი სურვილები ჩაგინერგოს გულში უფალმა!

სიტყვებით აბილბილებულმა დიამ ფეხაკრეფით გაიარა ხალხში, მივიდა მნათესთან, რამდენიმე გროში დააწყო მაგიდაზე და ორი ლერი თავლის სანთელი აიღო, წარსდგა ღვთისმშობლის ხატის წინ, პირჯვარი გამოისახა და ჩუმად სთქვა:

— ღმერთო აცხონე ღედაჩემის სული... — და როცა მეორე ღერ სანთელს ანთებდა, მახარე მოაგონდა. თავის სურვილებზე არც ერთი სიტყვა არ წამოცდენია.

წირვის შემდეგ ჯარის აილუმში უნდა ჩატარებულიყო მოედანზე. მცხოვრებლები გამოფენილიყვნენ სანახაობის საცქერად. ჯარისკაცები მწკრივში იდგნენ გაუნძრევლად, პოლკის უფროსს და გენერალს მოელოდნენ. შორს გაისმოდა სამხედრო სასულე ორკესტრის გუგუნო. სობორის წინ ჯგუფად იდგნენ ქალაქის წარჩინებულნი: მაზრის უფროსი და დეშქელიანი, ქალაქის თავი — თავდგირიძე, მომრიგებელი შუამავალი — ტიფო ნაკაშიძე, მოხალისეთა რაზმის ოფიცერი ნესტორ გარდაფხაძე, მომრიგებელი მოსამართლე კეჭერაძე და სხვები. იქვე იყვნენ ადვოკატები — პლატონ ბერიძე და ივანე ჯაყელი. მათ გვერდით იდგნენ მძალი, წარმოსადეგი ლამაზი ქალები: კა-

* გაგრძელება. „მნათობი“ № 2-3.

ტო გურიელი და ელო აბაშიძე.—გარდაფხაძეს სწევად კატო გურიელის ტრფიალი. „მოხალისეთა რაზმის ოფიცერი“ ვაჟაკურად იგრეხდა გრძელ ქერა უღვაშებს და ისეთნაირად უცქეროდა ახალგაზრდა იურისტს—თავდგირიძეს, თითქოს ეუბნებოდა: „ერთი ქალაქის თავი კი არა, სამისაც რომ იყო, მაინც არაფერი მარიფათიანი არა ხარ, ტყულად დაღობე...“ კატო გურიელს ვერაფერ წამართმევს... და ჩემიაო“... გარდაფხაძემ ღიმილით გადახედა კატოს, რომელიც ეშმაკურად უცინოდა მარჯვნივ მდგომ თავდგირიძეს.

თავდგირიძეს საპატიო ადგილი ექირა ქალაქში. იმ ხანად რკინიგზის გაყვანის შესახებ ოზურგეთში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ხალხში, მისგან მოვლოდნენ ამ დიდი საქმის მოგვარებას.

ათ წელიწადს გასტანა უცხოელ კაპიტალისტებთან მიწერ-მოწერამ ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის შესახებ, მაინც არაფერი მოხერხდა და რკინიგზა ისევ ოცნებად დარჩა ხალხს. ახლაც ჯაყელი ამის შესახებ ესაუბრებოდა თავდგირიძეს. ჯგუფს ლევან ესეს-ძე გურიელი აკლდა და პა, ისიც გამოჩნდა. წელწერილი, მაღალი ვაჟაკი, მოგრძო სახის, ზევით აშოტილი შავი წარბებით. აგურისფერი თეთრ მასრებიანი ჩოხა უყვარდა ლევანს. ფეხზე ვიწრო მესტები, თავზე კრაველის შავი, მაღალი ინგუშური ბოხოხი. ლევანს საოცრად უხდებოდა მამისეული ხმალი, რომელიც ყაჩაღი სისონა დარჩიას მკვლელობისათვის მიიღო რამდენიმე წლის წინათ „საეროზო ყარაულის“ უფროსმა ესე გურიელმა—ლევანის მამამ.

ლევანი მიირხეოდა თავისიანებისაკენ. სამხრეები ამშვენებდა ახლად დანიშნულ ოლქის ურიალნიკს. ლევანს უკან მისდევდა როსტომ ვაშალომიძე, კოხტა მხარბეკიანი აზნაური, თავისფერ ჩოხაზე მარჯვედ შემოერთყა ვერცხლის მოზარნიშებული ქამარი და ვადამოოჭროვილი სატევიარი. ვაშალომიძეც მესტებში იყო გამოწკიპული. თავზე (თეთრი თივთიკის ყაბალახი გადაეგდო ირიბად. ვაშალომიძე კატო გურიელს მიესალმა და მოხერხებულად შეაქო ელო აბაშიძის ფოლოსფერი კაბა, უკანასკნელ მოდაზე შეკერილი — შემოკლებული შლეიფით, რომლის ქობის არშიები შემოდგომის ფოთლებივით შარიშურობდნენ. ელო აბაშიძეს მეტი ეშხისაგან მარაო დაუვარდა. ბევრი წაუპოტინა ასაღებად, მაგრამ როსტომმა გარდაფხაძესაც აჯობა სისწრაფეში.

ლევან გურიელს გაუხარდა როსტომის სიმარჯვე და დადესქელიანს ჩაულაპარაკა:

— ხომ ვამბობდი, ბატონო, როსტომს სისწრაფეში ვერაფერ სჯობს მეთქი. — დადესქელიანმა დინჯად ჩაიციინა და მის თანაშემწეს — გამრეკელს ხუმრობით, ხმალი გადაუღო ფეხებში. შემდეგ დაუმატა: — არც ერთს არ შეგიძლიათ იმუნენი ასიაშოვნოთ ქალებს, რამდენიც ამ აზნაურს. ნამდვილი ქალების ფარეშია!..

მოედანზე აღლუმი მიმდინარეობდა. სამხედრო ორკესტრი ისევ გუგუნებდა. რუსული საყდრის მგალობლები „ღმერთო ფარვიდე მეფეს“ აგრილებდნენ.

მოედნის გასწვრივ ქუჩაზე, გამწკრივებულ ხალხში თებრონე და დია იდგნენ. თებრონემ შორიდან თვალი ჰკიდა როსტომს. გაფითრდა თებრონე, ქმა რომ მაღალ საზოგადოებაში შენიშნა. პირზე მანდილი მოიფარა:

— დია, მამაშენს ხედავ?

დიამ მიიხედ-მოიხედა, ვერ დაინახა მამა.

— სად არის მამა?

— საყდრისაკენ გაიხედე, გურიელის გვერდით! წაღი თუ გინდა მამას-თან.

დიას ლოყები აუწითლდა. უკან დაიხია.

— მე ასეთ საზოგადოებაში თავის დღეში არ გავერევი, მაშალ ინდაური-ვით გაბღინძულან.—სთქვა დიამ და თებრონეს კალთას ამოეფარა.

დიას ახლოს, კლუბის კარებთან, რამდენიმე ევროპულად ჩაცმული მას-წავლებელი შეგროვილიყო, გაზეთს ათვალეირებდნენ, თან მსჯელობდნენ. დიას ყურადღება ამ ჯგუფმა მიიქცია. ერთერთი მათგანი ლევან გურიე-ლის შესახებ ლაპარაკობდა: „აი, რა-რიგ დაეცნენ ჩვენი თავადები. გური-ელი ოლქის ურიადნიკობას კადრულობს, დაღეშქელიანი გლეხებს აწიო-კებს, გარდაფაძე მოხალისეთა რაზმს დასდევს. ყველა კი ცდილობს, ძა-ლად გააყაჩაღოს ვინმე და საწყალი ყაჩაღის სისხლით ჯვარ-მედლები მი-იღოს“.

— საძაგლობაა პირდაპირ... ესე გურიელს საუკეთესო მიწები დარჩა. მთელი სუფსის სანაპირო, კახური და ბაილეთი, საუკეთესო სამეურნეო მა-ბულებია.

— სამაგიეროდ „საერობო ყარაულის“ უფროსი მწევარივით დასდევდა ყაჩაღებს.

— უნათონი არიან ჩვენი თავადები. მათ კარგად ეხერხებათ გლეხის ნაშრომის მოტაცება, სხვისი ლუკმის გადაყლაპვა და სხვის ცოლთან არ-შეყობა.

ამ ლაპარაკში იყვნენ მასწავლებლები როცა მესტამბე თავართქილაძე მოვიდა მათთან. ილიაში ახალი წიგნები ამოეჩარა, ხელში ახალი აფიშები ეჭირა. თავართქილაძემ ერთი აფიშა გაშალა. დიამ შორიდან წაიკითხა: „ანონსი“. ქუთაისის თეატრი ეპირებოდა ოზურგეთში ჩამოსვლას. დიამ ახალ წიგნებსაც შეაელო თვალი.

მაშინ სტამბა ახალი მოვლენა იყო გურიაში. მესტამბეობა დიდ მოღვაწე-ობად ითვლებოდა, ერთმა მასწავლებელთაგანმა თავართქილაძე შეაქო:

— თქვენ სახალხო საქმეს აკეთებთ... დანაბეჭდთან თქვენი სახელიც არ წაიშლება, პატივისცემით მოგიგონებენ.

— საწყალ ხალხს თუ არ დაეხმარეთ, მთლად დაიღუბება—სთქვა თავარ-თქილაძემ,—გადაეწყვიტე იაფფასიანი ბროშურები გაეავრცელო თქვენი დახმარებით.

დია ყურადღებით ისმენდა მათ ლაპარაკს.

ილღუმი გათავდა.

დია დაფიქრებული მისდევდა მამიდას ახალ ბინისაკენ. გოგონას შორი-დანვე არ მოსწონდა ის საზოგადოება, სადაც მამა როსტომი შინაურ კაცად მოსჩანდა.

თებრონესაც არ მოსწონდა „დიდკაცობა.“ ის ერთ აზრს ადგა მუდამ: სხვების ქედმაღლობის წინაშე არ უყვარდა თავის დაბრა. „რა შეგქვად მინდა მგათი სალამი... თავიანთი ჩინები მე არ დამაყრონ ერთბაშად“... თითქო საყვედურით გადაპკრავდა ძმას შხამიან სიტყვას.

თებრონე ფიქრობდა: „დიდკაცებთან“ დაახლოებამ როსტომს ოჯახზე გული აუგდო.

ზაფხული ჩახურებულოცო ბაილეთის მდიდროებში. ხეს ფოთლოვანი შეხრ-
კოდა. ბაღში ოქროცერკვი ძირფესვიანად ამხმაროცო. წყნანი მდლოს
დასიცხული თამბაქოს ფერი დასდებოდა. ვაშლს ქიები დახვეწიდა. ზეგანის
ყანების სიმინდს უდროოდ აეყარათ ტანი და ფოჩი დასაწყისშივე ჩახმ-
ბოდათ.

სოფლის ღვლეები დაშრალიყო. წისკვილებს მძიმე ურდული ედო.

პოპო დიაკონი ხმებს აგრცელებდა: „წლფეანდელ წელს მარეხი მფარვე-
ლობს, ეფრემერდში სწერია, ყველაფერი გადამხმებო“.

სოფლის მოხუც ქალებს სატირალს წასვლა ენატრებოდათ. მათ სწამდათ,
მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ წვიმა მოვიდოდა და ქვეყანას გრი-
ლი ამოსუნთქვა ელირსებოდა. მაკა ნაშთალამევს ჩუმაღ გავიდოდა ფაცხი-
დან, გამოქნიდა თიხის ადამიანს, დაასვენებდა ყავარზე, გაიტანდა ეზოდან
და ღელის პირას დასაფლავებდა „სთვის მიცვალებულს“.

წვიმა მინც არ მოდიოდა.

წახდა ზეგანი ადგილების მოსავლი. იზაბელას მტევნები შავი ლაქებით
დაიჭორფლა. იშვიათად საბოვნი ჩხვერი სულ ჩამოხმა.

ღელის ნიავს წინანდებურად აღარ მოქონდა ტყიდან საამო სურნელი.

„— შეილო, დობილოში არ გახვიდეთ! — ეუბნებოდა მაკა ბავშვებს, —
პარტახი უხსენებელიც აღარ იცდის თავის ხერელში“.

სოფელ ბაილეთის მოხუცებს იშვიათად ასოვდათ ასეთი გვალვიანი ზაფ-
ხული. მხოლოდ შუა სერს ქვემოთ შქერნალში, სამი ვეებერთელა წყავის
ძირში, ჩვეულებრივად მორაკრაკებდა ცივი წყარო. — „დაილოცა შენი გა-
მჩენი!“.. ამბობდნენ მგზავრები, როცა პეშვს შეუშვებდნენ და გახურებულ
გულს მოიოხებდნენ. სოფლის ქალები და ბავშვები მიჯრით მიმწკრავდე-
ბოდნენ წყაროზე — ჩაფებით, ღოქებით და სპილენძის თუნგებით.

— პაიტ, თქვე შარახვეტიებო! — გადმოსძახებდა ქალებს შეღმართზე გა-
დმომდგარი თებრონე. — რა გეშველებოდათ, რომ ეც წყარო არ მქონებოდა
თქვენი წყურვილის მოსაკლავად! უმადურებო, აბა ერთხელ თუ იფიქროთ,
ერთი ვარიკა მოგვართთ ვაშალომძის ოჯახს. დაილოცა თქვენი პატიოსნება!
რა ქალები ხართ თქვენ!..

ილანძებოდა თებრონე. ქალები ჩუმაღ ავსებდნენ ჭურჭელს.

თებრონემ მართლაც დეკეული დაუკლა მიწისმზომელებს იმისათვის, რომ
ორი ნაბიჯით დაექანებინათ ყორღანი და წყარო ვაშალომძის მამულში
დაეტოვებინათ. ახლა ბრაზი ახრჩობდა თებრონეს.

— ბატონო, ჩემი დეკეული ამინაზლაურონ და, მერე თუ უნდათ ჩაიხ-
რჩონ ამ წყაროში! — ჯაჯლანებდა ის.

ერთ დღეს იმდენი იქაქანა, ღობე გადმოთელესო, რომ შინ სტუმრად ჩა-
მოსული როსტომიც კი ამხედრბ სოფლის ქალების წინააღმდეგ. მაგრამ
როცა დაინახა ქალების და ბავშვების მაგიერ წყაროზე კაქები მოდიოდნენ
ჩაფებით, მას ხელი დააფარა და „მოთან!“ შეუთვალა ქალებს:

— ვეფო, მე ის კი არ მითქვამს წყალს ნუ წაიღებენ-მეთქი. ეს ამოსაწ-
ყვეტი ბიჭები ბაღს მიფუჭებენ, ღობეს მითელავენ-მეთქი, ამას ვამბობდი.

„ღვთის თვალი“ აღარ იჩნდებოდა ბეგლარ მანთიძის ოჯახში. შარშანდელ-
მა ყანამ ვაშალომძის ზეგანში კაი მოსავალი მისცა. ზამთარში მკადით გა-
მოიტანა ოჯახი. თებრონეც დააკმაყოფილა. „წელს ორი გოდორი ეუნტალა

არ მოიტყუებო“, — ამბობდა გულდათუთული მაკა. ბეგლარი იდგა ვარინ-
დებული და ხელებს იფშენებდა. არსაით გასაქანი არ ჰქონდა. ჩაღვინებობა
დაეწყო, ხარები არ ჰყავდა, საიჯარო შეშა გაეჩხა, იქაც ხარი და ურემი
უნდოდა.

— წავალ, ქალო, სადმე, ეგებ სიკეთეს წავაწყდე, — ველღეღი ^{ერქინული} შემართო
ერთ ღღეს ცოლს დაღონებულმა ბეგლარმა.

— ბალანია რომ დაეკარგე, ეგეც მეყოფა სანანებლად, — სთქვა თვალცრე-
მილიანმა მაკამ. — მირჩენია ჩემს ფაცხაში ამოვწყდე, ვიდრე ოჯახის მამა სა-
ხლიდან აღოდდებოდეს. კიდევ ერთი-ორი წელი და აგერ ბიჭები წამოგვეზ-
რდებიან, მთლად იმედს ნუ გავიწყვეტთ, კაცო, იქნებ მახარეც გამოჩნდეს,
ხელი წამოჰკრას ოჯახს.

მახარეს ხსენებამ გული დაუმდულრა დედას. ბეგლარმა გაკვირვებით შე-
ხედა ცოლს და ისევ მოყვა ხელების ფშენებას. კარგად იცოდა მახარე ტერა-
ფერს უშველიდა მის გაჭირებულ ცხოვრებას. პირიქით, ფიქრი სტანჯჯდა: მთელი
წელიწადი გავიდა და ბიჭიდან ერთი წერილი არ მიუღია: „ნეტავი
წერილის დაწერა ხომ არ დაავიწყდა ამ ბიჭსო?“ — გაიფიქრა ბოლოს ბეგ-
ლარმა. ისევ ცოლს მიუბრუნდა:

— ღმერთმა ყველაფერი კაი ქნას, ქალო, მარა სხვას რომ თავი დაეანე-
ბოთ, თებრონეს რა გადაურჩება? ხუთი გოდორი სიმინდი საიდან ჩაეუყარ-
ოთ ბელელში?

— წელს იმ ქაჯამ ოთხივე მეყანე გაგვაცურა. ყველას ხუთხუთ გოდორ
სიმინდზე მოგვირიგდა ნარდად. მოგვიქონა თავი და სამესამედოდან ნაღ-
ზე გადაგვიყვანა. ალბათ „დავითნში“ თუ ამოიკითხა წყეულმა გვალვიანი
წელიწადი იქნებო, თორემ ხუთ გოდორზე რატომ დაგვეთანხმა, როცა შარ-
შან ექვსი გოდორი ერგო.

— ეშმაკია, — ეშმაკმა წაიღოს მისი სული!

გვალვიანი ზაფხული გავიდა. თებრონეს მეყანეებმა სამსამი გოდორი სი-
მინდი ძლივს მოიწიეს. ჩალა აჩუხეს, შეკონეს და ყველაფერი თებრონეს კა-
რებზე მიიტანეს. ბეგლარი ხელცარიელი დაბრუნდა შინ. ოფლჩაქცეული
ყანიდან გაწბილებული გადმოვიდა. ბაღში ერთი გოდორი ტარო აკრიფა
მაკამ ღობის ძირში მითესილი სიმინდიდან. ეს ერთი კვირის სარჩო იყო
ოჯახისათვის. გამწარებული ბეგლარი აქლემივით აღერდა თავს. საით წა-
სულყო არ იცოდა, რით გამოექცემა ნაცარში ჩაყრილი ტიტლიყანა ბავშ-
ვები.

თმაშევერცხლილ ბეგლარს ეძნელებოდა რომელიმე „უკულო“ აზნაურის
ოჯახში მოჯამაგირედ დადგომა. უფრო შეუძლებლად მიანდა შეძლებული
გლეხის ოჯახში მოჯამაგირეობა. თუმცა ასეთები აქა-იქ კიდევ მოიპოვე-
ბოდა სოფლად. ზამთრის განმავლობაში კიდევ გადასწყვეტდა ამ „სამარც-
ხინო“ საქმეს, მაგრამ მოჯამაგირეს მხოლოდ ერთი წლის ვადით იყენებ-
დნენ სოფელში და ასეთ პირობას უღებდნენ: თუ ერთ წელიწადს არ შეას-
რულებდა მოჯამაგირე დამჭირავებლის სახლში, ჯამაგირს ვერ მიიღებდა.
ბეგლარს ზაფხულზე ყველაფერს ერჩია მის ყანაში თოხის მოქნევა. მიწა
სხვისი იყო, მაინც მის ყანას ეძახდა, ცხელ ოფლს ღვრიდა. ახლა რა იღო-
ნოს? მისი ყანა დასტოვოს და სხვისი თოხნოს?

— არა, ამას ვერ შევიძლებ! — გადასწყვიტა ბეგლარმა. — ბათუმში წავალ,
მახარეს ვნახავ, ეგებ ბედს წავაწყდე...

ბეგლარის ამოძახილმა კვლავ მიადგია მაკას ყურამდე.

— ფეხსაც ვერსად გადასდგამ! — შეუტია მაკამ, თან ღიმილით დაეუმატა: — თუ მოგწყინდა, ბაღიაში ჩადი და მიწის ვაშლი ამოთხარე!

ბეგლარმა ბარი აიღო და ისევ მიწას დაუბრუნდა მიყვარებულს: — მიწა რომ ჰქონდეს საკმაოდ, დღეს და ღამეს გაასწორებდა, იმდენს რომ შეწყობდა, ანდა საწისქვილე წყალი რომ გააჩნდეს, წისქვილს მოაწყობდა, მინდს პატროსნად აიღებდა, მკადი თავზესაყრელად ექნებოდა. ტყე არსად არის, თორემ შეშას დააბობდა, რკინიგზას მიყიდდა. ხარები ყავდეს, სარგებლიან საქმეს მოჰკიდებდა ხელს. რა ქნას კაცმა, რომელსაც არც მიწა აქვს, არც წყალი აქვს, არც ხარი ყავს, არც ტყე აქვს... „ცას როგორ გამოეკეროს ბედკრული ბეგლარი?“

მიწის ვაშლი ამოთხარა ბეგლარმა და დაღვრემილი ჩამოეჯდა ბაღის ალაგზე. ნადვლიანად გადახედა მალლობიდან სუფის პირზე გადაშლილ ყვირელ ყანებს. გული დაეწევა: ერთი ქცევა საყანე მიწა მაინც ჰქონოდა გურიელის მამულში. საზამთრო მკადს მოიწევდა. ყანებს გვალვიან წელს კარგი პირი უჩნდა. ახლა რა ქნას ბეგლარმა, ქვას ახალოს თავი თუ კლდეს? არაქათი გამოელა ამდენი ფიქრისაგან. ბოლოს მაკას აბრალებდა, ვაშალომძის ქვიშნარს არ მომამორაო.

ოქტომბრის დღეები ნელნელა მიდიოდა. მზეს თანდათან აკლდებოდა სითბო. ზამთარი იხედებოდა ბეგლარის თვალბში. თოვლი, ტალახი, სიცივე, შიმშილი თვალწინ ედგა წერილი შეილები მამას. ნახევრად ტიტლიკანა ბავშვები ეზოში დარბოდნენ, თამაშობდნენ. მაკა მზის ყურზე იჯდა, სიმინდის ფუჩეჩს სწეწდა, ბავშვებისათვის რბილ ლეიბს ამზადებდა. ეს ფუჩეჩი დარჩა ოჯახს წლევეანდელი მოსავლიდან. წარბშეკრული და გულჩათხრობილი დასცქეროდა კალთის წინ დაგროვილ ფუჩეჩს. ვინ გაუგებდა, რა დარდი ჰკლავდა მაკას!.. ცრემლს წამწამებშივე იშრობდა. ფიქრს ფუჩეჩის შრიალს აყოლებდა. მთელი არსებით მახარეს დასტრიალებდა სადღაც, შორს. ხან როგორ წარმოიდგენდა და ხან როგორ — მთელი წლის უნახვე შეილს. ბოლოს დანის წვეტივით. ჩაირჭობდა გულის ძირამდე სევდას და საწყალობლად წამოიძახებდა: — „რაღა დაავიწყდა სახლი იმ ბიჭს. მისი დედა მოკვდეს ადრე და მალე. ორი ბჭკარი წერილი მაინც გამოეგზავნა!“

იქვე ბაღის ღობესთან, ორი თითო ციდა გოჭი ღრუტუნებდა. ბავშვებს უყვარდათ გოჭები. მალმალ მიირბენდნენ მათთან. წიფლნარში აკრეფილ წიწიბოს მოუტანდნენ, ხან ტყის პანტას, ხან თავიანთ ლუკმასაც კი უტენიდნენ პირში, ეალერსებოდნენ. მაკა დიდ იმედს ამყარებდა ამ თითისისხო გოჭებზე: „ჩქარა დაიზრდებიან, საახალწლოდ დიდი ბურვაკები გვეყოლებოა“, — ამხნევებდა ბეგლარს. მაგრამ, დახეთ უბედურებას! აგერ ეზოში შემოიჭრა თებრონე, მთელი დღე მეყანეებთან ნარბენი პირიდან ცოფს ყრიდა. თვალები ბრაზისაგან ჩასწითლებოდა, ყვიროდა, კაპასობდა, ბინძური ენით ლანძღავდა მეყანეებს, იმუქრებოდა, ბეგლარისაკენ მიექანებოდა, ხელებს ასაესავებდა:

— რას ფიქრობ, ყაძახო, რად არ მახარებ ორ გოდორ სიმინდს? ხომ არ გინდა გამაგიყო? ხომ არ გინდა ვადმირიო? ხომ არ გინდა თავბედი გაწყვილინო? — შემოსვლისთანავე მიიყარა ბეგლარს ცოფი.

ბეგლარი გამშრალი წამოდგა. მაკამ კაბის კალთა წამოიფერთხა. ბავშვები შეშინებულნი მისცივდნენ დედას.

— რა ვქნათ, ქალბატონო, — დაიწყო მაკამ მოკრძალებით, — შრომა და ჯათა არ მოგვიყლია ღმერთმა იცის. რაც მოსაველი იყო თქვენს მიწაზე, ქე მოგართვით. ქურჩენის მეტი ჩვენ არაფერი დაგვრჩენია ოფლიანდვარ ყანდან. იცით, ქალბატონო, ამ საწყალმა ბაღენბმა რამდენი ქაქაქა ღორღა გაზიდეს თქვენი მიწიდან შარშან? მთელი თვე წელი სტეიოდათ.

— რა ჩემი საქმეა ვის წელი ეტკინა და ვის ფეხი! ხუთ გოდორ სიმინდზე მოგირიგდით. სიტყვა — სიტყვაა. არა და მომავალ წელს დაქარგავთ საყანეს. მთხოვნელი თმოსოდენა მყავს. მაინც რას იკატუნებთ ასე თავს? ამბობენ: ბიჭი კარგ ჯამაგირში გყავთ თურმე ბათუმში.

მაკას გულს ისარივით მოხვდა თებრონეს სიტყვა. არაფერი არა სთქვა. დიდრონი, ნადვლიანი თვალეზი გოჭებს მიაპყრო. სხვა აღარაფერი ეგულეზოდა ფეთიან თებრონეს დასაკმაყოფილებლად.

— ჩემო ქალბატონო, აი, ორი გოჭი მყავს, ერთი სხვისია და ერთი ჩემი. იყაბულე ღეთის გულისათვის ერთი მათგანი.

თებრონე უცებ დამშვიდდა. დარწმუნდა ბეერს ვერაფერს დაადრობდა გალატაკებულ ოჯახს. დაყაბულდა ერთ გოქს და ის იყო ეზოდან გავიდა, რომ უცებ რაღაც მოაგონდა, შემობრუნდა, გულიდან სიფიცხე გადაპყროდა, სახე უჩვეულო სიმშვიდით უღიმოდა. ბეგლარს, რომელსაც წელან უყვიროდა, ლანძღავდა, ემოქრებოდა, ახლა დათაფლული სიტყვებით თავს უქონავდა:

— ბეგლარ, ბიჭო, სხვა არა იყოს რა, მეზობლები ვართ, ჭირში და ღზინში ერთმანეთის შემყურე, ერთი ურემი შეშა ამომიჩხე რიყეში, სამაგიერო ჩემზე იყოს!...

ბეგლარს კარგად ესმოდა ეს დაპირება. იდგა გამშრალი და თავს აკანტურებდა. თან ჩვეულებრივად იფშენეტდა ხელებს. მაკა კენტ გოქს უთვალთვალებდა, დაწვებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, სულიყო მუხლებზე ამოუხიხიხდა დედას, პატარა თითები ლოყაზე მოუცაცუნა და დაყავებებით უთხრა:

— ნუ იტილებ, ნენაია, ნუ იტილებ, დეიდა კიდევ მოგვიტანს გოქს! ჯოტო და საული მობუზული იდგნენ.

ახმედ-ალას ყავახანა

1900 წელი ილვოდა.

თოვდა. ცაში მოხვეტილი თოვლის ფანტელები ცვივოდა ბათუმის მიდამოებში. ქუჩები პირამდე ივსებოდა ფუნთუშა თოვლით.

ხალხი ფაციფუცით ირეოდა დუქნებში. დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ყველა ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა. სადაც, დუქნების უკან, მთელი დღე გულს აწყალებდა არღნის ერთი და იგივე ჭყრიალი. იქ, ბინძურ სამიკიტნოში, სადაც ღვინით სავსე რუმბები ეყარა, ერთმანეთზე შეწყობილი, ლოთები ქეიფობდნენ.

სამიკიტნოს კარებთან დაწანწალებდნენ გაბუდრული ქალები.

ოჯახის მამაკაცებს ღვინით სავსე ტიკები მიჰქონდათ ილიაში ამოჩრილი. ქალები გოზინაყს აკეთებდნენ.

ბავშვები თაფლიან თითებს ილოკავდნენ და გარეთ გარბოდნენ თოვლის საგუნდაოდ. ქუჩებიდან მოისმოდა ბავშვების ჟივილბივილი, მგზავრებმს ყაყანი და ეტლებში შებმული ცხენების ფლოქვთა თქარუნი.

ბავშვები მოუჩინებლად უშენდნენ თოვლის ბურთებს ქალებს, ნაბღია-
ნებსაც არ ზოგავდნენ.

აქა-იქ მბუტყავ ფარნებს ფარვანებივით ეხვეოდათ თოვლის ფარტულები.
ივერცხლებოდა ქალაქი.

ბურში გახვეული ზღვა ტალღების ოდნავი ტლაშუნით დასრულდა.
გაბრწყინებული დარბაზებიდან მოსჩანდა ჭერში მიბჯენილი ნაძვის
ხეები, ბრჭყვიალა სათამაშოებით აჭრელებული და ბაბუას წვერებივით და-
ფიფქული.

ვაკრებს ძვირფასი ნივთები ვიტრინებში გამოეწყოთ.

ლუქნებში ხალხი ირეოდა. ნოქრებს სულს უმწარებდნენ ლარიბი მცხოვ-
რებლები.

— ერთი კვერცი თლახათლუხუმი ამიწონეთ—შემოირბენდა პატარა ბიჭი.

— ორი ცალი ნახატიანი კანფეტი მომეცი, ძია! — შემოცუნცულდებოდა
სიცივით აძაგძაგებული გოგო და ნოქარს ხელში შეაჩერდებოდა. — ის მომე-
ცი, ქალი რომ ახატია.

მერე გაროზმოხვეული დედაკაცი შემოვიდოდა, ალერსით გადახედავდა
ტკბილულს, ხილულს და მდიდრულად ჩაცმულ ქალებს გვერდს აუქაყვ-
და, ორ ცალ ტკბილ პურჩიტას გაროზში ამოიდებდა.

ნაშუალამევს, ლუქნების დაკეტვის ორი წუთით ადრე, ტყაბუკებ-გათხუპ-
ნული მეეზოვე შემოაბოტებდა წვირიან წინსაფარით და ხუთ ცალ ფოჩიან
კანფეტს სთხოვდა ნისიად ნაცნობ ბაყალს. მზიარულად ჩაიწყობდა გულის
ჯიბეში ისე, რომ სახლში შესვლისთანავე დაენახათ ბავშვებს, თუ რა მოუ-
ტანა მამილომ.

ყველა ცდილობდა მზიარული შეხვედროდა ახალ წელს.

გადაუღებლად თოვდა. მიწა მშობლიური ალერსით იხუტებდა გულში
ციდან გადმოფრენილ სიფრიფანებს.

ზღვის გულში გატვრინულ ნიაჟს ფრთები აეჩეჩა და ტალღები ახლა უფ-
რო ძლიერ ეტლაშუნებოდნენ ნაპირს. „შალა-შალა-შალა“, — მიიმღეროდ-
ნენ საღდაც ღრიანკელში და ქშულით მიქროდნენ.

ქარხნებიდან გვიან დაბრუნებული გურულ-იმერელი მუშები მოხმაურობდნენ
ქუჩებში და მომავალი წლის „ხვავსა და ბარაქას“ უსურვებდნენ ერთმანეთს.

ნორიაში თათრის ქალები ბატი-ბუტს, თხილსა და ქიშმიშს ხალავდნენ
დილაადრიან გასასყიდად.

ალაყაფის კარებთან ვიღაც ახმახი თუჯის ქვაბში ინდურ თხილსა და
წაბლს ხალავდა. ბავშვებს აბაზიანები დაეჭირათ ხელში და ქუდგადმობრუნე-
ბული უცდიდნენ ქვაბის გადმოღვმას. ამ დროს ლოთები გამოვიდნენ სა-
მიკიტნოდან და გადაბრეცილნი, არღნის ქყრიალით ახმედ-ალას ყავახანას-
კენ გაემართნენ. ნავით სეირნობის საღერღელი აშლოდათ. მაგრამ მეარღნის
ჭედზე არც ერთი მენავე ნავში არ იჯდა. მეარღნე კი ემუდარებოდა, ეხვე-
წებოდა, არწმუნებდა მთვრალებს, რომ ისევე თბილ სამიკიტნოში დაბრუნე-
ბა სჯობდა ამ თოვლებურით აფორიაქებულ ღამეში.

მენავე თათრებსა და ბერძნებს ჩვეულებრივად მოეყარნათ თავი ახმედ-
ალას ყავახანაში.

აგერ ახმედ-ალას ყავახანაც.

ქალაქიდან განმარტოებით დგას დაბალი და ფართო ლუქანი, უკან მიდგმუ-
ლი დახურული ღერუფენებით. ფანჯრები პირდაპირ ზღვას გასცქერიან. მენა-
ვე თათრები და ბერძნები ღონჯად სხედან პატარა მაგიდების ირგვლივ. კბი-

ლებში გამოჩრილ ყალიონს აბოლებენ. დომინოს თამაშობენ მშვიდად — შავ ყავას ჭერებენ. მასლაათობენ.

ყავახანაში ნისლივით დგას თამბაქოს ბოლი.

მაგიდებზე გადაფენილია ქუჭყიანი სუფრები, იატაკი სველია და ქაღალდები.

ყავახანის გულის ამრევი სიმყრალე ნივთებშიაც გამჯდარია — ყავისფერი და შელაქულ დახლთან ახმედ-ალა ზის და ხან ახალგაზრდა მუსტაფას გადახედავს, რომელიც დახლს განჯინის მხრიდან მოსდგომია და მოკალტული სპილენძის ჩაიდნიდან მუშტარს გაურეცხავ ფინჯანში უსხამს ყავას.

ლუმელთან დაგროვილია ხერხის ქარხნიდან მოზიდული წაბლის და მუხის ფიცრების გადანაჭრები, დახერხილი ლედვის ხის ტოტები. გამოივლის მუსტაფა, შეყრის ლუმელში ნაფოტებს. აბრიალდება ლუმელი.

ტაკუნობს ცეცხლი.

ლუმელთან ზის მოკუნტული მახარე. თავი მუხლებში ჩაურგავს. ფიქრებს მისცემია: იქ, შორს სადღაც მინდვრებია და ტყეები, ყანები და სათიბები, ფაცხები და ბოძებზე შემდგარი ოდები, წისკვილები და ჩამურები... იქ, შორს, ყველაფერს თეთრი თოვლი დაჰფენია. ბეგლარ მანთიძის ფაცხაც თეთრად გადაჰენტილა, სახურავს ისლის მაგიერ თოვლის თეთრი ნაბადი დაბურვია. კარის დირე და დერეფანი თეთრი ბროლით მოჩუქურთმებულა. ბეგლარს, ფაცხის გვერდით, ლელის პირას, ღორი წამოუტყევეია დასაკლავად. ეს ის გოჭია, დეიდა რომ დაპირდა ნენას. რა დიდი გაზრდილა! მაკას მდულარე წყალი მოაქვს გასაბუტავად. ჯოტო და საული სურთან თხმელაზე შაშვებსა და ჩხართებს მახეს უგებენ. სულიკო ფაცხის დირეზე შემდგარა და თოვლში მოფრთხილავ ჩიტუნებს უთვალთვალებს. ჯამით ქატო უჭირავს — ჩიტების საყენკი. ფანტავს ქატოს თოვლზე და ბუტბუტებს: „წიბუ... წიბუ... წიბუ...“ ოცნებიდან სიზმარულ თვლემაში გადადის მახარე და საიდანღაც სულიკოს მაგიერ დია განდება მის წინ. მახარე შეკრთება, თვალებს გააღებს. ყავახანაში რაღაც არაჩვეულებრივი ჩოჩქოლაა. ზოგი ფეხზე წამომდგარა, ზოგი ისევ დინჯად ზის. ვილაც მზრძანებლობს. ვინ არის ეს?

მახარეს ფერი ეცვალა, გაფითრდა, თმები აებურჭლა. ახმედ-ალას დახლთან დგას ლევან ესეს-ბე გურიელი, ოლქის ურიადნიცი, მის უკან როსტომ ვაშალოშიძე და კიდევ ორი ჩაფარი. მახარემ იცნო როსტომი — ყურის მეზობელი. დიკუზა, წამოავლო ფუთას ხელი, რომელსაც თავქვე იღებდა ლუმელთან ძილის დროს და, სანამ „სტუმრები“ შემობრუნდებოდნენ, ტყვიასავით გაეარდა კარებში. მირბის მახარე, მირბის დამდულრულივით, გაიჭრა ერთი ქუჩა, მეორე, მესამე, სად გაჩერდეს?

„ერთი, ორი, სამი“ — თორმეტჯერ დარეკა ქალაქის საათმა. სადღაც თოფი გაისროლეს. ტყვიამ შუილით გადაურბინა ქალაქს. ერთ ტყვეას ორი მოჰყვა, ორს ათი. ხალზი ახალ წელს ეგებებოდა. მახარეს გაახსენდა „საჯობნელი“. ყოველ „ცხემლის-პრა“ ღამით ხომლი რომ ცის სხვენისაკენ წამოიწყო და, მახარეს გააღვიძებდა „ნენაი“ და საჯობნელს აჰმევედა თოფის გასროლამდე. „გაჯობე, გაჯობეო“... მიადახებდა მახარე და წამოხტებოდა ლოგინიდან.

ახლა?

დარბაზებიდან ისმის მრავალყამიერი, კიქების წკრიალი, ბავშვების კისკისი და საცეკვაო მუსიკის გუგუნო.

სამიკიტნოში ისევ ჰყრიალებს არღანი. ქოხებშიაც ბეუტავს ლამუები. ქუჩებში სიჩუმე. არც ფეხის ხმა, არც ეტლების ღძაფუნო.

სადღაც გუშაგმა ჩაახველა და მახარემ უმატა ზირბილს. სადგურში მატა-

რებელი კიოდა. მახარე ქარივით გაიჭრა ბაქანზე. უნდოდა შეეკარდნოლიყო ვაგონში და გაყოლოდა მატარებელს შორს, სადმე დასაყარავში.



დაბარბაცდა მახარე, თავბრუდახვეული კედელს მიეყუდა, მატარებელი დაძრულიყო, სემაფორს იქით მიჰქიოდა. მახარე მიჭედლივით იღვა — ბაქანის კედელს მიყუდებოდა და გაზრდა რკინიგზელი მიუახლოვდა და უთხრა:

— ბაქანზე გაჩერება არ შეიძლება, ყმაწვილო!

და კიდევ უნდოდა ეთქვა, ავერ უნდარმი მოდისო, მაგრამ შეჩერდა, მახარეს სახე ეცნაურა. ხელი მოჰკიდა მკლავში და თვალეში ჩახედა.

— ბიჭო, მახარე ხარ შენ? ბეგლარის ბიჭი? ძლიეს არ გიცანი?

მახარე კარგა ხანს ვერ გამოერკვა. მოსაუბრეს მიაშტერდა, მერე გაყინული ბაგე ააცმაცუნა და ძლიეს გასაგონად წამოლრაღნა:

— ერმილე... შენ... საიდან?

— მე აქ ვმუშაობ. შენ როდის ჩამოდი?

მახარეს ისევ დაემა ენა. ფუთა ილიაში ამოიღო, მხრები აიჩეჩა.

— მე, ისე... დიდი ხანია...

— აქ რას აკეთებ? — ჩაეკითხა ერმილე.

— არაფერს.

მახარეს ხმაში სასოწარკვეთილება გამოკრთოდა. ერმილე მიუხედა:

— ბინა არა გაქვს? წამოდი ჩემთან. რატომ აქამდე ვერ შეგხვდი!

მახარე ათრთოლდა, მუხლები აუკანკალდა. არც „პო“, არც „არა“... უსიტყვოდ მოწყდა ადგილიდან და ნაბიჯაჩქარებული ერმილეს აედევნა.

ნაპმარწყპალი

ნორიაში ცხოვრობს ერმილე. დარაბების უკან. მისი ოთახის ფანჯარა და კარი ეზოში ვადის. მიღმა ოთახში ცხოვრობს ნინიძე. ნინიძე ნავთსადგურში ბუშაობს ვადამტეირთავ მუშად. როცა მზე ამოდის — პირდაპირ ერმილეს ოთახში შეიხედაეს. ახლა ბამბასავით თოვლი დაფენილა დარაბების უკან. ერმილეს ოთახში შეგობრები შეკრებილან. ნინიძეც აქ არის. ბარცხანიდან გოგილო ჩამოსულა. ის როტშილდის ქარხანაში მუშაობს. მანთაშევის ქარხნიდან ოლომფრე და ნიკიტა მოსულან. ნიკიტას გიტარა მოუტანია, მიჯდომია სუფრას, ღორის თავს უტყქერის, სიმებს აქლრიალებს და შღერის:

„სიყვარულმა ფრთა გაშალა,
ტურფავ, შენკენ ვადმოფრინ-და-ა...
ჩემი ვული მოვიტანა,
გჭონდეს, გჭონდეს, თუ კი ვინ-და-ა...“

შღერის ნიკიტა და არ იცის, საიდან ჩაუფრინდა გულში ნინო ნაკაშიძის ლექსი, ეს სიყვარულის ამგზნები სტრიქონები. იქნებ ნიკიტას გულმა თვითონ გამოაეღინა ლექსიც და სიმღერაც? მოაგონდა ქეთინო, — სიმონის სახლში რომ გაიციწო, შავთვალწარბა, ეშხიანი გოგო და მას შემდეგ გულში ჩაუვარდა.

„ჩემი დიჭრი და ვონება,
შენთან არის, გემონე-ბა-ა...“

— არა, მე უთუოდ შეყვარებული ვარ! — წამოიძახა ნიკიტამ, გიტარა დაბლა დაუშვა და მირიანს გადახედა. მირიანი იყო ამაღამ შთავარი მასპინძელი ერმილეს სახლში. დილით ჩამოსულიყო სოფლიდან, ტიკით ღვინო და საახალწლო ღორისთავი ჩამოეტანა.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. მირიანი გასაცხლებლად მიწყობილ ხაჭაპურებს უტრიალებს. ქვისკეცი მკადიე ჩამოუტანია მირიანს, შეეცეცხლე მიუფიცებია. შამფურზე წამოჯარული შიგნეულის ძეხვები მიწინაყებს. ნაკვერცხლებს ალი ედება, ქონი გადმოდულს და ოთახში ნიფის, კონდრის და სანელებლის საამო სუნი ღვას. სოფლის ფაცხების ჰაერში შიშვლილა შპალერჩამოხვეულ ფიცრის კედლებში. რამდენი ხანია მახარებს უსმინეს ეს ჰაერი. ხაჭაპურები დაწითლდა, მკადიე გაფიცდა ახლა ერმილემ მოასწრო მირიანს, მკადიე და ხაჭაპურები სოფლურად დატეხა სუფრაზე. ოთახი უფრო გემრიელი სუნით აივსო. მახარე უსაზღვრო სიამოვნების გრძნობამ აიტანა. ზის სავსე სუფრის კუთხეში, აწურული, მორიდებული. ყველანი მასზე უფროსები არიან, უღვაშებ-გადაწყობილნი, დაევეკაცებულნი, საქმის კაცები. მახარეს ჯერ ზრდა არ დაუსრულებია. ცხვირის ნესტოებთან ახლა ოღნავ აბიბინებია ბუსუსები და ფიქრობს: „ნეტა მახარე როდის გაუტოლდება ერმილეს, გოგილოს, ნიკიტას“... ნინიმე თითქო ამათზე უფროსი მოსჩანს, ოლომფრეც... მირიანი ნამდვილი ვაჟაცია, ცეცხლი ვადაცრია ლოკებზე. ოლომფრე წეკოს აბოლებს.

ერმილუ აბეულებს.

— შე ოჯახკეტიანო, დაანებე თავი მაგ სკვარამ მახორკას, — ხუმრობით ეუბნება ერმილუ ოლომფრეს.

— რა გიჭირს შენ დაანებო თავი იმ გოგოს? — იღრიჭება ოლომფრე.

მირიანი ცალი თვალთ გადახედავს ძმას.

— ასეა, ბიჭო, საქმე? მაშ დალიეთ ეგ ძირამოვარდნილი. ვადდეგრძელოთ იი გოგო, მარა... ვერ მოგიწონებ ძამია. ჩვენ სოფლის ხალხი ვართ. ქალაქის გოგოები შარახვეტიები არიან.

— კაცო, მაგას უყურებ? — დარცხვენით სთქვა ერმილემ და ცალყბად ვადახედა ოლომფრეს — მაგას გოგოებზე ფიქრმა შეაყვარა მახორკა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, — სთქვა ნინიმემ დინჯად, — სულ გოგოებს დასდეს.

— ბახუსის მადლმა, აი... — დაუმტა გოგილომ.

ნიკიტამ ისევ წამოაელო ხელი გიტარას, ჩამოჰკრა სიმებს. მღერის ნიკიტა მთელი გულით, მთელი გრძნობით.

„აღარ მინდა მე ამ ქვეყნად
არც სიმღიდრი, არც დიდება...
მინდა მხოლოდ განუწყრელად
შენთან ყოფნა, შენი ცქერა...“

— ძმებო და მეგობრებო, მე უთუოდ შეყვარებული ვარ... ზომ გეუბნებით, მამატიეთ უდროოდ სიმღერა, შეყვარებულს ყველაფერი მოუტევება მეთქი. დამწევა კაკალი კაცი იმ გოგომ. კვესივით გაეკრა გულს, გამიჩინა ცეცხლი და მას მერე აბედივით ვიწვი... სანთელივით ფლნები.

„ნეტა მომცა ფრთები
შენთან მოფრინდები“...

ბიჭებმა ხარხარი ასტეხეს. ნიკიტამ გიტარა ტახტზე დააგდო, ღვინით სავსე ჩაის ჭიქა აიღო და დაიძახა:

— ამხანაგებო, მე ქეთინოს სადღეგრძელოს ვსვამ. ვიცი, ვაჟაკები ხართ, თქვენც გეყოლებათ თქვენი „ქეთინო“, დავლიოთ, ვადღეგრძელოთ ჩვენ — ჩვენი...

მირიანს მოავგონდა ცაცესთან პირველი შეხვედრა. ის ერთი წუთით გადაფრინდა ბათუმის მიდამოებიდან, თავს მოელო საყვარელ ცოლს შვილს — ცაცუნას და ზაზას და ისევ დაუბრუნდა სუფრას.



ნიკიტამ ჭიქა გამოსცალა, საინზე დაამწო.

— ასე დაგეცალოთ მტერი. ალავერდი ძამია! — გადაეჭრა მწიქიძეს ჭიქა.

ნინიმ გულგრილად გამოსცალა ჭიქა. მას ჯერ კიდევ ვერ აერჩია მეგობარი ქალი და ამბობდა: ჯერ სამი ფუთი მარილი შესკამე ქალთან და მერე ითხოვე ცოლადო.

— ხუმრობაა!.. ცოლთან სიკვდილამდე უნდა ვიცხოვრო... ის ჩემი გული და სული უნდა იყოს. ჩემი შეგნება, ჩემი აზრი, ჩემი სიტყვა...

— ვაი, ვაი, ძამია, დაბერებულხარ უცოლოდ და ეგ არის. — ჩაიცინა ოლომფრემ. — გოგილოს — სიცოცხლე და ღლეგრძელობა. გოგილო იტყვის მართალს, ალალი კაცია.

— ეეხ, ძმებო, რა უნდა ვთქვა? ხომ გაგიგონათ: ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო. — სთქვა გოგილომ. მოწყურული თვალებით ცარიელ კედელს მიაშტერდა, გვეგონებოდათ რაღაც დიდი სამკაული დაჰკარგვია ამ კაცსაო.. მერე უცებ დასცალა.

— მირიანს ახალი წლის ზევი და ბარაქა! ნუ მოგვიშალოს გამწინმა შენი ტყბილი პურმარილი, რომელმაც ამ სუფრაზე შემოგეკრიბა ამაღამ ძმებო საჭიკიკოდ და ჩვენი დიდი შოთას ენით რომ ვსთქვათ, — სალალობოდ. მე ერთს ვბრძანებ: მოჩვენებითი სიყვარული ყვავილივით გაგჭირება, ძამია, ხელიდან.

მახარე ფიქრებში გახვეული, თავჩაყიდული დასჩერებოდა თეფშს, მის წინ სუფრის მაგიერ ვაშლომძიძის სათიბი გაშლილიყო. დია დაბტოდა, კისკისებდა. თეფშზე მოხატული ყვავილები დიას სახეზე ჩამოყრილ კულულეებით ირბოვდნენ მახარეს თვალში. ნიკიტას სიმღერა მის გულშიაც ჩაფრენილიყო ამ წამს. შემდეგ გამოფხიზლდა მახარე. მირიანს ჭიქა ჩამოართვა, დასცალა და ერმილეს შეხედა მოკრძალებით. უკანასკნელი საღლეგრძელო ერმილეს ეკუთვნოდა, როგორც ნამდვილ მასპინძელს, მაგრამ ამ დროს სეფემ შემოაღო კარი. შავი ნაბადი და ყაბალახი თოვლით შეფიფქოდა.

— ემატოს!..

— ემატოს!..

ერთნმად წამოიძახეს ბიჭებმა. სეფემ ხურჯინი კუთხეში დასდგა, ნაბადი იქვე მიაკიდა. ყაბალახი მოიხადა ფრთხილად.

— ემატოს!.. — სთქვა სეფემ საპასუხოდ და ღორის მოხარშული კელავერი მოუმატა სუფრას.

— არ იქნა ვერ მოვრჩი დუქნებში ხეტიალს. დედაჩემმა თავზე მოსახვევი დამაბარა, კიკინამ თოფთოფელა მომიტანეო. ახლა იმ ობოლ ბაღნებსაც უნდოდათ: ზოგს ფეხზე, ზოგს ტანზე. მთელი დღე დავჯახირობ, მტერი ჩავარდეს ვაჭრების ხელში.

სეფემ სტუმრებს გადახედა, ერმილეს ამხანაგები უცხონი არ იყვნენ სეფესთვის, გოგილო, ნიკიტა და სხვები არაერთხელ უნახავს ერმილესთან. მახარეზე შეაჩერა თვალი. ეცნაურა: „გაღმელი უნდა იყოს“ გაიფიქრა და ერმილეს მოუხედა, ბუხარს შეშას რომ უქეთებდა.

— აი ბალანაი მეცნობა, ბეგლარ მანთიძის შვილი უნდა იყოს, კაი ბიჭი დამდგარა. რას აკეთებ, ბიძია, ბათუმში?

მახარე გაფითრდა, არ მოელოდა სოფელლებთან შეხვედრას. რაღა მაინცა და მაინც ჯიბრზე მირიანიც, სეფეც... არ უნდოდა მახარეს სოფელში გაეგო ვინმეს მისი ამბავი. ყველა ნაცნობს ემალებოდა და მოზღბებდაც.

მირიანმა ღვინით საცხე სამი ჩაის ტიქა დაუდგა სეფეს წინაშე.
— ჯერ ეს ტიქები დასცალე. მერე ვიჭიკიკოდ. ღმერთო ჩემებში არის. დუქნებში რომ ფეხი შემოათორიე, რა გეგონა, ღვინოს გადარჩებოდი?

— არა, ბიჭო, ღვინოზე არ მიფიქრია, მარა, შე რჯულძაღლო, როდის გამოგტეხივარ ამხანაგობაში. გაუმარჯოს ჩვენი ძმის სახლში ამაღამ ჩვენს მეგობრულ შეხვედრას. ხეავით, ბარაქით და ბედნიერებით მობრძანებულყოს ახალი წელი. მრავალყამიერ, ბიჭებო!

ამოკვიდა სეფემ მაღალი მრავალყამიერი მკვირცხლად და ვაეკაცურად. მას ბიჭები მიყვნენ. მრავალყამიერს ხელხვაფი მოჰყვა, ხელხვავს კურხაბედნიერა და ახლა მარტო არღანი როდი უფრთხობდა ძილს დარაბების უკან მცხოვრებლებს.

სუფრაზე არ მღეროდნენ ნინიძე და მახარე. ნინიძისათვის მუსიკალური სმენა არ მიენიჭებია განგებას. მახარეს ხან ბოხი და ხან ბავშვური ხმა ჯერ კიდევ ვერ დამღვარიყო გარკვეულ კილოზე. მახარეს უფრო მოსწონდა გიტარის ეღარუნი. სატრფიალო ნაწყვეტები. მახარეს თავბრუს ახვევდა სეფეს მოძახილი და მირიანის კრიმანჭული. ოლომფრე, გოგილო, ნიკიტა ბანს ეუბნებოდნენ, ხან მაღლა მიყვებოდნენ დამწყებს, ხან დაბლა ეშვებოდნენ, როდესაც კრიმანჭული უმწვერვალეს სიმალეს აღწევდა. მახარეს სმენისათვის ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული გურული სიმღერების ზოგიერთი რთული მიმოხვრები.

ერმილე ახველებდა, თან ალტაცებით მისჩერებოდა მირიანის ცეცხლივით დაეღაე თვალებს. სეფესაც ღვინისფრად გასწითლებოდა ლოყები. ამ ორ მხარბეჭვაშლილ ვაეკაცს სოფლის სიჯანსაღე და სურნელება შემოეტანათ ნესტიან სარდაფებში. ლურჯი ხალათიანი ბიჭები მეტად ჩია კაცებად მოსჩანდნენ მირიანთან და სეფესთან შედარებით. ნინიძეს ნიკრისის ქარები აწუხებდა. სახეზე დიდი მოუსვენრობა ემჩნეოდა. ოლომფრეს ცივი, მელანქოლიური გამოხედვა სიამოვნებას ვერ მოგვრიდა ადამიანს. გოგილო მეტად ღინჯ და გონიერულ არსებად მოგეჩვენებოდათ, ცხოვრებაში ჩახედული, აზრიანი, მეტყველი თვალებით. მათში მახარე იჩრეოდა, ის არ გავდა ქარხნის ფერმკრთალ ბიჭებს. მხრები ზევით აეშოტა, დაშვართულ გრძელ მკლავებზე დედის შეყერილი ხალათის სახელო ოდნავ დამოკლებოდა. საყელოც ევეწროებოდა, ერთი დილი შეეხსნა. ჯეირანივით მოყვანილი თავყელი ამეღაენებდა მომავალი ვაეკაცის სასიამოვნო გარეგნობას.

მინელდა სიმღერა.

მირიანის და სეფეს წამოდგომამ სუფრიდან მოქეიფე სტუმრები უცებ დაადუმა. საღდაც საშკერ დარეკა საათმა. ბაქოს მიმავალი მატარებელი უნდა გასულიყო. ერმილემ ძმის დაშორება მწვავედ იგრძნო. რაღაც ცხელი და ცივი ვადაველო გულს. მირიანისა და სეფეს ფურიიდან ჩამოსვლამ და ერთად შეხვედრამ ბედნიერ დღეს, მშობლიურ გრძნობით გაუთბო ერმილეს გული. ახლა სდულდა ეს გრძნობა. სოფელი და ქალაქი თითქო სხვადასხვა გამოხატულებას პოებდა ერმილეს შეგნებაში. ერმილე ცდილობდა ეს სხვადასხვაობა რითიმე ამოეხსო. სოფელი და ქალაქი ორი გულივით რომ ესვენა მკერდქვეშ, ეს სტანჯავდა ერმილეს და არ იცოდა რა ეწამლა ამ „სენისათვის“. როცა მირიანი ჩავიდოდა სოფლიდან, ერმილე თითქო

იკრებოდა ყოველგვარი სენისაგან. „ორი ველის მგვიერ ღღეს ერთი ხალისიანი გული მაქვს“-ო—ამბობდა საუბარში.

ახლა საათივით რეკდა და ფრად იზარებოდა ერმილეს გული. ჩამოდიოდა და მიდიხართ... ასე ჩქარა! — სთქვა ერმილემ და რიდიანად ჰქია აავსო ღვინით. მირიანსაც დაუსხა. ბიჭებმაც აივსეს. ერმილეს შეაქცურდა. სეფემ მოიბოდიშა. მატარებელი გაგვასწორებსო. მირიანმა უბოდიშოდ განმარტა აჩქარების მიზეზი:

— ჩვენ გლეხები ვართ, ძმებო, თქვენთან ვისიამოვნეთ, შევხვდით მხიარულ წელს. ახლა ოჯახსაც გვინდა ვაეუთვნოთ მხიარული ახალი წელი. სწორედ მაშლები ყვილიზე ვიქნებით შინ.

— დედაჩემი მანამ არ გამოიღებს ფაცხის კარს, სანამ სამგერ არ მკითხავს, რა მოგაქვსო? — იოხუნჯა სეფემ. და ყველამ გადინახარა. — მეც ვეტყვი: „წმინდა ბასილის წყალობა: ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი... ასე სული რქიანი საქონელი, ჭური ღვინით სავსე, სკა თაფლით სავსე, ბეღელი ღომით სავსე, მჭადი უღუფი... ფრინველთა სიმრავლე და კაცთა მშვიდობა... გამოიღე, ნენავ, კარო!“

— კი მარა, სანამ გაგრძელდება ეს სულელური ჩვევები სოფლად ნეტავი? — სთქვა გოგილომ უკმაყოფილოდ.

— პირიქით, — სთქვა მირიანმა, — ეგ ჩვევებიც რომ არ იყოს, რაღა იქნებოდა სოფლის ცხოვრება? ახალ წელს რაღაც ახალი სიხარული მოაქვს სოფელში. ქალები ხაჭაპურებს დააცობენ, ბავშვები ჩიჩილას მოკახმავენ. ოჯახში სანთელი დაინთება, საკმეველი დაიკმევა... მკვდარს და ცოცხალს ვახსენებთ. წელიწადში ერთ ღღეს მაინც გადვირეკთ გულიდან ჭირვარამს. ეგეც არ იყოს?

— მართალს ამბობს მირიანი, — დაეთანხმა ერმილე ძმას, — ადამიანს სიამოვნება სწყურია რა სახისაც უნდა იყოს ის. სოფლის ბავშვებს ჩიჩილას უხარიათ, ქალაქის ბავშვებს ნაძვისხე. მნათე საყდრის ზარებს რეკს, ფოფოლია საკურთხის ელოდება. ვინ იცის, შეიძლება ყოველივე ეს ჩქარა მიიფანტ-მოიფანტოს, ჩრდილოეთის ქარი ქრის... ბიჭებო, — მიუბრუნდა ამხანაგებს ერმილე, — ჩვენ რა გვაქვს სოფელს მძებთან სამალავი. ჩვენი ბავშვობის ნატერფალი ჯერ კიდევ ანია სოფლის მიწას. ჩვენი მშობლების ძელები ჯერ არ გაციებულა იქ, ჩვენი მშობლიური კუთხის მიწაში, ზოგს ცოცხლებიც გყავს. მე ტყვილად როდი ვამბობ: ორი გული მაქვს-მეთქი. გლეხი ვარ — სოფლის მიწის ჩამონატერი, მუშა ვარ, უცხო კაპიტალისტის მონა. ჩემი სოფელი ძმა უმიწაწყლოდ იხრჩობა ბუდიდან ამოვარდნილ თევზივით. ასე ცხოვრება არ შეიძლება, — ერმილემ ხმას დაუდაბლა, — ქალაქი და სოფელი უნდა გაერთიანდეს... ნაპერწკალი, რომელიც ჩამოიკეცა ჩვენს გულში, უნდა გაღვივდეს... გაგიმარჯოს, ძმაო, მირიან, სეფე! გწამდეთ, ახალი საუკუნე ბევრს რასმეს მოგვიტანს ახალს. დანარჩენი გადაეღოთ სხვა დროისთვის.

ერმილემ ჰქია დასცალა. ბიჭებმაც დასცალეს. ერმილეს სიტყვამ ყველას გული სიამით აუტგერა. მირიანი წარბშეკრული დასცქეროდა მის წინ დადგმულს ღვინით სავსე ჭიქას. აიღო და უნდოდა უსიტყვოდ გადაეყრა, მაგრამ თვალი მოავლო ბიჭებს. ბიჭები თითქო გადამწყვეტ პასუხს მოელოდნენ მირიანიდან, ისეთი უცნაური ღიმილით მისჩერებოდნენ გაფაკლებულ თვალებში.

— ძამიებო, — მტყიცელ წარმოსთქვა მირიანმა, — შერცხვეს ჩემი გუჯა-
ცობა, თქვენსკენ გამოსროლილი მტრის გახურებული ტყვიაც თუ არ და-
ვიჭირო ამ მარჯვენით.

— ამინ!... — შესძახა სეფემ.

სუფრაზე ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა. მახარე ხარბად მისჩერებო-
და ერმილეს. მის ყურში მგზნებარე მუსიკასავეთ ეღერდა ერმილეს სიტყ-
ვები: „ნაპერწყალი... გულიდან ჩამონაკვესი... გავერთიანდეთ!“..

— რა წარმტაცი სიტყვებია, საიდან ისწავლა ერმილემ ეს სიტყვები ნე-
ტავე? — ფიქრობდა მახარე და გული ნაკვერჩხალივით უეღბედა. უნდოდა
დაეყვირნა: — ძამია, ერმილე, გვითხარი ბარემ რას ნიშნავს „ნაპერწყალი?“
„ჩრდილოეთის ქარი“ რაღა არის?..

რამდენიმე წუთის შემდეგ მირიანი და სეფე სოფლისაკენ მიქროდნენ მა-
ტარებლით. გულით მიჰქონდათ „ნაპერწყალი“

— რაო, რას ნიშნავს ნეტავე „ნაპერწყალი“? — ეკითხებოდნენ ერთ-
მანეთს.

— რაცხა ახალი სიტყვაა, ბიჭო, უთუოდ.

— წინათ რომ არ ლაპარაკობდა ერმილე ასეთ რამეებს ჩვენთან?

— განა მარტო ერმილე? არ ხედავდი რაღა ერთსულოვნად გვეტყეოდნენ
ბიჭები? დაჩუმდი, არაფერი წამოგცდეს. „ნაპერწყალს“ მოვლა უნდა და
გაღვივება.

ხედავ, რა მზიარულად ამოციმციმდა ალიონის ვარსკვლავი? იქნებ ჩვენი
ბედის ვარსკვლავმაც გაიღიმოს.

სეფემ ცას გახედა. არც ერთი ნაფლეთი ღრუბელი არ სჩანდა. ცა ლურ-
ჯად კრიალებდა და თეთრად გადაენტილი, პირწყინული თოვლი ლაქვარ-
დით ცახცახებდა. გეგონებოდათ დედამიწა ახალი წლის შესახვედრად
ცისკენ აწეულაო. სოფლის შესასვლელთან იჩქითად შედგნენ სეფე და მი-
რიანი, შეფიცული ძმებევით შეხედეს ერთმანეთს და უსიტყვოდ გაუდგნენ
გზას სახლებსაკენ.

სოფელი იღვიძებდა. აქა-იქ სარკმელიდან გამოკრთოდა წმინდა სანთლის
შუქი. მირიანმა პატარა ჯოხტა ოდის კარი რომ შეაღო, ცაცუნია სანოვავით
სავსე გობზე ჯვარედინ თაფლის სანთელს აწებებდა. წელში გასწორდა და
სიცილით ჰკითხა მირიანს:

— რა მოგაქვს?

მირიანმა ხურჯინი ძირს ჩამოიღო, ცოლ-შვილი გადააკოცნა და სიცილით-
ვე უპასუხა:

— რა მომაქვს და „ნაპერწყალი“...

(გავრძელება იქნება)

ოთარ ჩხიცი

ეჭვი

საკმაო სიამეც, საგრძნობი საწუხიე განეცადა თენგიზს სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ თრობის ისეთი ცახცახი და იმედოთა უეცარი შეჭირვება არასოდეს შეხვედროდა... სულმოუთქმელად აირბინა კიბე მესამე სართულამდის და, როცა ზარის ღილაკს მიუახლოვდა თითი, გულის უცნაური ბგერა იგრძნო. აფიცებულ თვალებს ისე მოეჩვენა, თითქოს, კარის ჩარჩო ძაგდაგებდა და ღილაკი უსხლტებოდა თითს. გაბრუნდა, ცოტა ხნით ზარისხას გადაეყრდნო. მღელვარების დაოკება არ უცდია, უფრო მეტი ძალის მოკრებას ლამობდა, მეტი თრთოლვისა და ცახცახის, მეტი ლელვის ასატანად. მერე ჯიქურ ეკვეთა კარებს, ზარი აღარ გახსენებია, მუშტით დააბრახუნა... მოახლე ჩვეულებრივ მიამიტი ღიმილთა შეეგება, მერე ლურჯი თვალები მოწყურა და თავშეკავებით ჩაიციან. შესცივნა თენგიზმაც, ოდნავ შეყოვნდა, ქათინაურის თქმა ენება, რადგან იმდღეს უცნაური სურვილი ჰქონდა ტკბილი სიტყვა-პასუხისა. კარგი ეთქვა, კარგი გაეგონა. რა უცნაურია სიხარული, შეუცნობელი სიხარული, როცა სიტყვა კმარა ცათფრენას მიეცეს ადამიანი და იგივე სიტყვაა საკმარი სასოების წარსაკვეთად! მაგრამ ახლა ვერაფერი სთქვა თენგიზმა, პროფესორის ოთახისაკენ გაიშვირა ხელი, თვალთ ანიშნა მოახლეს, შინ თუ არისო. თავი დაუქნია მოახლემ. სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა კარებს თენგიზი, ოდნავ შეყოვნდა, დაბნეულად მიმოიხედა და შეაღო.

პროფესორი წიგნებში ჩაფლულიყო... წამოიხედა და შეკავებული ბოღმით ამოიძახა:

— თავხედობაა.. არაფერი გამოვა...

ეტყობოდა კიდეც რაღაცა უნდა დამატებინა, მაგრამ აქ ხელი ჩაიჭინა. კალამს მელნის წვეთი მოსწყდა, შავი მელნის წვეთი „ახალორგანონის“ გადაშლილ ფურცელს დაეცა, შეისრუტა თხელმა ფურცელმა, ვარსკვლავის მსგავსად გაიშალა წვეთი... შემუთობით დახედდა პროფესორმა, კალამი ბრაზიანად მოისროლა და, როცა თენგიზიც დანაშაულის გრძნობით დააცქერდა დაწვეთებულ ფურცელს, დაასრულა წილან სათქმელი:

— ... სრულიად არაფერი!

მერე საათს შეხედა, სასწრაფოდ ჩაალაგა ჩანთაში წიგნები, ხელთაწერები და სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარებისაკენ. უცებ შებრუნდა, ახედა თენგიზს და იკითხა:

— ჭრილობა მოგიშუშდა?

— დიად, ბ-ნო პროფესორო!

— აბა გაიარე! — ბრძანების კილოთი სიტყვა პროფესორმა და თითქოს დი-
ბეჯითებით გააყოლა თენგიზის მარჯვენა მხარს, რომელსაც თითქოს ოდნავ
ქვემოღ ჰხრიდა და აირბებდა. — თავს ძალას ნუ ატან, თავისუფლად გაიარე,
თავისუფლად! არც ისე კარგადა ხარ როგორცა გგონია, მანამდე ვერც მხრი-
ლობა მომუშებულა!.. თვალი გამისწორე, პირდაპირ შემომხედე და განუდგე
წინააღმდეგა!

— მართალსა ბრძანებთ, ბ-ნო პროფესორო, — თავი ჩაჰკიდა თენგიზმა და
ისე ჩაიღუღუნა. — მაგრამ უშუღუბა, ბევრი აღარა აკლია რა!..

— დიალ, აი დაუდევრობა! ნანსხერევის ამოღებაც არ გინდოდა, ძალა
რომ არ დაგვეტანებინა... არაფერზე ფრთხილობ, აქაო და, უარესიც მინა-
ხავნო!.. სად გაგონილა ასეთი მოტივით სხეულისადმი დაუდევრობა?! მაგ-
რამ მთელი უბედურება ისაა, რომ ეს ზნე მეცნიერებაშიც აკვიატებია,
დიალ!.. — ქუთუთოები ბრაზიანად დაახამხამა პროფესორმა და კარი გაიგდო.

სასტად დარჩა თენგიზი. ჯერ ეგონა სხვა რამით გაცეცხლებულიყო პრო-
ფესორი და ნაღვლობდა, რად შეხვდა ასეთ აღზნებულ გუნებაზე, მაგრამ
უკანასკნელი გადაკრული სიტყვა გულს მოხვდა და შეაყრთო. „სხეულისად-
მი დაუდევრობა... მეცნიერებაშიც ეს ზნე...“ თითქოს ისევე ისმოდა ოთახში,
თითქოს ნახევრად ლიადარჩენილ კარებში პროფესორს თავი შეეყო და გა-
მანადგურებელი თვალით შეჰყურებდა. სადღაც კარები გაჯახუნდა და
თენგიზს მოუჩვენა, თითქოს, იქაც პროფესორმა ჩაიბუზღუნა; არაფერი გა-
მოყო... თენგიზისთვის ნათელია, პროფესორი აღშფოთებულია მისი სა-
დისერტაციო შრომით, რომელიც რამდენიმე დღის წინათ უნივერსიტეტის
სამეცნიერო საბჭომ გადასცა სარეცენზიოდ. თან ეჭვობდა თენგიზი: ნაშრო-
მის ძირითად პრინციპს პროფესორი აღრევე იცნობდა. ამის შესახებ ბევრ-
ჯერ ჰქონიათ საუბარი. თუმცა ზოგჯერ წააბეჭრება გაუბედნია თენგიზს,
პროფესორი შეფიცებულა, მაგრამ ყოველთვის თანხმდებოდნენ, შეგირდი
სთმობდა, ოსტატიც სწერთიდა... ნაშრომშიც აკვიატებული არაფერი შეუ-
ტანია, ან რა სჯიდა, როცა ყველაფერი ნათელი და მკაფიო იყო. მაშ, რას
აღუშფოთებია პროფესორი? „არაფერი გამოვა“, დაუდევრობა“, ეგებ რამე
გაეპარა. მაგრამ ასეთ დროს მხოლოდ თითის ღიაქნევა იცოდა პროფესორმა,
ალერსით ყურის ბიბილოს მოწვევა, ან წიკპურტი ცხვირზე, ახლა კი ბრა-
ზობს.

გაოგნდა თენგიზი.

ნიავე ოდნავ არხედა გაღებულ სარკმელში ჩამოფენილ ფარდას. დაჩი-
თული ჩრდილი აიკეცებოდა იატაკიდან და დასამხრებელი მზე შეიჭრებდა
ოთახში. ისევე წაეფინებოდა ფარდის მოჩითული ჩრდილი ნათელ ჩარჩოს,
დაკეშნილი მოსჩანდა ნათელი. დაჰყურებდა იმ ნათელით დალანდულ
ჩრდილს და ჩრდილის ამოკეშნილ ნათელის რხევას და თავის მძიმე ვანცლას
აღარებდა თენგიზი.

ანაზღად კარი ფართოდ გაიღო და პროფესორის ასული შეფრთხილდა.

— თენგიზ, შენ აქა ხარ?! დმერთო ჩემო, რა სევდიანად გამოიყურები?!
რა იცი თენგიზ, ცუდი რამის საუწყებლად ხომ არ მოსულხარ?! — და ასუ-
ლის თვალბში ცრემლი აციალდა. მისი ფიქრი ძმას მოსწვდა, რომელიც
ბრძოლის ველიდან ჯერაც არ დაბრუნებულიყო და არც საიშულო ხმა ისმო-
და. ბოლო დროს მაინც ასე ეგონა, თითქოს ყველა მწუხარე სახე მას თანა-
უგრძნობდა, თითქოს ათრთოლებული ბაგე მისი ძმის დაღუპვის ამბის
თხრობას აპირებდა. და, როცა სხვა რამეზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ეგონა

ეშალავენ, არიღებდნენ, ამზადებდნენ... ახლაც ათრთოლებულნი მიუახლოვდა თენგიზს; ხელი სათუთად დააღო მზარზე, მერე ერთხელ გაქურთა თითები და პალსტუხი შეუსწორა. შეიპყრო მისი თითები თენგიზმა, ბრჩალები საოცრად ცივი ეჩვენა, ბაგე მიუახლოვდა და დაორთქლებული

— როგორ გაცვივებია ბრჩილები, შროშანო?!

— ბრჩილები! ყველა ასე ბანზე მივღებთ სიტყვას! რაღა ხარ ასე მწუხარე, რად არ შეტყვი?!

თვალი ცრემლით გაცხებოდა შროშანას. თენგიზს მოეჩვენა, ახლაც აქვითინდებოდა, თუ სწრაფად არ ეტყოდა შემფოთების მიზეზს და სხაა-სხუპით სიტყვა:

— მამაშენი აღშფოთებულია, ეტყობა, ჩემი სადისერტაციო ნაშრომით... არაფერი გამოვაო, შემოსვლისთანავე მომადახა. სანუგეშო არა უთქვამს რა, ისე დამტოვა და წავიდა.

ჩქარა ამბობდა, თითქოს შროშანას დასამშვიდებლად. სიტყვას არ ეტყობოდა ის შინაგანი აღმური, რაც მის გულს შემოგზნებოდა. და როცა შროშანას ნაჩქარევი ცრემლები ჩაუშრა და განცვიფრებით შეხედა, მაშინდა მიხედა, რომ უფრო მეტი ჩქროლდა იყო საჭირო, სიტყვა აუკანკალდა და საოცრად შეეცოდა თავი.

— რას ამბობ, თენგიზ! — ისე ამოიძახა შროშანამ, რომ შეკრთა თენგიზი, მაგრამ შემდეგ ნუგეშით განაგრძო სიტყვა და თენგიზს მოეჩვენა, თითქოს, ამას სიბრაალული ალაპარაკებდა. — შეიძლება სხვაზეა გულმოსული მამა, სიჩქარით მკაფიოდ ვერ გამოსთქვა... შენ კი მისი აღშფოთება შენს ნაშრომს მიაწერე... განა აღამიანს ასე არა სჩვევია: ყველაფერში თავისას გულისხმობს... რა ექვიანი ხარ, თენგიზ! — თითქოს გაბუტვას აპირებდა შროშანა.

თენგიზიც ამ ყოყმანში იყო აქამდინ, მაგრამ ახლა, როცა შროშანამ ნუგეშისცემა დაიწყო, იფიქრა: მისთვისაც ნათელია ყველაფერი, პროფესორი აღრევე გამოუტყდა და შროშანას სიბრაალული ალაპარაკებდა, მაგრამ მხოლოდ ამით როდი შეჯერდა თენგიზის ეჭვი. მოეჩვენა, რომ ამ მარცხს შროშანას გული გაცვივებინა და ეს შეხვედრა განშორებისათვის იყო მოწყობილი.

შროშანა არა სცხრებოდა:

— მამას ვკითხა... თუ მართლა ასეა, შეგარიგებთ! მომენდე, მერწმუნე შეგარიგებთ!... განა არ იცი, რა დიდ პატივსა გცემს მამა?! მე ვერც კი მიწმუნია, რომ ასე მკაცრად მიგიღო!.. უფრო იღრუბლები, თენგიზ, რა გემართება?! ნუ, ნუ მიუტრებ ეგრე მრისხანე თვალთ, მე ძალიან მაშინებს შენი განრისხება!..

თენგიზს ველარ ამშვიდებდა შროშანას ნუგეში, ნაზი ასულის თრთოლვა და მუდარა, მარტოდ ყოფნა უნდოდა.

— ნახვამდის, შროშანო!.. — კარისაკენ წავიდა, თენგიზი.

— სად მიხვალ? აქ დარჩი, არა და ასეთ ყოფაში მარტო ვერ დაგტოვებ, მეც შენთან წამოვალ!..

— აბა, რა სათქმელია, შროშანო!.. არც ისე საშინლად ვლელავ, შემოძლიან მშვიდობით მივიღე სახლში!..

მოახლე კარს რომ უღებდა, ისევ თავშეკავებულად იცინოდა. მისი ნირუშლელი ხასიათი ყოველთვის აღიმებდა თენგიზს და ახლაც შეარბია ბაგე. ასე მკრთალი ღიმილთ, გაუთვალისწინებელი მარცხის ღიმილით, ჩაპყვა გიბეებს. როცა პირველ სართულზე ჩავიდა ზეახლედა: შროშანა, როგორც ყოველ-

ვის, ხარისხს დაპყრდნობიდა და აღტაცებით, სიამაყით, სიხარულით დაპყრებდა. რა მიაშიტი და უშუალო რყო შრომანა რატომ შევძლებდი მისი ქცევა? სიტყვა სიბრაულად რათ ჩაუთვალე? რად არ იგუე, მისი ნუგეში, ხელად რა სათნოა, რა სანუყვარი!.. „რა ეკვიანი ხარ, თენგიზის უფლებების კვლავ იმეორებდა გაბუტული ტუჩები. მაგრამ სხვას ამბობდა: მამა, პომილი ბაგე, განა მოციალე თვალი არ ამქლავებდა: აღტაცება, სიამაყე, სიხარული... თენგიზს მოეჩვენა, რომ ნელნელა ამაღლდა კიბის სახელურთა შორის, აცურდა და შრომანას გვერდიფ ხარისხს დაეყრდნო.

— საღამოშდე ყველაფერს შეგატყობინებ! — ჩასძახა შრომანამ, და, თითქოს, კი არ ჩასძახა, წაუჩურჩულა იქვე მყოფს. თენგიზმა ვერაფერი მიუგო, მხოლოდ გაიცინა. ანაზღად შებრუნდა გასასვლელისაკენ... გარეთ გავიდა. თამამად გაბხედა მიმავალ ხალხს, ასწრაფებულ მანქანებს. მერე ხელი ჩაიჭინა და ნაღველიანი გაკყვა ქუჩას.

მიდიოდა თავჩალუნული, ვერაფერს ჰხედავდა. მძიმე ფიჭრი ქუფრად შემოვლებოდა და ჩაებნელებინა გრძნობის ლაქვარდი. მარცხი — ცხადია, სოსუსტის, უსასობის შედეგად. რა მძიმე განცდაა უსასობა, მით უფრო, უეცრად თუ შეიცინობთ სიხარულის დროს, ოდეს ცა ქუდად არ მიგაჩინა... სადისერტაციო ნაშრომი გაუცოდდა, დაკარგა უკანასკნელი სიხარული, დაკარგა შრომანას გულიც, რადგან მარცხიანი და სუსტნი არასოდეს ჰყვარებიათ ქალწულებს. სიბრაულულით ყველა ებრალებათ, თენგიზიც ხომ შეიბრაალა შრომანამ!.. შეიცოდა! საბრალო ასულო, ნუთუ ასე უძლურად დასახე თენგიზი, ნუ თუ ის ბჭე, რაც გონებით ვერ აუღია, შენ სიბრაულულით უნდა გაჰხსნა?! განვედ ასულო, შენი ნუგეშითა და სიბრაულულით! განდგეს?! შრომანა განდგეს? განდგება, თვით მოგშორდება, ჩამოგცილდება!.. აქ შედგა თენგიზი. ისე მრისხანედ მიმოავლო თვალი, რომ გამეღვლინი შეკრთნენ და მორიდებით დაუთმეს გზა... მერე აღარაფერზე უფიჭრინია, სწრაფი, გაბორცებული ნაბიჯით გადასერა ქუჩები და, როცა თავის პატარა ოთახის კარი შეაღო, მხოლოდ მაშინ ამოიოხრა. ამოიოხრა მძიმედ და გადაესვენა საწოლს, რომელმაც ერთი ორჯერ დაიჭრიაღა და გარინდდა, რადგან აღარ ირხეოდა თენგიზი.

პატარა ოთახი, პატარა სენაკი!

რამდენი სიბრაულისა და ნაღველის მოწამე იყო ეს სენაკი; რამდენი მაღალი ფიჭრი და ოცნება შობილა; რამდენი ჩამჭრალა; რამდენს გზა უბოვნია; რამდენი მწიფდება მომავლისათვის... რამდენჯერ არჩნილა გული, აბობოქრებულა, გონებას ცეცხლი შესჭიდებია!... ქარიშხალიც ყოფილა ამ სენაკში, ხანძარიც, ყინვა-ყიამათიც, მკათათვის გაგანიაც, მაგრამ ვის უგდია ყური, ვის მოსურვებია დაკვირვებოდა, ან შეემჩნია დიდი შენობის საღდაც კუნჭულში გამოქრთალი ვიწრო სარკმელი, რომლის შიგნით მხოლოდ ერთი პატარა მაგიდა იდგა, ორი სკამი, კრიალა საწოლი და აუარებელი წიგნები კედელ-კუთხეს მიწყობილი. ახლაც საკუთარი ზრუნვითა და ოცნებით მიდის ქუჩაში ხალხი. ზოგი მიიჭარის, ზოგი მიყარყატებს, მაგრამ არაფერ ფიჭრობს იმ სენაკზე, საღდაც მძიმე ნაღველს შესჭიდებია ჰაბუცი.

და თუ დაკარგა ყველაფერი!..

სჯობდა ბრძოლის ველიდან სულაც არ დაგებრუნებულოყავ, ვაიფიჭრა თენგიზმა. თვალბში რაღაც მოაწეა, ალბათ ცრემლი ეძებდა გზას. ასეთ მძიმე წუთებში, როცა ტირილი უნდოდა, ყოველთვის შრომანას ძმა გაახსენდებოდა და ცრემლისა აღარა სცხებნოდა.

ახლაც თვალწინ უდგია ცოცხლად, კანთიელად, ყოველთვის ხატისიანი, მხნე, მოიძმე, თამამი ჰაბუკი, რომელთანაც ყოფნა ავლადებდა და აკაცებდა თენგიზს... რამდენი მძიმე დღეები ახსოვს, მერე რა მხნედ გადატანილი!.. მაგრამ, ჰოი, სიკვდილი!.. ეს ხომ უეცრად მოხდა. **მარტინეს!**

...გადაირბინეს... ცეცხლი გაიხსნა... მერე უცებ მიუძღვნა ცეცხლს მერი. შროშანას ძმა წამოყვლილად საფარქლან და აღტაცებით გადაიძახა: „გაზაფხული, ბიჭებო, გაზაფხული... მომილოცნია!“.. ისროლეს... მერე აღარაფერი ისმოდა იმ საფარიდან, როცა თენგიზმა მიიჩინა ის სისხლისაგან იცლებოდა. ხელში ენძელები ეჭირა, პირიდან ენძელების დაღეჭილი ძირები წამოსცვენოდა... ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ერთხელ კიდევ ამოიძახა უცნაური ტკობით: „გაზაფხული!“ მერე ემწეავა, თენგიზს შეხედა განცვიფრებული თვალებით, თითქოს, ახლა-ღა ივარძო შემამფრთხი აღსასრული და აღმოხდა: „ჩვენებს არაფერი შეატყობინო ... არაფერი!“

არაფერი შეუტყობინებია თენგიზს, დაბრუნდა და არც შემდეგ უთქვამს რამე, თვითონ იწვის, იცრემლება... ისინი ელიან, ელიან... როდემდის?!..

მეზობელმა ქალმა გასძახა თენგიზს, ტელეფონთან გიხმობენო. ახლა არაფერი იტაცებდა თენგიზს, ვერაფერი აღუმღვრევდა დამძიმებულ ფიქრს. ჯერ გასვლაც არ უნდოდა, მაგრამ მეზობლის დაეინებული ძახილისა მოერიდა... უგულოდ აიღო სასმენი. შროშანა ელაპარაკებოდა.

— „როგორა ხარ თენგი!.. უნდა გახარო, საქმე არც ისე უნდევმოდა, მამას მოსწონს შენი სადისერტაციო ნაშრომი, თანახმაა მხარი დაგიჭიროს, ოღონდ მოითხოვს, ამოღებულ იქნას იქიდან ერთი თავი, რომელიც შენი პრობლემის შესახებ ადრე გამოსულ ლიტერატურის კრიტიკას შეიცავს.

— „რატომ, შროშანო!“

— „ჰო, ... სწორედ ამ თავს აღუშფოთებია მამა. შენ იქ სხვებთან ერთად განგვიხილავს რამდენიმე წლის წინათ გამოსული მამაჩემის წიგნი და საკმაოდ შეაკრავდაც განგვიხილავს. დასახელებით არ დაგისახელებია... მამა ამითაა აღუღებელი, ფარულად მეზრძვის, ბუნებში მემალებაო...“

— „გეფიცები შროშანო, მამაშენის წიგნს თუმცა კარგად ვიცნობ, მაგრამ ჩემს ნაშრომში განგებ არ შეეხებია. კრიტიკის თავი მოიცავს ამ პრობლემის შესახებ ძველი სკოლის კრიტიკას, რომელსაც ბ-ნი პროფესორი ახალგაზრდობაში ეკუთვნოდა. ვერ ვიუარებ, იმ წიგნში აღძრულ საკითხთა წინააღმდეგ ბევრი რამ ვთქვი, ოღონდ სხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით. მამაშენის წიგნს განგებ, შროშანო, განგებ მოვერიდე, რადგან ბ-ნი პროფესორმა იქიდან ზოგი რამ კარგა ხანია თვითონვე უარკყო...“

— „ეცადე დაარწმუნო! მეც ასე გადავეცემ... მამა ცხარობს და გულმოდგინედ ემზადებოდა საჯარო პაექრობისათვის... ეწიშობ, ძალიან ეწიშობ... უნდა გახარო: პროფესორი დ..., რომელიც მეორე ოპონენტადაა დანიშნული, აღტაცებულია. მშვიდობით, თენგიზ!..“

— „მშვიდობით, შროშანო!“

თენგიზი შედარებით დამშვიდდა. უკვე ნათელი იყო პროფესორის გაცხარების მიზეზი, შროშანასადმი ეჭვიც გაიფანტა. მძიმე ფიქრი, გაურკვეველი და არეული ფიქრი მოშორდა: მხოლოდ ისღა ჰქონდა საზრუნველი, როგორ მოეხადნა ბოდიში პროფესორთან, როგორ დაერწმუნებინა, რომ არ ეზარბოდა არც ფარულად არც აშკარად. მაგრამ არც ეს იყო ნაკლებად საწყისი. თენგიზი კარგად იცნობდა პროფესორის ახირებულ ზნეს, ჯიუტობას, მით უფრო საბაბი ჰქონდა. ეგებ მართლა გაეპარა რამე, მიუხედავად

დიდი სიფრთხილისა, თენგიზმა ნაშრომის ფურცელა დაიწყო... უკებ წა-
მოდგა, უსათუოდ უნდა შეეკითხოს შრომანას, როდის ემჯობნება პოლიფე-
სორთან შეხვედრა, ახლავ უნდა გაუფანტოს ექვი, თორემ, ვინ იქნის, თან-
დათან დამიძმდეს, აგორდეს, გაიზარდოს... მეზობელს კარგაყოფიერება,
სადღაც წასულიყო. მეორე მეზობელსაც ჰქონდა ტელეფონის მისწავლა, ~~მისწავლა~~
შეწუხებული სახით უთხრა მოხუცმა ქალმა და დაიწყო წუწუნი, რომ შეი-
ლების ამბავს საღამომდის, ვიდრე სამსახურიდან არ დაბრუნდებიან, ველა-
რაფრით იგებს... თენგიზმა მოითმინა წუწუნის დამთავრებამდის, მერე კი-
ბეებზე დაეშვა. მახლობელ საფოსტო განყოფილებიდან დაურეკა შრომანას.

— „შინ არ არის! — ეუბნებოდა მოახლე.

— „დიდი ხანია გავიდა?

— „რამდენიმე საათი იქნება...“

— „რამდენიმე საათი?! განა ახლა მე არ მეღაპარაკებოდა?

აქ უნდა დაეკადნა სასმენი თენგიზს, მაგრამ რატომღაც უნებლიედ იცითხა:

— „მარტო წავიდა?!“

— „არა, ვიღაც ახალგაზრდა ეახლა...“

ჩვეული შეკავებული სიცილი მოისმა ამ სიტყვებთან ერთად. გაფითრდა,
ტუნზე იკბინა თენგიზმა. სასმენი არ დაუციდნია, ისე მიაჩნია ხელში რიგში
მდგომს, რომელმაც რაღაც იტყვა და ცერად გააყოლა თვალი.

თენგიზი რამდენიმე ხანს დბნეული იდგა ქუჩაში. საით წაივდეს? შრო-
მანასთან? სად ეძიოს... უთუოდ სხვაგანიდან ეღაპარაკებოდა. „ვიღაც
ახალგაზრდა ეახლა...“ „ო, ალბათ, ის ახალგაზრდა, თავს ადგა შრომანას
თენგიზთან ლაპარაკის დროს, დამამშვიდებელ სიტყვებს აწვდიდა და იცი-
ნოდა. უთუოდ, შრომანა სასაცილოდ მოუყვა თენგიზის მდგომარეობას და
„ვიღაც ახალგაზრდამ“ სათნო და კეთილი ვულისამ, საკვიროდ მიიჩნია
დაემშვიდებინა შრომანას „ყოფილი მეგობარი“. „ყოფილი“ „ყოფილი!“ —
რამდენჯერმე გაიმეორა თენგიზმა და გააყრეოლა. შეატყო რომ ეს აზრი
საშინლად დასტანჯავდა თუ მალე არ მოსტებნიდა შრომანას და ყველა-
ფერს არ გაარკვევდა. გარკვეული საშინელება ერჩია ბუნდოვან სიხარულს.
მაგრამ საით წასულიყო? ისევ შენ სენაკში, იქაა მხოლოდ შენი ფიჭის
მყუდრო ალაგი ქარიშხლის დროს მყუდროს დაეძებს ყველა, მაგრამ იქაც
რომ შეგყვება შენი გულის ქარიშხალი...“

მინც თავისი ოთახი არჩია.

იკდა. წიგნებს ფურცლავდა. აქა-იქ ამოიკითხავდა თითოთროლა სტრი-
ქონს, უგულოდ მიაგდებდა. მერე მეორე წიგნს დაავლებდა ხელს. იქ
ეძებდა უფრო წარმტაცს, ლამობდა გულისყურის დაყრას, მაგრამ ყოველ
სტრიქონთა შორის, თუნდაც ისე აქა-იქ ამოკრებილ სტრიქონთა შორის,
ერთი პატარა ამბავი გალანდულიყო, ექვისა და წუხილის ამბავი... ასე და-
ილია დღე. დამე შემოიპარა. დენი არ იყო. ბნელში დარჩა თენგიზი. სარკმ-
ლის რაფას დაეყრდნო და ქალაქს გაჰხედა. ანაზღად, კაკუნი მოესმა. უგუ-
ლოდ გამოაღო კარები და განცვიფრებულს შრომანა შერჩა ხელში.

— თენგიზ, ბნელში ხარ!.. მამას რეცენზია მოგიტანე!.. ვიცოდი შეწუ-
ხებული იქნებოდი და, მომცა თუ არა წასაკითხად, შენ წამოვიღე...“

ნადველი გადიყარა თენგიზმა. რეცენზია ჩამოართვა, შრომანას ხელი
გულს მიიხუტა და ვედრებით სთქვა:

— მომიტევე, შრომანო, მომიტევე!..

— რის მოტყეებას შევედრები თენგიზ?!
— მე ვიფიქრე, რომ თანაგრძნობით კი არა სიბრაღულით, დამკინავად შექცეოდი! მაპატიე! საძაგელი ვარ, არა?!

ტურები გაბუსხა და ჩაიღუღუნა შროშანამ:

ეროვნული

— მართლა საძაგელი! დამე შეიღობისა! ქვევით მოახლეს მგლისკვამპან შროშანა წაფრთხილდა. „მელოდებარ?!“ რეცენზია მაგიდაზე დააგლო თენგიზმა, კიბეებზე დაეშვა. შროშანა უკვე ქუჩაში იყო, აფთიაქის გაჩაღებულ ვიტრინის წინ მოჰკრა თვალი თენგიზმა, მართლაც მოახლე მისდევდა გვერდით მკლავგაყრილი. ჩაიღიმა თენგიზმა, სიბრაღულით ჩაიღიმა, მონდი და ნუ შეიბრალებ შენივე თავს! და, როცა ოთახის კარი შეაღო, ერთხელ კიდევ შეკრთა: ვინ იცის „ვიღაც ახალგაზრდა“ სადმე შეკასთან ელოდება. ახლა კი გაწყრა თენგიზი, გაუწყრა აბეზარ ეკვსა და ფიქრს. რა უცნაური წარმოსახვა აქვს, მკედი მკედს მოებმება, გაიშლება, გაითართება, ქუფრს აიბამს და პერი-ჰა, საზრჩობელასაც აღარა კმარობს დანაშაულის მოსახლეობა

ფიქრს დაეხსნა. რეცენზია ხელისფათურით იპოვნა, მოსძებნა შენახული სანთელიც, აანთო და ხარბად დაიწყო კითხვა... მერე წიგნები ამოარჩია. და ვიღუე სანთელი ჩაიღველფოდა, არ დამცხრალა. სანთელი ჩაიწვა, დაღლა იგრძნო თენგიზმა, თვალი მილულა და წარმოუდგა შროშანას ნათელი სახე, მოცქრიალე, მიმტაცი, რომელმაც დაჰფარა აღშფოთებული პროფესორი.

ასე ჩასთვლიმა.

თვალეები გაახილა და... განთიჯის შესცინა.

კარგ ხასიათზე იყო თენგიზი. ბოლთასა სცემდა ეიწრო ოთახში. ხან სკამს მიეხლებოდა, ხან წიგნებს. მაინც დადიოდა, იღიმოდა, ბუტბუტებდა, რეცენზიას ატრიალებდა ხელში და თავს იცავდა.

პაქრობისათვის თვითვე სწერთნიდა, აქეზებდა ზოლმე პროფესორი, და უხაროდა, როცა შევირდი გაუძლეზდა ოსტატის თავდასხმებს. მაგრამ ახლა მეცნიერულ განსჯისათვის როდი წყრებოდა პროფესორი, არამედ პირად შეურაცყოფისათვის. იცოდა თენგიზმა, ამას ძნელად აპატიებდა. მაგრამ არაფერი დაუშვებია თენგიზს, რატომ მოაწერეს! უნდა ეახლოს პროფესორს, ბოდიში მოიხადოს, როგორმე დაამშვიდოს. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შესძლებს დააჯეროს თავისი უდანაშაულობა, კიდევ რომ ცუდად მიიღოს? კვლავ რომ საბუად დასტოვოს? ისევ მოიღრუბლა თენგიზი, წამოიწვა. აღელდა, აჩქროლდა, უცებ თავის ნაშრომს მისწვდა და ფათერაკიანი ადგილის ამოფრეწვა განიზრახა. მაგრამ რალა ღროს, ამით გვიანდა იყო ნაწყენობის მოწმენდა. ღრმად ამოისუნთქა, ბალიშს გადაესვენა და ჩაეძინა.

კედელზე ბრახუნმა გამოადვიდა... მერე „შეშფოთებული ნაბიჯები კარებს მიუახლოვდა და ბრახუნი განმეორდა.

— თენგიზ, თენგიზ, რა დაგემართათ, აღარ გამოდიხართ?..

შიშინანად იძახდა მეზობელი ქალი.

— რა მოხდა?! — კრთომით იკითხა თენგიზმა და წამოიწია.

— ოჰ, დავიღალე, როდის აქეთია გარახუნებ! მეგონა რალაც დაგემართათ, ავად ხომ არა ხართ?!

— არა, სრულიადაც არა! წუხელ დამათენდა და უცებ მომრეცია ძილი. კარი გამოაღო თენგიზმა.

ახლა-ლა ამოისუნთქა მეზობელმა შებებით და უთხრა:

— ვილაც ქალიშვილმა დარეკა, — შროშანა ვარო, — გთხოვდათ, მასთან შეიარათო.

თენგიზი მადლობას უხდოდა კეთილ მეზობელს...



თენგიზი ახლა სრულიად დამშვიდებული გაემართა პროფესორის სახელობის სახეობაში. გაველო გუშინდელ აცეტებს, ეჭვსა და ნაღველს უკვე ნათელი და კანთიელი იყო ყველაფერი. თუ შროშანა იყო აღებდა და აქამდის პროფესორის ეჭვსაც ვააქარწყლებდა, განქრებოდა ის მცირე ლელვაც, რომლის მსგავსი მრავალია მოსალოდნელი ყოველდღიურად, არაფერსა ენებს და მთავრდება პატარა სიხარულით.

მოახლემ ისევ ნავსიანი ღიმილთ გავლო კარი. თითქოს ვაწყრომა დააბი-რა თენგიზმა, მაგრამ პროფესორის ოთახიდან ცხარე საუბარი მოესმა და ფეხაკრებით მიუახლოვდა ოდნავ შეღებულ კარებს.

— ამა, ინებეთ, ეს თქვენი კეთილი მეგობრის ნაშრომი, წაიკითხეთ აი ეს პარაგრაფი... ესეც ჩემი წიგნი. შეადარეთ, დააკვირდით და ნახეთ თუ ვტყუვდები — ამას პროფესორი ამბობდა. — მე არა მწყინს კამათი, მეცნიერული დავა, განსჯა, მხოლოდ ის მალეღვებს, შეფარვით რომ მეღაეება..

— თითქოს მართალი უნდა იყოს... — თენგიზმა ხმა იცნო მეგობარ დოცენტისა. — მაგრამ ეს აზრი მთელ სკოლას ეკუთვნოდა, მართო თქვენ ხომ არა.. თენგიზიც პრინციპებს ებრძვის, და არა თქვენი.. მომიტყევთ, მაგრამ ეგებ გამორჩა კიდეც თქვენი წიგნი.

— კმ, გამორჩა.. ეს ჩემ ქალიშვილთან ერთად გუშინაც თქვით, მაგრამ დაბეჯითებით ვიმეორებ, მშვენიერად იცნობს თენგიზი ამ წიგნს და საკმაო ოსტატობითაც ებრძვის. მაგრამ ხელს რატომ არ ადებს, რატომ არ უთბებს? ეშინიან? ვეცოდები?.. თავხედობაა, თავხედობა... მით უფრო მწყინს, რომ ჩემი მრწაფეა ეგ საძაგელი.. თუმცა ნაშრომი ღირსია ხარისხისა... მე ხმას მაინც ვაძლევ, მაგრამ ეს წყენა გამყვება სიკედილამდი.

— პროფესორი ღ — აღტაცებულია...

— პროფესორი ღ — აღტაცებულია! — წყრომით გაიმეორა პროფესორმა და აელვარებული თვალებით შეხედა დოცენტს. — მას შეუძლია აღტაცებული იყოს, თქვენც აგრეთვე, დიად, თქვენ ყველანი, აღტაცებული კი არა, აღფრთოვანებული, აელვარებული, და კიდეც რა დარდუბალაც გნებათ ის მოსძებნეთ ამ გრძნობის გამოსახატად, მაგრამ მე რად უნდა იფყვე ფეხის-ნმას?! განა ყველა ფერხულში უნდა ჩაებას ადამიანი?! აბედი როდი ვარ, ყველა ნაპერწკალი მომეკიდოს.

— ბატონო ჩემო, განა თქვენ დიდხანია არ უარყავით იმ სკოლის პრინციპები, რომელსაც ახალგაზრდობისას ეკუთვნოდათ... ჩვენც ვხედავთ...

— დიად, უარყავ, ვამხილე, ვცანი შეცდომა... თქვენ, ახალგაზრდები ბქედან კარგად ჰხედავთ წინათაობის მიერ განვლილ გზას, კარგად ამჩნევთ მათ შეცდომებს. შეცოდების გრძნობა გეზაღებათ, მაგრამ ოდეს თქვენი ძენი დაგანახებენ თქვენივე შეცდომებს, მაშინდა სცნობთ რა არის მართლა საცოდაობა!

თენგიზს კარზე ედო ხელი, შესვლა ვერ გაეხედნა.

შროშანას ოთახის კარი გაიღო. დაღვრემილი და დაღონებული გამოჩნდა შროშანა. თენგიზი, შეკრთა, მისკენ გადასდგა ფეხი, თვალებით ეკითხებოდა მიზეზს დაღონებისას. შროშანა მღუმარედ მებრუნდა ოთახში, სავარძელზე ჩამოჯდა, ბელსაბოცი აიფარა თვალბზე. თენგიზი სავარძლის სახურავს

იდაყვებით დაეყრდნო, მონადვლიანდა. ერთხანს მღუმარებდა, არაფერს ამბობდა, შიშობდა რაიმე შემადრწუნებელი არ ეუწყებინა შროშანას, რამდენ ხიფათს უნდა გადაეყაროს ადამიანის პატარა სურვილები! დიდზე რაღა ითქვას! ეს რაღა გამოტყვერა?! იქ განრისხებული ცხროფცხრაჩი, აქ დადარდიანებული ქალიშვილი... ნეტა პროფესორის მონადვლიანდა! მტკიცეა ეს დარდი? ნეტა უშუალოდ თენგიზს შეეხება? შროშანას ხომ შეეხება, განა სულერთი არაა, ჩქარა ჰკითხე!.

— რა მოხდა, შროშანო?

— საძაგელო!

ხელსახოცი არ მოუშორებია სახიდან ისე ამოიდუღუნა შროშანამ.

— მე ვარ საძაგელი?! — ახლა დამშვიდებით იკითხა თენგიზმა, რადგან მიხვდა აქ საფრთხეს კი არა, პატარა ბუტიანობას ჰქონდა ადგილი.

— დიად შენ!

— რა დამიშავებია?! რამეს მოჰორავდნენ! ვის უჯერი!

— შენ... ვანა წუხელ შენვე არ მითხარი, რომ ჩემზე ეკვობდი?!

— ჰოი, რა უცნაური ხარ, შროშანო! — მერე ბოდიში აკი მოვიხადე? თანაც, წუხელ გულთან არც-კი მიგიტანია ეს ამბავი, ახლა რამ გავანაწიენა?!

— მერე დაუღვიქრდი... ვერ წარმოიდგენ, რა საშინელებაა.. წუხელ არ მძინებია! სიერითოდ არ ვფრთხილობთ სიტყვის თქმის დროს და არ ვიციტ ჩა ჰრილობებს ვაყენებთ ადამიანს, რომელიც შეიძლება სრულიად უდანაშაულო იყოს!

— შროშანო, გამოგიტყდი, არ დავიმალე... ნუთუ აღსარებამ, დანაშაული არ უნდა მამატიოს?!

— მამატიებია! — ხელსახოცი მოიშორა შროშანამ. იღიმოდა. მერე უცებ მოღრუბლა შუბლი. — ოღონდ აღარასოდეს, აღარასოდეს შემზღალო ეკვიო!..

— აღარასოდეს! — ამოიძახა თენგიზმა და დაიხარა. ყელი გადასწია შროშანამ, ბაგე გამოშალა...

კარი შეაღო მოახლემ, პროფესორი მოეძაო, სთქვა და სიცილით გავარდა... თენგიზი და შროშანა პროფესორის ოთახში შევიდნენ...

— მე მოვედი მოგილოცო შეგირდის წარმატება! — ამბობდა პროფესორი დ... —

— შენ ვინდა მომილოცო, როგორ შეურაცყოფს შეგირდი ოსტატს!..

— რა სათქმელია, ჩემო კეთილო!.. მე მინდა მოგილოცო, რომ ასახელა შეგირდმა ოსტატი... გამოვტყდები, არც კი მეგონა, რომ ბრძოლის ველიდან თითქმის ეს-ესაა დაბრუნებული ახალგაზრდა, რომელსაც ჰრილობა ჯერ კიდევ არ მოშუშებია, კვლავ სიმტკიცით და თანმიმდევრობით გადასწყვეტდა პრობლემას, რომელზეც მუშაობა ჯერ კიდევ ომის წინ დაიწყო... მაგრამ ოსტატის კურთხეულ ხელს თანაბარ ყალიბში მოუტყვევია ნიჭიერი ახალგაზრდის ორი ხასიათი, ომის წინაღუდების და ბრძოლის ქარიშხალ გამოვილილ ახალგაზრდა მეცნიერის ორი ხასიათი... მაგრამ ამას ახლა რად ვლაპარაკობ, საჯარო პაექრობის ტროს უფრო მკაფიოდ, ყველასათვის კანთიელად, გამოჩნდება ოსტატის ხელიც და შეგირდის წარმატებაც.

აქამდის მობუზული თენგიზი პროფესორის ამ სიტყვებმა გაამხნევა, წრფელი და თამამი თვალით შეხედა შროშანას, მაგრამ გაუბედავ იყო ეს სითამამე. შროშანაც გრძობდა, ჯერ კიდევ მისი ძამის მსგავსი გულდა თენგიზი... თენგიზის თვალები თამამად ბზინავდა, როცა პროფესორ დას, მეგობარ დოცენტს და შროშანას უმზერდა, მაგრამ როგორც კი თენგიზის პროფესორს შეჰხედავდა, მორიდებით დაჰხრიდა თავს. მაგრამ პროფესორის თვალებიდან წყრომა როდი-ლა ჰკრთოდა. ქვემო ტუნს ისრესდა თითებით, როგორც ყოველთვის სჩვეოდა წყრომის გავლის შემდეგ... ნაპერწკალი გულს მოევიდა... ოგრძნო თენგიზმა. ეამა. მაგრამ უნდოდა საცხებით დაემშვიდებინა პროფესორი ჯდა, რადგან ყველა სდუმდა, გაუბედავად დასძრა კრინტი:

— შე კიდევ გადახედავ ჩემი ნაშრომის კრიტიკულ ნაწილს...

პროფესორმა დ—მ ხელები გაატატანა, განაცხადა „გადახედვა“ არა სჭირდება, სწორედ ეს ნაწილია საუცხოო მთელ ნაშრომშიო. მერე წამოდგა, თენგიზს მიუახლოვდა, ხელი დაადო მხარზე და უთხრა:

— ახალგაზრდულმა გულკეთილობამ და მოკრძალებამ არასოდეს დაგძლიოს, მეცნიერებაში დათმობა თავის დაღატია. შენი პროფესორი აღბათ ხშირად გიმეორებს ამას!..

თენგიზმა თავი დაჰხარა, თითქოს კვლავ შეიკრა კვანძი, ახლა რაღა ვახსნიდა... მაგრამ მისი პროფესორი უკვე ხმამალა იცინოდა, ის წამოდგა, ხელი ჩამოართვა პროფესორ დ—ს, მეორე ხელით თენგიზის ნიდაყუს შეეხო და სთქვა:

— არც ისე ძნელია როცა საკუთარ შეცდომებს ფეხს ადგამ...

შვებით ამოისუნთქა თენგიზმა, წითამამდა და რალაციის თქმა დააპირა...

— თქვენს რეცენზიაში... — შროშანამ თვალით ანიშნა, მაგრამ რაღა დროს.

— რას იცნობ ჩემს რეცენზიას?! — მყის დაატანა პროფესორმა.

— მაპატიე, მამიკო, მე გაგეცი! — შესცინა შროშანამ.

— ჰოი, შე კულრაჰვე! — ალერსით სწყყრებოდა პროფესორი. — აი, ჰხედავ ახალგაზრდების შეთქმულებას კოლეგა! ჰა! ჰა! ჰა... როცა ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით...

ჩამოვარდა წუთი სიამისა, როცა ყველა სდუმდა, ყველა იღიმოდა, ყველა თავისას ჰფიჭობდა, სრულიად განსხვავებულს, შეიძლება საპირისპიროსაც, მაგრამ ყველას ფიჭრს სიამე აერთებდა, სილაღე ეუფლებოდა მომტებარ გულებს.

მერე კეთილმა პროფესორმა დ—მ შროშანა თავისთან მიიხმო, რაღაც უნურჩოლა და გაიცინა. თითქოს ოდნავ ჯდაირტყვინა შროშანამ, მაგრამ უკვე ხმამალა ამბობდა პროფესორი დ—.

— დიად, დიად, დისერტაციის წარმატებით დაცივის შემდეგ თენგიზმა და შროშანამ ნიშნობაზე უნდა მიმიწვიონ... დროა, ყმაწვილებო, დრო!.. რაღას უცდით?!

იცინოდა შროშანას მამაც, მოსიყვარულე მამა, ცრემლიც მოსწყდა თვალთაგან, სიხარულის, ოდნავი სევდისაც:

— დისერტაციის წარმატებით დაცივის ჩემდეგ, არაა? კეთილი, მეც თა-

ნახმა ვარ... ნიშნობა შეიძლება, მაგრამ ქორწინებას შენი ძმის დაბრუნებამდის არ მოიციდი, ჩემო გოგონი?!

— რა თქმა უნდა, მამილო! — ჩაიღუღუნა შროშანამ.

თენგიზი შეკრათა. ნელა მიუახლოვდა კუთხეში მდგარ ფოთოლს წვერი მოსწყვიტა და გასრისა. რას ერაოდა?! რა შეიძლება დაედა სისხლში მცურავ ვაჟეაცს, რომელსაც ხელში ენძელის ყვავილები ეჭირა, პირიდან დაღეჭილი ენძელის ძირები წამოსცვენოდა და ევეღრებოდა თენგიზს: „ჩვენებს არაფერი შეატყობინო... არაფერი!“ სდუმს თენგიზიც, არავის უმხელს, სწუხს, იცრემლება... ისინი ელიან, ელიან... მაგრამ როდემდის? ნუთუ არაფერსა ჰგრძნობს მამის გუმანი? მაშ, ყოველთვის ნაღვლიანად რად ახსენებს ძეს? აი, ახლაც სიხარულის ცრემლი, ასე უცნაურად, როგორ იქცა ნაღველის ცრემლად!.. რად ჩამოწვა უცერად ასეთი ცივი სიჩუმე, წუთის წინ ხომ ესოდენ ლაღად იღიმოდნენ!.. ნუთუ ყველამ იცის, რასაც თენგიზი ასე გულმოდგინედ ჰფარავს... მაშ, სთქვით, სთქვით, იტირეთ, იქვითინეთ, თენგიზიც ატირეთ გაბედულად!

მაგრამ თენგიზს მიაჩერდა პროფესორი:

— შენ რაღაცას გვიმაღავ, ჩემო თენგიზ!..

— გვიმაღავთ?! არაფერს, არაფერს! რა უნდა დაგიმალოთ?!

ერთი ლაშის კომედია *

მისამი მოკმედეზა

თენდება სოფლად. მოსიანს ოდის აივანი. ეზო. კიშკარი. სახლკარის იქეთ,
მთების გაყოლებით მხოლოდ ტყვა.

შინ: შუქი ჯერ კიდევ არ ჩაუქვრიათ, ია და ნათელა ბილიკით ღობებს მოად-
გებიან:

ნ ა თ ე ლ ა — სულიკო! დათუ!.. რამ დაგაძინათ?

სულიკო, დათუ...

(აივანზე გამოდის სულიკო, თან გამოჰყვება ეფუნა და ჩიტოლია)

ი ა — გაგიტკბათ ძილი?

ნ ა თ ე ლ ა — სხვებს დასცინოდით ხომ ამასწინათ,

ახლა მე უნდა დაგწამოთ ცილი...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა იყო, ქალო?..

ნ ა თ ე ლ ა — რა უნდა იყოს,—

აეზილეთ თქვენი აღმართის თიხა.

ს უ ლ ი კ ო — სულს ვეღარ ითქვამთ უჩემოდ თითქოს...

ნ ა თ ე ლ ა — დღეს სამუშაოდ არ გამოდიხარ?

ს უ ლ ი კ ო — არ ვიცი რა ვქნა, ღმერთმანი...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — წუხელ

არ მოგვიხუტავს თვალი სამთავეს.

ი ა — მეც ვიცი, სული რომ შეიწუხეთ,

ვიცნობ წუხილის სა-სა-სათავეს...

ს უ ლ ი კ ო — ვაი, შენ არა, შენ არ შეწუხდი,

როგორც ეგ ახლა მე არ მაწუხებს.

ე უ ე უ ნ ა — სამაგიეროს, იავ, შენც უხდი?

დამარცხდა უკვე, ვერ გიპასუხებს.

ს უ ლ ი კ ო — ახ, კარგი-მეთქი... დღეს ავადა ვარ,

თორემ შინ ძალით ვერ გამომკეტდით.

იქ სამუშაოდ თვითონ გადავალ,

ასე თუ ისე თუ გამოვკეთდი.

ნ ა თ ე ლ ა — რა? არ მოდიხარ?

ს უ ლ ი კ ო — ჰო, და უჩემოდ

ამ ნათელ-მზიან დღეს ნუ დაკარგავთ...

ოსტატებს ხელი არ შეუჩეროთ!

ნ ა თ ე ლ ა — შენ, ჩიტოლია?

* დასასრული. „მნათობი“, № 2—3.



ჩ ი ტ ო ლ ი ა — მეც არ ვარ კარვად.

ი ა — უიმე დედა სსსაოცარია,

ასე ერთბაშად რა დაგემართათ?

ნ ა თ ე ლ ა — სალაპარაკოდ როდი გეცალია...

რ ა — და-და-დაიცა!

ნ ა თ ე ლ ა — მომყევი მარდაღ!

(მიდის)

ი ა — უთუოდ რაღაც ჩამომრებია,

ჟუჟუნა, ფრთხილად, არ გადაგედოს!

(მიყევა ნათელას)

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რას მარჩიელობ? რაო, ბებია?

ჟუჟუნა — დაგეცინის, არა? თავს გადახედოს.

ს უ ლ ი კ ო — ვაი, ნეტავი გულს არ მიკლავდეს

შე ჩემი დარდი, დავი-დარაბა, —

და ენა მაშინ მეც გამოქვავდეს,

პირველ სიტყვაზე თუ არ დავაბა.

თქვენ ის მითხარით, ჩემს დათუნისა

როგორღა მივსწვდეთ, როგორ ვუშველოთ?

ჩ ი ტ ო ლ ი ა — შიშით ისედაც ფერწასულია,

სულ წახდებოდა, ქალო, უშენოდ.

ჟუჟუნა — ხომ არაფერში ბრალი არ უძვეს,

გამოირკვევა სიმართლე სრული.

ს უ ლ ი კ ო — ეგ მართალია, მაგრამ გაუძღვებს?

გამორკვევამდის გაძვრება სული.

იქნებ, ეს, ვილაც ვარდოსანიძე

მტრად აქ მოსული მართლაც არ არა, —

ტყვე-გერმანელი ჰყავდა სამიწე

და ვერ მოფუწყვეთ თავშესაფარი.

რომ მოინდომოს, რას არ დაგეწამებს...

მერე ბუხუტიც რომ გაგვეხიარა...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — აფახულებდა წყრომით წამწამებს,

დრო იშოვა და სურდა ეყვირა.

ჟუჟუნა — თქვენც... თითქოს ეცხო რამ გაიხსენეთ.

თითქოს არ გვიტყვამს, არ გვიფიქრია...

წუხილით ღამე ძლივს გავითენეთ,

ზზეა, და შუქიც არ ჩაგვიქვრია!

ს უ ლ ი კ ო — დღე რომ გათენდა, მეც მაგას ვჩივი,

აქამდის ათჯერ ამოირბენდა...

ჟუჟუნა — იქ ბადღურიც არის, არჩილიც...

ს უ ლ ი კ ო — ო, რა ერთბაშად დამაიმიედა!

(შინ შედის)

ჟუჟუნა — ვერ ამჩნევ? არჩილს, როცა ვახსენებ,

მაშინვე განგებ განზე გაგვირბის.

ჩ ი ტ ო ლ ი ა — არჩილს, მგონია, არც შენ ასვენებ

და, ჩემო კარგო, სხვისი რა გოყვირს?

ჟუჟუნა — რა ვქნა, დაიკო, თუ ასეთი ვარ,

შე არაფერი დამემალება,



ყველა ჩვენგანზე გული შემტკივა,
თუმცა სრულიად არ მევალებდა.

ჩ ი ტ ო ლ ი ა — მეც გული მტკივა, ჩემო ძუძუნა,
მეც ჩემი დარდი მაქვს, გენაცვალე,
ნეტავი სულ არ შეგვედლებოდი
ამ ოჯახს, სული რად გავიწვალე?

ძ უ ძ უ ნ ა — მე რა ექნა, თორემ, შენ, ჩემო დაო,
უნდა ყვავილებს ჰკრეფდე, მღეროდე, —
შენი ლევანის უეცარ მოსვლას
გულის კანკალით უნდა ელოდე...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ჩემი ლევანის მოსვლას? ძუძუნა,
მერე რა იცი, რომ ის ჩემია...
მე მხოლოდ მოხუცთ ვაიმედებდი, —
გულით კი ის არ ამირჩევია!

ძ უ ძ უ ნ ა — მაშ თუ ასეა, მაშინ არჩილი
უთუოდ ორად უნდა გაიყოს...
შენ აქ ოცნებობ და იქ სულიყო...
ყური მათხოვე, მან არ გაიგოს!

(უჩურობებს)

ცალკე ოთახში არ დავაძინებ?
სულიკომ სულ სხვა ხერხი იხმარა,
და ღამით, თვალი რომ ავაცილებთ,
ისევ არჩილთან შემოიპარა...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ეს რა გავიგე, უი ჩემ თვალებს,
უცნობთა მოსვლით უსარგებლიათ.

ძ უ ძ უ ნ ა — ვინ იცის, ვის რა გადააბრალებს,
რომ ჩვენთვის, დაო, გზა დაებნიათ.

ჩ ი ტ ო ლ ი ა — აჰ, აი თურმე რით უწუხს გული.
ცოდვია ქალი, ღმერთმა აშოროს, —
თორემ სოფელმა თუ მოჰკრა ყური,
არ შეიძლება არ გაიჭოროს...

ძ უ ძ უ ნ ა — ვინც რა უნდა სთქვას... ჩვენ კი, დაიყო,
ქორს ავარიდოთ ჩვენი ენები...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ჰო, რა თქმა უნდა...

ძ უ ძ უ ნ ა — ჩუმაღ.

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა იყო?

ძ უ ძ უ ნ ა — მოსულან ჩვენი მშვენიერები.
(სტავ და ბუხტი ეზოში შეუმჩნევლად შემოსულან.)

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა ფეხაკრეფით გამოგვეცხადეთ?
ცული ამბავი მოგაქვთ აშკარად.

ძ უ ძ უ ნ ა — რა ექნათ, ღამაზო, ბევრი ვეცადეთ,
მაგრამ ავიგდო ბედმა მასხარად!
კურდღელი მაინც არ დამკარგვოდა...

ძ უ ძ უ ნ ა — როგორ გავიქცა გულ-გაფატრული!

ძ უ ძ უ ნ ა — ალბათ შებმული კარგად არ მქონდა,
ვითომ არ გესმით ჩემი ქართული.

(აივანზე გამოდის სულიკო)



ს უ ლ ი კ ო — ბიქოს, ბუხუტი დაბრუნებულა,
 რა ამბავია, მალე მითხარი.
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა უბედურად დაუბრებულა.
 ე უ ე უ ნ ა — გათეთრებულა როგორც მიტკალი.
 ბ უ ხ უ ტ ი — სახეზე ფერი არ მაძევს,
 მაგრამ, ეგ არაფერია...
 ბეწვის ხიდივით ხიფათიც
 ერთ წამში გასარბენია!

ს უ ლ ი კ ო — ველარ მოიმკე ნათესი?
 ბ უ ხ უ ტ ი — ბედმა მე აღარ მარგუნა...
 მაგრამ, სულ მალე გაიგებ,
 თუ რას მოიმკის დათუნა.

ს უ ლ ი კ ო — ვაი, ეს კაცი რას ლაპარაკობს!
 ტყვეები ხომ არ გაგქცაით გზაში?
 ძ უ კ უ — ძლევის გვირგვინი, ხედავთ? არ ამკობს,
 სილის გაწნევა არაა ტაში!

ბ უ ხ უ ტ ი — რაო?
 ძ უ კ უ — გმირობა არ დაუფასეს...
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — აბა, ამოდ გაშალა მკერდი?

ბ უ ხ უ ტ ი — ხელს არ ავიღებ ჩემს ულუფაზე.
 მიტყვამს... ჯერ თბილისს მივწერო ერთი!
 ს უ ლ ი კ ო — განა იქ დაიჯერებენ,
 შენს გამოგონილ არაკებს...

ბ უ ხ უ ტ ი — რაო, სალაყბოდ მოვედით?
 ძ უ კ უ, რას მალაპარაკებ...
 ჩემი გუნება ხომ იცი, —
 არა ვარ სიტყვის მომთმენი...
 ხომ იცი რისთვის დაებრუნდი,
 გამომიტანე პორთფელი!

ძ უ კ უ — აჰ, მართლა; წუხელ აურზაურში
 პორთფელი დარჩა... მიეცით ნება...

ს უ ლ ი კ ო — ახ, მიკვირს ხელი როგორ გაუშვი,
 სადაც დასტოვე, იქვე იქნება.

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ალბათ იმისთვის ვერ გაიმარჯვეთ,
 ძალაუფლება სჩანს პორთფელშია...

ბ უ ხ უ ტ ი — თქვენ, ჩიტოლია, ხელს ნუ შემაჩვევთ,
 სული ისედაც ხედავთ? ყელშია!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ძალაუფლება ვინ ჩამოგართვათ?
 ორდენი როგორ შეინარჩუნეთ?

ს უ ლ ი კ ო — თქვენ ეგ ორდენი გგონიათ? არ თქვათ.
 ეს ხომ...

ბ უ ხ უ ტ ი — ეუეუნა, გთხოვთ დააჩუმეთ!

ს უ ლ ი კ ო — ეს ხომ უბრალო საათის
 სახურავია. წარწერით...

ბ უ ხ უ ტ ი — ჯილდოდ მივიღე. პირადად,
 რა აღმაცერად ჩასცქერით?



ქუეუენა — ჯილდო ჰქონია, რას ერჩით, კმარა,
კაცი ყოფილა მართლაც ქებული.

სულიკო — ჯილდო, თუ არა, სისხლი დაღვარა,
ეს კრიმანჭულში აქვს მიღებული.
(ძუკუ პორთფელს გამოუტანს)

ბუხუტი — ამას ვეძებდი... დიახაც!
აბა თქვენ კი არ მინდოდით...
პორთფელი არ დამრჩენოდა —
აქაც არ ამოვიდოდით!

ჩიტოლია — ეს არის თქვენი იმედი?
ეს არის თქვენი ხალისი?

ძუკუ — დღისით ილლიის მშვეენება,
ღამით კი ყურის ბალიში.

ბუხუტი — თუ გაუცინეს, — გათავდა!
ვის არ გასწირავს, მასხარა!

ძუკუ — და ეს კი უნდა აფეთქდეს,
უთუოდ, როგორც მამხალა...

ბუხუტი — ხმა, ლაპარაკი!

სულიკო — ადამიანო,
ამბავი მაინც გვითხარი, გიცდით.

ბუხუტი — რჩები?

ჩიტოლია — (ძუკუს)

იდექი.

ბუხუტი — მაშ არ ინანო.

ძუკუ — ვეღარ ამაგდებ აქედან ხიშტით.
(ჯდება კიბეებზე)

ბუხუტი — ძუკუ, შენც გადამიდექი?
როგორც კი ფეხი დამიცდა...
ისევ აღსდგება ბუხუტი,
შენ არ იფიქრო, დამიწდა.

ძუკუ — ძმაო, მე რა ვქნა? ამოგკრეს კუკუ,
ჯაბამ თვალეზი დაგიბრიალა...
და აწი შენთან პურს გასტეხს ძუკუ?
ან ლეინოს დალევს? — გატყდა ფიალა!

ბუხუტი — აჰა!..
(ქადილით შორდება მათ)

ელისაბედი — ბუხუტი ბატონო...
(გამოჩნდება ეზოში)

ბუხუტი — აჰა!..
(მიდის)

ელისაბედი — ეს კაცი ისევ რამ გადარია?

ჩიტოლია — რა უკვირს, ძუკუ, პირველად გნახა?

სულიკო — შენ გეუბნები, სთქვი, სად არიანი!
ხმა ამოიღე, კაცი არა ხარ?
გაგვაგებინე-მეთქი, რა მოხდა.
ეგ ენა ქვესკნელს სწვდება ხანდახან.
საჭირბოროტო ახლა დამოკლდა?

- ელისაბედი — ჩემი ლევანიც რომ აღარა სჩაის,
რატომღაც ფიქრი გულს ძითანადრებს...
- ძუქუ — ლევანს ხომ უცდის გაშლილი სუფრა,
დედავ, მოვა და ლხინს განაახლებს!
- ელისაბედი — ბაადურს მაინც ვინ ავალუბდა,
ამ თქვენს ამბებში რომ ჩაერია...
- ჩიტოლია — მტერს შეეჩება, ბეჩა, კარებთან...
- ელისაბედი — შვილო, რა იცით, რომ ის მტერია.
- ძუქუ — მეც მაგას ვეუბნებოდი,
ვერ დავარწმუნე ტიალი...
ახლა რას მერჩის, არ ვიცი
ბუხუტი ახვლედიანი.
რას ვაეკაცობდა, რომ უცებ
იშიშვლა რევოლვერები.
მტერს მტრობას მაშინ გაუგებ,
განგებ თუ მოეფერები.
- სულიკო — ამბავი გვითხრას, რად გვიხდა,
სიტყვას რომ აწყობს ანდაზად.
- ძუქუ — ამბის მოყოლა ასად ღირს,
დასკვნა კი ასიათასად...
თქვენები, ჩემო სულიკო,
ახლაც ჯაბასთან არიან.
თქვენი სტუმარიც იქ არი,
საქმე სულ იმან არია.
- ჩიტოლია — იგი იქ დაგხვდათ?
- ძუქუ — ჩაგვისწრო, აბა!
ჩვენზე ეშმაკი ვინმე ყოფილა...
თვალი შეგკავლო თუ არა ჯაბამ,
კინალამ სული გაგვფრთხოვინა...
ჯერ დააოხოვა ბუხუტი, —
არ ვნახო შენი ლანდიო...
მერე მეც გამომიძახა,
შენც გარეთ გამობრძანდიო.
ჩასხდნენ. ჩაპეტეს კარები.
და ჩვენ კი...
- სულიკო — თქვენზე ახია!
- ძუქუ — შემდეგ რა მოხდა, ვერ ვიტყვი,
თვალით არ დამინახია.
- სულიკო — საწყალი ჩემი დათუნა...
არავინ არ შეიცოდა?
- ძუქუ — ისე უბღვერდა უცნობი,
რა ექნა, აღარ იცოდა....
- ჩიტოლია — ვგრძნობ, რაკი ჯაბას ხელში არიან
საქმეც კეთილად დაგვირგვინდება.
- ძუქუ — დღეს ჯაბა ისე საშიშარია,
რომ ნახო — თვალი დაგიბინდდება.

ელისაბედო — არა, არ მესისი მაინც რა მოხდა.

გასაწყვებლი ხარ შენც შენი ჭმრითა!
ციდან ის კაცი როგორ გადმოხტა,
სწორედ ისე, რომ შენ დაგაფრინდა...

სულიკო — ციდან თუ როგორ გვაფრინდებიან,
გააგებინე, გოგოვ, უთხარი...

ჩიტოლია — სულიკოს, თურმე, თაფლი სცხებია,
ხან ბზივი ეძებს და ხან ფუტკარი...

სულიკო — არა, სულიკოს არავინ ეძებს
და არც საფუტკროდ არა სცალია.

ძუკუ — აბა, უყურეთ კაბის ნაკეცებს,
ესეც პარაშუტს აგავს ძალიან...

ჩიტოლია — კაბა?

ძუკუ — მაცალეთ, აეუხსნა
ციტ გადმოფრენის იგავი...
ხომ თვითონ გახსოვს, სულიკო,
როგორი ცქვიტი იყავი...
ფრენით თავს დაგვთამაშებდი
მაისურაძის ასული,
ხან ბუჩქნარებში მიმჭრალი
და ხან ხეხილზე ასული.
არ მოგტეხია, მსხლის ტოტი
ან კახამბალის კენწერო?

სულიკო — შენ ისე მათვალეირებ,
თითქოს კაბაზე მეწეროს...

ძუკუ — ძირს დაცემამდის, კაბაში
ჭარი თუ შეფრინდებოდა, —
შენც ქოლგასავით გაშლილი
დაეშვებოდი ზემოდან.

ელისაბედო — უი, შენ გაჭრი...

ძუკუ — უნდა გაბედო
და ცის თალიდან ისკუპო მარდად.

ელისაბედო — უი, შენ ჩემო ელისაბედო...

ქუქუნა — შესანიშნავად არ განუმარტა!

ძუკუ — ჩვენს ელისაბედს, მაცალეთ ცოტა
და მე ფრენასაც ვასწავლი მალე...

ელისაბედო — რაღა დროსია...

ძუკუ — რამ შეგაშფოთა.
ერთად გაფრინდეთ, შენ გენაცვალე...
თავს გეფიცები, ჩონგურზე მეტად
გამოგადგება იმ ქვეყანაში...

სულიკო — უი, შენი

ძუკუ — იცის ელისაბედმაც,
რომ ვცხოვრობთ ციდან ზტომის ხანაში.
ტკბილი ხელი აქვს.. არ გეზუმრებით,
ტკბილი ვახშამი რომ მოგვინდება, —



ზეციდან მთვარის ზაჰაპურებით
ჩვენს აივანზე გადმოფრინდება!
ს უ ლ ი კო — დღემ ასე უქმად თუ ჩაგვიარა,
რას ემგვანება...

ძ უ კ უ — წელს ზომ...

ს უ ლ ი კო — გვადროვე!

ძ უ კ უ — სამასსამოცდახუთი კი არა,
უკვე ცხრაასი დღე დააგროვე.

ს უ ლ ი კო — გეყოფა, ძუკუ... სხვა გზა არ არი,
უთუოდ უნდა იქ მიეკითხო.

ძ უ კ უ — გსურს მიამატო ზარალს ზარალი?

ს უ ლ ი კო — ჩემად... ჰკუთსაც გვასწავლი თითქოს...

(იშორებს ძუკუ მუჟუნას მიუახლოვდება. ხელს მოხვევს)

ქ უ ქ უ ნ ა — გაიწი, ხელი არ მომიკარო...

ძ უ კ უ — მეგონა დატკბა... ისევ მყავდა...

ქ უ ქ უ ნ ა — ხელსაც მხვევს...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — მერე, რას ერჩი, ქალო,
გგაც ზომ ზურგის მომუშავეა.

ძ უ კ უ — სიტყვების ტკვერა შემეძლოს ნეტავ, —

ამოეზარდნენ ენას ულორტებად...

არა და ისეთ მაყრიონს ეხედავ,

ვგრძნობ, სიხარული გიახლოვდებათ.

ქ უ ქ უ ნ ა — რას შემოგვიჩნდი ძუკუ?

ძ უ კ უ — მიყურეთ!

სტუმარ-მასპინძლის ძველი წესია.

აივნის კარი რისთვის მიხურეთ, —

გზას გადახედეთ, უკეთესია...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა სთქვი?

ს უ ლ ი კო — უიმე, მოდიხ!

ქ უ ქ უ ნ ა — მოდიან...

(ძუკუს კუთხეში მიაგდებენ)

ძ უ კ უ — რა საჭიროა ეს მუშტი-კრივი?

ჩ ი ტ ო ლ ი ა — მოდიან, მართლა...

ძ უ კ უ — სულ დამკორტნიან,

ახლა თავს თუ არ ვუშველე...

(დადგება განზე, მოულოდნელად ლოპეს ვივი გადმოახტება)

ქ ა ლ ე ბ ი — გივი!..

გ ი ვ ი — დათუნა მოჰყავთ, დათუნა... აბა!

ს უ ლ ი კო — როგორ თუ მოჰყავთ!

ქ უ ქ უ ნ ა — მოჰყავთ?

გ ი ვ ი — რა იყო...

(ვიშვარს იღებს)

ს უ ლ ი კო — თქვი რამე, სული რამ მოგისწრათა...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — არ გესმის, ვივი?



გ ი ვ ი — ძლიეს არ გაიღო!

შამაც... დათუნაც... ჯაბაც... არჩილიც...

ყველა აქ არის, თვალს თუ გაახელ.

ს უ ლ ი კ ი — ამდენ ჯაფრსა და წუხილს არ ვჩივი,

სულ თუ არ წახდა უჩემოდ...

გ ი ვ ი — აფერს..

(ჭიშკარში პირველი შემოდის დათუნა, — მკერდზე ავტომატ-ჩამოკიდებული, მას თან შემოჰყვება ბაადური, არჩილი, ჯაბა და ერთი სხვა ამხანაგი)

ჯ ა ბ ა — სალამი ქალებს... დღე მშვიდობისა!

ს უ ლ ი კ ი — ახ, გაგიმარჯოთ, ჯაბა... დათუნა,

რა ყოჩაღად ხარ, რა ვაჟკაცურად,

მსურს დაგიოცნო ლულა თოფისა!

და თ უ ნ ა — (ღინჯად და მედიდურად თავს მოაჩივებს)

ფრთხილად... საკოცნად როდი გვცალია,

ვართ საომარი საქმით ვართული..

ქ უ ქ უ ნ ა — როგორ გვიცქერის წარბ-ამართული!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — აბა! ღმერთმანი, საოცარიია!..

და თ უ ნ ა — ხედავთ? ტყესთანაც ახლო ვარ უფრო,

აი, აქ არი ჩემი სახლკარი...

ჯ ა ბ ა — ვხედავ, დათუნა, ვხედავ, აქ არი,

მაგრამ ჯერ ამით მსურს ვესაუბრო...

ბ ა ა დ უ რ ი — ჩემს ოჯახობას იცნობდით?

ჯ ა ბ ა — არა.

ვიცნობდი, როგორც ლევანის მშობელს.

ბ ა ა დ უ რ ი — ეგ რა სთქვი, ჯაბა, სისხლს ვამიშრობენ,

ეგ ჩემ დასაწვავ ნაპერწკლად კმარა...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — არ დაუჯეროთ, ბატონო...

ჯ ა ბ ა — რისთვის?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ეგ არასოდეს არ იჩაგრება.

ჯ ა ბ ა — უთუოდ მუხის გულივით იწვის,

სულის შებერვით როდი ჩაქრება.

მაგრამ მოხუცი ამლამით, არჩილ,

ჩვენ მეტისმეტად დავღალეთ ვგონებ.

ბ ა ა დ უ რ ი — რომ ერთმეორეს არ ვუდგეთ მწარში,

თქვენც აგრე ველარ გვიწინამძღოლებთ.

ჯ ა ბ ა — მტრებს უჩემოდაც დახვდით ყოჩაღად,

განსაკუთრებით სულიყო...

ს უ ლ ი კ ი — ჯაბავ,

ჩვენ ვცხოვრობთ თითქმის აქ ერთ ოჯახად

და ჩვენ ყველანი...

ჯ ა ბ ა — თვალს ნულარ ნაბავ.

ს უ ლ ი კ ი — ეგ სულ დათუნამ მოიმოქმედა.

ჯ ა ბ ა — ვიცი... სულიყო, აი დათუნაც

დაგისაჩუქრეთ, ქალო, ხომ ხედავ,

დგას ავტომატით დარდიმანდულად.

კარგი თოფია... თუმც, უკაცრავად,
მტრის იარაღის არ მშართებს ქება,
მაგრამ მტრისავე შესამუსრავედ
ჩვენც დიდებულად გამოგვადგება..
თქვენ აბა ჩემი ახსნა რათ გინდათ,
ღრუბლის ნაფლეთი თუ გაჩნდა ცაზე,
ჩვენს მღუმარ ტყეებს თუ დააფრინდა,
მჯერა, ყოველთვის დახვდებით ასე.

დათუნა — ისევ ამ ხელით შეეკუმშავ ღრუბელს,
რომ აცრემლებით ფეხთქვეშ იწვიმოს...

სულიკო — სოფლად რა უნდა სოფლის დამღუპველს,
ცად ვარსკვლავებმა სჯობს იციმციმოს!..

ჯაბა — ასეა. მაგრამ გვეყოფა ამბად,
დღეს ხელი უშვით ღრუბლებს, ვარსკვლავებს
სძინავთ... და თქვენი თვალბიცი, ალბათ,
ნათელს ჩრდილისგან ძლივს-ლა ანსხვავებს.

დათუნა (მთქნარებით) —

ეგ შართალია, დაღამდეს ნეტავ,
წამწამს შითრთოლებს ამ დილის სხივი...

ჯაბა — ჰო და ჩვენც აქვე ტყეს გადავხვდავთ
და მოვისვენებთ...

არჩილი — გაგვიძებ, გივი!

დათუნა — უჩემოდ?

ჯაბა — რატომ? აი ამ მალღობს

მოვავლოთ თვალი ერთად. ვიაროთ...

დათუნა — (შედგება)

თუმცა... ზეპირად ვიცი, სად ვსახლობ.

დაგიცდით და არ დაიგვიანოთ...

გული თუ ცოტა არ დავასვენე,

გაპვლეჯს ამდენი სჯა და კამათი...

ნამდვილი ომი აწი მომელის,

უნდა ავრიცხო შრომა ამათი...

ჩიტოლია — თქვენც დარჩით, არჩილ...

ძუძუნა — ნამგზავრი არის

და წამით არც კი დაუსვენია...

არჩილი — მიცდის მე ჩემი ძილიც, სიზმარიც,

ახლა კი უქმად დგომა ძნელია...

ბაიდური — მართლა ზემთაა, აქ სამოსახლო

ფრინველთაც აღარ მოეპოვებათ.

არჩილი — მეზობელიც კი არა ჰყავთ ახლო

მთა დაშლილია ციცაბოებდალ...

აქეთ გახედეთ...

(ჯაბასთან მუფი ჯგუფი ხან იმალება სცენის სიღრმეში, ხან სწამს)

სულიკო — დათუნავ ჩემო,

აქ შენი ცოდვით სული დამეწვა.



დათუნა — არაფერია. ავიდეთ ზემოდ.

მამული მეც ხომ უნდა დამეცვა.

(ჩასვიდებს ხელს ჩიტოლის და სულიკოს, ადის კბეებზე)

სულიკო — როგორ ჩავვჭიდა ხელი ღონივრად

და მე კი შიში იმედს მიკლავდა...

დათუნა — რაო! მე თქვენ ვინა გგონივართ,

ხომ ხედავთ კაცი ვერ გამიმკლავდა.

სულიკო — საწყალი, ალბათ, ვკლებზე იჯდა...

ჩემგან ელოდი ხომ გადარჩენას?

დათუნა — ბიკოს! ეს ქალი რას შემომიჩინდა,

რა ხანჯალივით აელვებს ენას! —

არ მომწონს-მეთქი, ჩუმაღ! მაცალე,

რა მჭირს მე შენი შესაბრაღისი...

(თვითონვე მშვიდდება უცებ)

ნუ გამარისხებ, შენ გენაცვალე,

არა მაქვს შენი განსჯის ხალისი...

სულიკო (შეურაცხყოფილი) — რაო? ახ! რაო? ვისთან მამაცობ...
თავისი თავით არ მოხიბლულა?!

დათუნა — (სიტყვას აწყვეტინებს)
კმარა. ამოხვალ. ჩექმებს გამაძრობ.

თვალს ერთი წამით მაინც მივლულავ.

(სულიკომ აღარ იცის როგორ მოიქცეს)

ხომ გამიჩინე ყიფინით წყლული,

შეიარაღდი, გავაჯაკადიო...

და აჰა... აწი გატრუნე სული,

თუ ჩემს თითებში გამოემწყვდიო...

მე ჩიტის გული მქონდა, არ იქნა,

არ შეიფერე ეს თბილი ბინა...

გულის ფრიალიც უკვე გამოიქრა!

გულზე, ხომ ხედავ, დამკიდეს რკინა...

გულის ფრიალით ვნატრობდი ღვინოს,

ჩემი გულისთქმა მიგაჩნდა არად.

ახლა? დათუნას სურს წაიძინოს.

ხმა არ გაიღოთ. იყავით წყნარად.

(შევა ოთახში. სულიკო ვერ კიდევ გაოგნებულია, არ იცის განზრახვის
ხდეს თუ ბედს დაემორჩილოს, დათუნა კარებიდან თავს ისევ გა-
მოკყოფს)

გეყოფა-მეთქი, რაც შენ მაწვალე,

შეირყა ჩვენი ურთიერთობა...

(კარს მიხებრავს)

სულიკო — უი, დათუნა, მას ვენაცვალე,

ვინც ჩამოგვიდა შენ ეგ ხელთოფა!

(ალტაცებული შეპყვება ოთახში)

ვლისაბედი — ჩვენმა ძმისწულმა მგონი ივარგა...

რა ამბავშია, ხედავთ, დათუნა?

ჩიტოლია — მართლაც ვაეკაცად გამოიჩარხა,

ცოლმა კი ძალით წამოახტუნა.



ქუქუნა — სულიკოს დღემდის დარდი არ ჰქონდა,
 უთუოდ ოდნავ მაინც დაცხრება.
 ქმარი თუ ასე გაუბატონდა,
 ისიც სხვებსავეთ გაიბაწრება!
 (ეზოში ისევ გაჩნდება ძუკუ)

ჩიტოლია — რა ხდება ძუკუ, არ იცი?
 რას გაუყუჩდი.

ძუკუ — არაფერს.

ჩიტოლია — მუნჯები ალაპარაკდნენ,
 ყბედებმა სული განაბეს.

ძუკუ — მაში ძუკუს ღვინოს ასმევდნენ,
 და დათუნია თვრებოდეს?!
 კაცს ჭირში, გამოგონია,
 თმა შიშით გათეთრებოდეს, —
 ამას კი ვატყობ, მოუხდა
 წუხელ თვალების ბრიალი, —
 გამოაფხიზლა შეკრთომამ,
 გაუქრო გულის ფრიალიც.

ქუქუნა — ახ, წუხანდელმა ღამემ ერთბაშად
 მგონი არჩილიც გამოგვიცვალა.

ძუკუ — დღეს უკვე აღარ გაგეთამაშათ?
 აბა, ბუხუტი რას გაგვიწვალა.

ჩიტოლია — ამ ამბავს თავი ველარ გაართვა,
 თუ არა, ალბათ, სულ ვაგონდებით.

ქუქუნა — არა, ეგ, დაო, ჩემთან აღარ თქვა
 წაგვართვეს... რა ვქნათ, ნუ დაელონდებით.

ძუკუ — ორთავე შექმას უპირებთ უმად,
 ყოჩაღ, თუ თქვენი ყბა აიცილა...

ჩიტოლია — ახლა ეს მოგვდგა...
 (ოთახიდან ფეხაქრფით გამოდის სულიკო)

სულიკო — ს-ს-ს, ჩუმაღ.
 ჩემმა დათუნამ ძლიეს წაიძინა.

(ქუქუნა და ჩიტოლია ფეხაქრფით დამყვებიან სულიკოს)

ქუქუნა — ამ ჩვენს პატარძალს ქმარი წუხელის
 გაუუფქაცდა და რა იღონოს?

ჩიტოლია — უხდება კიდევ ქედზე უღელი.

სულიკო — ს-ს-ს, სძინავს, არ გაიგონოს.

ელისაბედი — რას დაფარფატობთ?

სულიკო — ვის რა აფიქრებს,
 იყოს, განცხრომით ტაბტზე იგოროს...

ქუქუნა — ის ხომ ძალღონეს ჩვენთვის არ იკრებს...

ჩიტოლია — ს-ს-ს, სძინავს, არ გაიგონოს!

სულიკო — მეც, დაე, ძელები მიჭახჭახებდეს,
 როცა მკლავებით გულს ჩამიკონოს.

ქუქუნა — ვაყვაცს ხომ ცოლიც უნდა აქებდეს.

ჩიტოლია — ს-ს-ს, სძინავს, არ გაიგონოს!

სულიკო — ლაჩარს კი აბა რისთვის ვჭირდებით,



საფლავს ჩანჩალით თან ჩაგვიყოლოს?
 ძუძუნა — ვაჟკაცს მტრედით დავმორჩილდებით.
 ჩიტოლია — ს-ს-ს, სძინავს, არ გაიგონოს!
 სულიკო — დიახაც... აქ ჩემს დათუნას სძინავს.
 ფრთხილად, ნიავმაც ფრთხილად იჭროლოს!
 ჩიტოლია — გაბედნიერდა სულიკო... ბრწყინავს.
 ძუძუნა — ს-ს-ს, სძინავს, არ გაიგონოს...
 ჩიტოლია — ავტომობილის ხმამ გაიელვა...
 ჩუმად, გუგუნნი არ გეყურებათ?
 ძუძუ — მანქანა? ალბათ ჩვენს გაბრიელას
 შეუძენია ფინხის ურემად.

(ავტომობილის ხმა ისევ ვისმის)

ჩიტოლია — აგერ!
 სულიკო — ხეობებს როგორ უყვივს!..
 ელისაბედი — უიმე!
 ჩიტოლია — მოსვლა შეგვატყობინა.
 ძუძუ — რას გაიფოფრე, ქალო, კრუხივით?
 ელისაბედი — ეგ თავის დღეში აქ არ ყოფილა.
 ძუძუ — ელისაბედი არ მომიტყუოთ.
 ძუძუნა — რომ არაფერი არ სჩანს გამოღმა!
 ძუძუ — საურმე გზასაც ასცდა უთუოდ
 და საცალფეხო ბილიკს ამოჰყვა.

(გზას გასცქერაინ)

სულიკო — ძუძუ, დადექი აქეთ, ან იქეთ...
 თუ მოდის, მართლაც მოდის პირველად.
 არჩილი — (მოირბენს მათთან)
 ავტომობილის ხმა თუ გაიგეთ?
 სულიკო — გაჟიგეთ ჩვენდა გასაკვირველად.
 არჩილი — აშკარად, მოდის... ამიხნდა, ვიცი,
 დაფეთებული რასაც ველოდი...
 ძუძუ — ცუდი რამ გველის? გვითხარი, ბიძი,
 ძლივს-ღა ვიკავებ სულს საყელოთი.
 ჩიტოლია — ის არის, არა?

არჩილი — ჰო, ჩიტოლია, —
 თქვენ თუ მიშველით, გადავრჩე ეგებ.
 მე შესახვედრი პირი არა მაქვს,
 უკვე ვერაფერს ვერ მოვახერხებ.
 (ხეებს ეფარება, ჩიტოლიაც მასთან არის)

ძუძუ — სტუმარი თუა, შენს პირს შაქარი,
 გაგვახარებდეს ამ დილით ნეტავ...

(მოულოდნელად ფერდობს გადმოადგება ლევანი. მასთან ერთად თამარ-ჭალი და ორი სხვა მხედარი. ყველანი — თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი არიან)

ლევანი — აჰა! სულყველა თურმე აქ არი...
 და ვერც კი მიცვენს...
 სულიკო — (უეცრად გამოერკვევა)
 ლევანი... დედავ...



ელისაბედი — უიმე, თვალი რამ დამიბნელა..

შენ გენაცვალე, შენ, ჩემო ბიჭო!
(მიისწრაფის ლევანისაკენ)

ქუქუ — (თან მიჰყვება)

სული მოითქვი, შე ქალო, ნელა,
კაბაზე ფეხი არ დაიბიჯო!

(ყველანი ლევანს შემოებევიან. ხოლო არჩილი იქვე ხეებს მოეფარება)

ელისაბედი — ეს დილა ჩემთვის გათენდა, შვილო...

სულიკო — მოგვილოცნია, ლევან...

გივი — ლევანი!

(მიიჭრება მასთან. კვლავაქვალ ჯაბა, ბაადური და სხვებიც გამოჩნდებიან).

ლევანი — (დღდას)

შენ ფრთხილად. გული არ აიჩვილო,
თორემ...

(სხვებს გადახედავს საერთო იღერსით გარშემორტყმული)

ხომ კარგად დამხვდით ყველანი?

გივი — კარგად ვართ... ლევან, უყურე მამას...

ლევანი — ვუყურებ, მაგრამ...

ქუქუნა — ახ, რა დღეშია!

ლევანი — ძნელი ყოფილა... ღმერთმანი, ამას

მე ხელჩართული ბრძოლა მერჩია.

ბაადური — მიმიშვი, ბოშო, მეც ერთი წამით,

მეც ხომ მამა ვარ...

ლევანი — ხომ? მამაჩემო.

ქუქუნა — გაკგუდეს, თქვენ თუ არ დამიცივით...

ჯაბა — ო, როგორ სინჯავს, უელის გარშემო.

(შვილი და მამა ერთმანეთს გადახევიან. ელისაბედი ხელით სინჯავს ლევანს. გარს უელის, თვალეში აჩრდება)

ბაადური — იქნებ უწუნებ, ქალო, მხარამკლავებს...

რას იტყვი? ომში გამოწრთობილა?

გივი — (გადაუწევს ტყავის ქურთუკს)

დღდა, უყურე ამის ვარსკვლავებს.

სულიკო — საომრად მართლაც ცაში ყოფილა.

ელისაბედი — გმადლობ, შენ, ღმერთო, რომ არ გამწირე,

ვარსკვლავს კი არა, ხედავთ, ნატყვიარს?

ლევანი — ათასი ტყვია ხომ ავიცილე,

რა ვქნა, სახსოვრად ერთი მატყვია.

აქ ალაღბედად შუბლი ან ლოყა

მაყვლის კრეფაშიც ხომ გაგკაწრია...

მტერმა კი გული ვერ მოიოხა,

ჩვენი პასუხი უფრო მკაცრია...

სულიკო — ჩვენი პასუხიც... ეიმოწმებთ ჯაბას,

რომ უთქვენობა არ დაგეტყობია...

ჩვენი ქალების ერთგული ჯაფაც

ჩვენი ღუშმანის მკვლელი თოფია.

ლევანი — მამ ორად გავყოთ ტაში და ვაშა...

რას დგეხართ?... თითქოს არც კი მელოდით.

გაიღწეო ჩემი ძმა-კაცი, საშა!
ამ მთებში ერთად მოვიმღეროდით.

რუსი — ნუ და...

ლევანი — რუსია!

რუსი — ახ, გამარჯვება!

ბაადური — შენ გენაცვალე, შენ გენაცვალე!

ლევანი — ისწავლა მხოლოდ ჯერ გამარჯვება,

ქართულ სუფრულსაც ისწავლის მალე.

რუსია, დედავ, გაშლილი მკერდით

დამცველი გახდა ჩვენი მთებისა.

ძმა არის მართლაც, თუ გახსოვთ, — გწერდით,

მაგალითია თავდადებისა!

ეს არის, ახლა ჩვენი მანქანით

ფრონტიდან ფრონტზე გადმოგვისროლეს.

ზემთა რომ ვნახე, გულის კანკალით

ველარ გავუძეღე უკვე სიშორეს

და ერთის წუთით... ჩვენი თამარიც...

ბიჭოს! არ მესმის? არ მომწონს რაღაც...

(საერთო უხერხულობა)

ჩვენი მებრძოლი არის... არ იცნობთ?

ნუ თუ არჩილმა გვიმუხთლა აქაც!...

აბა, არჩილი მაჩვენეთ!

ქუქუნა — აგერ.

რას ეფარებით არჩილ, ამ ხეებს?..

(არჩილი მოჰყავთ ძალით)

არჩილი — მაშინებს მკაცრი ლევანის სახე,

თვალით თამარიც აღარ მამხნევეს...

ლევანი — ახ, რა კაცი ხარ, რა უხერხემლო,

არ გახსოვს, ბიჭო, რა დაგაბარე?!

ხომ თქვი, ყველაფერს მოვახერხებო...

არჩილი — აქ გამეთხრება, ვიცო, სამარე.

კი დამაბარე, მაგრამ...

ლევანი — რა მავრამ...

(ჩიტოლის და ქუქუნას)

თქვენ ყავარჯნებათ უღგებართ მხარში?

მოსცილდით!..

არჩილი — ამ ცივ კლდეს ნუ დამაკლავ.

ლევანი — მართლა არ გითქვამს ამითთვის, არჩილ?

ელისაბედი — რა უნდა ეთქვა, შვილო, გვესტუმრა

და შენი კარგად ყოფნა გვახარა...

ლევანი — მეტი?

ბაადური — რაც გვითხრა, გვესაიღუმლან

თავი იმითაც ქვე შეგვაყვარა.

ლევანი — მაშ უცხო სტუმრებს თქვენ არ ელოდით?

ქალები — არა.

ბაადური — აჰ, არა.

ლევანი — არაო?... ვგრძნობდი.





ჯ ა ბ ა — წუხელ ერთმანეთს ქირში ვშველოდი.
 ა რ ჩ ი ლ ი — გათენდა, სანამ თავს გავაცნობდი.
 ლ ე ვ ა ნ ი — რა ქირს გულისხმობთ, არ ვიცი, ჯაბა,
 და გასაქირში კი მე ვარ სწორედ.
 ა რ ჩ ი ლ ი — არ დამიკლია ხერხი და ჯაფა —
 თუ არა, თვითონ ასწონ-დასწონეთ.
 ლ ე ვ ა ნ ი — (გადაწყვეტით)
 მამავ... თან მომყვა ერთი მერცხალი...
 თქვენი გაცნობა სურდა ძალიან.
 ხომ, თამარ?..

ბ ა ა დ უ რ ი — ბიჭო, მგონი ეს ქალი...
 ლ ე ვ ა ნ ი — (გახარებული)
 ა რ ჩ ი ლ ი — მაშ იცით?.. თითქმის.. თქვენი რძალია!
 თ ა მ ა რ ი — (მოკრძალებით)
 ლევან, რა არის ღმერთმანი...
 ა რ ჩ ი ლ ი — თამარ!
 ლ ე ვ ა ნ ი — რა ვქნა, არჩილის ბრალია.
 ა რ ჩ ი ლ ი — (ელისაბედს)

ხედავ?!

ე ლ ის ა ბ ე დ ი — (წყენით)
 ოხ, შვილო, ნუ თუ ღირსი არა ვარ...
 რომ მიმალავდი სიხარულს...
 ლ ე ვ ა ნ ი — დედავ...
 (საერთო უხერხულობა. შესტყვიან ჩიტოლის)
 ე ლ ის ა ბ ე დ ი — ო, ვხედავ, ვხედავ რომ გულისყურით
 არ კითხულობდი დედის ბარათებს.
 ბ ა ა დ უ რ ი — (შეკუთრებს გაღიმებულ ჩიტოლის)
 ჩვენც ნუ დაეხედებით მზეს მოღრუბლული,
 ხედავ, ღიმილი ყველას ანათებს...
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — მოგვილოცნია, ლევან... არ მიცნობთ,
 მაგრამ სიხარულს შეც ვუერთდები.
 ლ ე ვ ა ნ ი — თქვენ ჩიტოლია იქნებით, ვიცი.
 ვგრძნობ, თქვენი ხელით ებედნიერდები.
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — მე მაპატიოს ლევანის დედამ,
 ვგრძნობდი ოჯახში ვყავდი იმედოდ
 არ ვუწბილებდი სურვილს და ბედად,
 ლევან, თქვენც ტყვიამ არ გაგიმეტათ.
 დაპკოცნე, დედავ! ხომ აგისრულათ,
 რასაც სწერთ მთელი წელიწადია...
 ვერ შეიყვარებს სურათი სურათს.
 გულს კი ყოველთვის გული სწადია!..
 (უხერხულობა სიხარულად აქცა. აცრემლებული დედა ეხვევა შვალსა
 და რძალს)

გ ი ვ ი — ძლივს არ გაშალა ფრთა დედაჩემმა..
 ს ტ ლ ი კ ო — მოგვილოცნია.
 ყ ვ ე ლ ა ნ ი — მოგვილოცნია.



ლევანი — ეს რაა?! ხელში მე რა დამჩნება,
თამარს თუ ასე დამივოცნიან.

ჯაბა — არ მოგილოცო? ბაადურ-ჩემო...
ბაადური — რატომაც არა!

არჩილი — (აღტაცებულად) ესეც ბედია!

ლევანი — რომ მპირდებოდით, მე აგირჩევო...

ბაადური — აქ ჩემი თვალი ვგრძნობ ზედმეტია.

ელისაბედი — ჩვენი სურვილიც, შვილო, ეს არის,
შენი გულისთქმით შენ გაიხარო...

მე კი სანატრელ წუთს მოვესწარი...

ლევანი — ხომ კი!.. აღარ თქვა, — არ ვარგებარო.

არჩილი — ხედავ? შეიტკბეს სულ პატარძალი,

ტუჩები ტუჩებს ეკვრის წებოთი...

სამოციქულო დრო ხომ არც არი,

ტყუილ-უბრალოდ მეხვეწებოდით.

ძუკუ — (გამოჩნდება)

ლევან...

ლევანი — შენ ისევე აქა ხარ?

ძუკუ — თქვენი ამბავი მომესმა,

მსურს მოგილოცო ქორწილი,

როგორც ძმამ, უახლოესმა.

(ულოცავს ცალი თვალით ჯაბას შესტკბარს).

სულიკო — სუფრას ახსენებ თუ არა,

გაჩნდება ქათმის ხორცივით...

ახ... გავახარებ დათუნას

თქვენი მოსვლით და ქორწილით...

ლევანი — დათუნა ომში მეგონა.

ძუკუ — ის აქაც დიდი კაცია.

ლევანი — შინ არის?

სულიკო — სძინავს...

არჩილი — წუხელის

ფრიცები გაუბაწრია...

ლევანი — მართლა? დაიცა, სულიკო,

ნუ გააღვიძებ, იძინოს,

იქნებ ამ დილით ძილშიაც

გპირობა გამოიჩინოს!

ბაადური — კი მაგრამ... ბიჭო, ეს რა ომია,

ასე ებრძოდი გერმანულ მხეცებს?!
მე ვგ საზარელ ომში მგონია,

თურმე, ნუ იტყვი, საცოლეს ეძებს...

ლევანი — (სიტყვას აწყვეტინებს)

მამა... ერთმანეთს ჩვენ არ ვეძებდით,

არც საქორწილოდ არ მოგიცილია...

მტერს კი ვინც ებრძვის, მათში მეც ერთი

ვარ... ამის მოწმე ჩემი სისხლია!

ღიაბ. გვინახავს ვაგბაც ომის,

სიკვდილი, მარად მისი მხლებელი...
 შაგრამ, ომია თვით ვაჟკაცობის
 და სიყვარულის გამჩაღებელიც.
 ომის ქარცეცხლო, ქვეშეხთა გრგვინვა
 ხშირად მტრედებსაც მიაჩნდათ არად
 და ტყეებიდან გვაწვდიდნენ ბარათს, —
 შენ, თამარ-ქალმა რად გაგაკვირვა.
 ვიბრძვით ჯერ ისევ... ხომ, თამარ-ქალო?
 გესურს შევეუცვალოთ მტერს ლხინი გლოვად,
 ხანჯლის ქვეშ მტერი ავაფართქალოთ
 და საქორწილოდ აქ მაშინ მოვალთ...

ბ ა ა დ უ რ ი — მეც ასე ვფიქრობ, შვილო, ისე კა
 ომი და ლხინი ჩვენში ვინ გაკყო,
 საით მიიწევ... აქ დამიდექი,
 ახლა მაყრული მსურს შემოვძახოს..

(მომართავს ქალებს, რომლებიც თამარს შემოხვევიან)
 თქვენ, მანდ უჩვენოდ რამ მოგალხინათ?
 რა მოხდა, სულმთლად ნუ გაგვიმეტეთ...
 წელზე ვერ ხედავთ ყუმბარებს? ფრთხილად!
 რძალი უეცრად არ აგიფეთქდეთ...

ა რ ჩ ი ლ ი — ჩვენს ელისაბედს დახეთ, ამ დილით
 სულ დაეუფლა შიში და კრძალვა.

ძ უ კ უ — როგორ გაიღებს ხმას დედამთილი,
 თუ იარაღი აისხა რძალმა..

ლ ვ ე ა ნ ი — ჯერ მორცხვობს დედა. ძველი წესია,
 და რძალიც რომ არ ელოდეს ქორწილს, —
 ამ ავტომატზე უსწრაფესია,
 სამოცდათერთმეტ სიტყვას რომ სტყვორცნის.

თ ა მ ა რ ი — ლევან...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რას ხუმრობ!

ბ ა ა დ უ რ ი — ალარც იხუმროს?

(ცხოში შემოდის სოფელთა გაუფი, მათ შორის მათე და ნათელა).

ლ ე ვ ა ნ ი — ბიჭოს!.. ნათელა... მათეს ვახლავართ.

მ ა თ ე — სალამი ყველას, უმცროსს და უფროსს...

ლ ე ვ ა ნ ი — ვატყობ სოფელში დაუნახავართ.

მ ა თ ე — ო, შეაღამეც რომ ყოფილიყო,

აქ მოსვლას მაინც ვერ დამალავდი.

ნ ა თ ე ლ ა — ეს ჩემი ხელით უნდა მიიღო...

ლ ე ვ ა ნ ი — ვაშლი მოსულა, მთელი კალათი!

გიყვარდა ხელში ბომბის ტრიალი,

ბიჭო არსენა, მოგვართვეს ვაშლი!

(ცხვრის ვაშლს)

მსხალიც გიყვარდა ხომ, კორფლიანი...

მგონი ხელს არა, კალთასაც ვაშლა.

(ნათელას)

რას მივაწერთ? რაო? ა? რა სთქვი?

ნ ა თ ე ლ ა — ეგ ისე, ხელის დასამშვენებლად.



ლევანი — მაშ თუ ეგრევე, მაშინ მოგვართვი,
 როცა აქ მოვალთ დასასვენებლად.
 ნათელა — ხომ გიცდით, უკვე ორი წელია.
 ლევანი — მტერიც ხომ ხედავ რომ იცელება...
 გეტყობა უქმროდ მოგიწყენია,
 რაო, შინ წერილს არ იწერება?
 ნათელა — „ნ“ მაღლობზეა, „ნ“ ზღვის მახლობლად,
 „ნ“ ოცეულის თავია თითქმის...
 ლევანი — „ნ“ გოგონასთან იქნება სოფლად...
 მაგრამ ეს ენით არ გამოითქმის.
 ა? მათე, ასე არ არის განა?
 მათე — არ მომისწრია ჯერ დაფიქრება.
 ლევანი — მალე, თუ არა ჩვენი მანქანა
 მალე ამ მთების იქეთ იქნება.
 მათე — მოსვლას გილოცავთ... და როგორც გშენით
 ისე დაგხვდებით თუ მოგვეცემ ნებას.
 ლევანი — ო, არა, მათე. აქ მოსვლა თქვენი
 შეხვედრაც არის და გაცილებაც...
 ბაადური — ჰერიპა! როგორ შემომაპარა,
 შინ ჯერ ნაბიჯიც არ შემოგიდგამს.
 ლევანი — დღეს გავიფლვით და ესეც კმარა.
 ელისაბედი — დღეს ჩვენს ხელშია. მაგას ვინ კითხავს?
 ლევანი — ეხ, დედაჩემო... რა იყო, მათე,
 სული შენ მაინც რამ შეგიხუთა?
 რაა, საგზალი შენც დამიმატე?
 ძუკუ — ხედავთ? გუდაა... ტყუილის გუდა.
 ტყუილითაა სავსე აშკარად.
 ლევანი — მათე, მე შენგან ამას ველოდი?
 მათე — ტყუილი თავის დღეში ხვანჭკარას
 არ უთქვამს თავის სადღეგრძელოთი.
 გსურს? მოვეუსმინოთ...
 ბაადური — არ დამკლა კაცი!
 მე ჩემს ოჯახში დღინო მაკლია?
 ძუკუ — ჰაშნიკი ვნახოთ...
 ბაადური — რქა იქით გასწიო...
 მობრძანდით... აგერ ჩემი სახლია.
 ლევანი — ლიპარიტს ხედავთ? ლიპარიტს, მამა,
 იყუჩეთ...
 ბაადური — დღეს ჩვენ რა დაგვაყუჩებს.
 ჯაბა — სჩანს მთელი სოფლის სათქმელს ეგ იტყვის
 წინასწარ ისე ისწორებს ტუჩებს.
 ბაადური — გისმენთ, ბატონო...
 ლიპარიტი — (მოსვლისთანავე მიმართავს ლევანს)
 წყლტუ! შეპართული,
 ვითარმედ ხრმალი, ხალიბის რკინა.
 მათე — დიახაც. გახლავთ ჩემი ნათლული.



ლიპარიტი — პოი
 ლევანი — ახ, ჩემთან ეგ არ გაგივა,
 თვალში ნუ მაყრი სიტყვის ნაფორტებს...
 ლიპარიტი — (ხმის შეცვლით)
 არა? მაშ წყობილ სიტყვის მაგივრად
 რაცხას აქ მეც ქე მოვახლაფორტებ...
 (უხევა)

ბუხუტი — ლევანს ეახლავარ. გავიგეთ
 ბრძოლებში გიმამაცნია.

ბაადური — უხ, ჩემი შეილის შეხედვას
 წამითაც აღარ მაკლიან.
 (ბუხუტიმ თვალი მოჰკრა ჯაბას და შეშინებული გაპარვას ცდილობს)

ჯაბა — ნუ გეშინია...

ბუხუტი — რა ვიცი
 ზედმეტი კაცი მიწოდეთ...

ჯაბა — დარჩი აქ. მაგრამ საქმის დროს
 არ დამენახო, იცოდე!

ბუხუტი — (გამოეჭიმება მხედრულად)
 მესმის... (მერე ბაადურს მიმართავს)
 ბაადურ ბატონო,

კარზე მოვსვლია სტუმრები,
 მე რომ არ გამიმასპინძლდე,
 იცი, არ დაგემდურებო.
 მაგრამ, მეომრებს რას ერჩი?
 არა ხარ ამას ჩვეული...
 (სოფელთა გუფიდან წინ წამოსწევს ის, რომელსაც ყბაახვეული
 გოჭი მოუყვანია)
 არ გებრალუბა ეს გოჭი?
 გვიცქერის ყბაახვეული!

ლევანი — ახ, კბილი ხომ არ ასტკივდა, ბიძი?
 ია — მე-მე-ტისმეტად ჭყვიროდა.

ბუხუტი — ლევან,
 ვიცი, ამ გოჭის ამბავი, ვიცი:
 თუ არ დავკალით, შინ გაიქცევა.

ძუკუ — ეს გოჭი სამჯერ გაჩუქებული
 გახლავთ. ყოველთვის შინ იპარება...

ლევანი — მაშ, მონადირედ შენ ხარ ქებული,
 შენ უკეთ იცი დანის ხმარება!
 ჩვენ კი...

ბაადური — ყმაწვილო ჯერ ეს მითხარი
 მე, აქ, მამა ვარ? თუ არა...

ლევანი — მამა.

ბაადური — გვაქვს ჩვენი სახლი, ჩვენი კიშკარი?

ლევანი — გვაქვს.

ბაადური — წამით მაინც შემოდი, აბა!
 (ხალხს მოუბრუნდება ლომილით)



ეს ჩემი შეილი ან შე დამითმეთ,
ან და სოფელმა სულმთლად იშვილოს.

ლევანი — დამნაშავე ვარ შე იმ თავითვე.

ბაადური — ვისაც სურს, ჩემთან ერთად ილხინოს!
(ხალხს თავის სახლისკენ მიუძღვის)

ლევანი — თამარ, თან გავყვეთ, თუ არა ამათ
ანე ადვილად ვერ გავეცლებით.

მათე — წავიდეთ...

ელისაბედი — აბა, წავიდეთ სწრაფად...

ლევანი — თქვენს მკლავებს მკლავით მეც ჩაეწნები.
(სიმღერით გაუფად შეიყრებიან. შემოდის არჩილი და ჩიტოლი)

არჩილი — მთელი სოფელი აქ არ შეყრილა?

ახ, ჩიტოლია, ჩვენ აქ რა გვინდა?

ჩიტოლია — დღეს წილად ყველას ზედა სიხარული,
ერთი სიმღერით ყველა აგრგვინდა!

არჩილი — ჰო და გაებრუნდეთ... ასეთი გრგვინვა
ჩიტუნისაც არ აფრთხობს განა?

ჩიტოლია — თქვენ ხომ ლევანის ხელ-შემწყობი ხართ.
დავდგეთ იქ, სადაც ისინი დგანან.

ქუქუნა — (მოვა მათთან) არჩილ, თქვენ რატომ იქ არ იმღერით?
არ გშენის, აგრე არ მოიღრუბლოთ.

ჩიტოლია — სხვათა გულისთქმას ხომ არ გვიმხელდით,
საკუთარს ალბათ ჰფარავთ მით უფრო.

არჩილი — თქვენ თუ მომისმენთ, თქვენ, ჩიტოლია,
შე ჩემს გულისთქმას...

ჩიტოლია — გვითხარით, ველით...

არჩილი — თუ გული გულობს, გამიგონია,
ქადას...

ჩიტოლია — უთუოდ ორივე ხელით!

ქუქუნა — აჰა, თქვენ ხელიც მოგიჩინათ განა,
თუ არა ასე ქადას რად აქებთ?

მეგობრისათვის კვლავ იღწვით, არა?

მაშ აქ ჩურჩულით რას აქაზრაკებთ?

მიგიხვდით, ახლავ მთელ სოფელს მოვფენ.

ჩიტოლია — ვაი, არ დამკლა, არ დამკლა-მეთქი!

ქუქუნა — თქვენ გინდათ აბა, გამისკდეს გული?

ჩიტოლია — რა ნახე, გოგო გულგასახეთქი!

ქუქუნა — ახლავ გაგამხელთ...

ჩიტოლია — რაა, ქუქუნა,
არ შეგიძლია არ გვითვალთვალო?

ქუქუნა — ახლავ გაგამხელთ... ახლავ გაგამხელთ...

არჩილი — ჰო, გაგვამხილე. რას უცდი, ქალო.

(ფურცა უცებ გულს შეიწუხებს)

ჩიტოლია — ახ, წყალი, წყალი!

ხმები — რა ამბავია!..

ბაადური — რიონში, ბაბა, რიონში...

ხმები —

აბა!

ჩიტოლია — უყურეთ ამას, მართლაც ავია...

რა იყო, გოგო, თვალს რატომ ნაბავ?

(ყველა ვუთუნას თავს დასტრიალებს)

ბუხუტი — ისევ არჩილი? რა მოხდა

რომ დაერია ამ ქალებს!

რომ გული უწუხს ვუუთუნას

და ჩიტოლიაც კანკალებს?!

ძუკუ — (განზე გაკყავს)

შენ, ჩიტოლიას მოეშვი,

აქ არას გარგებს ქადილი.

ჩუმადი! არ დამაკარგვით

გუშინდელივით სადილი...

(ვუთუნა თვალს ახელს)

ვუუთუნა — ქალს აქ თუ გული არ შეგიწუხდა,

ისე არავინ მოგეფერება...

რა დაგიშავა, ღმერთო, ვუუთუნამ.

(მიმართავს რუსს)

მიშველეთ, მომსპეს, ამ სოფლელებმა!

რუსი — ნუ და!

(ვუთუნა ღიმილით ხელს ჩასკიდებს)

ჩიტოლია — რას გარბი, დაიცა, გოგო!

ელისაბედი — ამ რუსს ექიმის თვალი ჰქონია...

(მოულოდნელად თიანზე დათუნა გამოიკრება, პერანგის ამარა, წინდებით, შერდზე ავტომატი აქვს დაკიდებული. ნამძინარევი ხმით ყვირის, თვალს ძლივს ახელს)

დათუნა — როგორ გაბედეთ კივილი, როგორ!

ძილი არ მინდა, როგორ გგონიათ?!

შაადური — რა მოხდა, ბიჭო, ასე რომ ყვირი?

სულიკო — ხალხს ველარ ხედავ?

დათუნა — ხალხს აქ რა უნდა?

სულიკო — ხალხს უნდა ნახოს თავისი გმირი,

შინ გამარჯვებით როგორ დაბრუნდა.

დათუნა — ჩემს სანახადად მოვიდნენ?.. ვუთქვა.

ვერ მომახსენე? შენ სად იყავი?

(შედიდურად)

ხალხს მუდამ ესმის გმირთ გულისფეთქვა!

(თვალს გადაავლებს)

მოუტანიათ მოსაკითხავი...

(ჩამოდის დაბლა)

სულიკო, ხედავ? ალბათ ჩემს სურათს

ჩამოჰკიდებენ წითელ დაფასთან.

ახლა თავს მართლაც ვგრძნობ ვაეკაცურად,

ვატყობ, რომ ჩემი ღვაწლი დაფასდა.

ლევანი — ყოჩაღ, დათუნა!

დათუნა — ლევან, შენა ხარ?

ლევანი — ვინ ჩამოგვიდა, ბიჭო, უღელს!..





დათუნა — (გაღებზევა ლევანს. თანდათან გამოერკვევა)

თქვენ რა გაცინებთ?... ნეტავ გენახა,
თავს რა გადამხდა, ლევან, წუხელი...

ლევანი — ვიცი, არჩილმა უკვე მახარა...

განსაცდელის დროს თვალს ვინ არ ახელს?!

ჩემო დათუნა, ომი რომ არა —

გერც გაითქვამდი ვაჟკაცის სახელს.

სულიკო — დღეს აქ მოლხენა ვისაც სურს, ვიწვევ,

ხმა სიხარულად დაირხეს მთაში.

(უცებ სულიკომ დაირი გააჩინა, ჩიტოლიამ — სხვა საკრავი და ხილხივ
სიმღერით აიყოლიეს)

ბაადუარი — ისევ შენ, ჩემო სულიკო, ისევ.

შეგფერის კიდევ ეგ დაირ-ტაში.

ჯაბა — თუ პატარძალი ცეცხლის ალია,

ცეცვა გაჩაღდეს ჩაუქრობელი!

არჩილი — მგონი აქ ყველა პატარძალია,

რომელი იწვის, აბა, რომელი!

(სიმღერა ცეცვად იქცა, ცეცვაში სცვლიან ერთი-მეორეს. უკანასკნელი
წვეილი დათუნა და სულიკოა).

დათუნა — აბა, სულიკო, მკლავი გაშალე,

მინდა ვარსკვლავად შენც იკაშკაშო!

(ცეცვის დროს ასტუხს სროლას, უცარი სიჩუმე. ცეცვაც შეწყდება)

სულიკო — ეს შენ იყავი? შენ გენაცვალე,

ჩემო დათუნა, ჩემო ვაჟკაცი!

(ჰკოცნის დათუნას)

ღექსები

ღამის სიზღვრა

ო, ყური მივდე — ოცნებით ააესეს
 გფლობდეს ზმანება, გულის იმედი.
 და ჩემი ჩანგის საამურ ხმაზე
 იძინე ტკბილად, რაღა გსურს მეტი?
 პოეტის ჩანგის საამურ ხმაზე
 ვარსკვლავთა გუნდი, სხივდაუშრეტი,
 დალოცავს გრძნობას მარად უნაზესს,
 იძინე მშვიდად, რაღა გსურს მეტი?
 დაუჭკნობ გრძნობას, მარად უნაზესს
 ზიჟყვევარ ზევით, ფრთამალი გედი,
 მიწიურ ჭაობს ეშორდები წამსვე,
 იძინე მშვიდად, რაღა გსურს მეტი?
 მიწიურ ჭაობს ეშორდები წამსვე
 შენზე ოცნებით და შენი ჭკრეტით,
 მახარებს ზეცის ლალი სისავეს,
 იძინე ტკბილად, რაღა გსურს მეტი?
 მახარებს ზეცის ლალი სისავეს,
 როს ძილში მისმენ, მფენი სიკეთის,
 ო, ჩემი ჩანგის საამურ ხმაზე
 იძინე ტკბილად, რაღა გსურს მეტი?

• •

გათენებულა ფერმკრთალი დილა,
 საყვარელ მდელოს ბურავს ღრუბელი.
 ცაზე მზე არ ჩანს, ნისლს დაუჩრდილავს
 შთისა და ბარის მიდამო ვრცელი.
 ნეტავ შემეძლოს ვეწიო მიზანს,
 ო, ფრედერიკა, გიბილო ისევ.
 შენს თვალუბში სჩქედს სხივები მზისა,
 ბედნიერება და სიბალისე.
 იმ ზეს, რომლის კანს ჩვენი სახელი
 აღბეჭდილი აქვს — ეცვალა ფერი.
 აღარ ასვენებს კორიანტელი
 ყოველ ზრახვათა დამამხობელი.

წევანე მდღელონი დარდს გაუმსჭვალავს,
ჩემს სახესავით ფერნამკრთალები,
ვერ იხილავენ მზის სხივებს კვალად,
ვით ფრედერიკას ჩემი თვალები.
თავისკენ მიწვევს ბალები ტურფა,
დამწიფებელი ყურძენის ზეარი,
აქ ყველაფერი სიცოცხლით სუნთქავს,
აჭაფებული შხლის მაჭარი.
შორს, ფანჩატურში დღმილი სუფევს,
ნეტავ აქ იყვე სულა ციერო!
წეგთაეაზებდი ყურძენსა უტებეს —
შენ რას მომცემდი სამაგიეროს?

ლანდის სალამი

ბ ა ლ ა დ ა

კეთილშობილი რაინდის ლანდი
ძველი კოშკიდან სივრცეს ვასცქერის,
განვიღო სიცოცხლის დღეებს იგონებს
და ლოცავს ხომალდს აფრა-აშვერილს.
„მჭონდა კუნთები მტკიცე, მაგარი,
გული — მგზნებარე ვაეკაცურ წინით,
რაინდულ ტვინით აღსავსე ძელები
და ფიალა კი შეშხუნა ღვინით.
„გრგვინვაში განვლე გზის ნახევარი,
ნახევარი კი — ხოხვით, ჩანჩალით,
ჩემო ხომალდო, აწ მშვიდად ვლიდე
ბიჭყევი ზვირთებს, გასცურე წყალი“.

სინარული

წყაროს ირგვლივ მსტომელი,
მარად დაუდგრომელი,
ნე მახარებს ჭიაფა,
ნაირფერად მკრთომელი —
ქამელუონს მიაგავს:
ხან ლურჯად მოკამკამე,
ხან წითელი, ხან მწვანე.
აჰ, ნეტავი, ფრთა-ჭრელა,
ერთზელ ახლოს მაჩვენა!
ის კრიკინებს, დადრინავს, მწუხრია თუ რიყრაფი,
შეზე, აგერ, ტირიფზე შემოსკუბდა გიემაფი.
აი, უკვე ხელში მყავს, დაეჭირე წვალეებით,
დაკვირვებით შეეცქერი, ესანჯავ ხარბი თვალებით.
და ვერ ეხედავ სხვა ფერსა, გარდა ლურჯი ფერისა,
ასე შოჯდის შენც მარად, მცნობო შენის ღებენისა.



შუალამისას, ადამიანთ როს იპყრობს ძილი,
ციდან გვინათებს ჩვენ ბადრი მთვარე
და გვახალისებს ვარსკვლავთ კაშკაში.
დავეხეტებით, ვიმღერით ლაღად,
ვხტუნაობთ, ვროკავთ სიამით მაშინ.

შუალამისას, ადამიანთ როს იპყრობს ძილი —
ჩვენ, თხმელებს შორის, მწვეანე მდელიოზე,
ელალობთ და გული ლხენით გვიტოკავს.
ვიმღერით ტკბილად, ვაუბამთ ფერხულს —
საძილისპიროს დაეიწყებთ როკვას.

ჩემს დედას

თუმცა მოკითხვა და წერილი დიდი ხანია
არ მივიღია ჩემგან, მაგრამ ოღნავი იქვიც
გულს არ გაივლო, თითქოს იყოს სათუთი ვრძნობა
ჩემს მკერდში მკვდარი, შეიღის ვალის გამაქრობელი.
არა და არა! ვით სალი კლდე წყალში ჩამდგარი
სამარადღამოდ მყარ საყრდენზე რომ აზიდულა,
წრასდროს ადგილს არ დასტოვებს, თუმც ზღვის მოქცევა —
ხან მძვინვარე და ხანაც მშვიდი ტალღების სრბოლით,
მძლედ გადაუვლის და ამორებს თვალებს ლალ მწვერვალს —
ასევე ვრძნობა უნაზესი შენდამი, დედავ,
მკერდში მარად ჩქედს, თუმც ცხოვრების დინება მკაცრი
სევდით აღძრული, მას მძვინვარედ აფორიაქებს,
ხან კი სიამის, სიხარულის სხივით დაჰბურავს,
და არ ანებებს თავი თვისი მზის წინ დაჰხაროს.
მამოაფრქვეთოს ირგვლივ სხივთა არილი მკრთალი —
და შენც ყოველ წამს არ განიშნოს თუ ვაფი შენი
როგორ გცემს პატივს და გაფასებს, ძვირფასო დედავ.

ღამის ფიქრები

ბედუკულმართო ვარსკვლავებო აჰ, მებრალეებით,
მოციმციმენო ცის წიაღში, წარმტაცნო თვალის.
თქვენ გზას უნათებთ მეზღვაურებს, ამორებთ ხიფათს,
და არ სთხოვთ ჯილდოს ღმერთებსა და ადამიანებს.
არავინ გიყვართ და არც ძალგით თქვენ სიყვარული.
შორს მიგაქროლებთ სივრცეებში, შეუჩერებლად
მარადიული ეამთა დენა ელვის-ფრთიანი.
აჰ, გაგივლიათ რაოდენი გზა შორეული!
სატრფოს მკლავებში მონებივრეს სულ დამავიწყდით,
შუქმოციმციმე ვარსკვლავებო და შუალამე!

როს ფებუსს უერთდება
წვიმის კედელი მუჭი,
სივრცეში ზოლი ჩნდება
ნაფერადები შუქით.
წისლიან ზეცის არეს
შეამკობს შვიდი ფერით,
ღრუბლებში მოელვარე
ხატება ცისიერი.
ასე, მოხუცო, შენაც
არ გაიტეხო გული,
გათუთრდი, მაგრამ ლხენა
კვლავ ჯელის სიყვარულით.

ქრისტელ

ხშირად მიპყრობს მძიმე სევდა,
ძარღვში სისხლი მეყინება.
მაგრამ ქრისტელს როცა ვხედავ,
ვიკურნები, ვიგრძნობ შვებას.
მასთან ყოფნას მარად ვნატრობ

და ქოცნებობ დანახვაზე,
მიკვირს: როდის, სად და რატომ
წომეწონა იგი ასე?
აქვს თვალ-წარბი გიშრის დარი,
გამოხედვა — მწველი გულის.
იხილავ და უეცარი
აგათრთოლებს სიხარული.

მისი მსგავსი არ მინახავს
ბაგე ლალი, ლოყა მრგვალი.
აჰ, მრგვალი აქვს კიდევ რაღაც,
რომ ვერ ძღება ჰერეტით თვალი!
ცეკვის ეამს როს მოვხვევ ხელებს
და ვტრიალებთ მზიარულნი,
გულს სიამე გამიმრთელებს
ლალი, ადამიანური.

როს ითვრება უჩვევ გზნებით
დაღლის რხევა და თამაში,
შეერდს ჩავეიკრავ გატაცებით
და მეფედ ვგრძნობ ჩემს თავს მაშინ.
როს მიცქერის ტრფობით სავსე,
ყველაფერის ხსოვნას კარგავს.
ძომეყრდნობა შეკერღზე წამსვე
და ვაკოცებ უფრო ხარბად.



მაშინ მიელის წამიერი
 ერუანტელი, სანეტარო.
 ვხდები სუსტი და ძლიერი,
 გული მტკივა, თანაც ხარობს.
 ამ დროს ჩემთვის დღე მოკლდება,
 გული თხოვს მეტ სიამეს,
 და მზადა ვარ მასთან ერთად
 გაეატარო მთელი ღამე.
 ზომ დაეიხსნა ვნება მწველი,
 მკერდს ჩაეიკრა უფრო მტკიცედ.
 და თუ ჩემი სატანჯველი
 არ გათავდა — მოგვეღე იქვე!

ბუის გეზი

ვინ მიპქრის ცხენდაცხენ უმთავრო ღამეში?
 ვერ აკრთობს ფრთამალი ფრიგალის თარეში.
 — მამა, თან მიჰყავს ჭაბუკი პატარა,
 ტრამალი ვარდაელო, მთა გადაატარა.
 — შევილო, რად კანკალებ, რამ დაგცა თავზარი?
 — მამილო, შეხედე, ტყის მეფე საზარი!
 გვირგვინი თავს ხურავს, კუდს იჭნევს წყეული.
 — შევილო, ეს ნისლია — ცით ჩამოფრქვეული.
 — „რად უფროთხი, ბიჭუნაე, ჩემს შეყრას, ნახვასო,
 შენთან მსურს თამაში, წამომყევ მაღხაზო.
 იქ ღამაზ ყვაეილებს ცა სხივით აშუქებს,
 იქ — ოქროს განძეულს შენ ღედა ვაჩუქებს.“
 — მამილო, რა მითხრა არ გაგიგონია?
 გესმის რას მპირდება, რა ზრახვა ჰქონია.
 — ო, შევილო, გონს მოდი, შიშით ხარ ძლეული,
 ფთოლი შრიალეებს ქარის ფრთით რხეული.
 — „ბიჭუნა, წამომყევ, შიშს თავი ანებე;
 იქ ჩემი ასულნი შენ გაგაბარებენ.
 გიმღერენ სიმღერებს ტკბილსა და საამოს.
 მოგელის ფერხული იქ ყოველ საღამოს.“
 — „მამილო, ძვირფასო, ვერ ხედავ შენ — განა,
 ტყის მეფის ასულნი აი ზე რომ ღვანან?
 — რას ამბობ, მე ვხედავ — ჩანს განმარტოებით
 ბებერი ტირიფის დახრილი რტოები.“
 — მიყვარხარ, ბიჭუნაე, მზიბელელო თვალისა,
 ნებით არ წამყვები? წავიყვან ძალითა.
 — მამილო, ტყის მეფემ ჩამჭიდა ხელები.
 აჰ, გული მელევა, ვთრითი საშინელებით.
 და მამა მღელეარე განშორდა იმ არეს,
 ხელთ ეპყრა ბიჭუნა ფერშერთალი, მკენესარე.
 სახლში როს დაბრუნდა შეძრწუნდა ძალიან,
 რას ხედავს თვალებე, —

მისი ძე მკვდარიია

არ ვიცი, ბავშვო, რისთვის ხარ ხშირად
 ჩემთვის უცნობი და შორეული?
 ო, საყვარელო, როცა ვართ ხალხში
 მე არ მშორდება დარდი წყვეული.
 მაგრამ მდუმარ ცას როს ღამე ბურავს —
 კოცნით ფეხობილობ კვლავ უჩებურად.

მუზების ნაშიარი

დავეხეტები მთასა და ველად,
 ლექსს ვმღერი ლაღად და უზრუნველად,
 ხშირი ტყე მწვანე ფოთლებით მბურავს,
 ირგვლივ ყოველი, რასაც ჰერეტა თვალი,
 რასაც აცოცხლებს მზე დაუმცხრალი —
 მოძრაობს, ტოკავს შეთანხმებულად.
 მოველოდები გულისცახცახით
 პირველ ყვავილის მოვლენას ბაღით,
 და ამწვანებას ველისას ენატრობ.
 წათი სულამი ლექსს ეშხით მსჭვალავს,
 მაგრამ შემოვა ზამთარი კვალად
 და მასზე ფიჭვიც პანგებით მათრობს.
 ეუმღერი ზამთრის სუსხიან პაერს,
 ყინვიან სივრცის სიგრძე-სიგანეს,
 როს თეთრად ჰყვავის მოდამო ლღი.
 და ამ ყვავილთაც დაატყნობს ღამე,
 კვალად ახალი მოვა სიამე.
 ნახნავ-ნათესი ველის წიაღით,
 ცაცხვების ჩრდილქვეშ — მზიანი დიღით,
 ჩემი სიმღერა ამო და ტყბილი —
 ველს უმღელეუარებს ჰაბუკთა დასეგს.
 უკმეზ ვაეს ბრაზით ეცეგება თვალი,
 ტოკავს და ბრუნავს ჯიუტი ქალი
 მგზნებარე პანგის გავონებაზე.
 ჩემს ფეხებს თითქოს შეესხა ფრთები,
 ტყესა და ველად დავეხეტები —
 თქვენი ტრფიალი — ცეცხლით გზნებული.
 მუზებო, თქვენსკენ ვინ ილტვის ჩემებრ,
 მარქვით — ნეტავი როს მოვისვენებ
 თქვენს ახლოს, — თქვენ მზეს დანატრებული?

ჰანს ადამ იყო თიხის ქვა, ვიდრე
 ატყვევდა კაცად ღმერთი ძლიერი.
 მაგრამ ემსგავსა დედას მემკვიდრე —
 გამოჰყვა მისი უშნო იერი.
 ცხვირის ნესტოში უხვად შთაჰბერა
 თვით ელოჰიმმა მას სული ლალი,
 და მორიდებით დაუწყეს ცქერა,
 როს დააცხიკვა მედიდურ სახით.
 მაგრამ უხეში სხეული, თავი
 ჰქონდა გადაჭრილ მორისა მსგავსი,
 ვიდრემდის ნოემ შესანიშნავი
 არ ჰოიგონა საღვინე თასი...
 როს შესვა მორმა ფიალა საესე —
 მძლე აღმაფრენის შეიგრძნო ძალა,
 ბურის ცომივით აფუვედა წამსვე,
 უჩვეება განცდამ შეაყრიალა.
 ჰაფიზ, დე შენი ჰანგი მზიანი
 იყვეს აღმძვრელი დიად გზნებისა,
 და ვაგვიტაცოს თასთა წყრიალით
 ტაძრისკენ ჩვენი შემომჰქმედისა.

მ ი ძ ლ ვ ე ა

თიღში ჩამესმა სისხამ დილის ნაბიჯი ჩქარი,
 ფეალთა მზურველი უნაზესი გამიქრა რული.
 გამოვიღვიძე, მყუდრო ქოხის გავალე კარი,
 ტყისკენ გავყევი, სულიერად განახლებული.
 ვარდებს ეკიდა ნორჩ ყლორტებზე კამკამა ცვირი,
 მე მივდიოდი და სიამით მიძგერდა გული.
 ცისკრის სხივებით ელუარებდა ლურჯი ცის თალი.
 ვა სიხარულით საესე იყო მიდამო ლალი.
 როს აველ მთაზე — ნისლი მძიმე და მოცახცახე,
 ფრთხილად წამოდვა მდინარიდან, ვით ლანდი ბნელი.
 შემომიარა გარეშემო, იცვალა სახე,
 გადამაფარა სოველი ფრთა უშველებელი.
 შემოგარენი თვალს მიძფარდა, მშვენივით საესე,
 და აიშართა ზეცისაკენ ბურუსი ვრცელი.
 შემოგარსული თითქოს ვიყავ ღრუბელთა ჯარით,
 კუნაპეტ ჯანღში ვეფლობოდი მწვერვალზე მღგარი.
 ამ დროს სივრცეში შემოიჭრა მზე, სხივთა მფრტვევი,
 ჯანღი გაიბნა, აკიაფდა შუქი ელუარე.
 ნისლი გუნდგუნდად დაიშალა, დაეშვა ქვევით,
 ზოგიც ნელინელ აიწია, აყვა მწვერვალეზს.
 რარიც მწყუროდა მზე შეხილა, ბნელეთის მძლევი,

და აღტაცებით მივესალმე მნათობს ბრწყინვალეს,
დიდხანს გაგრძელდა საპაერო ბრძოლა ფიცხელი,
მე გარს მეხვია ელვარება თვალების მჭრელი.
კვლავ შინაგანი ძლიერების გრძნობით ავიესე,
მივაყარ ცქერა ცეცხლოვან ბურთს, მგზნებარეს ალით
მაგრამ შემკრთალი წამწამები დავხარე მყისვე,
მომგვადობელ ბრწყინვალეებამ დამიწვა თვალი.
ლცებ შეირხა ღრუბლის ფრთებით ნაბური სივრცე
და ჩემს წინ გაჩნდა ღვთაებრივი ხატება ქალის.
მსგავსი მშვენება არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში,
ფრთაშოფარფატემ შემომხედა დამწველი ეშხით.
— ნუ თუ ვერა მცნობ? — ეს წარმოსთქვა ისეთი კდემით —
წყის მაგრძნობინა ერთგულების კილო საამო.
— ალბათ მიცანი, ვინაც გულის ქრილობა ძნელი
შეგიმსუბუქე, უწმინდესი წაეცხე მალამო.
გახსოვს—რარივით მტკიცე იყო და ურღვეველი
ჩვენი კავშირი, სიყვარული სამარადიამო.
სიყრმეში ზეერჯერ მინახავხარ ცრემლშორეული,
ჩემთან შეხვედრის მონატრული, ტრფობით ძლეული“
„ღიად!“ — წარმოვსთქვი და მის ფერხთან დავემხე კრძალვით,—
შენზე ოცნება, უტკბილესი, სიამეს მგვრიდა,
შენც მამშვიდებდი მაშინაც-კი, როს ვნების ალი
ჩემს ჭაბუკურ სისხლს ათრთოლებდა, მათრობდა დიდად.
შუბლს მივრილებდი, ანთებული ნაზი ტრფიალით,
ცოური ფრთენი ხელში გეპყრა მსუბუქი, წმინდა.
შენ მომიძღვენი თვით სიცოცხლის განძი მზიური,
პედნიერება ჩემი წილი ამქვეყნიური.
„მე არ ვახსენებ, სხვა კი შენი ეშხით ძლეული,
ზშირად ვახსენებს, გულს აუნთებს შენი სახელი.
ყველას ჰგონია მხოლოდ მისგან ხარ შემჩნეული
და ყველასათვის ხარ მზესავით თვალებისმჭრელი.
ვიღრე ვნახავდი არიფები, მყვანდნენ რჩეული,
როს გაგიცანი მარტოობა დამჩემდა ძნელი.
უნდა ვიგემო მე ამგვარი ყოფნა ბედითი,
შენს მალად ნათელს ჩემში ვფარავ კრძალვით და რიდიო.“
წალმა ღიმილით მიბასუხა: „საჭირო არის
ზნელი ნილაბი ჩამოუხადო შენს ნამღვილ სახეს.
ცდუნების საფრთხე გელოდება კვლავ მრავალგვარი,
ეგრ დაიურეებ თავბრუდამხვევ ჭაბუკურ ზრახვებს.
არ მოგიხდია მამაკაცის ამ ქვეყნად ვალი
და დიდ ზეკაცად შენი თავი უკვე დასახე.
რით განსწავლები სხეებისაგან, რითი ხარ ქველი?
შეიცან თავი, მშვიდ ცხოვრებას მოჰკიდე ხელი.“
— „გთხოვ მომიტეო, არ მქონია განზრახვა ბნელი,
განა უმიზნოდ უნდა ვიყვე, ვახელდე თვალებს?
მე სისხლს მითრთოლებს ნებისყოფა დაუშრეტელი,
შენი ძვირფასი საჩუქარი ჩემს გულს ახარებს.“



მოყვასისათვის მარად ვიყავ სიქველის მჩენი —
 არ მსურს უღროოდ ჩემი ნიჭი დაეფლა სამარეს.
 ვისთვის ვეძებდი სანატრელ გზას ღიადი ზრახვით?
 თუ არა ჩემი მოძმისა და მეგობრისათვის“.

მე თანაგრძნობით ყურს მივდებდა ზეცის ასული,
 ცუის შემომხედა, შეიცვალა უცებ გუნება,
 და მის მზერაში ნათლად იყო გამოსახული
 ჩემთა საქმეთა შეცდომა თუ მართებულება.
 ნისმა ღიბალმა სიხარულით გამოთბო სული,
 ვაგრძენი შეება, განკურნება იწყეს წყლულებმა.
 გულს შთამინერგა ნაზი ნდობა, დამაინებდა,
 უცვლელ შემეძლო ახლოს მისვლა, სიახით ჰკრეტა.
 გახვდნა ზეცას, გაუბრწყინდა სახე ნათელი,
 ნისლის ზოლებით სავსე იყო სიერცე მღვდმარე,
 ვამალა მკლავი, მუბტუქ ეთერს შეაბო ხელი,
 ცუის გაიფანტა ბურუსი და გაბრწყინდა არე.
 გადაიშალა ჩემს წინ მწვანე მთა-ველი, ვრცელი
 და თავს დამადგა ცა ღიადი და მოუღვარე.
 აბა, ვიხილე მისი სახე, სიახის მფენი.

ათასნაკვეთიან სპეტაკ რიდით თავდანამშვენი.
 — „შენი სისუსტე რაში არის მე ვიცი, მჯერა,
 რა სიკეთით ზარ აღჭურვილი, რა ზრახვებს ელტვი,
 (ოკ, ამ სიტყვათა მუდამ მესმის წარმტაცი ზგერა),
 ძიილე განძი ოდითგანვე აღთქმული შენთვის.

აწ ვერ დაგჩაგრავს უმძაფრესი თვით ბედისწერა,
 განსაცდელისგან დაგიფარავს იგი ყოველთვის:
 ახივით ნაქარგი პოეზიის რიდე მზიურთ,
 ქეშმარიტების ხელით ქმნილი განძი ციურთ.
 „როცა მეგობრებს შეგაწუხებთ სიციხე, მზარავი,
 გადაისროლეთ ცხელ ჰაერში ეს რიდე ვრცელი,
 მყის ვაგაგრილებთ ღამის სუნთქვა შეუბდალავი,
 სულს დაგიშვებთ ყვავილების ტბილი სურნელი,
 გააქრება ვნება, სიმძიმით გულთა მფარავი,
 ღრუბლის სარეცლით შეგეცელებათ სამარე ბნელი.
 ცხოვრების ზვირთი ნელი რხევით ამებს თვალებს —
 დღე სანეტარო იქნება და ღამე ბრწყინვალე.

„ჩემსკენ იჩქარეთ მეგობრებო — ცხოვრების გზაზე
 როს დაგმძიმდეთ არსებობის ტვირთი ძლიერი.
 და თუ შეამკობს უცბო მადლი თქვენს ეტლს, უსწრაფესს,
 ოქროს ნაყოფით და ყვავილის ნაზი იერით, —
 შევეგებებით ახალ დღეებს, სიახით სავსეს.
 ასე ვცხოვრობთ ჩვენ და დავდივართ სვებედნიერი.
 დე შეილისშვილთა თვალებს სწვაედეს ცრემლები მწველი.
 და მათ საღებნად სიყვარული ვაგარძელდეს ჩვენი!“

დოქტორი ჯანელიძე

ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისათვის *

აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილის შრომები საფუძვლეს ან საყრდენს უქმნის საქართველოში თითქმის ყოველი დარგის მეცნიერულ ისტორიას და მათ შორის ქართული ხელოვნების ისტორიასაც. მით უფრო, რომ ამ დარგში ივანე ჯავახიშვილის საფუძვლიანი მეცნიერული შრომა აქვს გაწეული. დიდი მეცნიერი ახალგაზრდობიდანვე უაღრესი ინტერესით ეკიდებოდა ხელოვნების საკითხებს. აკადემიკოსი გიორგი ჩუბინიშვილი გადმოგვცემს: „თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ შრომასთან („ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“) დაკავშირებით ბატონმა ივანემ როგორღაც მითხრა: ჩემს ახალგაზრდობაში ისე ვიყავი გატაცებული მუსიკის მეცნიერული საკითხებით, რომ თავდაპირველად ვფიქრობდი სწორედ ამ საკითხების შესწავლას შევდგომოდიო“ („მარის სახელობის ინსტიტუტის შოამბე“, XIII, 1943 წ., გვ. 272).

ჯერ კიდევ აქ დასახელებულ შრომის გამოქვეყნებამდე ივანე ჯავახიშვილმა ძველ ქართულ სანახაობათა შესწავლა-განხილვით, ზეპირსიტყვიერების მოშველევით, ახლანდელ ისტორიულ ძეგლებში დაცულ ცნობებზე დამყარებით, შესძლო ქართული წარმართული პანთეონის აღდგენას შესდგომოდა. („ქართველი ერის ისტორია“, წ. I, 1928 წ., გვ. 33 — 137). ამ დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევა-ძიებით ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ ქართული სანახაობა არა მარტო თავისთავად არის საინტერესო, არამედ იგი საყურადღებოა ისეთი რთული საკითხების ნათელსაყოფადაც. როგორცაა ქართველთა წარმართობის პრობლემა.

რაკი ის მცირე მასალა ქართული ხალხური სანახაობრივი ხელოვნების დარგიდან, რომელიც ამ დროისთვის დაგროვილი იყო, ივანე ჯავახიშვილმა ასეთი რთული ისტორიული პრობლემების კვლევა-ძიებისათვის მომართა, აუცილებელი შეიქმნა მთელი რიგი საკითხების წამოჭრა, ან ხელახლად დასმა და მათი გარკვევა. ამით ივანე ჯავახიშვილმა ბევრი რამ შეგვიძინა ძველი ქართული თეატრის დასაბამის გათვალისწინებისათვის, რამდენადაც აღმოჩენილ იქნა წარმართული მისტერიების, წარმართული სახიობის კვა-

* ივ. ჯავახიშვილი — „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, იბ., 1938 წ., ფედერაცია. 341 გვ. + 2 ფურადი ილუსტრაცია + 29 ტაბულა.

ლი სვანურ საწესო სანახაობაში (აღოეკილაა, მელააა, ტულეფაა, ლიმურ-
ყვამალ და სხ.).

ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმართულ ღვთაებათა უფროს-უმცროსობის
საკითხის დასამა, მნათობთა თაყვანისცემის ქართული წესების შედარებით-
მა შესწავლამ და ქართული წარმართული კულტების პრობლემატიკის მრავალ-
მხრივმა გაშუქებამ გზა გაუკვლია და დასაყრდენი შეუქმნა ძველი ქართუ-
ლი სანახაობრივი ხელოვნების ისტორიის შესწავლას. ივ. ჯავახიშვილის
„ქართული ერის ისტორიის“ პირველი წიგნის შესამე შევსებულმა და გა-
დამუშავებულმა გამოცემამ ბევრი რამ შეგვიჩინა ყვენობის პირვანდელი
სახის აღდგენითა და მისი მნიშვნელობის გამოჩვენებით. ივ. ჯავახიშვილმა
შემდეგი ახსნა-განმარტება მისცა ყვენობას: „... სვანური „მურყვამობა“
და „საქმისაა“-ს ჩვეულება, იმგვარადვე როგორც „ყვენობა“, სქესობრივი
განაყოფიერებისა, შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი
ღვთაების კვირიას თაყვანისცემისა და აღესასწაულის ნაშთია. ამ დღესასწაუ-
ლის მიზანს განაყოფიერების ორგანოს სადიანობისა და ძლიერების ლო-
ცვა-ვედრება და განსახიერება შეადგენდა. რამდენიმე დღით ადრე დაწყე-
ბულ სამზადისს ღვთაებისადმი აღვლენილი ვედრება, სახიობა, ბრძოლა და
სარწმუნოებრივი ფერხულ-საცეკვაო საგალობლები მოსდევდა...“ (გვ. 69).

ივ. ჯავახიშვილს შეუნიშნავი არ დაჩენია, რომ ყვენობა ორი მოწინა-
აღმდეგე ძალის ბრძოლის გამომხატველი იყო და ამ გარემოებასაც მან თა-
ვისი ახსნა მისცა: „...ერთს „შაჰს“ ან „ყეენს“ უწოდებენ, მე-
ორე გუნდის მეთაურს-კი „მეფეს“ და ბრძოლაშიც ყოველთვის
მეფეს უნდა გაემარჯვა. ამნაირად ამ დღესასწაულის დედ-ა-ზრი
უცხო ხალხის მეთაურის ქართველთა მეთაურისკა-
გან მძლეობის განსახიერება უნდა ყოფილიყო სქე-
სობრივი ძალისა და ნაყოფიერების სფეროში“ (გვ. 66).

ივ. ჯავახიშვილმა ყვენობის პირვანდელი სახის აღდგენასა და ამ სანა-
ხაობაში განსახიერებულ მოპირდაპირეთა ბრძოლის თავდაპირველი დედაზ-
რის გამოჩვენებასთან ერთად, ყვენობის უმნიშვნელოვანეს ტერმინებს გა-
გებასაც ნათელი მოჰგინა და გაფანტა ის ბუნდოვანობა, რომლითაც ეს სა-
კითხი იყო მოცული. ამ ძველ ქართულ სანახაობაში „ყეენის“ სახელი. —
ივ. ჯავახიშვილის აზრით, მე-XIII—XIV საუკუნეებში ადრე ვერ გაჩნდებო-
და. „მე-XIII ს-ზე უწინარეს კვირიას დღესასწაულის
მონაწილე ერთ-ერთ გუნდის მეთაურს „კეისარი“ უნდა
რქმევოდა და ამ წოდების მაგიერ „ყაინი“-ს ხმარება იმ
დროითაგან უნდა დაეწყათ. როდესაც საქართველოს
ყაენობა უცხო მეტატონე ძალად მოველინა“ (იქვე).

ყვენობას, როგორც ღვთაება კვირიას სადიდებელ მისტერიის ნაშთს,
სრული ნათელი მოჰგინა აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა. მისი შრომის
გამოჭვეწების შემდეგ ამ მხრივ მოპოებული მასალა და კვლევა-ძიება
ერთხელ კიდევ ადასტურებს საქართველოს მეცნიერული ისტორიის ფუძე-
მდებლის მოსაზრებათა სისწორეს და მართებულობას. ამგვარად ძველი ქა-
რთული სანახაობრივი ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ყვენობის
უძველესი დანაშრევის გამოჩენისა, მისი დედა-აზრის გაგებისა, ყვენო-
ბის დასაბამისა და წარმოშობის შესახებ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით
გარკვეულად უნდა ჩაითვალოს.

უმალეს სასწავლებლებში ახლადშემოღებული ქართული თეატრის ის-

ტორიის კურსი ივანე ჯავახიშვილისაგან მით არის დავალებული, რომ ამ დიდი მეცნიერის შრომებში მძველითა ხალხური დღესასწაულები, წესჩვეულები და სანახაობის მნიშვნელობაზე და დაგვისაბუთა ქართული თეატრის ხალხური საწყისების კვლევა-ძიების აუცილებლობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული მუსიკის და ისტორიისათვის ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებელი შრომა: „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“. (თბ., 1938 წ. გამომც. „ფედერაცია“). ამ წიგნის შესავალში ავტორს განხილული აქვს ქართული და უცხოელი ავტორების: იოანე ბატონიშვილის, დავით მანაბლის პ. კარბელაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, ვ. ბელიაევის, სტეპენკო-კუტტინას და ზიგფრიდ ნადელის მოსაზრებანი და თეორიები ქართული მუსიკის სადაურობასა და წარსულზე. ამ გულდასმიანა და დაწვრილებითმა განხილვამ ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქართული მუსიკის შესახებ „ძალიან ცოტა ნაშრომები გვაქვს და საფუძვლიანიც მათ შორის ცოტა მოგვეპოვება“. ქართული მუსიკის შესახებ არსებულ გამოკვლევათა ძირითადი ნაკლი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ის არის, რომ „ავტორებს ძველი ქართული წყაროები თითქმის სრულებით გამოყენებული არა აქვთ. ამიტომ მათი მსჯელობა უმეტესად შემთხვევითსა და ხშირად სათუო მასალაზეა დამყარებული“ (გვ. 37). *

ივ. ჯავახიშვილმა სწორედ ამ ნაკლის შესავსებად დასწერა თავისი შრომა ქართული მუსიკის შესახებ, რომლის ამოცანას, ავტორის სიტყვით, „ია შეადგენს, რომ ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები ძველს ქართულ და უცხო წყაროებზე დაყრდნობით ყოფილიყო განხილული“.

ივ. ჯავახიშვილმა თავი მოუყარა ამ წიგნში ქართული მუსიკისა და თეატრის ისტორიისათვის ძვირფას და უმეტესწილად დღემდე გამოუყენებელ მასალას. მან თითქმის ამომწურავი სისრულით გამოიყენა ძველი ქართული და უცხოური წყაროები, ამას მიაშველა ხალხში მისივე დავალებით შეკრებილი საგულწიხმო მასალა და ყოველივე ეს, უღმობელი კრიტიკის ქარცეცხლში დატარებული, მიმართა ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების შესასწავლად.

ივ. ჯავახიშვილის შრომა ქართული მუსიკის შესახებ ოთხ კარს შეიცავს: I — ჩვიერი მუსიკა (გვ. 39 — 93), II — საკრავიერი მუსიკა (95 — 219), III — ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფუძვლები (221) და IV ქართული მუსიკის და მრავალხმიანობის წარმოშობა და წარმოშობის პირველი საფეხურები (285 — 341).

ქართული თეატრის ისტორიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა პირველი კარის პირველი თავი „მუსიკის ზოგადი ძველი ქართული ტერმინოლოგია“. აქ ჩვენ ვპოულობთ ძველი ქართული თეატრის ისტორიისათვის განსაკუთრებით საგულისხმო ტერმინების ახსნა-განმარტებას და, რაც მთავარია, მათი მნიშვნელობის ცვლილებას საუკუნეთა მანძილზე.

* ამ საერთო შეფასებას სრულიადაც არ დაუწრდილავს დ. არაყიშვილის დეაწლი ამ დარგში. „ზოგადი შეფასების დროსო, — სწერდა ივ. ჯავახიშვილი, — უნდა ითქვას, რომ ქართველ და უცხო მკვლევართა შორის ყველაზედ მეტი დეაწლი უპიპელია დ. არაყიშვილს მიუძღვის“.

ივ. ჯავახიშვილს გამოარკვეული აქვს „მღერისა“ და „სიმღერის“ ძველი მნიშვნელობა: „თამაშობის აღმნიშვნელა იყო უძველეს ხანაში მარტომღერაკი არა, არამედ თვით სიმღერაც“ (45 გვ.). განსაკუთრებით საინტერესო ხდება, რომ გიორგი მონაზონის „ხრონოლოგის“ (1889 წ.) თარგმანში „მომღერლობა“-თამაშობის, სახელდობრ დრამატული მსახიობობის (ბერძნ. „ტრაგედონ“) აღმნიშვნელა: ნერონ კეისარი „უწყსოთა საქმეთა მიმართ მიდრკა... მეუბნეობისა და მომღერლობისა და შექცეული და შორის თეატრონთაჲსა შუებით მროკვალი“-ო (გვ. 46).

ივ. ჯავახიშვილს ისიც გარკვეული აქვს, რომ მე-12 საუკუნიდან მოყოლებული „სიმღერა“ საერთო ვალობის აღმნიშვნელად იხმარება, ზოლო მგალობლად საეკლესიო საგალობლების აღმსრულებლები იგულისხმება. ძველი ქართული სანახაობრივი ხელოვნების შესწავლისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ტერმინები „მძნობარი“ და „მძნობა“. დაბადების ქართულ თარგმანის ტექსტთა ბერძნულსა, ლათინურსა და სომხურთან შეჯერებით, შავთელის და ჩახრუხაძის ლექსებში ამ სიტყვების მნიშვნელობის გარკვევით, სულხან-საბა ორბელიანის განმარტების მხედველობაში მიღებით და მათი ენობრივი ანალიზით, ივანე ჯავახიშვილი იძლევა „ძნობისა“ და „მძნობარის“ თავდაპირველ უძველესსა, და მერმინდელ მნიშვნელობის ახსნას: „ძნობა“ და „მძნობარი“ უძველეს ხანაში უმთავრესად გუნდობრიობის მცნებასთან ყოფილა დაკავშირებული და უფრო სარწმუნოებრივ ცეკვის ამსრულებელთა გუნდებს გულისხმობდა, მაგრამ, რაკ ყოველი ასეთი როკვა ჩვეულებრივ ვალობა-საკრავების აყოლებით იცოდნენ, ამიტომ მგალობელთა გუნდის აღმნიშვნელადაც ქცეულა“... (გვ. 52).

ცნობილია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებსა და სიტყვაჯამული მწერლობის ძეგლებში საბიობის მონაწილედ უმეტესწილად მგოსანი იხსენიება, „ისტორიან და აზმანის“, „აბდულმესიას“, „ვეფხის ტყაოსანის“, „ვისრამიანის“, „სიბრძნე სიცრუის“ მიხედვით არკვევს ივ. ჯავახიშვილი მგოსანის მნიშვნელობას, იშველიებს ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და სომხურ ენათა ცოდნას და დაასკვნის, რომ მგოსანი რუსთაველის დროს „მხოლოდ მოშაირე მგალობელ მომღერალსა ნიშნავდა... მგოსანი ჩვეულებრივი მომღერალის სახელი-კი არ ყოფილა, არამედ ამასთანავე საკუთარი შაირებისა და ლექსების გამომთქმელისაც“ (გვ. 53).

ივ. ჯავახიშვილს არც ის დარჩენია აღუნიშნავი, რომ ოთხთავის ქართული თარგმანის „მგოსანი“ ბერძნულ პო ავლეტეს-ს, ლათინურ tibicen-სა და სომხურ ფოლაპარს უდრის, ე. ი. ფლეიტის დამკვრელს (გვ. 52). მაგრამ ასეთი გაგება მას არ აქმაყოფილებს, და ამსაც აღნიშნავს, რომ „მგოსანი რომ სიმღერას შემოსძახებდნენ, ხელში საკრავი, მავ, ჩანგი, ეკირათ ზოლმე“-ო (გვ. 52). „მგოსანის“ ასეთს გაგებაში ახალი ისაა, რომ სახიობის ეს მონაწილე არა მარტო მომღერლად, არამედ საკუთარ შაირებისა და ლექსების გამომთქმელადაც იგულისხმება. რატომღაც ივ. ჯავახიშვილმა ტერმინის „მგოსანის“ გარკვევისას გვერდი აუარა ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობას მეორე საუკუნის „გლოის მგოსანთა“ შესახებ. ამ ჟანრის მგოსნობის არსებობას სულხან-საბა ორბელიანიც აღასტურებს („ქართლის ცხოვრები“-ს ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1942 წ., გვ. 33; საბას ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, 1928 წ. „მგოსანი“). ალბათ იმის გამო, რომ ივ. ჯავახიშვილი

ამ წიგნში სიტყვა „მგოსანის“ მხოლოდ მუსიკალურ მნიშვნელობას ითვალისწინებდა, მან არ აღნიშნა ის გარემოება, რომ მგოსნები არა მარტო თავის მიერ გამოთქმულ ლექსებს საკრავის აუოლებით მღეროდნენ, არამედ თამაშობდნენ კიდევ. „ვეფხისტყაოსნით“ არაბეთის მეფე ქუტუბუდინმა: „სიხარულით თამაშობა აღიადა, მგოსანი და მხეცნი მხეცნი მხეცნი, მეს, კოვეს, რაცა სადა“ (საიუბილეო გამოც. სტ. 119). ნოდარ ციციშვილიც „შვიდ მთიებში“ მგოსნებს მუშათების თანაბრად მოთამაშებულ და „უცხოთა რათმე მომქმედნათ“ იხსენიებს (გვ. 257, სტრ. 1117).

ასევე საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული წიგნის ავტორს სახიობის მონაწილე მუტრიბისა და მომღერალს შორის რეალური განსხვავების შესახებ: „თუ გავითვალისწინებთ რომ მე-12 ს. მომღერალი უმთავრესად უკვე ხმით მგალობელსა ნიშნავდა, შესაძლებელია გვეფიქრნა, რომ მუტრიბი მომღერლისაგან ეგების იმით განსხვავდებოდა, რომ ის ერთსა-და იმავე დროს დამკვრელიცა და მომღერალიც იყო“ (გვ. 56). თანაც ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს „მუტრიბის“ არაბული წარმოშობა და ამ სიტყვის არაბული მნიშვნელობა: გამართობელი, გამამხიარულებელი, მუსიკოს-დამკვრელი, მომღერალი და მოცეკვავე. (იქვე).

პირველი კარის შემდეგი სამი თავი („ძველ ქართულ წყაროებში დაცული ხმების სახელები“, „მე-19 და მე-20 ს. ხალხში შერჩენილი ხმების სახელები“ და „ხმების სახელები ძველი და თანამედროვე წყაროების მიხედვით“) უმთავრესად ქართული მუსიკის ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის, სახელდობრ მრავალხმიანობის გარკვევის, თვალსაზრისით არის საყურადღებო, მაგრამ რამდენადაც ამ შრომის ავტორს შეკრებილი და გამოქვეყნებული აქვს დღემდე უცნობი მასალა ქართული ფერხულებისა და საფერხულო სიმღერის წესის შესახებ (გვ. 75 — 78 — 80), და რაკი ძველი ქართული დრამატული სანახაობანი საფერხულო წყობით სრულდებოდა, ამ წიგნის ეს ნაწილიც თეატრის ისტორიის თვალსაზრისითაც განსაკუთრებით საინტერესოა. მაგ. ამ შრომაში მოყვანილია ვ. წერეთლის მეტად საგულისხმო ცნობა ზემოთხსენებული სიმღერის შესახებ. „აღდგომის დღესასწაულზე მღეროდნენ: „ქრისტე აღდგა, გიხაროდენ, გიხაროდენ!“ სამ ხმად: იწყებდა მაღალი ხმა, შემდეგ მოჰყვებოდა მეორე და ბანი: ბანს ბევრი ამბობდა, პირველსა და მეორეს თითო-თითო, ან რამდენიმე მღეროდენ და თან ცეკვავდენ წრის გარშემო. წრის ხან ერთი წყება იმღერებდა, ხან მეორე: ერთმანეთს შეენაცვლებოდენ ხოლმეო“. (გვ. 75). ძველ ქართულ საფერხულო სანახაობათა შორის ამგვარი ქრისტიანული შინაარსის ფერხულები, სხვადა გვაქვს, მაგალითად, „ჯვარო ცხოველო, ცხოველო, შენ სალოცავად მოველო“ („ღროება“ 1876 წ. № 67), რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქრისტიანობის გავლენით წარმართულ წარმოშობის სანახაობა (წარმართული სამსხვერპლოს გარშემო მლოცველთა წრისებური მოძრაობის ცეკვა-სიმღერა) ტექსტს იცვლიდა, ხოლო შესრულების ძველ წყობას და, შესაძლებელია ძველ პანგსაც კი, ინარჩუნებდა. ასეთი ოპერაცია რომ უჩვეულო რამ არ იყო ეს იჭიდანაც სჩანს, რომ დ. გურამიშვილიც ძველ წარმართულ საფერხულო სიმღერებს ტექსტს უცვლიდა, ხოლო პანგს კი ინარჩუნებდა.

ივ. ჯავახიშვილს წინამდებარე შრომაში, ყველაზედ ვრცლად საკრავიანი მუსიკის შესახებ მწერლობასა, ხალხურ სიტყვიერებასა და ზეპირგადმოცემებში დაცული ცნობები აქვს განხილული. მეტად უხვი მასალა, განსა-

კეთრებული გულმოდგინებით შეჯერებული და გაცხრილული, სპირიტუალური თანამიმდევრობით და სიზუსტით არის წესრიგში მოყვანილი. ამ ნაწილში მკითხველი ეცნობა: საკრავების განჯგუფებას, ძველ ქართულ წყაროებსა და ზეპირ გადმოცემებში დაცულ ცნობებს საკრავების შესახებ, ძალუბიანი საკრავების შემზადების წესსა და ტექნიკას, ძალუბიან საკრავების ზოგად ტერმინოლოგიას, საქართველოში გავრცელებული და ცნობილი მოზიდვით ძალთსაცემლიან, ჩამოსაკრავ და შეილდაკიან საკრავებს, საკრავის ძალების სახელებს, ჩასაბერ საკრავებს, საჩხარუნებელს და ელარუნებს, საცემელ ანუ სარტყმელ საკრავებს და საკრავთა მწყობრს. წიგნის ავტორს აღწერილი და განხილული აქვს ქართულ სანახაობებში გამოყენებული საკრავები. სახელდობრ: ათძალი, ებანი ანუ ქნარი, ჩანგი, მულნი, სანთური, ფანდური, ბარბითი, ჩანგური, ცანგალა, თარი, საზი, ქიანური, ქუნირი, ჩილანა, ქამანჩა, საყვირი, ნესტუ, ყვიროსტვირი, სტვირი, ზროზა-კუდი, სტვირი, ნაბ, გუდასტვირი ან ჭიმონი, უენო და ენიანი სალამური, სონიარი ანუ ლარქემი, ნაღარა, ზურნა, წინწილა, ლინი, ზარი, ეყვანი, ბობლანი, ნობა, დაბდაბი, ტაბლაკი, სპილენჭური, დუმბული და სხვა. დასახელებულ წიგნში საკრავების მწყობრის მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც არის წამოჭრილი. ამ შემთხვევაში კვლევა-ძიების წარმართველად გვევლინება სულხან-საბა ორბელიანის მიერ სახიობის ცნობილი განმარტება: „სახიობა არს მუსიკა მწყობრი ძალთა და (ნესტუთა) საკრავთანი და ჩამოანება ტყბილი გალობათა, თუ სოფლიერთა სიმღერათა“. სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს ამ წიგნში სახიობის მხოლოდ ერთი მხარე, სახელდობრ, მასში საკრავების მწყობრის მონაწილეობა აინტერესებდა და მომღერალთა მგალობელთა გუნდის და მოცეკვავე-მთამაშეთა სახიობაში მონაწილეობისა და მათი როლის შესახებ საკითხი აღძრულიც კი არ არის. ეს გარემოება მით უფრო დასაანებელია, რომ საკრავიერ მწყობრს სახიობაში უმეტესწილად სიმღერისა და ცეკვა-თამაშის აკომანიმენტის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, სახიობაში მთავარი სიმღერა იყო, აქ სანახაობის შინაარსს სასიმღერო ლექსი განსაზღვრავდა და მიტომაც სახიობის ამსრულებელთა შორის უპირველესად ყოვლისა მგოსანს — ლექსის გამომთქმელსა და მის სიმღერით მთქმელს იხსენიებენ და საფიქრებელია, რომ იგი სახიობის მომღერალთა მწყობრშიაც სიმღერის დამწყები, ტექსტის მთქმელი ყოფილიყო.

რაც შეეხება საკრავების მწყობრს ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხს დღეს-დღეობით შესაძლებელი სისრულით განიხილავს და არცევეს შემადგენლობის, დანიშნულებისა და დროის მიხედვით მის ცვალებადობას. ივ. ჯავახიშვილს, არც ამ საკითხის სოციალური მხარე გამოაპრავია მხედველობიდან. „რა თქმა უნდა, — სწერდა სახელოვანი მეცნიერი, — ყველა საკრავები, რომელიც საქართველოში არსებობდა, საერთო არ იყო, არამედ ზოგი მთგანი მალალ წრეებსა და ქალაქებში იყო გავრცელებული, ზოგი უფრო სოფლულებს უყვარდათ“ (გვ. 219).

დასახელებული წიგნის მესამე კარი შემდეგ თავებს შეიცავს: 1. ქართული ძველი წარმართული, საერო და შემდეგ-გაჩენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის; 2. მუსიკის ხელოვნების ორგანიზაცია და მოძღვრება ძველ საქართველოში; 3. ხმის თვისებების მაშინდელი შეფასება და იმის სიმღერა და 4. ძველი საქართველოს სიმღერის გვარობანი.

პირველი თავი განსაკუთრებით საინტერესოა ძველ ქართულ საერო სანახაობათა წინააღმდეგ ეკლესიის მიერ წარმოებულ ბრძოლის გარკვევის

თვალსაზრისით. ივ. ჯავახიშვილი ბერძენთა ისტორიკოსს ქსენოფონტეს ცნობას იმოწმებს და არკვევს, ერთის მხრივ, წარმართთა ხანის ქართული წარმართული სანახაობრივი კულტურის საკითხებს — და, მეორეს მხრივ, ქრისტიანობის გავლენებთან ერთად დამკვიდრებული საეკლესიო წესებ-ლოცვის წესის განვითარებას. ივ. ჯავახიშვილი იმ ზოგადღმრწამალებზედ განმარტავს, რომ „ხალხი მიჩვეული იყო ძველ წარმართულ სიმღერებს, რომელსაც ლხინისა და ჭირის დროსაც ამბობდნენ ზოლმე, ვითარცა წარმართულ რწმენასა და ცეკვა-გასართობებთან უმკიდროვსად დაკავშირებულს, ამ საერო სიმღერას ახალი სარწმუნოებისათვის ძლიერი მეტოქეობის გაწევა შეეძლო, ამიტომაც ყველგან ქრისტიანობის შესვეურნი წარმართული სიმღერის ასეთი გავლენის ყოველნაირი საშუალებით ჯერ შესუსტებას, ხოლო შემდეგ მის სრულიად მოსაბობსაც ცდილობდნენ. გამოჩენილი ასური ძოღაწის ბარდესანიის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ წარმართობისათვის თანამემამულეთა შორის ნიადაგის გამოსაცლელად, მან წარმართული ჰანგები და ცეკვა-ცეკვი გამოიყენა, ოღონდ წარმართული სიტყვების მაგიერ ქრისტიანულ ლოცვა-ვედრებას ათქმევინებდა ხოლმე“ (გვ. 227 — 228).

რომ საქართველოში ასეთი ბრძოლა არსებობდა, ივ. ჯავახიშვილი შემდეგ ცნობებზე მიუთითებს:

1. „პეტრე ქართულის ცხოვრების ასურულ ტექსტში ნათქვამია, რომ თუ ბევრ დიდებულებს დროს გასატარებლად მგოსან კაცთა და ქალთა სიმღერების მოსმენა ჩვეულებად აქვთ, არჩილ მეფე (V საუკ.) ამის მაგიერ, დავით მეფის მსგავსად, საეკლესიო საგალობლების მგალობლები გაიჩინა, რომელნიც პურისქამისა და ყოველ სხვა დროსაც ღმერთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ, ისე რომ მისი სასახლე ეკლესიისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა“ (გვ. 118).

2. „რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103 წ.) მონასტრების დღესასწაულების დროს ყოველივე საერო ზნეჩვეულების გამოხატულების წინააღმდეგ გაილაშქრა და აკრძალა: „ნულარმცა კადრებულ არს ქმნად ამერიოთგან ნუცა მონასტერთა შინა შექმნად სავაჭროთა ერის კრებათა, ნუმცა რაა სხუად სამოქალაქო და სოფლიოა წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა, რათა, სალოცველთა მათ ადგილთა ქუბა ავაზაკთა შექმნითა“ არ წარწყმდეთო. ამნაირადო, — განმარტავს ძვ. ჯავახიშვილი, — ხობა-ღლეობებთან დაკავშირებული ბაზრობის („სავაჭრო ერის კრება“) აკრძალვასთან ერთად ყოველნაირი „სხუად სამოქალაქო და სოფლიოა წესი“ — ცარის დაგმობილ-განდევნილი. ცხადია, რომ აქ ღლეობის დროს ჩვენში მიღებული ხალხური სიმღერა გასართობი იგულისხმება“ (გვ. 229).

ივ. ჯავახიშვილი საეკლესიო წრეების ზეგავლენით ხსნის ჯარში წარმართული სიმღერების აკრძალვას და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის არა ერთ ვაჟის ციტირებულ ცნობას იმოწმებს: „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება, ღმერთისა საქმლეი, და ყოველი უწესობა მოსაბობილ იყო ლაშქართა შინა მათთა.“

შეკვლევარი, განიხილავს რა ამ ცნობებს, დაასკვნის: „არჩილ მეფითგან მოყოლებული ბრძოლისდა მიუხედავად და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აკრძალვისა და დაემობის შემდგომაც ქართული წარმართული სიმღერები და სხვადასხვა გასართობი ხალხს მაინც შენარჩუნებული ჰქონია“ (გვ. 229 — 230) და ჯარში მათ აკრძალვასაც ვერ გაუტრია, რის დამადასტურებლად ივ. ჯავახიშვილს მეტად საგულისხმო ცნობა აქვს მოყვანილი

„ხელმოწიფის კარის გარიგებიდან“. ამ ცნობის მიხედვით ლაშქარი მე-14 ს. პირველ ნახევრამდე საქართველოს სამეფო კარზე „ლაშქრობა“ და „რევოლი“, ე. ი. ფერხული სიმღერა-შაირობითურთ იმდენად ურყევ წყაღ/ყოფილა განმტკიცებული, რომ ხელმოჭერილ და პურძვირ ხელისუფლებასაც კი არ ინდობდნენ თურმე და შაირობის დროს „აეად იხსენებდნენ“ დეკლესტროდნენ“.

ყოველივე ამისდა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ეკლესიასთან ბრძოლაში წარმართული ხასიათის სანახაობანი არ დამარცხებულან, ძველისძველი ზალხური სანახაობანი და სიმღერები ზალხს მანაც შეუნარჩუნებია. და რა კი ეს ასეა, ცხადი ხდება, რომ ზალხურ სანახაობათა შესწავლას, ზალხურ სანახაობაში წარმართული დანაშრევის გამოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ქართული თეატრის საწყისების გათვალისწინებისათვის.

ამის შემდეგ ქართული თეატრის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ძველი საქართველოს მუსიკის ხელოვნების ორგანიზაციისა და მოძღვრების შესახებ უამრავ ძეგლთაგან გამოწველილვით დაგროვილი ცნობები და ტერმინები.

როგორც ცნობილია, ძველი სანახაობანი რამდენიმე ან მრავალ მოთამაშეთა სიმღერა-გალობასა და როკვა-ცეკვას შეიცავდა. ასეთ მგალობელ მოთამაშეთა ან და მგალობელ მროკველთა აღმნიშვნელი ტერმინები (ძნობა, მძნობარი, მძნობრი, მწყობრი, გუნდი, დასი) ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს. განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინი „მწყობრი მემღერთაჲ“, რომელიც დაბადებაში გვხვდება და რომელიც ბერძნულსა, ლათინურსა და სომხურთან შეგერებით მოთამაშეთა გუნდის აღმნიშვნელი ყოფილა (გვ. 234).

„მწყობრის“ სინონიმებად ძველ ქართულ მწერლობაში იხმარებოდა „გუნდი“ და „დასი“. მწყობრის ცალკეულ წევრს „მემწყობრეს“ უწოდებდნენ“. (გვ. 234 — 235).

ივ. ჯავახიშვილს ჩვეული ვულგარდინებით აქვს გამოარკვეული სიმღერა-გალობაში დახელოვნების, ოსტატობისა და ხელმძღვანელობის აღმნიშვნელი ტერმინები:

უ ხ ბ უ ც ე ს ი მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი — მომღერალ-მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი და მასწავლებელიც (გვ.235).

გ ა ლ ო ბ ი ს მ ო ძ ლ უ ა რ ი — სიმღერა-გალობის მასწავლებელი, რომელიც „შესაძლებელია წლოვანებისა თუ სოციალური მდგომარეობის გამო მომღერალ-მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელად აღარ ყოფილიყო“ (იქვე).

უ პ ი რ ო ბ დ ა — სიმღერის ხელმძღვანელობის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. „რომ სიმღერა მწყობრად გამოსულიყო და ყურთასმუნისათვის სასიამოვნო გამხდარიყო, ამისათვის ერთი დაბელოვნებული მგალობელთაგანი სხვებს ხელმძღვანელობას უწევდა და მომღერალთა შორის პირველ დამწყებად ითვლებოდა“ (გვ. 236). ე. ი. ახლა რომ ვიტყვივით ლობჯინაძეაო. ეს სიტყვა საბასაც ჰქონია განმარტებული „ზაგალობელთა და ძნობათა წინა უძღოდეს ხმითაო“.

წ ი ნ ა მ ძ ლ ვ ა რ ი მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი — „ის ვინც სხვებზე წინ იწყებდა გალობას და ამით დანარჩენთ წინაურბოდა“ (გვ. 237).

მ თ ა ვ ა რ ი მ გ ა ლ ო ბ ე ლ თ ა — იმსვე აღნიშნავდა რასაც „წინამძღვარი მგალობელი“ (იქვე).

უხუცესი მგალობელთა ანუ მგალობელთ უხუცესი — იმავე მნიშვნელობისაა, რაც „წინამძღვარი მგალობელი“ და „მთავარი მგალობელი“, მხოლოდ უფრო მერმინდელია. ივ. ჯავახიშვილს დადგენილი აქვს, რომ „თუ ამაზე უწინარეს არაა, მაინცდამაინც მე-9 საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა „მგალობელთ უხუცესის“ თანამდებობა, რაც საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულშიც კი არსებულა. 1693 წლის საბუთში დამწერელი იგამცნობს: „მე მგალობელთ-უხუცესს იორამს დამიწერია“-ო (იქვე).

თუ რაოდენ განვითარებული ყოფილა ძველად საქართველოში მუსიკალური შემოქმედება ამის საილუსტრაციოდ ივ. ჯავახიშვილს ის ფაქტი მოჰყავს, რომ ანდრია კრიტელის საგალობლები ჯერ ექვთიმე მთაწმინდელს (963 — 1028) უთარგმნია, მაგრამ მისი ნაშრომი დედნის სრული თარგმანი არ ყოფილა არამედ შეგნებულად შემოკლებული და შეცვლილიც კი. „საღმრთოება წერილისა“ სახის მეტყველებანი“ გამოუტოვებია და „ნაცულად, მათდა სინანულისა დასდებლები“ შეუმატებია. არსენ მონაზონის სიტყვით ამასთანავე გიორგი მთაწმინდელს „ხმისგანცა თვისისა და ძილს პირთაგანცა შეეცვალეს“.

გიორგი მთაწმინდელს (მეთერთმეტე საუკუნის მოღვაწე) ანდრია კრიტელის საგალობლები ხელახლად და სრულად უთარგმნია, მაგრამ ექვთიმე მთაწმინდელის დანართიც ისევ შეუტანია.

დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ამ საგალობლების ხელახლად შესამედ თარგმნა საჭიროდ უცენიათ. დავით აღმაშენებელს ეს საქმე არსენი მონაზონისა და იოვანე კათალიკოსისათვის დაუევალებია. დავით მეფემო, ნათქვამი აქვს არსენი მონაზონს, „მე თარგმნებისა ხოლო მწყემსთა-მწყემსთასა, იოვანეს ქართლისა კათალიკოსსა, ვითარცა კეთილად მორთულსა ორდანოსა, ზეოვანთ-მთავარსა სლ-ისსა ხმის დადებისა ხელყოფათ გვიბრძანა ვინათგან უცხონი იყვნენ ენისა ჩუენისაგან ძილისპირნი ამათნი“.

ამ საინტერესო ცნობაში ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით საინტერესოდ ის გარემოება მიაჩნდა, რომ „საგალობლის სიტყვების თარგმნა, თუ შეთხზვა და მისთვის საგანგებოდ ჰანგების დაწერა, თუ ამაზე უწინარეს არაა, მაინც და მაინც 12 ს. დამდეგს უკვე სხვადასხვა სპეციალობად ყოფილა ქცეული“.

განსაკუთრებით საინტერესო ხდება ივ. ჯავახიშვილის მიერ განმარტებული ძველი ქართული ტერმინები:

ხ მ ი ს და დ ე ბ ა — სიტყვიერი შემოქმედებისათვის ჰანგის შეთხზვა.

ხ მ ი ს ა და დ ე ბ ი ს ა ხ ე ლ ყ ო ფ ა — სამღერელ-საგალობელ ტექსტისათვის ჰანგის შეთხზვის დაწყება.

ხ ე ლ ო ვ ა ნ თ - მ თ ა ე ა რ ი — მუსიკალური ჰანგების შემთხველი.

ივ. ჯავახიშვილს დასახელებულ შრომაში მოყვანილი აქვს მ. საბინინისკელის კოლექციაში დაცული სპარსული მუსიკის ისტორიისათვის საგულლისხმო ქართული ცნობა, რომელიც საინტერესო აღმოჩნდა მე-18 ს. ქართული თეატრის ისტორიისათვისაც. ამ ცნობაში ნათქვამია: „ირანული რვა ხმა: 1. ჰუსეინი, 2. ღუგა, 3. სეგა, 4. ჩარგა, მუხალიფი, 5. შაჰნაზი, 6. ფას მუხალიფი, 7. ნოვრუზ არაბი და 8. რასტი. (გვ. 263). 5. მარს თავის „სალექსიკონო შენიშვნებში“ ამ სახელებიდან ზოგი ჰანგის, ზოგი მუსიკალური ბგერის და ზოგიც რომელიღაც ფარდის ანუ საქცევის აღმნიშვნელ სახელებად აქვს განმარტებული (TP, V, გვ. 65—66). ალ. პონეზაშვილის ცნობით

ზოგი ამ სახელთაგანი და მათ შორის „სეგაც“ არაბული გამის სახელების აღმნიშვნელია (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 264).

ამ ცნობის მიხედვით შეიძლება გასაგები გახდეს XVIII ს. დრამატურის დავით ჩოლოყაშვილის „ეფიღენის“ რემარკებიდან დღემდე გავრცელებული ერთერთი ადგილის აზრი და მნიშვნელობა. პირველი მოქმედების წინა „წარმოდგინების“ რემარკაში დავ. ჩოლოყაშვილს ნათქვამი აქვს: „თეატრი წარმოადგენს მინდორზედ სამსხვერპლოსა; კალხაზ ღუმლით ილოცავს და აკმევს. იუპიტერი ელვითა და ქუხილითა, კაცის სახით, ღრუბლით მოვა და გულშემოყრილს კალხაზს ეჩვენება, და ისევ ელვით და ქუხილით ამალღდება, და ფარდა დაიფარება, საფარავი. სეგა მუხალიფი“. (ალ. ცაგარელი „Сведения“, вып. III, гл. 303; მ. აბრამიშვილი, „ძველი ქართული თეატრი“, ქუთ., 1925 წ. დამატება, გვ. 2). ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული და ივ. ჯავახიშვილის მიერ „მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში“ მოყვანილი ცნობის მიხედვით გასაგები ხდება ამ რემარკის სიტყვები „სეგა მუხალიფი“. მაშასადამე, როცა პირველი მოქმედების წინა „წარმოდგინება“ დამთავრდებოდა, „სეგა მუხალიფი“ სრულდებოდა, ე. ი. ირანულ-არაბულ ჰანგზე თუ ხმაზე დაუკრავდნენ ან საკრავებზე აყოლებით იმღერებდნენ.

ამ სპექტაკლში დამკვრელთა და მომღერალთა მწყობრის მონაწილეობა ავტორს გათვალისწინებული ჰქონდა. მოქმედ პირთა შორის მას დასახელებული ჰყავს „მალობენი“ და „საზანდრები“. მეხუთე მოქმედების დასაწყისის რემარკაში ნათქვამია „საკრავი მოჰყვება კვრას მანამ ფარდას ასწევდნენ“. ესეც იმის მანიშნებელია, რომ „სეგა მუხალიფი“ ფარდის დაშვების შემდეგ შესრულებული ჰანგის თუ ხმის აღმნიშვნელი უნდა იყოს. დ. ჩოლოყაშვილის ტრაგედიის რემარკის ეს ადგილი მეტად დამახასიათებელია XVIII ს. ქართულ თეატრისათვის, რომელიც ევროპულ და ირანულ კულტურის ელემენტებს აზავებდა და იუპიტერის სცენაზე გამოჩენას ირანულ-არაბული ჰანგით „სეგა მუხალიფით“ ამთავრებდა.

დასაძრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ საყურადღებო შრომისათვის თანდართული ტაბულები: ორი ფერადი და 29 შავად დაბეჭდილი სურათი. ეს ტაბულები გვიჩვენებენ თუ რამდენად მდიდარი იკონოგრაფიული მასალა მოიპოვება ქართული თეატრის ისტორიისათვის. სურათები წარმოგვიდგენენ ქართველ მგოსანთა, მუტრბითა და მოცეკვავეთა მწყობრს, ცალკე შემსრულებლებს და საკრავებს მე-13 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე.

ამრიგად აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ ქართული თეატრის ისტორიისთვისაც მრავალ საგულისხმო საკითხს არკვევს და უცილებლად ხდის იმ საანბანო კვშიარტებას, რომ ქართული თეატრის ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელია ქართულ ხალხურ სანახაობათა გულდასმითი შესწავლა, ძველი ქართული და უცხოური წყაროების მიმოხილვა, ქართული მუსიკის და სახვითი ხელოვნების ცოდნით შეიარაღება.

ლევან ასათიანი

პაღიათა გუგინლაშვილი

იმ ქართულ მწერლებს, რომელთაც 1941 წლის თებერვლის ქარიათ საღამოს ვალერიან გაფრინდაშვილის ცხელარი სამუღამო სავანემღე მიაცი-
ლეს — ალბათ კარგად დაამახსოვრდათ ერთი მეტად მეტყველი ეპიზოდი.

როდესაც ითქვა გამოსათხოვარი სიტყვა და პოეტს დაემშვიდობნენ მე-
გობრები და უახლოესი ადამიანები, — კუბოს წინ დაიწოქა პატარა, ათა
წლის გოგონამ, — ვალერიან გაფრინდაშვილის ერთადერთმა ასულმა.

ბავშვმა მთრთოლვარე ხელი გაიწვდინა, კუბოში ყვითელი ფორთოხალი
ჩასდო, შემდეგ უხმოდ ემთხვია მამის ცივ შუბლს. ეს იყო მისი უკანასკნე-
ლი ძღვენი მშობლისათვის, უკანასკნელი ალერსი და თბილი გრძნობის გა-
მობატულება.

და იყო რაღაც საოცარი უშუალობა ამ ბავშვურ განცდაში, ამ უსიტყვო
მწუხარებაში, ამ პატარა-გულუბრყვილს საჩუქარში.

იმ მოკრძალებულ დუმილში, რომელიც ერთი წუთით დამყარდა მაშინ,
ყველა დამსწრეთა გულები თითქოს გაერთიანდნენ გოგონას პატარა მფეთ-
ქავ გულთან.

და მაშინ განსაკუთრებით ხელსახები შეიქნა გრძნობა დანანებისა არა
მარტო დაკარგული პოეტისათვის, არამედ ადამიანისათვისაც.

ვ. გაფრინდაშვილი კი ეკუთვნოდა იმ რჩეულებს, რომელთა პიროვნება-
ში ბედნიერ შეერთებას კოვებენ მაღალი შემოქმედება და მაღალი ადამი-
ანური თვისებები.

ხუთმა წელმა განვლო იმ დღის შემდეგ. ვ. გაფრინდაშვილის სახელო
ახლა უკვე ქართული მწერლობის ისტორიას ეკუთვნის, ის განაგრძობს
ცხოვრებას სიტყვაში, ლექსში, პოეზიის ნათელ სამყაროში.

მისი ლექსები, წერილები, ჩანაწერები — წარმოადგენენ დოკუმენტებს
უკვე დამთავრებულ ისტორიასა ერთი პოეტური ცხოვრების შესახებ.

ეს ცხოვრება კი უშუალოდ დაკავშირებული იყო მთელი ლიტერატურულ-
ლი თაობის ცხოვრებასთან. უფრო მეტიც. ვ. გაფრინდაშვილი ერთერთი
ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელთაგანი იყო ამ ლიტერატურული თაო-
ბისა. მისი ცხოვრება და შემოქმედება — ეს არის ცალკე თავი სიმბოლიზმის
ისტორიისა საქართველოში.

თანამედროვე უფროსი თაობის თითქმის ყველა ქართველ-საბჭოთა პოეტის მსგავსად, ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაშიც მკვეთრად ისახება განვითარების ორი ეტაპი.

ამ ორ ეტაპს ურთიერთისაგან განსაზღვრავს მეთოდი და მსოფლმხედველობა, თემატიური სამყარო პოეტისა, გააზრებული გარკვეული იდეური შინაარსით. თავისი შემოქმედების დასაწყისში ის შემოდის ქართულ პოეზიაში, როგორც დეკადენტი პოეტი. მთელი რიგი წლების მანძილზე ის როგორც სიტყვის ოსტატი და თეორეტიკოსი იბრძვის ქართული სიმბოლიზატური პოეზიის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იწყება ახალი პერიოდი მის შემოქმედებაში. 1921-დან 1925 წლამდე—ეს არის გზის გასაყარი ეტაპის პოეტურ განვითარებაში. ამ დროს ის ინერციით კვლავ აგრძელებს ძველ გზას, მას ჯერ კიდევ არ სტოვებენ ძველი თემები და სახეები. ამავე დროს მის შემოქმედებაში იჭრება ახალი თემატიკა, მის მსოფლმხედველობაში თანდათან ისახება გარდატეხა. ის გამოდის თავისი მისტიური კოშკიდან; ჰკეტავს მის კარებს და თითქოს შიგ სტოვებს ძველ სახეებს და პოეტურ პერსონაჟებს. ის გამოდის სინამდვილისა და თანამედროვეობის ფართო ასპარეზზე.

ამის შემდეგ იწყება ახალი, საბჭოთა პერიოდი ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში. ის დგება თანამედროვე ქართველ პოეტების ყველაზე მოწინავე რიგებში.

სანამ შევეხებოდეთ ვალ. გაფრინდაშვილის ადგილსა და მნიშვნელობას ქართულ პოეზიის საერთო განვითარებაში, უადგილოდ არ მიგვიჩნია შეეზღვრეთ ზოგიერთ უცნობ მომენტზე მისი პირადი ცხოვრებიდან. ჯერ რამდენიმე სიტყვა მისი მშობლებისა და იმ ოჯახური გარემოს შესახებ, სადაც მას მოუხდა ბავშვობის გატარება.

ვალერიან გაფრინდაშვილის პაპა, დავითი, ქუთაისელი მედავითნე ყოფილა. ამ დიაკონს, როგორც ეტყობა, კარგად სცოდნია განათლების ფასი და მნიშვნელობა, ამიტომ საცადელი არ დაუშურებია, რათა თავისი ვაჟის, ივანესათვის, შესაფერი სწავლა მიეცა.

ივანე გაფრინდაშვილს, ვალერიანის მამას, კიევის სასულიერო აკადემია დაუმთავრებია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით, რის შემდეგაც, 1877 წლის სექტემბერში, იგი გაუშვესებიათ ართიმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ორი წლია შემდეგ, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ის ინიშნება იმავე სასწავლებლის შედამხედველის თანაშემწედ.

ერთგული სამსახურისა და მუყაითი პედაგოგიური მოღვაწეობა აიჯივინა ივანე გაფრინდაშვილი არაერთხელ ყოფილა დაჯილდოვებული. ცხრაასიან წლებიათვის მას სტატსკი სოცეტნიკის ხარისხი მიუღია.

გარეგნულად ივანე გაფრინდაშვილი მკაცრი და სასტიკი კაცი იყო. ბავშვებს ძალიან ერიდებოდათ მამისა. მაგრამ ამ სისასტიკის ნიღაბ ქვეშ კეთილი გული ფეთქავდა. ივანეს გულწრფელად უყვარდა შვილები, ზრუნავდა

მათთვის. არა მარტო საკუთარი ბავშვებისათვის ზრუნავდა იგი. ვალერიანის უმცროსი დის, ნინოს, გადმოცემით, მამამისის ოჯახში არა ერთი და არც ობოლი ღარიბი ნათესავი ბავშვი გაზრდილა. ივანეს ერთერთი გაზრდილი-სათვის სახლიც კი უჩუქნია ქუთაისში.

ენერჯისული

ივანე მაგარი ჯანისა და სულიერი ენერჯის კაცი ყოფილა. მისი ზნეობა მულობამდე მიუღწევია და გარდაცვლილა 1922 წელს, 72 წლის ასაკში. ის გადაპყრობილი უმცროსი ვაჟის კონსტანტინეს დარღს, რომელიც პირველ მსოფლიო ომის დროს უზოთუკლოდ დაიკარგა ფრონტზე.

ვალერიანის დედა, ქეთევან მიქაძის ასული, მცირედ ნასწავლა ქალი იყო. იცოდა მხოლოდ წერა-კითხვა, მაგრამ იყო ბუნებრივი ნიჭით დამჯილდოვებული და მეტად ცნობისმოყვარე ადამიანი. ის იყო მეტად ნაზი, სათუთი და გრძნობიერი ქალი. ვალერიანი, როგორც მისი და, ნინო გადმოგვცემს, ხასიათით და გარეგნობითაც დედას ჰგავდა. მას მამაზე უფრო დედა უყვარდა, რადგან მასთან უფრო მეტ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა. სიყვარული და პატივისცემა დედისადმი მას უკანასკნელ წუთამდე არ განელებია. „ბევრჯერ გინახავს,—გვიამბო ნინომ,—რომ ვალერიანი დედას უკითხავდა თავის ახალ ლექსებს. დედა უდიდესი სიამოვნებით უსმენდა შვილს. გრძნობდა და დიდად აფასებდა ვალერიანის პოეტურ ნიჭს“.

მამას კი უფროსი ვაჟიშვილის პოეტობა დიდად არაფრად სიამოვნებდა. ის პრაქტიკული გონების კაცი იყო. როცა ვალერიანმა ჯერ კიდევ ჰაბუკობის პასაჟში დაიწყო ლექსების წერა, მამას ზმირად გაუცხადებია თავისი უკმაყოფილება: მას სერიოზულ საქმედ არ მიაჩნდა პოეტის კარიერა, ამიტომ ცდილობდა შვილის ინტერესები უფრო პრაქტიკულ და სარფიან საქმიანობისაკენ მიემართა.

მე აქ მაგონდება ტეოფილ გოტიეს მწარე გულმტკიცეილით ნათქვამი სიტყვები წიგნში, რომელიც მიძღვნილია ბოძლერის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. ტეოფილ გოტიე სწერს: „როგორც კი ჰაბუკ ბოძლერში ჩაისახა პირველი ნიშნები ლიტერატურისადმი მიდრეკილებისა, მის ოჯახში მაშინვე დაიწყო დიდი უსიამოვნება. სამწუხაროდ, შიში და შეშფოთება, რომელსაც განიცდიან მშობლები, როცა მათ შვილებში გამოვლინდება პოეზიის საბედისწერო ნიჭი, ვაი რომ საცხებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს. და ჩვენი აზრით არ არიან მართალნი ყველა ისინი, ვინც პოეტებში ნიოგრაფიებში ბრალს სდებენ მამებსა და დედებს და უსაყვედურებენ მათ გონებაგაუხსნელობას და პროზაულობას. მშობლებს აქვთ ასეთი შიშისათვის სერიოზული საფუძველი: განა მწუხარე, დუხჭირი და სავაგლახო არსებობა, თავი რომ დავანებოთ მატერიალურ ხელმოკლეობას, არ მოვლეს ყველა იმას, ვინც იწყებს სელას იმ შაბედიტს გზაზე, რომელსაც ლიტერატურული კარიერა ეწოდება?“

ტეოფილ გოტიეს ეს სიტყვები ერთგვარ გამართლებას აძლევენ ჰუაი-სელ მასწავლებლის ივანე გაფრინდაშვილის სერიოზულ შეშფოთებას შვილის მომავალი ცხოვრებისათვის.

ვალერიანის ბავშვობა და ყრმობა დაკავშირებულია მშობლიურ ქალაქ ქუთაისთან, რომელიც მან ისეთი პოეტური აღმადრენით და ფანტასტიური ნახით დახატა ლექსში: „ქუთაისი ქარში“.

ოჯახი მამის ცხოვრობდა არქიელის გორაზე, და ბავშვის პირველ, და-
უვიწყარი შთაბეჭდილებებიც იწყება აქედან. დიდებული ბაგრატი (გამრის
მღუმარე ნანგრევები, დაფარული ხავსით და სუროთი, საესე იდუმალებით;
ქუთაისის მიდამოთა გაშლილი ხედი, კოლხიდის ვრცელი ეფხვლეტი; და
შორს, ლაგვარდოვან პერსპექტივაში — იისფერი და თიხვანის მჭარის
მთები...

ცხრაასიან წლებში ვალერიანის მამა ყიდულობს სახლს ბალახვანის ქუ-
ჩაზე, ოჯახი ჩამოდის არქიელის გორიდან ქალაქში. ამ სახლის პირდაპირ,
ზედ რიონის პირად, იდგა სახლი, სადაც ოდესღაც უდროოდ მოტეხილი, სა-
შინელ სნეულებით შეპყრობილი, მათხოვარივით მოკვდა პოეტა მამია გუ-
რიელი. ბავშვებმა იცოდნენ ეს სახლი, გაგონილი ჰქონდათ მისი ბინადარის
სახელიც. ამ ბავშვურ შთაბეჭდილებიდან მოდის მამია გურიელის ლეგენ-
დარული სახეც, პერსონაჟად შესული ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისე-
ბის“ პერიოდის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, მამია გურიელს ვა-
ლერიანმა უძღვნა ერთი თავისი უკეთესი სონეტთაგანი:

იხეე მოცებს დადუმებულ ლექსთა ზრახვანი
და ყვითლად მზიბლავს მოჭედილ ლოთი მამია.
მისი შარდი საკუთარი მკადაშია —
საბედისწერო, სასიკვდილო, ყრუ ბალახვანი.

იყო ორგია და საზღვრების გადალახვანი.
რიონის პირად რუხ ფაცხაში ბნელი წამია.
სწევს და არ სძინავს გაფითრებულ იქ ადამიანს,
რადგან ძვირფასობს ლალ-თვალეებით გამხდარი ტანი.

დაწყვეილ მგოსანს მოველინა ბრწყინვალე ქლეტი —
და ის გადასცა საოცრების კეთროვან ხელებს,
რომ ეღვიარებდეს მისი ხველა ამონაბეჭტი.

მტრედისფერ სატრფოს უდაბნოში ვერ მოიშველებს.
მას, როგორც ვერლენს, დაუხეცავს თვალებს მემკვი,
მისი წყლულების საშინელი მონათესავე.

ქუთაისის ბავშვურ მოგონებებიდან ვალერიან გაფრინდაშვილის გულში
სამუდამო მოგონებად ჩაირჩა აგრეთვე დაუვიწყარი სახე მე-19 საუკუნის
საქართველოს დიდი პოეტისა:

„მე აქ პირველად ავაჯი ვნახე
მისი ჭაღარით, ცეცხლის თვალებით“.

ბავშვურ შთაბეჭდილებათა რემინისცენციით დაწერილია აგრეთვე ვალე-
რიან გაფრინდაშვილის ერთი შესანიშნავი ლექსიც „რიონი“.

ვისაც უნახავს ქუთაისი, მას არ შეუძლია არ იყოს მოხიბლული ცისფერი
მდინარით, რომელიც ძვირფას სარტყელოვით აკრავს პატარა მწვანე ქალაქს.
ამ მდინარეს უძღვნა პოეტმა თავისი ალტაცებული სტრაქონები. რიონი მი-
სი პოეტური ბიოგრაფიის ნაწილია:

ხან ფალავანი დბ ბედაური
შენი ტალღების მიყვარს თარეში,
შენი ნანინა, შენი ხმარო
ჩამწვეთებოდეს თვით სამარეში!..

პირველი გრძნობის, პირველი ფიჭვის,
მესაიდუმლე მუდამ იყავი,
ჩემი ოცნება ზღვისაკენ მიჰქრის,
ვით შენი ტალღა შორს-გამორიყავი.
მე ესარგებლობდი შენი არევით,
თევზებს ვიჭერდი ჰიან ანკსით,
შენ ყურს მიგდებდი მეგობარევით,
როცა ვითხარი პირველი ლექვი.

როგორც დედასთან მე შენთან მოვალ,
პატარა ბავშვის ტორილით გიტყვი,
მოშიაღერსე, დამიტყებ გლოვია,
კმარა სიცოცხლე სიცივით, სეტყვით!
ო, საყვარელო, კიდევ მწაფიან
შენი ტალღები, შენი ფაფარი,
ჩემო ემზახო, ჩემო გადია,
მომეცი შენთან თავშესაფარი!
დაუფგრომელო! მე ისევ მინდა
ენახო უკვდავი შენი თარგში,
ეგებო შენი ძახილი წმინდა,
რომ გამოეფხიზლდე თვით სამარგში!

ვალერიანი სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მოწაფეობის წლებში დაიწყო ლექსების წერა. წერდა რუსულად. ვალერიანის არქივში შენახულია რამდენიმე სასწავლო რეცეპტი, სადაც ამ პირველი პოეტური ვარჯიშობით. ეს იყო მისი მომზადების, პირველი ფრთების გაშლის ხანა.

• •

სტუდენტობა ვალერიანმა მოსკოვში გაატარა. ის სწავლობდა ყოფილ საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1914 წ. დაამთავრა. მოსკოვის პერიოდი გადამწყვეტია ვალერიანის, როგორც პოეტის საბოლოო გამოარკვევაში. აქ ეზიარა ის დიდი რუსული პოეტური კულტურის მჩქეფარე წყაროებს. პოეზიის დიდ კლასიკურ მემკვიდრეობას. აქ ის ნახულობს ლეე ტოლსტოის მისი სიკვდილას წელს და საბე ამ ბუმბერაზისა, როგორც რუსული პოეტური გენიის სიმბოლოსი, მიჰყვება მას შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

აქვე იწყება მისი დაახლოვებული გაცნობა რუსულ სიმბოლიზმთან: ბრიუსოვი, ბალმონტი, ანდრეი ბელი. ალექსანდრე ბლოკი — აი ის პოეტური სახელები, რომელიც წარმოადგენდნენ ახალი რუსული პოეზიის სანიშნოებს ცხრაასათიან წლებში.

მათი შემოქმედების საშუალებით ახალგაზრდა გაფრინდაშვილი ეცნობა ფრანგული დეკადენტური და სიმბოლისტური პოეზიის იმ დროს ჯადოსნური ბრწყინვალეობით გაშუქებულ სახელებსაც: ბოდლერს, ვერლენს, რემბოსს, — «დაწყვედილი» პოეტების მთელ თაობას.

მოსკოვშივე იწყებს ვალერიანი თავისი პირველი ლექსების ბეჭდვას. მოსკოვის „Понедельничная Газета“-ს ფურცლებზე ქვეყნდება მისი პირველი პოეტური ნიმუშები. აგრეთვე თარგმანები სიულა-პრუდომიდან.

უნევერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვალერიანი ჩამოდის ქუთაისში. თურიდიული განათლება არავითარ გამოვლინებას არ ჰპოვებს მის პრაქტიკულ საქმიანობაში. ის იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას დეკანოზის კლასიკულ ენასა და ლიტერატურას ქუთაისის ერთ-ერთ სასწავლებელში.

ის ამ დროს მთელის არსებით გატაცებულია პოეზიით. ბევრს სწერს, ბევრს შეშაობს, სწერს რუსულად, მაგრამ ამავე დროს სინჯავს თავის კალამს ქართულადაც. ის დიდის შრომით და ენერჯის დახარჯვით გადაადის მშობლიური ენის პოეტურ სტიქიაში. პირველი მისი ქართული ლექსები დათარიღებულია 1915 წლით.

ამ ხანებს ეკუთვნის ვალერიანის აქტიური მონაწილეობა ქართული სიმბოლისტური პოეტური სკოლის ჩამოყალიბებაში.

ის არის „ციხფერი ყანწების“ ერთერთი მთავარი ორგანიზატორი.

როგორც ეპიზოდი მისი პოეტური ბიოგრაფიიდან, საინტერესოა ვალერიანის შეხვედრა და გაცნობა კონსტანტინე ბალმონტთან, ქუთაისში, 1915 წლის შემოდგომაზე.

ამ დროს ბალმონტი, როგორც ახალი რუსული პოეზიის სახელგანთქმული წარმომადგენელი თავისი პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდა.

მას იმ დროს დაწყებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, ამ თარგმანის ნაწილს უკვე იცნობდა ქართველი საზოგადოება.

ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცნობ პოეტისათვის, ასეთ სახელოვან მგოსანთან დამეგობრება შეტად მნიშვნელოვანი იყო და დასაფასებელი. ეს იყო დაუფიქსარი შემთხვევა ცხოვრებაში. არსებობს ვალერიან გაფრინდაშვილის ერთი ჩანაწერი, რომელიც არასოდეს გამოქვეყნებულა და ინახება მის არქივში. ამ ჩანაწერში პოეტი აგვიწერს შეხვედრებს და საუბრებს რუს მგოსანთან.

ვალერიან გაფრინდაშვილს ბალმონტისათვის უძღვნია სონეტი, და როგორც ახალგაზრდა თაყვანისმცემელს სჩვევია, გადაპარბებული ეპიტეტებით შეუშვია იგი.

ამ სონეტის ორი ტერცეტი შემდეგნაირად იკითხება:

Ты щедро дивныя свои рассыпал трели.
Чтоб в звуках сладостных и легких воссоздать,
Божественную мощь и пламя Руставели.

Коня поэзии тебе дано взнуздать,
Летишь на скакуне к своей мечте заветной
Сквозь вихрь, окутанный вуалью огнецветной.

ბალმონტს ძალიან მოსწონებია ახალგაზრდა პოეტის სონეტი, გარდა ერთი სიტყვისა, რომელიც ლექსშია ნახშიარი. ეს სიტყვა იყო „вуалью“.

ბანკეტზე, რომელიც ქუთაისის ლიტერატურულ საზოგადოებრიობას გაუმართავს ბალმონტისათვის, და რომელსაც სხვათაშორის დასწრებია ცნობილი კრიტიკოსი ვიტა აბაშიძეც, გაზეთ „თემის“ რედაქტორს გიგო დიასამიძეს ხმამაღლა წაუკითხავს გაფრინდაშვილის ლექსი.

ბალმონტს შეუნიშნავს: «В стихах Брюсова, посвященных мне, есть скрытая ложь, они надуманы; обращения Вячеслава Иванова случайны; а этот сонет в четырнадцати строках очерчивает всего меня“.

ბალმონტის ეს კება მეტად დასაფასებელი იყო ახალგაზრდა პოეტისათვის. ეს წახალისება დაუფიწყარი შეიქნა მისთვის და გამოხატულა კმოვაციდევ მის ინტიმურ ჩანაწერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1916 წელს გაზაფხულზე ქუთაისში გამოდის ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი. აქ ვალერიან გაფრინდაშვილი ბეჭდავს თავის პირველ ცნობილ ლექსებს: „ღამის ფოთლები“, „ჩემს აჩრდილს“, „Interieur“. ამ ლექსებს მოსდევს ახალი წყება ლექსებისა „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში, რომელიც იმავე წელს იქნა გამოცემული. ეს ლექსებია: „სხვადასხვა ტრფობა“, „მაღალი მთვარე“, „სონეტი“, „ძონძებში“.

ამ ლექსებიდან პირველი — „ღამის ფოთლები“, ყოველ ექვს გარეშე, ეკუთვნის მე-20 საუკუნის ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშების რიცხვს. ვაგიხსენოთ მისი სტრიქონები:

ეს უცხო ღამე; ვით შავი ძაღლი,
დაეძებს, ყნოსავს უბილავ ვარდებს,
სანამ ვარსკვლავობს ცისა სიმბლღე,
ყვეფილებს შორის ის ინავარდებს,

იდუმალ ცაზე მთვარე უძრავი
ბნელი ღრუბლების კროშით ნალექი —
როგორც ფეშხუმზე ნაკვეთი თავი
ნათლისმცემელის იოანესი.

ვარ მარტობის ჯვარზე გაკრული,
მხოლოდ ღამეა ჩემი ტაძარი,
და შვე წყვილიაღში, ყველასგან კრული,
მივდივარ, როგორც ელეზარის!

ეს პირველი ლექსების ციკლი მოგვაგონებს დანტეს ჯოჯოხეთის კარიბჭეს, საიდანაც ახალგაზრდა პოეტი შედის თავის მისტიურ ჩვენებებით დასახლებულ სამყაროში.

უკვე მეორე ლექსში „ჩემს აჩრდილს“, ვალერიან გაფრინდაშვილი სათავეს უდებს თავის ევრეთწოდებულ სარკისა და ორეულების პოეტიკას, რომელსაც ასეთი ვრცელი ადგილი უკავია მისი შემოქმედების პირველ ეტაპზე.

ეს ეტაპი, აღბეჭდილი დასავლეთ ევროპული და რუსული სიმბოლიზმის გავლენით, საკმაოდ ცნობილია და გარკვეული ქართული ლიტერატურული კრიტიკის მიერ და აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია სიტყვის ვაგრაძელება.

ვიტყვიან მოკლედ, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების პირველი კრებული „დაისები“ (1919 წ.) და ნაწილობრივ მეორე წიგნიც (1926 წ.) წარმოადგენენ ამ პერიოდის პოეტურ ნაწარმოებთა თემატური რკალის შეჯამებას, — მკაფიო გამოხატულებას იმ მისტიური მსოფლმხედველობისა, რომლის ტყვეობაშიც წლების მანძილზე იმყოფებოდა პოეტი.

არა მარტო თემატიკა, არამედ თვით სახეობრივი წყობა ამ ლექსებისა, მისი ლექსიკური შემადგენლობაც, ეჭვემდებარებიან სიმბოლისტური პოეტი-

კის კანონებს. ინდივიდუალიზმი, სრული და პრინციპიალური გამოგნა სო-
ზოგადობრივ ცხოვრებისაგან, რეალური სინამდვილისაგან—ამ პოეტის ამ
პერიოდის შემოქმედების დამახასიათებელი თვისება. ფანტასტიკა, პარა-
დოქსალობა, ფერითული მირაჟები, მისტიური ექსალტაცია, პოეტური გა-
ლუცინაციები, ღამის ჩვენებანი—აი მისი თემატური ინტერესები—ზე-
გალი სფერო.

სკეპსისი, ღრმა პესიმიზმი, მძაფრი ირონია, აი ამ დროის ლექსების საერ-
თო განწყობილება. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მომენტი: ვ. გაფ-
რინდაშვილმა, პირველად ქართულ პოეზიაში, ქართული ზღაპრული მითო-
სის პარალელად შექმნა ახალი პოეტური მითოლოგია, სადაც პერსონაჟებად
შემოიყვანა ისტორიული და ლიტერატურული გმირები: პამლეტი და ოფე-
ლია, პანბალი და ჩინგისხანი, თამარ მეფე და სააკაძე, ნერონი და პავანი-
ნი, კალიოსტრო და აშორდია, მანაბელი და გრ. აბაშიძე.

ეს პერსონაჟების ფანტასტიკა მან გააფართოვა ავადმყოფობათა და ძვირ-
ფას ქვათა განსულიერებული სახეებით. ყბაყურა, ქლეჭი, ხველა, წითელი
ბატონები—ერთის მხრივ, ზოლო საფირონი, იაგუნდი, ზურმუხტი და მთე-
ლი წყება პატიოსან თვალთა, მეორეს მხრივ—შეადგენენ მისი ლექსების
აუცილებელ პერსონაჟებს.

ჩვენთვის უცხოა და მიუღებელი ვ. გაფრინდაშვილის ამ პირველი პერიო-
დის მსოფლმხედველობა და მისტიური ჩვენებებით დასახლებული პოეტუ-
რი სამყარო. ამ პერიოდის ბევრი ლექსი დღეს მხოლოდ ილუსტრაციას
წარმოადგენს ქართული პოეზიის ისტორიის უკვე გადასული ეტაპისათვის—
მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაფრინდაშვილის ლექსებში წიგნი „დაისები“,
მაინც არ წარმოადგენს მართოდენ „შეცდომათა ძეგლს“,—არა, ეს საინ-
ტერესო წიგნი შეიცავს ბევრ ლირიკულ მიღწევებს, რომელსაც გარდუვალი
პოეტური სურნელება ახლავს და დღესაც აღძრავს ჩვენში დიდ ესთეტიურ
სიამეს. ლექსები „ხელის ორეული“, „ქალს ჩაფენილ თვალით“, „ქუთაისის
ქარში“, „ძაღლის სიმღერა“, „ღამის ფოთლები“ და მთელი რიგი სხვა,—
მუდამ დარჩებიან ქართული ლირიკული პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებად.



თავისი შემოქმედების ამ პირველ პერიოდში ვალერიან გაფრინდაშვილი
ეწევა დიდ ლაბორატორულ მუშაობას, ის ბევრს წერს, ბევრს კითხულობს,
ამდიდრებს თავის პოეტურ სიტყვის მარაგს, ადგენს თავის საკუთარი რით-
მების ლექსიკონს.

განუწყვეტელი ძიების, მოსამზადებელი მუშაობის კვალი ეტყობა მის
ერთერთ შენახულ უბის წიგნს, რომელიც 1917-19 წლების პერიოდს ეკუთ-
ვნის. ოდესმე გამოქვეყნდება ამ უბის წიგნის ჩანაწერები და მკითხველს
ნახავს, თუ რა ფართო ყოფილა მისი პოეტური ინტერესების დიაპაზონი.

აქ დაგროვილია ყველაფერი ის, რაც იპყრობდა იმ ხანებში პოეტის ყუ-
რადღებას: ახლად მოგონილი რითმა, განზრახული ლექსის გეგმა და სათა-
ური, შენიშვნა პოეზიის საკითხებზე, შეხედულება საკუთარი, ორიგინალურ
ან კიდევ სხვისი, ამოკითხული წიგნიდან.



1919 წლიდან ვ. გაფრინდაშვილი სცემს საკუთარ ორგანოს — „ქრონიკებზე ნაამორები“. ეს ჟურნალი გამოდიოდა 1924 წლამდე, სულ ~~სამეცნიერო~~ ^{სამეცნიერო} ~~ხუთი~~ ^{ხუთი} ~~ნომერი~~ ^{ნომერი} გამოიცა.

ჟურნალში, მხატვრულ მასალასთან ერთად, ყურადღებას იპყრობენ ვ. გაფრინდაშვილის თეორიული ზასიათის ნარკვევებიც. ასეთია მისი წერილები: „მალარმე“, „დავით გურამიშვილი“, „სონეტის პრობლემა“, „რითმა და ასონანსი“, „შენიშვნები ლირიკაზე“, „სახელების მაგია“, „ახალი მითოლოგია“ და სხვ.

1924 წელს ჟურნალ „დროშა“-ში — ის ათავსებს წერილს „პარიზის კომუნა და მწერლობა“. ამ ხანებში ის წერს ლექსებს: „ლენინი“, „კომუნარებს“, პოემას „პარიზის კომუნა“.

იწყება გარდატეხა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში. იდეურ-მხატვრული განვითარების გარკვეულ ეტაპზე გაფრინდაშვილისათვის სავსებით ნათელი ხდება, რომ ფანტასმაგორული ჩვენებებით და მწიგნობრული სახეებით შთაგონებული თემატიკა, რომელსაც მთავარი ადგილი ეკირა მის ადრინდელ შემოქმედებაში, არ წარმოადგენს ჭეშმარიტი პოეტური ზელოვნების საფუძველს, სიმბოლისტური პოეტიკა, რომლის ყველაზე მკაფიო გამომხატველად ქართულ პოეზიაში ერთ დროს ვ. გაფრინდაშვილი ითვლებოდა, საშუალებას არ იძლეოდა დიდი იდეური და მხატვრული პერსპექტივების გაშლისათვის. აქ იყო შემოქმედებითი ჩიხა და საჭირო იყო ამ ზღუდეების გარღვევა.

ვ. გაფრინდაშვილმა ეს შესძლო. მას სწორად უყვარდა გახსენება იმ ფაქტისა, რომ მას ეკუთვნოდა ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“, რომლითაც ის მოუწოდებდა ლიტერატურულ თანამოღვაწეებს რეალისტური შემოქმედების პოზიციებისაკენ. ეს იყო 1925 წელს.

ეს ლოზუნგი, ექსპრესიონიზმის წიაღში დაბადებული და პოეტის მიერ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში სწორად გააზრებული, მართლაც კეთილისმყოფელი მითითება იყო ახალი პოეტური გეზისაკენ — ეს იყო მობრუნება სოციალისტური სინამდვილისაკენ, ჩვენი ხალხის დღევანდელი დიდი ცხოვრებისაკენ.

ერთს ჩანაწერში, რომელიც 1937 წელს ეკუთვნის, პოეტი ამბობს: „ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჯანსაღა ჩემი მსოფლმხედველობა და ჩემი მუშაობა.“

ჩვენმა გმირულმა ეპოქამ, ჩვენმა უკვდავმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა, მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისაგან“.

პოეტი მართალი იყო. იდეურმა ევოლუციამ, სინამდვილესთან უშუალო დაახლოებამ პოეტი მოყვანა ჩვენი ეპოქის აქტუალურ საკითხებთან. ხალხის ცხოვრების ცხოველმყოფელ წყაროებთან.

საბჭოთა სინამდვილემ პოეტს გადაუშალა ახალი, მრავალფეროვანი თე-
მატიური სამყარო, რომელმაც თავის მხრივ უკანახა მას გზები ახალ მხატ-
ვრულ საშუალებათა გამოყენებისათვის. მისტიური ბუნდოვანებისა და
რთულ, განყენებულ სახეობრივ სისტემიდან — ნათელ ფერებისაკენ, პოე-
ტური სისადავისა და უბრალოებისაკენ. აი ის გზა, რამელიც განვლო
ვ. გაფრინდაშვილმა თავისი ცხოვრების 15 წლის მანძილზე და რომელმაც
მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული წონა მისცა მის შემოქმედებას თანა-
მედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის საერთო ფონზე.



მაღალი იდეურობით, ღრმა პოეტური აზრითა და წრფელი განცდებით
არის გამსჭვალული ვ. გაფრინდაშვილის უკანასკნელი წლების ლექსები.

პოეტი უმღერის ჩვენი ხალხის თავისუფალ ცხოვრებას, დიდ ბელადს,
რომელმაც გამოსკუდა ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი. ღრმა პატრიო-
ტული გრძნობით არის გამთბარი ლექსები: „ტფილისი“, „მეჩქარება“, „ნი-
კო ცხვედაძე“, „გაზაფხული ემზადება არჩევნებისათვის“ და სხვ.

ვ. გაფრინდაშვილი არა ერთხელ უბრუნდება თავის ქვეყნის თანადრო-
ულ ცხოვრებას.

ის დიდის, სიყვარულით მიმართავს ნორჩ თაობას ლექსში „მზით განათე-
ბულ ახალგაზრდობას“, უმღერის სამშობლოს აღორძინებას, მის მომავალს,
მის გმირულ წარსულს.

ვ. გაფრინდაშვილის პოეტურ ფანტაზიას მუდამ იტაცებდა დიდი ნების-
ყოფისა და მძლავრი შემოქმედებითი გაქანების ადამიანთა სახეები, რო-
გორც თანამედროვეობაში, ისე წარსულში. ამ მხრივ დამახასიათებელია
მისი ლექსები, (ციკლიდან „შეწირვები“): „რობესპიერ“, „უან-პოლ მარატ“,
„დანტონ“, „მიხეილ ბაკუნინ“, „ეელიაბოვი და პეროვსკაია“, „მარქსი“,
„ლადო კეცხოველი“, „ალ. წულუკიძე“. პოეზიის და ხელოვნების სამყა-
როდან მან ამოიჩინა საყვარელი სახელები და მიუძღვნა ლექსები რუსთა-
ველს, ბარათაშვილს, აკაკის, შექსპირს, სტენდალს, როდენს, ილია ქავჭავა-
ძეს, პუშკინს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს, შევჩენკოს.

ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია
ბუნების თემას. უაღრესად მძაფრი და ინტიმური განცდა ბუნების მომზიბ-
ლავი მშვენიერებისა, მისვლა ბუნების მოვლენებთან, როგორც სულღმულ,
გრძნობად, მორალურად ამამაღლებელ ფენომენთან, მას აახლოებს ნ. ბარა-
თაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეტური შთაგონების წმინდა წყაროებთან.

ღრმა და გულწრფელი ლირიკული გრძნობითაა გამთბარი, მაღალი სპე-
ტაკი აზრით არის გამუქებული აგრეთვე ციკლი ლექსებისა, სადაც პოეტი
ეზება თავის პირად ინტიმურ ცხოვრებას, პოეტურ ოცნებებს, წარსულის
მოგონებებს, ოჯახს, მეგობრობას, სიცოცხლისა და სიყვარულის პრობლე-
მებს.

ვ. გაფრინდაშვილი მუდამ ოცნებობდა, რომ მისი ლექსი მისულერო მშობლიური ხალხის გულამდე, როგორც „ჩამქრალი ვარსკვლავისა სხივი გვიანი“.

ის ოცნებობდა შეექმნა ხალხის გულისა და გრძნობისათვის მისთვის უცხო, მგზნებარე ლექსები, რომლებიც იცხოვრებდნენ მისი სიკვდილის შემდეგაც. ის გამოსთქვამდა ურყევ რწმენას თავისი პოეტური. მისიისა და საქმის საზოგადოებრივ რეზონანსის რეალობაში:

„და მჯერა, ჩემი სიმღერა წმინდა,
სამშობლო მხარეს ემახსოვრება“.

ვ. გაფრინდაშვილი არა სცდებოდნა: მშობლიური ქვეყანა მუდამ სათუთად შეინახავს პოეტის ზსოვნას, რომელმაც თავის ლექსებში გამოხატა ხალხის კეთილშობილი გრძნობები და მაღალი იდეები.

ვ. გაფრინდაშვილი ამ რჩეულ პოეტთა რიცხვს ეკუთვნოდა.

დაკვირვებით ნაკითხული

მეტად დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მწერალს, როდესაც ის თავის ნაწარმოებს აქვეყნებს. მაშინ მისი ფიქრი, გრძნობა და მეტყველება მთელი ხალხის ყურადღების საგნად იქცევა. ის კი, რაც საზოგადო ყურადღების ობიექტად ხდება, მართლაც საყურადღებო უნდა იყოს. მხატვრული ნაწარმოები, რამდენადაც შესაძლოა, უნდა იყოს უნაკლოდ შესრულებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიადგევს თავის მიზანს. მიზანი კი იმაში გამოიხატება, რომ განაცდევინოს მკითხველს ესთეტიური ტკბობა. სიტყვა „ტკბობა“ ჰყარგავს ამ შემთხვევაში იმ, ცოტა არ იყოს, ვულგარულობის იერს, რომელსაც ატარებს იგი, როდესაც საქმე ხორციელ საიმოვნებას შეეხება. ესთეტიური ტკბობა აკეთილშობილებს, ზნეობრივად აფაქიზებს ადამიანის სულს და ამაშია მისი მაღალი აზრი.

საჭირო არ არის ვილაპარაკოთ აქ ნიჭის შესახებ. ნიჭი თანდაყოლილი თვისებაა, იგი იმიტომ არის დაუფასებელი, რომ არ შეიძლება მისი შექენა; ის აუცილებელი საფუძველი უნდა იყოს ხელოვნების დარგში ყოველგვარი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. მაგრამ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არ კმარა მარტო ნიჭი. ხელოვანის ამ თანდაყოლილ თვისებას უნდა დაერთოს კიდევ ბევრი რამ ისეთი, რისი შექენა მხოლოდ სწავლითა და ცხოვრებაზე დაკვირვებითაა შესაძლებელი. მწერალს უნდა ჰქონდეს თავისი დროისათვის შესაფერი ფართო განათლება, ცხოვრების გამოცდილება, კლასიკური მწერლობის ნიმუშების კითხვით გაფაქიზებული და ამადლებული მხატვრული გემოვნება, მშობლიური ენის არა მარტო საფუძვლიანი ცოდნა, არამედ მისი ვირტუოზული მოხმარების უნარიც. სტილი მისი მეტყველებისა სიხარულსა და გაციებას უნდა იწვევდეს მკითხველში, როგორც მისთვის მიუღწეველი ოსტატობა. ზედმეტი ლაპარაკი გრამატიკულ შეცდომებზე, მათ არ უნდა ჰქონდეთ ადგილი გამოქვეყნებულ ნაშრომში. ენობრივი შეცდომების შემჩნევა დაბეჭდილ ნაწარმოებში ისევე არასასიამოვნოა კვალიფიციური მკითხველისათვის, როგორც ლურსმნის, თოკის ნაწყვეტის, ან სხვა რაიმე ნივთის აღმოჩენა გამოცხვარ პურში. თუ მასწავლებელი მოწაფის რვეულში წითელი ხაზით აღნიშნავს გრამატიკულ შეცდომებს, როგორც დაუშვებელ მოვლენას, როგორ შეიძლება მათი მოთმენა მწერლობაში? რა თქმა უნდა, არც ერთი მწერალი სავსებით დაზღვეული არ არის ენობრივი ან აზრობრივი ხასიათის ლაპსუსისაგან, მაგრამ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ფრიად იშვიათი მოვლენა. ზედმეტი არ იწინება გავიხსენოთ აქ არისტოტელეს ნათქვამი პოეტური ქმნილების შესახებ: „თუ ეს შესაძლებელია, არავითარი შეცდომა არ უნდა იქნეს დაშვებული.“

დემკრუტი მეტყველების მქონე მწერალთა წრეში ზოგჯერ შეიძლება ყურა მოჰკრათ ირონიულ ლაპარაკს „სუფთად წერის“ გამო. საჭიროა ამ ხაკითხში არსებობდეს სრული გარკვეულობა. სუფთად წერა ცუდია, როცა ნაწარმოები „გასუფთავებულია“ გრძნობისა და აზრებისაგან (ფიქსიონალა იოქვა, რომ ამ შემთხვევაშიც წერა სუფთად სჯობს, ვიდრე სუფთად-თაოდ), მაგრამ თუ მწერლის ქმნილება ღრმად შინაარსიანია, მაშინ მისი ფასი მით უფრო მაღალია, რაც უფრო დაწმენდილი და სუფთაა მისი სიტყვიერი გამოხატულება. გაკრიალება არ უხდება, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ვერ შევლის თხზელის ფიცარს, მაგრამ მუხის, კაკლის, ან წითელი ხის ფიცარი გაკრიალებული ბევრად უკეთესია, ვიდრე უბრალოდ გარანდული. აუშკინს უნიკობით არ მოსდიოდა, რომ ისე დაეინებით ასწორებდა თავის ლექსს. იგი სჩადიოდა ამას, როგორც მაღალი მხატვრული გემოვნების მქონე ხელოვანი, რომელიც ვერ ითმენდა ლექსში ვერაფერს ხორკლსა და უსწორმასწორობას. დაუდევრობა სტილის მიმართ ნაკლია დიდი მწერლისათვის და არა მისი ღირსება.

მაგრამ ჩვენ ქვემოთ ლაპარაკი არც სტილზე გვექნება და არც დიდ მწერლობაზე. ამ წერილის თემას წარმოადგენს ერთ ახალ მოთხრობაში შემხნიული უბრალო ენობრივი და აზრობრივი შეცდომების განხილვა.

ამასწინათ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№№ 18 და 19) დაიბეჭდა მ. მრეველიშვილის მოთხრობა „ოქროს ზარნიშაინი ხანჯალი“. მ. მრეველიშვილი პირველად როდი იბეჭდება. დაახლოებით ამ ოცი წლის წინათ მას, როგორც ნიჭიერ დამწვებ მწერალს, მე და ჩემმა ამხანაგებმა ერთ ჩვენს ქურნალში გამოვეუქვეყნეთ მოთხრობა. შემდეგ ის რატომღაც ჩამოშორდა მწერლობას. მით უფრო დიდი ყურადღებით წავიკითხე მისი ახალი, შემოთდასახელებული ნაწარმოები, რომელიც არ იქნებოდა ცუდი, რომ თავისუფალი იყოს მთელი რიგი შეცდომებისაგან. მოვალედ ვთვლი ჩემს თავს მოურიდებლად ვამხილო ჩემს ძველ კოლეგას ჩემთვის მოულოდნელი მისა თვალსაჩინო ლიტერატურული ნაკლი, რომ შემდეგში მაინც შესძლოს ამ ნაკლის თავიდან აცილება.

მოთხრობის პირველ აბზაცში ვკითხულობთ: „ფანჯრების გადაღმა თეთრად გადაპენტილი ბაღი კიდეც უფრო ასკეცებდა ამ სითბოსო“. ცხადია, რომ აქ უადგილოა სიტყვები „კიდეც უფრო“, ვინაიდან შედარების ბარისხი ზუსტად არის განსაზღვრული (ასკეცებდა). ზომ არავინ ამბობს — „კიდეც უფრო აორკეცებდა“, „კიდეც უფრო ასამკეცებდა“. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მოვლენის „კიდეც უფრო“ გაძლიერებაზე ან შესუსტებაზე საერთოდ. არას ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა გზითა და რა საშუალებით ასკეცებდა ოთახში სითბოს ფანჯრიდან დანახული თოვლით დაფარული ბაღი. ავტორს სურს სთქვას, რომ ეს თოვლიანი ბაღი აძლიერებდა სითბოს შეგრძნობას ოთახში. ცოტა ქვემოთ სწერია: „ბუხარი, ეს უხსოვარი მეგობარი რაინდული ქარაგმებისა“. რას ნიშნავს „რაინდული ქარაგმები“ და როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, ბუხარის მეგობრობა რაინდულ ქარაგმებთან? ეტყობა, მწერალს უნდა აგრძნობინოს მკითხველს, თუ როგორ შესაფერ განწყობილებასა კქმნის თბილი ბუხარი მეგობრული საუბრისათვის. რაინდობა და მით უმეტეს ქარაგმები კი აქ არაფერ შუაშია.

ჩვენი დივიზია ალაგირის მისადგომებთან იდგა და სხვა ნაწილებთან ერთად მტრის გააფთრებულ შემოტევას იგერიებდა. ყველა ჩვენგანი გრძნობდა მტრის შესუსტებულ მაჯისცემას“. თუ მტერს „გააფთრებულო“

იყრიწები მოჰქონდა, როგორ გრძნობდა ყოველი მათგანი მის „შესუსტებულ მაჯის ცემას“? სხვანიარად უნდა გამოეთქვა ავტორს თავისი პარი.

„ჩრდილოეთიდან წამოსული სქელი ღრუბელი შავი კუბრივით ეკროდა ცას და ნისლი წვებოდა ირგვლივ“. იქვე ქვემოთ სწერია: „ფიქვანა უხამთარში, მით უმეტეს, როდესაც თოვს, ღრუბელი არ არის შავი, არამედ კუბრივით შავი. შავმა ღრუბელმა ზაფხულზე იცის გამოჩენა, და იგი სეტყვის, ან ზოგჯერ ძლიერი ქარიშხლიანი წვიმის მომასწავებელია. გავიხსენოთ ილია კაეკავაძის „განდევილიდან“: „უეცრად ასტყდა რამ ნიაფ-ქარი, დაპბერა კლდეთა, ნაბრალთ და მღვიმეთ, და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი შავი ღრუბელი დაიძრა მიძიმედ“. და შემდეგ: „ცა აირია დაბნელდა უცებ და წამოვიდა სეტყვა შხულით“. ეს ზაფხულის საღამოს მოხდა.

მოთხრობაში ამბის მომყოლი მეთაური თავს წაადგება მიძიმედ დაქრილ ქართველ მეომარს, რომელიც კენესის. „— არაყი! — ეუბრძანე მე. ვონს მოვიდა. ხელი წამავლო“. ვის უბრძანა? გამოდის თითქოს მომაკვდავს უბრძანა. ნამდვილად კი ბრძანება მიმართულია იქვე მდგომი ჯარისკაცისადმი, რომელიც არაყის ნაცვლად წყალს მიაწოდებს დაქრილს უკანასკნელის თხოვნის მიხედვით. მაშ რაღა აზრი აქვს მეთაურის წამოძახებას ამ შემთხვევაში? შემდეგ: „თოვლის ფიფქები უხმოდ ცვივოდა მიწაზე და სისპეტაკე სუღარისა ჩუმად ჰგლოვობდა კაცს.“ როგორ შეიძლება, რომ განყენებული ცნება „სისპეტაკე“ ჰგლოვობდეს კაცს ან სხვას ვინმეს?

„შემთხვევით გახსნილ ჩანთის ძირზე ხანჯალი და ეს რვეული აღმოვაჩინე. მომცრო ხანჯალი მართლაც რომ ძლიერ ღამაში იყო“. რა შუაშია აქ სიტყვები „მართლაც რომ“, როდესაც ზემოთ ხანჯალი სრულებით არაა ნახსენები? ეს ხანჯალის „კოხტა ბუდეში ჩაქედილი“. თუ ის ბუდეში „ჩაქედლია“ და არა ჩამჯდარი, ან ჩაგებული, მაშინ საჭიროების დროს მისი ბუდიდან ამოღება შეუძლებელი იქნება. ხანჯლის ზარნიშს ასე ავვიწერს ავტორი: „ოქროს ზარნიშის მოყვითალო ვიწრო ძარღვები ხვეულებში იკარგებოდნენ და სამყურა ბალახის ყუნწზე, ყველა მომღვენო თაიგული, ოთხ საბედო ფოთოლს ხატავდა“. რანაირად იკარგებოდნენ ზარნიშის ძარღვები ხვეულებში, როდესაც ხვეულები თვით ამ ზარნიშის ძარღვებისაგანაა მიღებული? რა არის ეს „ყველა მომღვენო თაიგული“? ავტორს ყრუდ კი არ უნდა ეთქვა „საბედო“, არამედ აეხსნა მკითხველისთვის, თუ რატომ იყო გამოხატული სამყურა ბალახის ყუნწზე სამის მაგიერ ოთხი ფოთოლი. „მართალია ნაღმისა და ტანკის ხანაში, ის თითქოს ჰკარგავს თავის ელფერს...“ ავტორს უნდა სთქვას, რომ თანამედროვე ომის პირობებში ხანჯალს დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა, „ელფერი“ კი აქ არაფერ შუაშია. „მაგრამ უკვდავი იარაღია თავის ალაგას“. ამგვარი რამ არა თუ დაბეჭდილ ნაწარმოებში, უბრალო საუბრის დროსაც კი არ უნდა ისმოდეს, ვინაიდან უკვდავება მარადიული თვისებაა, და შეუძლებელია, რომ საგანი (ამ შემთხვევაში ხანჯალი) ხან უკვდავი იყოს, ხანაც კიდევ მოკვდავი. „უკვდავის“ ნაცვლად მწერალს უნდა ეხმარნა აქ სიტყვა „უბადლო“.

„მართალია უცნობ ავტორს, მამა-პაპათაგან მოყოლილი ძველი ამბავი მხატვრულ ჩარჩოში ჩაუსვამს და ქარგად ბუნება უხმარია, მაგრამ ამით მოთხრობას ელფერი არ დაუკარგავს“. რატომ უნდა დაჰკარგოდა ამით მოთხრობას ელფერი? პირიქით, ამბავის მხატვრულ ჩარჩოში ჩასმა და ბუნების აღება ქარგად ელფერს შეჰმატებს მოთხრობას. ნამდვილად კი მწერალს უნდა სთქვას, რომ წინაპრებისაგან გადმოცემულ ამბავს, მიუხედავად მისი

მხატვრულ ნაწარმოებად დამუშავებისა, არ დაუკარგავს თავისი წინანდელი უბრალოება და სისადავე.

ომის შესახებ ავტორი ამგვარ სენტენციას გამოსთქვამს: „ყველა ომი პატარა-პატარა ნაწყვეტების დიდ-ტანიანი კრებულია, რომელმაც კმენტობა ერთი ნებით შედგენილი, ჰქმნის გამარჯვების სიმფონიას“. მქალაქის მქალაქებს ველს ის შეუსაბამო დასკვნა შეუძლია გამოიტანოს, რომ ყოველი ომი გამარჯვებით სრულდება. არც ის ნაწყვეტებია „პატარა-პატარა“, რომლისაგანაც ომი შესდგება; ჩვენ დავინახეთ, რომ თანამედროვე ომის „ნაწყვეტები“ გრანდიოზული ძალების შეჯახებებს წარმოადგენენ.

ზემოთაღნიშნული შეცდომები ამოკრფილია ნაწარმოების ექსპოზიციიდან. მოთხრობა კი არსებითად ამის შემდეგ იწყება. აი ამ ნაწილის პირველი ფრაზები: „მწუხრი გადაჰფაროდა ალაზნის ველს. ნაპრალებში წებობდა ღამე“. როდესაც მწერალი ამბობს, რომ მწუხრი გადაჰფარებოდა (და არა გადაჰფაროდა) ველს, რომ ნაპრალებში წებობდა ღამე, რა დრო უნდა წარმოიდგინოს მკითხველმა? მზე ჩასული იქნება თუ არა? ცხადია, ჩასული უნდა იყოს. გაეხსენოთ მაგალითისათვის ილია ჭავჭავაძის ლექსი: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა, — და მთვარის შექმედ მთებისა ჩრდილი ალაზნის ველზედ წამოიხარა“. მოთხრობაში კი ცოტა ქვემოთ ჩვენ ვტყობილობთ, რომ ჯერ მზე არ ჩასულა, და მასთანადამე ნაადრევია მწუხრის გადაფარებაზე ლაპარაკი. ნ. ბარათაშვილი შესანიშნავი თანამიმდევრობით აგვიწერს შემოღამებას თავის ცნობილ ლექსში. ჯერ: „ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი“, შემდეგ: „შემომერტყმოდა მისის მწუხრი, აღმესები ნაპრალთ მდუმარებითა“, ბოლოს: „ბინდი ვადეკრა ცისა კამარას“. თორემ ვის უნახავს ჯერ მწუხრი და ღამე, ხოლო შემდეგ მზის ჩასვლა? ყოველი აღწერა მხოლოდ მაშინ იწყებს მკითხველში სიამოვნებას, თუ დაჭერილია მსგავსება სინამდვილესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჰბადებს უკმაყოფილების გრძნობას.

„ნოემბრის მზიან, მაგრამ სუსხიან დღეს ბოლო ეღებოდა“. თუ კახეთში ნოემბრის დღე მზიანია, არ შეიძლება იმავე დროს, იგი სუსხიანიც იქონოს. ნოემბრის მზიან დღეს ალაზნის ველზე ზოგჯერ ცხელა კიდეც. „შემოდგომის სევდიანი სიჩუმე უძრავად იდგა“. ამ სიტყვებს აქვთ მხატვრულობის პრეტენზია, მაგრამ ამგვარ მხატვრობას მართლა შეუძლია ელფერი კი არ შეჰმატოს, პირიქით, სრულებით დაუკარგოს მოთხრობას. არაერთგვაროვანი არაა იგი არ შეიძლება სიჩუმის უძრავად დგომაზე, ან მის წასვლა-წამოსვლაზე. იმას, რის თქმაცა სურს ამით ავტორს, სხვანაირად უნდა გამოხატვა. „ძილატეხილი შაშვი მწუხრს უგალობდა“. რატომ უნდა იყოს ძილატეხილი შაშვი მზის ჩასვლის დროს (მზე ჯერ კიდევ არ არის ჩასული, როგორც ამას აქვე ქვემოთ დავინახავთ)? პირიქით, ამ დროს ფრინველებს, კერძოდ, შაშვებს, დიდი გამოცოცხლება ემჩნევთ. მაგრამ ამ შაშვის კიდევ უფრო მეტი უცნაურობა იმაში გამოიხატება, რომ ის ნოემბერში გალობს. შაშვები, როგორც სხვა მაგალობელ ფრინველთა უდიდესი ნაწილი. ბუდობის პერიოდში, გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს გალობენ. ნოემბერში კი შაშვის, ან ბუდულის გალობა არ შეიძლება. ძველ საბერძნეთში კრიტიკა დიდ ადგილს უთმობდა ნაწარმოებში აღმოჩენილი შეცდომების განხილვას. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ ასწავლის პოეტებს, ერთის მხრით სხვადასხვა შეცდომების თავიდან აცილებას და, მეორეს მხრით, კრიტიკის თავდასხმების მოგერიებას. იგი ერთგან სწერს: „არ არის

იმდენად მნიშვნელოვანი, თუ პოეტი არ იცის, რომ ფურ-ირემს რჩეები არა აქვს, რამდენადაც ის, თუ პოეტი ფურ-ირემს სინამდვილესთან შეუფარდებელ მდგომარეობაში წარმოგვიდგენს“. სრული ჭეშმარიტება არის ეს. ჩვენც შეგვიძლია ამ შემთხვევაში ვთქვათ: დიდი უბედურება არა უტყნება, თუ არ ეცოდინება მწერალს, რომ მამალ შაშვს (მამალი შაშვი გალობს) ყვეთელი ნისკარტი აქვს. მაგრამ ნოემბერში შაშვის გალობაზე ლაპარაკი მნიშვნელოვანი შეცდომაა, რადგან აქ ეს ფრინველი წარმოგვიდგება სინამდვილესთან შეუფარდებელ მდგომარეობაში.

„ნაფოლადარ ნაღს ნაპერწყლები სცვივოდა“. რას ნიშნავს „ნაფოლადარი“ ნალი? რკინა, რომლისგანაც ნალი იყო გაკეთებული, ჯერ იყო ფოლადი და მერე დაკარგა ფოლადის თვისება, თუ როგორ? საერთოდ კი ნალისათვის ფოლადს არ ხმარობენ. „ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი მხედრის საჭურველზე ბრჭყვინავდა. ჯერ კიდევ დღე სულ არ გაპყროდა დედამიწას, როცა რაინდი შუა-მთის მონასტრის გალავან-კარს მიუახლოვდა“. ამ სურათის მიხედვით მკითხველს ეგონება, რომ შუა-მთის მონასტერი რაღაც თვალუწევდნ ტრამალზე, ან მალღობზე მდებარეობს და ჩამავალი მზის სხივები ეალერსებიან მას. ნამდვილად კი ეს მონასტერი მოთავსებულია გომბორის მთის ძირში და ცივ-გომბორის ჩრდილი რომ გადაეფარება მას, იმ დროიდან მოკიდებული მზის ჩასვლამდე ძალიან დიდი დროა კიდევ. აგვარად ჩამავალი მზის სხივები იმ არემარეს არ ზედება. რა არის „გალავან-კარი“? არსებობს ცალკე სიტყვა გალავანი და ცალკე სიტყვა კარი. რაინდი მიუახლოვდა არა „გალავან-კარს“, არამედ გალავანს, ან გალავნის კარს.

„რამი შეტორტმანდა და შესდგა. ძახილზე მძიმედ შეიჭრიალა რკინა-სალტე მოყოლილ მუხის კარებმა. სათოფურებიდან გადმოიხედეს შუბიანმა გუშაგებმა და საღდაც შორს ჯაჭვზე მიბმული ქოფაკი აყეფდა“. არ შეიძლება ითქვას „რკინა-სალტე მოყოლილ მუხის კარებმა“. მოყოლა შეიძლება ამბის, ხოლო იმას, რის თქმაც ავტორს უნდა, ეწოდება „შემოყოლება“. გარდა ამისა, უნდა ითქვას არა „რკინა-სალტე“, არამედ „რკინის სალტე“. გუშაგებს, თუ კი ისინი ფხიზლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, უნდა გადმოეხედნათ არა მას შემდეგ, როდესაც კარის გაღება დაიწყეს, არამედ მანამდე. აქ რომ სათოფურები არ იყოს ნახსენები, მკითხველს ეგონებოდა, რომ ეს ამბავი ხდება არა უგვიანეს საშუალო საუკუნეებისა. ნამდვილად კი აქ აწერილია მეთვრამეტე საუკუნის დამლევის ამბავი, და მაშასადამე, სათოფურებიდან უნდა გადმოიხედონ არა შუბიანმა, არამედ თოფიანმა გუშაგებმა.

„— რომელი ხარ? — გაისმა სიჩუმეში დაბოხებული ხმა ნამძინარევი მნათისა“. რატომ სიჩუმეში, როდესაც გალავნის კარს ცხენი ჭენებით მიადგა, კარს ჭრიალით აღებენ და შორს ჯაჭვით დაბმული ძალი ჰყეფს? რა მიზეზია, რომ ეს მნათე, შანვასა არ იყოს, ნამძინარევია მზის ჩასვლის დროს? მნათემ მკითხა მოსულს ვინაობა; „— მეფის დედ-ბაში ლევან ლალიაშვილი, გამიღეთ კარი. — იყო პასუხი ცხენზე შეტორტმანებული რაინდისა“. ზემოთ ცხენი შეტორტმანდა, როდესაც გაჩერდა, ახლა რაინდი ტორტმანობს გაჩერებულ ცხენზე. რატომ ტორტმანობს, მთვრალი ხომ არ არის? მხედარი ეუბნება მნათეს: „მიმ-ბაში მიჩვენეთ, ბატონიშვილის უსტარი მაქვს“. მნათე უპასუხებს: „სძინავს სუშბათაშვილსა, დაღლილია“. აქ უკვე მკითხველი ძალა-უნებურად უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ძილი მზის ჩა-

სვლის დროს საერთო მოვლენა ყოფილა იმ ეპოქაში, რომელსაც ავტორი აგვიწერს. ასე თუ ისე, დავიხსოვოთ, რომ სუმბათაშვილი დადლილი ყოფილა და სძინებია. მხედარი სთხოვს — „გაადეიქეთო“. ამაზე მხედრები შეიშშუნა, თითქოს შეეკვდაო“. შეეკვება აქ არაფერ შუევილიყო. მხედრები განწყობილებას, რომლის ჩვენება ამ შემთხვევაში ავტორს უნდა, გამოხატავს არა სიტყვა „ეკვი“, არამედ „ყოყმანი“.

შემდეგ მნათე წავიდა სუმბათაშვილის გასადეიქებლად. ვიდრე ის უკან დაბრუნდება სტუმრის მისაწვევად, ავტორი ასე აგვიწერს გარემოს: „საკმაოდ შებინდდა. მწუხრის ეამთ-ლოცვის მათუწყებელი ზარების ხმა, დაისის სევდიან სიჩუმეში ჩაიძირა. საკნებში სახთლების მკრთალი ციმციმა შუქი აკიაფდა. მონასტრის გალავანში ჯარის გაშლილი კარგები და სამონასტრო მარან-ბეფლები წყვდიადში ჩაიფლო. ნოემბრის პირბადრი მთვარე ჯერ არსად სჩანდა. მის მაგიერ ილტოდან წამოსული შავი ღრუბლები ზღაზვნით განერთხა ცის კიდურსა და აქა-იქ აკიაფებული ვარსკვლავების ბრჭყვიალა შუქს გადაედობა. თეთრწყლებიდან მონადენმა ზენამ ტყეში პანტისა და პაქალოს ტოტებს დარჩენილი ფოთლები ჩამოაბერტყა და პაერში აიტაცა. აცივდა“. გამოვამედავნოთ ამ ამონაწერში ჩამალული შეცდომები. თუ საკმაოდ შებინდდა, ზარების ხმა დაისის სიჩუმეში ვერ ჩაიძირებოდა, ვინაიდან დაისი ეწოდება მზის ჩასვლის დროს შებინდებამდე. ცუდად ისმის სახთლების შუქის სამკეცი დახასიათება — „მკრთალი ციმციმა შუქი აკიაფდა“; საკმარისი იქნებოდა, თუ ავტორი იტყოდა — „მკრთალი შუქი აციმციმდა“, ან „მკრთალი შუქი აკიაფდა“. არ შეიძლება ზოგადად ითქვას „ნოემბრის პირბადრი მთვარე“, რადგან არაფრით არ განსხვავდება ნოემბრის მთვარე ოქტომბრის, დეკემბრის ან რომელიმე სხვა თვის მთვარისაგან. გამოდის, რომ ნოემბერში მთვარე სულ პირბადრია. როდესაც, მაგალითად, ნ. ბარათაშვილი სწერს — „მაისის მწუხრი“, ეს გასაგებია, ვინაიდან მაისის მწუხრი განსხვავდება ივლისის, აგვისტოს, ან მით უმეტეს, იანვარ-თებერვლის მწუხრისაგან თავისი ტემპერატურით, სურნელებით და ფერების შეხამებით. მთვარე კი იცვლება არა თვეების, არამედ დღეების ცვლასთან ერთად. „შავი ღრუბელი ზღაზვნით განერთხა ცის კიდურსა და აქა-იქ აკიაფებული ვარსკვლავების ბრჭყვიალა შუქს გადაედობა“. თუ ღრუბელი ცის კიდურს განერთხა ის დაჰფარავდა ვარსკვლავების ძალიან მცირე ნაწილს, ვინაიდან ვარსკვლავთა დიდი უმრავლესობა მაღლა ცაზე სჩანს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ლაპარაკია პირველად გამოჩენილ ვარსკვლავებზე. ესეც საკითხავია — რატომ აკიაფდნენ მხოლოდ აქა-იქ ვარსკვლავები, თუ კი ყოველივე გარშემო წყვდიადში ჩაეფლო? წყვდიადი ნიშნავს განუპკრეტელ სიბნელეს, საბა-სულხან ორბელიანის განმარტებით — „ფრიალ ბნელსა, სულა შეუძლებელსა“. როდესაც ქვეყანა წყვდიადში ჩაეფლობა, ცა უკვე ვარსკვლავებით მოიჭედება. აღსანიშნავია აგრეთვე წყვდიადის დამკვიდრების არაბუნებრივი სიჩქარე. როდესაც მხედარი შუა-მთის მონასტერს უახლოვდებოდა „მზის უკანასკნელი სხივი მხედრის საკურველზე ბრჭყვინავდა“, მონასტრის გალავნის კარს როცა მიადგა იგი, „ჯერ კიდევ დღე სულ არ გაპყროდა დედამიწას“, კარი მაშინვე გაუღეს, მნათე შევიდა იქვე შენობაში, რომ სუმბათაშვილისათვის მხედრის მოსვლა შეეტყობინებინა, და როგორ დამკვიდრდა ისე უცებ წყვდიადი, ესე იგი განუპკრეტელი სიბნელე?

ზემოთმოყვანილ ციტატში ვკითხულობთ: „თეთრწყლებიდან მონადენმა ზენამ ტყეში პანტისა და მაჟალოს ტოტებს დარჩენილი ფოთლები შემოაბერტყა და ჰაერში აიტაცაო“. ჯერ აქ, როგორც მცირე შენიშვნა, უნდა ათქვას, რომ, თუ კი მოხსენებული იქნება ადგილი, საიდანაც ქვემოთ მოყვანილს, აღარაა საჭირო იმის აღნიშვნა ზენა არის ეს ქარი, თუ ზენაა ეს ქარი. მაგრამ მთავარი აქ სხვა საკითხია. ვისმა თვალმა გაარჩია, როდესაც ქვეყანა წყვდიადმა შთაბრუნა, სადღაც ტყეში პანტისა და მაჟალოს ხეები და, მით უმეტეს, მათი ფოთლები? ეს არ არის უქმი კითხვა. არ შეიძლება, მაგალითად, რომ ავტორი, ან მისი გმირი, მისჩერებოდეს ღამის წყვდიადით მოცულ ვენახს და არჩევდეს იქ ერთმანეთისაგან თეთრსა და შავ ყურძენს. ბაირონს ერთი ასეთი ადგილი აქვს „ღონ-ქუანში“. ქალურად გადაცმული ღონ-ქუანი ღამით შექყავთ სულთნის მარამხანაში. სულთნის ღამაზე ცოლებს სძინავთ, და ბაირონი აგვიწერს დაწვრილებით მათ პოზას, სახეებს, თმებისა და ღმერთების ელფერს. უცებ პოეტი შესწყვეტს აღწერას და შენიშნავს: „მე შეუსაბამობას როდი ვლამბარაკობ, თუმცა შეიძლება, რომ ასე ეჩვენოს კაცს: ღამე იყო, მაგრამ ღამპრები ენთო, როგორც უკვე მქონდა ზემოთაღნიშნულიო“. ჩვენს ავტორს კი ბუნებრივად მიაჩნია, რომ უმთვარო ღამეში და ისიც ტყეში ადამიანის თვალი პანტისა და მაჟალოს ხეებსა და მათ ფოთლებს არჩევდეს. ეს არა თუ ღამე, დღეც არ შეიძლება, რადგან ტყეში სხვა ხეებიც არის, და ქარი მათაც ჩამოაცლიდა შერჩენილ ფოთლებს. ზემოთამოწერილი ციტატის უკანასკნელი სიტყვაა „აცივდა“. ესეც უადგილოა, ვინაიდან, რაკი დღე „სუსხიანი“ იყო, ღამე არა თუ აცივდებოდა, ძალზე მაგარი სიცივე იქნებოდა.

„გამოცდილმა მემომარმა სტუმარი იცნო. იმის სადროშოში იბრძოდა ლალიაშვილი ღირბს. გულადი მემომარი იყო გლეხთაგან. მეფემ გაანთავისუფლა ყმა და დელ-ბაშობა უბოა“. რატომ „გამოცდილმა“? წინათ ნახული კაცი რომ შემდეგ შეხვედრის დროს იცნო, ამისათვის საჭიროა არა გამოცდილება, არამედ მეხსიერება. ზემოთ ავტორმა ამ ლალიაშვილს ორჯერ უწოდა რაინდი, აქ კი ირკვევა, რომ ის ყოფილა მემომარი გლეხთაგან, მეფის მიერ განთავისუფლებული ყმა. „რაინდი“ გარკვეული ცნება არის, და არ შეიძლება ეს სახელწოდება გლეხს მივაკუთნოთ.

„ლევანმაც იცნო ლუარსაბი, ცოტა შეთეთრებულყო კიდევ ღირბის ომის შემდეგ“. როგორ შეიძლება აქ იმის თქმა, რომ ლევანმა „იცნო“ ლუარსაბი?! ლევანი ყოფილა ღირბის ომის მონაწილე, სადაც სუმბათაშვილი სარდლობდა, იმ ომის შემდეგ რამდენიმე წელიწადი გასულა მხოლოდ, რადგან ჰალარა ლუარსაბი „ცოტა შეთეთრებულყო კიდევ“. გარდა ამისა, რაც მთავარია, ლევანი ახლა გზაში კი არ ხვდება შემთხვევით ლუარსაბს, რომ ცნობასა თუ ვერ ცნობაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი, არამედ პირდაპირ მიდის მასთან ბინაზე, შედის ოთახში, სადაც მას მხოლოდ და მხოლოდ ლუარსაბი უნდა დახვდეს. იცნობდა, აბა რა მოხდებოდა?

ზოგან ავტორს ვერ გაურჩევია სიტყვა „ყველა“ „ყველაფრისაგან“. მაგალითად: „ღეთის წყალობით უნდა გავიგო ყველა.“ ან „ყველა მოუტანა მნათემ“. ცხადია, ორივე ამ შემთხვევაში უნდა ეწეროს „ყველაფერი“ და არა „ყველა“.

ეს შეცდომები ამოკრეფილია მოთხრობის პირველი ნახევრიდან, მეორე ნახევარი გაცილებით უფრო დაკვირვებულადაა შესრულებული. კარგ მკვტი ითქმის: ის ნაწილი, რომელიც ეხება ლალიაშვილის გასვლას ალაზანს გაღმა, ლეკთა ბანაყის დაზვერვასა და ალექსანდრე ბატონიშვილისთვის წერილის გადაცემას, ყოველი მხრით კარგადაა დაწერილი. შაგრაშ შაინიც ასეთი სახით, ესე იგი ყველა აქ აღნიშნული შეცდომების გაუსწორებლად, ამ მოთხრობის გამოქვეყნება სავსებით დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. წარმოედგინოთ ერთი წუთით, რომ ეს მოთხრობა არის არა მოთხრობა, არამედ მხატვრის მიერ დახატული სურათი; ცხადია, რომ ამგვარ ნაკლოვან სურათს ეიური არ მიიღებდა ექსპონატად ჩვენი მხატვრების გამოფენაზე. მწერლისთვის კი ნაწარმოების დაბეჭდვა იგივეა, რაც სურათის გამოფენა მხატვრისათვის. რატომ, რა საბუთით უნდა წავუყენოთ მწერალს ნაკლები მოთხოვნილება, ვიდრე მხატვარს?

მ. მრევლიშვილმა მომავალში მეტის დაკვირვებით და ოსტატობით უნდა სწეროს; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუჭირდება მას ლიტერატურის ასპარეზზე ფეხის მომაგრება.

თანამედროვე ინგლისური პოეზიის მიმოხილვა

1

ინგლისური პოეზიის ტრადიცია ისტორიულად ასეთი იყო: იგი ინგლისის ისტორიის „ამაღლებულ“ მომენტებს უფრო უკეთ გამოხატავდა, ვიდრე „დაშეების“ პერიოდებს. ინგლისელი ხალხი სავსებით ბუნებრივად უფრო ასეთი ამაღლების ქაშს იძლეოდა პოეტური სიტყვის დიდ შემოქმედებს. შექსპირის დრამატიული ქრონიკები ელისაბედის ეპოქაში და ტენისონის ლირიკა ვიქტორიას ეპოქაში ამის ნათელ ისტორიულ მაგალითს წარმოადგენენ. ასეა დღესაც, თუმცა გრანდიოზული ისტორიული „ამაღლებების“ მომენტები ფრიად შემცირდა თავისი მასშტაბებით და თანამედროვე პოეზიაში უფრო „დაქვეითების“ პერიოდებისათვის დამახასიათებელმა მოტივებმა მოიკიდა ფეხი.

როგორც შეეფერებოდა იმპულსიურ და მულტიკოლორიტულ მეოცე საუკუნეს, ინგლისურმა პოეზიამ სკოლათა, მიმდინარეობათა და ინდივიდუალობათა დიდი მრავალფეროვნება მოგვცა უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისური პოეზიის ძირითადი თვისებები იყო ტექნიკური ექსპერიმენტები, ეკლექტიზმი, კრიტიკული განწყობილება, სუბიექტივისტური ანალიზი. აქ გამოიმყვანდა ძალთა გამოფიტულობა, რომელიც დაეუფლა ომისაგან დაქანცულ ინგლისურ საზოგადოებას. უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების მოტივები ინგლისურ პოეზიას მოსდევდნენ 1930 წლამდე. უგზოობის შეგრძნებას აძლიერებდა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, უმუშევრობა, ევროპის დეზორგანიზაცია და მზარდი საფრთხე დამარცხებული გერმანიის მხრივ რეალურად მოსალოდნელი რევანშისა. ეს მოტივები გაბვეული იყო ექსპერიმენტულ ფორმებში, ყველგან სჩანდა ცენტრის უქონლობა, დაფანტულობა, კაპიტალისტურ მსოფლიოში დამყარებული ანარქია.

განახლების ერთადერთი იმედი მდგომარეობდა ანალიტიკურ განწყობილებაში, რომელიც საერთო იმედგაცრუებიდან და ექვიდან გამოვიდა. ინგლისელი პოეტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაიწყო კლასიკური და უცხო ერების ლიტერატურათა შესწავლა: ძველი ბერძნები, სანსკრიტული მწერლობა, რომაელები, ფრანსუა ვიიონი, დანტე და ელისაბედის დროის მწერლები ასწავლიდნენ 30-იანი წლების ინგლისელ პოეტებს სინათლეს და დისციპლინას, რომელიც დიდხანს აკლდა მეოცე საუკუნის ინგლისურ პოეზიას.

თუ 20-იან წლებში ვიქტორიანელთა რომანტიკული ღამეული და მაშინ-
ერიული პესიმიზმი შესცვალეს სირთულისა და ცოდნის სპეციფიკურობის
მოტივებმა (რაიმე სინთეზისა და ერთიანი პრინციპის გარეშე გამოვლენილ-
მა)—სამაგიეროდ, 30-ანებში გამოჩნდა ერთგვარი რევოლუციური უწყობათა
ლღვა და ვულუბრყვილო რწმენა ეკონომიური დეტერმინიზმისადმი.

ორ მსოფლიო ომს შორის მდებარე პერიოდში ოთხი დამახასიათებელი
პოეტური ფიგურა მოსჩანს ინგლისში: უილიამ აეიტსი, თომას ელიოტი,
ეზრა პაუნდი და უ. ოდენი (რომელიც მეორე მსოფლიო ომის წინ ამერიკის
მოქალაქე გახდა). ელიოტი და პაუნდი, ძვევ როგორც მათი მიმდევრები,
20-იან წლებში მისდევდნენ ტექნიკურ ექსპერიმენტებს. ისინი სწავლობდ-
ნენ დანტეს წინამორბედებს იმავე ყურადღებით, როგორც ლაფორგს, რემ-
ბოს და სხვა ფრანგ სიმბოლისტებს. აქედან: ცდები კარგი პროზისათვის
დამახასიათებელი სიზუსტის დაბრუნებისა ინგლისურ პოეზიაში, სპეციფი-
კური, პლასტიკური სახეები და სიტყვები ნაცვლად ბუნდოვანისა და საერ-
თოსი. ელიოტი ურჩევდა პოეტებს მიუბაძნათ დანტესთვის და არა შექსპი-
რისათვის, რადგან შესაძლებელი მარცხის დროს პირველ შემთხვევაში პოე-
ტები დგებოდნენ მხოლოდ პროზაულობისა და მოსაწყენობის საფრთხის
წინაშე, მეორე შემთხვევაში კი აბსურდულობის საფრთხის წინაშე. ელიო-
ტმა თავისი „პრუფორკით“ (1917) და განსაკუთრებით „უესეტერლანდით“
(1922) საკმაო გავლენა მოახოვა და ამიტომ ადვილად დათესა პოეზიაში
შიში აბსურდულობის წინაშე, თუმცა ამავე დროს საკმაოდ უარყოფითი
შედეგებიც მოგვცა თავისი გავლენით: ზოგიერთმა პოეტმა ლექსის დახვე-
წილობა მართლაც აბსურდამდე მიიყვანა. ზოგიერთები კი მეტად ძუნწები
გახდნენ, შეიძლება ითქვას: უნაყოფონი პროდუქტიულად. მაგრამ, რა თქმა
უნდა, ამ მოვლენათა ნამდვილი მიზეზი პირველი მსოფლიო ომის შედეგად
მოვლენილ ნეგატივიზმსა და პესიმიზმში უნდა ვეძიოთ, რაც ანელებდა შე-
მოქმედების ენერჯიას. თვით ელიოტის მთელი პოეზია 1930 წლამდე ერთ
პატარა წიგნში ჩაეტევა.

რაც შეეხება პაუნდს, იგი სწორად პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის
განმავლობაში და თავის ნაწერებში იცავდა ეპიგრამატიკულ ბრწყინვალე-
ბას. ბოლოს კი იგი მოხვდა ფაშიზმის „კულტურულ“ უდაბნოში. ხოლო
აეიტსი დარჩა პერიოდის დიდ პოეტად სიკვდილამდე (გარდ. 1939 წელს).
მაგრამ მისი გავლენა იყო არაპირდაპირი: მას ჰქონდა საკუთარი ფორმები,
რომელთა გამოყენებას სხვა პოეტი ვერ მოახერხებდა. ასეთად დარჩა იგი
მის შემოქმედების გვიან პერიოდშიც, როდესაც გადავიდა მთლად სიმბო-
ლურ სტილიზირებულ დრამაზე, რომელიც მცირე რაოდენობის რჩეული
მაცურებლების წინაშე იღვამებოდა.

30-იან წლებში ელიოტი კვლავ ტონის მიმცემი და გავლენიანი პოეტი
გახდა. რაფინირებული და მგრძნობიარე, უშიზნობით იმედგაცრუებული და
თანამედროვე სუბურბანული კულტურით რწმენაგამოცლილი ვაკუუმის
მდგომარეობაში მყოფი ბურჟუაზიული საზოგადოების განწყობილებათა
ფონზე იგი იძენს რელიგიურ განწყობილებას, ეძებს თავისებურ ანგლოკა-
თოლიკურ თემატიკას და ფორმას, უტრიალებს ბოროტის პრობლემას რე-
ლიგიური თვალსაზრისით (მიესა „მკვლელობა კათედრალში“). მისი ქვეყანა,
„სადაც ღმრთის სიტყვას არ ამბობენ“, განადგურდება ისე, რომ მის ნანგრე-
ვებზე მხოლოდ კურდღლები ირბენენ და ეკლები და ჯინჯრები გაიხარე-
ვენ და ქარი იტყვის: „აქ დადიოდნენ უღმერთო ადამიანები, მათი ერთად-

ერთი ძეგლია ასფალტისანი გზა და გოლფის ათასი დაკარგული ბურთი. დაღუპვის ამ შეგრძნებიდან ელიოტი ეძებს სიმშვიდეს და განასხვავებს შინაგან სულიერ ცხოვრებაში, რელიგიურ განწყობილებაში, იბირება ინგლისის წარსულში, რომელსაც იგი დღესაც აცოცხლებს და აფრთხილებს უსუსტო კონკრეტული ეპისოა და საერთოდ დროის გარეშე. მას ესმის, აქამდე მტკივნარში დაფარული, გაუგონარი მუსიკა, ბავშვების ხმები ფოთლებში, ხედავტბას, რომელშიც არეკლილია წარსული ცხოვრება და მომავალი. ისტ-კოკერის გარშემო მდებარე ველები მასში იწვევენ მოგონებებს გამჭრალ თაობაზე.

„იმ ვაშლილ მინდორში.

თუ არ მოხვალ მეტად ახლოს, თუ არ მოხვალ მეტად ახლოს,

ზიფხულის შუალაშის ვაიგონებ მუსიკას

სუსტი სალამურისა, და პატარა დოლის ხმას

და დაინახე მათ კოცონის გარშემო მოცეკვავეთ...“

(ლექია „Burnt Norton“).

ელიოტის პოეტური გზა, როგორც დამახასიათებელი, ერთგვარად საზღვრავს ინგლისური პოეზიის ზოგიერთი წარმომადგენლის გზას. პოეტი კონრად ეკენი ხასიათდება დისინტეგრაციის გრძნობით, იგი უღრმავდება და იკვლევს გონების ბნელ ქვეყანას, ცოტას სწერს ლირიკას და ძლიერ იყენებს მალალხარისხოვან თეთრ ლექსს („პრელუდიები“). ამერიკელი არჩიბალდ მეკლიში შლის ასტროფიზიკურ ქვეყანას („აინშტაინი“), ელიოტისებურ სუბიექტივიზმს ამკლავებს (ა. მეკლიშის „პამლეტი“), მაგრამ თავის „კონკვისტადორში“ გვაგრძნობინებს ახალ ძალასა და ნარატიველი პოეზიის დისციპლინას. ელიოტისა და პუნდის ვაგლენის ქვეშ არიან მოხვედრილი ჯონ კროუ რესნომი, კლასიკურად ელვგანტური პოეტი, და ალენ ტეიტი, ინერტული, მაგრამ დახვეწილი პოეტი. უფრო დამოუკიდებელი არიან პოეტები კემინგსი (რომელიც მისდევს საკუთარ ექსპერიმენტებს და ხშირად იმარჯვებს კიდევ, მაგრამ ზოგჯერ სწერს უფრო თვალისთვის, ვიდრე ყურისთვის), მარიან მური (აღწერილობითი პოეზიის წარმომადგენელი დღეს, ორიგინალური და მახვილი), უოლფს სტივენსი (ეგზოტიკურად და ფილოსოფიურად განწყობილი) და ჯერემი ინგოლისი (ნიჭიერი 40-იანელი პოეტი, მე-17 საუკუნის „მეტაფიზიკოსთა“ პოეტური სკოლის ტრადიციების ერთგვარად შემაერთებელი რეალისტურ სახეებთან).

სწინებული პოეტების საწინააღმდეგო მოძრაობა ინგლისურ პოეზიაში გამოვიდა უოტ უიტმენიდან და ამერიკული სცენიდან. მისი მეთაურები იყვნენ რობერტ ფროსტი და კარლ სენდბურგი. ესენი თავისი ცდებით დაეხმარნენ 30-იან წლებში გამოსულ ახალგაზრდა პოეტების ერთ ჯგუფს, როცა ეს უკანასკნელი უნაყოფობისა და დაუსრულებელი კრიტიკული ცდების საშიშროების წინაშე დადგა. მაგრამ აქ არა მარტო ეს დახმარება მოვიდა დროზე. 30-იან წლებში გამოსულებს მოუსწრო პოეზიაში „მეტაფიზიკური“ სკოლისა და კერძოდ დონანის პოეზიის კვლავ „აღმოჩენამ“, მილტონის გავლენებმა, შექსპირის გავლენამ, რომელიც განსაკუთრებით გამომქლავნდა მოქნილი თეთრი ლექსის ხმარებაში.

1932 წელს ინგლისში გამოვიდა ერთი პატარა ანთოლოგია სახელწოდებით „ახალი ხელწერანი“ (New Signatures). ანთოლოგიის ავტორი იყო მაიკლ რობერტსი. ანთოლოგიაში შედიოდნენ სრულიად უცნობი პოეტები,

მათ შორის ოდენი და სტივენ სპენდერი. 1934 წელს კვლავ გამოქვეყნდა ამ უკანასკნელთა ლექსები. სპენდერი ადრე იცნენ. მის პოეზიაში მრავალთა ახალი ხმა:

„მე განუწყვეტლივ ვფიქრობ მაიზე, ვინც დიდი იყო,
ვინც ჰეშმარტად სულის ამბავს მოიგონებდა,
იქ საათები მზებებს ჰგვანან, ნათლის სვეტებში“...

ეროვნული
გზაურობისა

სპენდერი მაშინვე აღიარეს დიდ ლირიკოსად, თუმცა ოდენი უფრო დიდი ტექნიკური იმპროვიზაციის პოეტი იყო, თანაც უფრო ენერგიული, ხალხური ბალადებისა და ძალოვანი პოეტის ჯერარდ მანლი ჰობკინსის გზების მიმდევარი. სპენდერმა გაილაშქრა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ოდენმა კი გამოამყლავნა ყრბისისა და მომავალი კატასტროფის შეგრძნობა:

„ჩამოცვენილმა ფილემბა იციან ეს,
მოთამაშე პავშეებმა,
ფებურთის მოედანზე იციან ეს —
ეს არის უჩრბელის დღე, შთანთქმელის დღე“...

ამ ახალი თაობის პოეტები სწავლობდნენ ელიოტს, პაუნდს, ჰობკინსს, ელისაბედელებს და მე-17 საუკუნის „მეტაფიზიკოსს“ ჯონ დონნს. უფროსი თანამედროვის უილფრიდ ოუენის გავლენით ხმარობდნენ ასონანსს. ნაცვლად 20-იანი წლების ბუნდოვანი და უპასუხო ავადმყოფური გრძნობისა, 30-იანები ხასიათდებოდნენ აპოკალიფსური გრძნობით, ბრძოლის მოლოდინით და ამის გამო ერთგვარი მეტროლი განწყობილებით. წინ წამოიწია აღამიანის ბედის თემა.

ამერიკაშიც ამ დროს შედარებით შემარცხენე განწყობილებანი მეფობდნენ.

სპენდერისა და ოდენის გარდა ზემოაღნიშნული პოეტების ჯგუფს ეკუთვნოდნენ მეკნისი და დე ლუისი. ოდენის ძლიერი, ორიგინალური პიროვნება მათ პოეზიას საკუთარი განწყობილებით ასაზრდოვებდა: დეპრესია, უიმედობა (განსაკუთრებით უმეშეერობის თემასთან დაკავშირებული), ინდუსტრიული რაიონების ცხოვრების შენელება, მაგრამ ამავე დროს თავისებური „ქვეყნის გრძნობა“ (a sense of country). ამ უკანასკნელის დასახსიათებლად ისევე აჯობებს ნაწყვეტის მოტანა ოდენის „პროლოგიდან“:

„ო სიყვარული, უფრო ზეცისადმი ყრბიდების გამღვიძებლო,
ყოველდღიურად გამარტივე ადამიანის გულისცემა
იმ წრეში, სადაც სახელი და სახე ერთმანეთს ხედება,
შთაავანე ისეთი სურვილით, რომ კაცის ფიჭი
გაცოცხლდეს, როგორც შოშიათა ლაღი ელურტული,
მზიარულად აღმდგარი ქვეყნების უცნარ ქოვილზე.
აქაც, ჩვენს მცირე რიფზე გაშალე შენი ძალი,
ამ სიმაგრეზე ატლანტიკის ფრიალოს პირად;
ეგროპისა და განდევნილია ზღვის შუა მოღზე,
და ჩვენც გაგვხადე ნიუტონის შგავსება ყველა,
ვინც თავის ბაღში სდარაჯობდა ვაშლების ცვენას
და ამით მიხვდა მარადიულ კავშირს, ინგლისსა
და მას შორის მყოფს“.

მეკნისი ელევანტური და ტექნიკური ოსტატობის მქონე პოეტად გამომვლანდა. მისი „იენისის ქუხილი“ კლასიკური ზომით არის შესრულებული. მასაც ახსიათებს თანამედროვე ცივილიზაციის დაღუბენის შეგრძნობა, მაგ-

რამ ეს მიანიც ხელს არ უშლის თავისი მოთხოვნები შეზღუდოს „ლიმუზინითა და ქანდარის ბილეთით“.

ყველა ამ პოეტს საერთოდ ახასიათებდა აედრის მოლოდინის გრძობა. ისინი იძულებულნი გაფრთხილებულს. სხვათა შორის, მონაწილეობდნენ ესპანეთის სამოქალაქო ომში რესპუბლიკელთა მხარეზე, მაგრამ ამის შემდეგ რო დიდი ომი მოადგათ კარზე, მაშინ უკვე ველარაფერო სთქვეს და დაღუპდნენ. უთუოდ ეს ომი მოითხოვდა უფრო მეტ სიმარტივესა და სიმტკიცეს, ვიდრე ამ პოეტებს გააჩნდათ.

2

მეორე მსოფლიო ომმა ინგლისურ პოეზიაში გამოიწვია განახლება, რწმუნის აღდგენა. გამბედაობის, სიმტკიცის სიმშვიდის მომენტებმაც იზინეს თავი. მაგრამ უთუოდ ამის ჩვენება პოეზიაში ყველაზე უკეთ პოეტ-ჯარისკაცებს შეეძლოთ.

ომის ექვსმა წელიწადმა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი პროდუქტია მისცა ინგლისურ პოეზიას. მაგრამ აქედან ძლიერ ცოტა ეგება უშუალოდ ომს. ზოგიერთი თანამედროვე კრიტიკოსი ამ ფაქტის მიზეზს ეძებს იმაში, რომ მრავალი პოეტი წაევიდა ჯარში და ლექსებისათვის აღარ ეცალა. თუმცა პირველ მსოფლიო ომში ბევრი პოეტი სწერდა ომზე (რუპერტ ბრუკი, ზიგფრიდ სასუნი, უილფრიდ ოუენი და სხვა). ახლა ომი უფრო სხვაგვარი იყო: წინასწარგანკვეტილი და წინასწარგანცდილი.

სხვათა შორის, ბევრი უცნობი ჯარისკაცი, მეზღვაური და მფრინავი სწერდა ლექსებს. 1942 და 1943 წლებში გამოვიდა ამ ლექსების ორი კრებული. მაგრამ ასეთი პოეტების ინტერესი (გარდა მფრინავის ჯონ პუდნეისა) ლოკალურია და შეზღუდული. საერთოდ შესამჩნევია: ომმა გამოიწვია პოეტების დაბრუნება ინტიმური ემოციებიდან სოციალურ რეალობაში და გახსნა ადამიანთა ტანჯვის ფართო პერსპექტივა.

მოკმედი ინგლისელი პოეტების ბედი სხვადასხვაგვარი იყო ომის წლებში.

1939 წელს გარდაიცვალა დიდი ირლანდიელი პოეტი უილიამ ბეტლერ აეიტსი. უკანასკნელად ოგი დაშორდა თავის ჯადოსნურ სიმბოლიზმს და რეალისტურ პოეზიას მიეცა.

1939 წელსვე გამოვიდა ა. ე. ჰაუსმანის „ლექსების კრებული“. ჰაუსმანს სიკვდილამდე (გარდ. 1936 წ.) უკვე ჰქონდა მსოფლიო სახელი, როგორც ლათინისტ მეცნიერსა და კლასიკურად სრულყოფილი ლირიკული ლექსების ავტორს.

მომდევნო თაობის პოეტები აგრძელებდნენ იმას, რასაც ომამდე სწერდნენ.

ელით სიტუელი თავის „ქუჩის სიმღერებში“ (1942) რიტმიული აკრობატებიდან ინტენსიურ და ტრაგიკულ ლირიზმამდე მივიდა.

ელიოტი უმღერდა სულიერ მშვენიერებას („ოთხი კვარტეტი“, 1944). რიჩარდ ჩერჩი მისდევდა ტრადიციონალიზმს („მარტოხელა კაცი“, 1941 და „მეოცე საუკუნის დაეთინი“, 1943).

ედმუნდ ბლენდერი სწერდა მშვილ პასტორალებს („ლექსები 1930-40“ და „ნიუარები ნაკადის პირად“, 1944).

ჰერბერტ რიდი მიეცა მედიტატიურ პოეზიას („სამყარო ომში“, 1945) და მხოლოდ ზოგჯერ ენებიანად ფონებდა ესპანელ ანარქისტებს და მწარედ, ბრაზიანად—პირველ მსოფლიო ომს. უოლტერ დე ლა მარმა გამოსცა „ლექსების კრებული“ (1942 წ.) და შეადგინა პროზისა და პოეზიის იმაგი-

ნისტორი ანთოლოგიები („შეხვედეთ ამ მეოცნებეს“, 1939, „სოციალური“, 1943), რომლებიც გამოსცა შესანიშნავი ფერადი ლითოგრაფიით.

ლორენს ბინიონმა გამოსცა ლექსების წიგნი 1944 წელს და ამავე წელს დაამთავრა დანტეს „სამოთხის“ თარგმანი სამშავი რითმით. *ეჭყეუტენ-წიგნი*
სრულა დანტეს თარგმანზე მრავალწლიანი შრომა. *ჯივსლიცითქან*

რაც შეეხება ოდენისა და სპენდერის ჯგუფს, ამათგან უძლიერესად ისევ ოდენი დარჩა ომის განმავლობაში. იგი იქცა ფრანგი პოეტის გიიომ აპოლინერის ერთგვარ ინგლისელ ორეულად. თავის ცოცხალ მეტრებში მან ძველი პოლიტიკური მითის ნაცვლად რელიგიური იდემალება შემოიტანა აშკარა განზრახვით, რათა შეეროებინა ინტელექტისა და ემოციის განხეთქილება წინააღმდეგობით გამობილ პიროვნებაში. მისმა პოეზიამ უკანასკნელ ხანებში ფსიქოლოგიური ხასიათი მიიღო.

სესილ დე ლუისი თავის უკანასკნელ წიგნში დაუბრუნდა სოციალურ კრიტიციზმს და ლირიკულ ტრადიციას.

ლუი მეცნიესმა სთარგმნა ესქილეს „ავამეშხონი“, მაგრამ ამავე დროს გამოჩინა ინტერესი თანამედროვე თემებისადმი. მან გამოამყვანა ეურნალისტური სიმსუბუქე თავის „მეცენარე და აჩრდილში“ (1941) და „ტრამპლინში“ (1944). მისი უკანასკნელი პროდუქციის საუკეთესო ადგილებს წარმოადგენენ ორმა მოგონებები შშობლიური სახლისა ჩრდილოეთ ორლანდში.

სტივენ სპენდერმა წიგნში „ნანგრევები და ხილვანი“ (1942) გამოამყვანა ორმა ლირიზმი. მისი პერსონალური პოეზია ენებიანი და თავგადასავლიანი მოტივებით აღინიშნა. სპენდერმა უკანასკნელ ხანებში მოგვცა აგრეთვე გერმანელი რილეს და ესპანელი ლორკას კარგი თარგმანები.

ამავე თაობის სხვა ჯგუფებიდან შეიძლება დამახელება მიმოხილვის ეურნალ „ახალ ლექსთან“ თავმოყრილი პოეტებისა (უილიამ ემპსონი, ჩარლზ მედჯი, რონალდ ბოტროლი). პოეტი რობერტ გრეივისი, რომელმაც წინათ გზა გაუკაფა ოდენის სკოლას სკელტონის (მე-15 საუკ.) და სხვა ძველი ინგლისელი პოეტების მეტრებში ექსპერიმენტთა გზით, ომის დროს სწერდა მეცნიერულ-ისტორიულ რომანებს ძველი საბერძნეთის მიკენური პერიოდისა და რომის იმპერიის შესახებ.

თუმცა კონტინენტალური სურრეალიზმი ინგლისში საერთოდ მცირე გავლენის მქონე იყო, მაინც ერთგვარი მნიშვნელობა აქვს დევიდ გასკოინის „ლექსებს“ (1944). ავტორი გვევლინება პოეტად, რომელმაც აქვს ძველი გუთური პოეზიისათვის დამახასიათებელი გრძნობა ცოდვისა, სიბნელისა და შიშისა. მაგრამ გასკოინი უფრო კონტინენტალურია ხასიათით, ვიდრე ორგანიულად ინგლისელი პოეტი. მისი წიგნის ერთი განყოფილება მთლად ფრანგულ ენაზეა დაწერილი.

საკუთარი ლირიკული იმპულსით ხასიათდებთან პოეტები დილან თომასი და ჯორჯ ბერკერი. განსაკუთრებით პირველი ამათგანია საყურადღებო თავისი ქვეცნობიერი მოგონებებითა და ირრაციონალური ასოციაციებით.

პოეტი ქალბებიდან, ვარდა უკვე ხსენებული ვლით სიტუელისა, შეიძლება დასახელებულ იქნან: კათერინ რეინი, (რომლის „ქვა და ყვავილი“ ხასიათდება თითქმის კლასიკური ბრწყინვითა და სინათლით და რომლის სატრფიალო ლექსები გვაგონებენ სპანოსს), აგრეთვე ენ რიდლერი, სკოველი და ლინეტ რობერტსი.

უკანასკნელ ხანებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ახალი ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს მოდური სურრეალისტური ტექნიკა და თვის უწოდებს „ახალ რომანტიკოსებს“. ეს ჯგუფი ებრძვის ოდენის ინტელექტუალურ „კლასიკურ“ სკოლას. მისი პრინციპები ჩამოყალიბებულა მსოფლიოში „თეთრი მხედარი“ (1941). ამ ჯგუფში შედიან პოეტები ჰენრი ტრისი, ჰენდრი-ნიკლას მური, ვერნონ უოტკინსი და ფრეზერი.

უკანასკნელად დასახელებულ უნდა იქნას ომში დაღუპული ორი ინგლისელი პოეტი: 22 წლის სიდნეი კეისი და 28 წლის ალუნ ლეისი. კეისი ვნებიანი, ინტელექტუალური პოეტი იყო. რამდენადმე იგი გვაგონებს ღონს. მან ადრე მიიღწია გამოთქმის სიმწიფეს და საკუთარს სტილს. მისი თემატიკა იყო ომი. მას აქვს შესანიშნავი ლექსები „ომის პოეტი“ (სადაც ლაპარაკობს თავის თავზე, როგორც მშვიდობისმოყვარულზე, რომელმაც მოულოდნელად თავის ხელში ისარი ჰპოვა) და „მოსალოდნელი სტუმარი“ (სადაც საკუთარი ბედის წინათვრძნობაა გამოხატული).

ლეისი უფრო წყნარი პოეტია. მისი თემებია: ჯარისკაცის ცხოვრება, ბანაკი, სუფოლკის სანაპიროს დაცვა, ფიქრები უელსში დატოვებულ სახლზე, მის ხალხზე, ცოლზე, ინდოეთისკენ მიმავალ საზღვაო გზაზე. მისი დევიზია:

„ჩემი სიცოცხლე გუთონის მსოფლიოს!
მე გავაკეთებ, რაც შეიძლება“.

ზოგიერთი მისი ლექსი იწვევს ანალოგიას ჯონ დონის მიმართ, რომელიც კადიქსის ექსპედიციაში მონაწილეობდა, ან ელისაბედის ღროის რაინდი პოეტების ფილიპ სიდნეისა და უოლტერ რაალის მიმართ.

ამ ინგლისელ მეომართა პოეზიაში ძლიერია სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა. განსაკუთრებული მათში აღიერებს სიყვარულს იმ ადგილებიდან, სადაც ისინი ოდესღაც ბედნიერად ყოფილან.

ასეთია დაახლოებით თანამედროვე ინგლისური პოეზიის ვითარება, რაც შეიძლება დაეასყვნათ უკანასკნელი ანთოლოგიებისა და ეურნალების საშუალებით. როგორც ჩანს, მეოცე საუკუნის ინგლისური პოეზიის ზოგიერთი დიდი წარმომადგენელი, რომელთაც ადგილი არ ზედათ ჩვენს მიმოხილვაში, ან სრულიად სდუმს, ან სავესებით აღარ იქცევენ ყურადღებას.

პროფ. შ. ჩხეტია — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“

წ. I. საპარტვილოს სსრ უსსრ საარქივო სამმართველო. თბილისი, 1945 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მანათობელ ვარსკვლავივით ამობრწყინდა საქართველოს ცის კიღურზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ იგი, მაშინ სრულიად შეუმჩნეველი დარჩა, ხანა, რომელშიაც მას მოუხდა ცხოვრება, შრომა და მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე, სრულიად შეუფერებელი იყო მისი გენიალური ნიჭის სრული გაშლა-გათვართობისა და გამოვლენებისათვის. მაშინდელ ქართველ საზოგადოებას არც შეეძლო ნიკოლოზ ბარათაშვილის, — ქართული პოეზიის სიამაყისა და უდიდესი მოაზროვნე პოეტის გაგება და დაფასება. პირიქით — „ნიკოლოზ ბარათაშვილი უიღბლო იყო, — სწერს აღნიშნულ შრომაში პროფ. შ. ჩხეტია, — როგორც სიცოცხლის განმავლობაში, ისე დიდხანს სიკვდილის შემდეგაც: მან მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე უაღრესად მძიმე და მისი გენიისათვის, სრულიად შეუფერებელ პირობებში გაატარა და ბოლოს ამ პირობებს ემსხვერპლა კიდევ; ხოლო სიკვდილის შემდეგ ის ვასაოცარ დავიწყებას მიეცა, თითქოს უბრალო მომავდავი ყოფილიყოს, და ამის შემდეგ კარგა ხანს თითქმის 1860-იან წლებამდე, თავის არ მოპოვნება: ამ დროს კერძო კიდეც ჩვენდა სამარცხვინოდ და საგაღალოდ, მძაღლ ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებშიც კი სათაჯილოდ არ ითვლებოდა ცქითბათ — ნეტა, ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (იხ. გვ. 7).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში, რომელიც კი ჩატარდა ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში და ახლაც ტარდება, პროფ. შ. ჩხეტიას მიერ წარმოდგენილი მშლიანი შრომის: — „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ პირველი წიგნი — („მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“) დიდი შენაძინია, ავტორს საკმაოდ ნაყოფიერი საყვლევეა მუშაობა ჩუტტარებში.

„...ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი შემოქმედება ჩვენთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, — სწერს შ. ჩხეტია, — უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად საინტერესო იყო არა როგორც ლიტერატურული, არამედ როგორც ისტორიული ფაქტრ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც თავისი ეპოქის შვილი და ამ ეპოქის დამამშვენიებელი, როგორც ქართველი ხალხის გენიის თავისებური გამოვლენება და დამოწმება კონკრეტ ისტორიულ ვითარებაში — აი რა თვალსაზრისით იყო საინტერესო ჩვენთვის ნიკოლოზ ბარათაშვილი“. (იხ. გვ. 3).

ესადაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც გამოჩენილ მოაზროვნეს და შემოქმედს, თვალსაჩინო ადგილი უკავია თავისი ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში. ამიტომაც, რომ „ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლის გარეშე XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლა ისევე შეუძლებელია, როგორც, ვთქვათ, პლუტინისა ან ლერმონტოვის შესწავლის გარეშე XIX საუკუნის რუსეთის ისტორიის შესწავლა.“ (იხ. გვ. 3).

წინამდებარე წარმოდგენილი მთლიანი შრომის პირველი წიგნი თავისი მდიდარი მასალით სრულიად ამართლებს ავტორის მიერ დასახულ მიზანს, — მოგვცეს დიდი ქართველი პოეტის შესახებ ყოველმხრივ მეცნიერული კვლევის საფუძველზე დამუშავებული ბიოგრაფიული ნარკვევი ფართო გაგებით. ამრიგად ავტორს სურს, თავის მთლიან შრომაში პასუხი გასცეს „არსებითად დღემდე დღად დარჩენილ კითხვებზე: „ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი?“

ასე მარტივად დასმულ, მაგრამ მეტად „რთულ“ კითხვაზე პასუხი რომ გავცა, ამისათვის საჭირო იყო, მეტად რთული და ხანგრძლივი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ჩატარება, მრავალმხრივ „შავ სამუშაოსთან“ ერთად: სხვადასხვა საარქივო ფონდების და საბუ-

თების მოძებნა, გადასინჯვა-გადათვლიერება; მათი აღმოჩენა-გამოვლინება, ამკვირება-გაშიფვრა და სხვა. ყველა ამგვარი შემოაბა არც ისე ადვილი იყო და მეტ შრომა და ჯაფანს მოითხოვდა.

წინამწარ ვარაუდით, სათანადო მასალების აღმოსაჩენად, გადათვლიერებულ ყოველ ადამიანს ყველა იმ დაწესებულებათა ფონდები, რომლებშიც ნიკოლოზ ბარათაშვილი მუშაობდა; აგრეთვე იმათიც, რომლებთანაც მას სამსახურებრივი კავშირი ჰქონდა. მათგანი იყო საქართველოს უმაღლეს მთავრობის სასამართლოს ექსპედიციის; საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის და თავდა-ახანურთა სადებუტატო საკრებულოს საარქივო ფონდები. გადასინჯული და შემოწმებული ყოფილა ოცდაათი ათასზე მეტი საარქივო საქმე, და ამრიგად ყველა თვითიული საბუთი ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ აღმოჩენილი იყო ნამდვილი „არქეოლოგიური (არქეოგრაფიული) გათხრების“ შედეგად.

პროფ. შ. ჩხეტიას შრომა: — „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ პირველი წიგნი, წარმოადგენს მთლიანი შრომის პირველ ნაწილს (მთელი შრომა სამ ნაწილად იჭრება მოცემული). ამ შრომაშია: „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“: I ნაკვეთი — ადმინისტრაციული რეფორმა საქართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილის დროს; რომელიც ცხება: 1) საკითხის ისტორიას; 2) სენატორ განის პროექტს და 3) ადმინისტრაციულ რეფორმას და მის შედეგებს;

შემდეგ მოცემულია: II — ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფების აღწერილობა; განხილულია: 1) გამსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი; 2) საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის ფონდი; 3) საქართველოს მთავარმმართველის კანცელარიის ფონდი; 4) ა.კავასის მთავარმმართველის კანცელარიის ფონდი; 5) ა.კავასის სამოქალაქო მმართველობის ჯფროსის ფონდი; 6) საქართველოს თავდა-ახანურთა სადებუტატო საკრებულოს ფონდი; 7) საქართველოს თავდა-ახანურობის წინამძღოლის ფონდი; 8) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდი; 9) თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ფონდი; 10) საქართველო-იმერეთის საგუბერნო სამმართველოს ფონდი; 11) სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ფონდი;

შრომის III ნაწილში მოცემულია, — დოკუმენტები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ: ნ. ბარათაშვილის გენეალოგია, წინამძებნი, მელიტონ ბარათაშვილი; ნ. ბარათაშვილი სასწავლებელში; მისი შექელა სამსახურში: — სასამართლო ექსპედიციაში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში; ნახიკვეანში; ნახიკვეანიდან დაბრუნების შემდეგ; გამწესება თელავში; ელისავეტოპოლში (განჯა); მისი სიყვდილი; სიყვდილის შემდეგ; მისი ნეშტის გადმოსვენება და ძეგლი.

შრომის წამმდებარებელი აქვს ავტორის წინასიტყვა და საერთო შესავალი, რომელშიაც განხილულია: ბარათაშვილოლოგიის წარმატებანი და უახლოესი ამოცანები; ბარათაშვილის ავტოგრაფების მნიშვნელობა და მათი აღწერის პრინციპები; აღმოჩენილი საარქივო მასალების მნიშვნელობა და მათი კუბლიკაციის სისტემა.

ნაშრომს დართული აქვს: ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფების ფოტოპირები; პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები. წიგნის რედაქტორია აკად. გ. ლეონიძე.

აღნიშნული შრომის პირველი წიგნი უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას და ხელს იწყობს ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგვიედრობის ყოველმხრივ შესწავლისა და მეცნიერულ საფუძველზე დაყენების საქმეს.

საჭიროა და სასარგებლოც, ავტორმა რაც შეიძლება დაამატოს თავისი შრომის შემდეგი, მეორე და მესამე ნაწილის გამოცემა.

შალვა გოჯალიშვილი

შინაარსი

საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება თბილისის პარტიულ ორგანიზაციების აქტივის კრებაზე 1946 წლის 16 აპრილს 3

მხატვრული ლიტერატურა

გიორგი კაჭახიძე — წყაროს დაბადება (ლექსი)	25
შალვა დადიანი — მენჯი-რობუ (რომანი, გაგრძელება)	27
რაფდენ გვეტაძე — ერეკლე და მისი თოფი (ლექსი)	39
სერგო კლდიაშვილი — სერაფიტა	40
შალვა აფხაიძე — რა მიზარია. ლირიკული პეიზაჟი (ლექსები)	47
იაკინთე ლისაშვილი — სიცოცხლისათვის (რომანი, გაგრძელება)	49
ანა კალანდაძე — ლექსები	76
ლიდია მეგრელიძე — მშობლიურ ცის ქვეშ (რომანი, გაგრძელება)	87
ოთარ ჩხეიძე — ეპკვი	102
კარლო კალაძე — ერთი ღამის კომედია (პიესა, დასასრული)	113
ი. ვ. გოებტე — ლექსები (თარგმ. ხ. ვარდოშვილისა)	136

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

დიმიტრი ჯანელიძე — ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისათვის	145
ლევან ასათიანი — ვალერიან გაფრინდაშვილი (წერილი)	155
კონსტანტინე ტიქინაძე — დაკვირვებით წაკითხული (წერილი)	166
გივი გაჩეჩილაძე — თანამედროვე ინგლისური პოეზიის მიმოხილვა (წერილი)	174

ბიბლიოგრაფია

შალვა გოზალიშვილი — პროფ. შ. ჩხეტიან — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წ. I. საქართველოს სსრ შსსკ საარქივო სამმართველო, თბილისი, 1945 წ.	2 181
---	-------

